იოსებ ბოცვაძე

ქართული ჟურნალისტიკა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1967

002(C41)
05(47.922)(09)×899.962.1.092 [წერეთელი აკ.]
ბ895

წიგნის პირველ ნაწილში განხილულია აკაკი წერეთლის ჟურნალისტური მოღვაწეობა და მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალები: „აკაკის თვიური კრებული“ და „ხუმარა“.

მეორე ნაწილში მიმოხილულია ქართული საბავშვო ჟურნალები 1881 წლიდან 1921 წლამდე.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთათვის.

რედაქტორი გიორგი შალამბერიძე

აკაკი წერეთელი და ქართული პერიოდული პრესა

XIX საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვისა და საზოგადოებრივი აზრის ყველა ქმნილება პირველ რიგში პერიოდული პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. ამდენად ქართული პერიოდული ორგანოები წარმოადგენდა არა მხოლოდ იდეური ბრძოლის მძაფრ იარაღს, არამედ ფართო მშრომელი მასების განათლებისა და გათვითცნობიერების ერთ-ერთ საიმედო წყაროსაც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე დასაყრდენს.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციას მშვენივრად ესმოდა პერიოდული პრესის ეს უდიდესი როლი და მნიშვნელობა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. 60-იანი წლების ახალგაზრდობის იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუ პრესას უნდა „კეთილ-სინდისიერად აღასრულოს თავისი ძნელი საქმე, უნდა თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა„ რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტს თვალი და გონება ადევნოს; ყოველ აზრს საკეთილო მოძრაობის გზა მისცეს, ყოველიფერი შენიშნოს და ყოველიფერს პასუხი გასცეს, ერთი სიტყვით უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გასაკეთებლად. ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“[1].

ასეთი რთული ამოცანა დასახა ქართველმა ინტელიგენციამ პერიოდული პრესის წინაშე და ამ ამოცანის განხორციელებას ზოგმა მოღვაწემ არა მხოლოდ პირადი მატერიალური კეთილდღეობა, არამედ საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირა.

ქართული პერიოდული პრესის ისეთ დიდ მოამაგეთა შორის, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე კერესელიძე, ივანე მაჩაბელი, კირილე

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 65.

ლორთქიფანიძე და სხვანი, აკაკი წერეთელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ქართული პერიოდული ორგანოს რედაქციის კარი აკ. წერეთელმა მეტად მორიდებულად შეაღო. 1858 წელს ქუთაისის გიმნაზიის VI კლასის მოწაფემ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას ს. ლი-ს ხელმოწერით გაუგზავნა მ. ლერმონტოვის ლექსის „პალესტინის რტოს“ თარგმანი. აკაკი მაშინ 18 წლის ჭაბუკი იყო.

უცნობი ავტორის თარგმანი უდავოდ მოეწონა „ცისკრის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს და გადაწყვიტა კიდეც მისი დაბეჭდვა, ამიტომ ეს თარგმანი ჟურნალში დასაბეჭდ სხვა მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგინა ცენზორს, მღვდელ ალექსი მესხიშვილს. ცენზორმა გულდასმით განიხილა წარდგენილი მასალები, ზოგი მათგანი გაუშვა, ზოგს კი და მათ შორის აკაკის თარგმანსაც დაბეჭდვის ვიზა არ მისცა, რადგან მთარგმნელის ვინაობა რედაქციისა და ცენზორისათვის უცნობი იყო.

ივ. კერესელიძეს არ უნდოდა, რომ „პალესტინის რტო“ დაუბეჭდავი დარჩენილიყო. ამიტომ „ცისკრის“ საფოსტო განყოფილებაში ასეთი განცხადება დაბეჭდა: „ზოგიერთი იმ გვარი თხზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაც ბეჭდვის უფლება არა გვაქვს, ასე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველ თხზულებას ქვე'შ უნდა ეწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვითონ ავტორს „რტოს პალესტინისასაც“, ვთხოვთ გვაცნობოს: ვინ ბრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს, რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში“.

აკაკის უცნობებია ივ. კერესელიძისათვის თავისი ვინაობა, რის შედეგადაც „პალესტინის რტო“ დაიბეჭდა „ცისკრის“ 1858 წლის ნოემბრის ნომერში.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს იყო ლერმონტოვის ლექსის პირველი ქართული თარგმანი და ამავე დროს აკაკის პირველი დებიუტი პრესის ფურცლებზე. აქედან დაიწყო აკაკის მუდმივი თანამშრომლობა „ცისკარში“.

თუმცა ივ. კერესელიძე გრძნობდა, თუ რა დიდი შენაძენი იყო მისი ჟურნალისათვის აკ. წერეთელი, მაგრამ იგი ხშირად მეტად თვითნებურად ექცეოდა ახალგაზრდა კალმოსნის მიერ წარდგენილ მასალებს, ცვლიდა და ამახინჯებდა ნაწარმოებების აზრს, რაც პოეტის სამართლიან აღშფოთებას იწვევდა. მაგალითად, ივ. კერესელიძემ დაამახინჯა აკაკის ლექსი „ქარფლის სალამი“, განსაკუთრებით ბოლო ოთხი სტრიქონი: ამ ცვლილების შედეგად მეფის რუსეთი სა-

ქართველოს მხსნელად იქნა გამოყვანილი. ასევე დაამახინჯა ივ. კერესელიძემ ლექსი „ნავი“, რამაც პოეტის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით აკ. წერეთელი სწერდა დედას: „მე და კერესელიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადააკეთა... სექდემბერს აქეთ აღარაფერს უგზავნი, აღარც გაუგზავნი აწ“. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ივ. კერესელიძემ ბოდიში მოუხადა ახალგაზრდა პოეტს და პირობა მისცა, რომ მისი ნებართვის გარეშე არავითარ ცვლილებას არ შეიტანდა ავტორის ნაწარმოებებში, და აკაკიმაც განაგრძო „ცისკარში“ თანამშრომლობა.

პირველ წლებში აკაკი როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ნაწარმოებებსაც „ცისკარში“ ინიციალებით ან ფსევდონიმებით ბეჭდავდა. „ვერ ვბედავდი ჩემი სახელის და გვარის გამოცხადებასო“,— აცხადებს იგი, მაგრამ 1860 წელს „ცისკარში“ უკვე გამოჩნდა აკაკის გვარი და სახელი, რომლითაც ხელმოწერილი იყო მისი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ლექსი „საიდუმლო ბარათი“.

მიუხედავად იმისა, რომ „საიდუმლო ბარათი“ ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა, აკაკი მაინც ვერ ბედავდა თავისი სახელისა და გვარის გამომჟღავნებას. ეს მის უნებურად მოხდა, რის გამოც „ცისკრის“ რედაქტორს ბოდიშის მოხდა დასჭირდა ავტორის წინაშე: „ძმაო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს, იმას უჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდათ მოსწონებია; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მჭონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენ ლექსებს ხელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმღერიან კიდეც. აბა შენ იცი თუ მომეშველები მალმალე. შენი ი ვ ა ნ ე“.

„ცისკრის“ ის ნომრები, რომლებშიც აკაკის ლექსები იყო დაბეჭდილი, ხელიდან ხელში გადადიოდა. აკაკის თანამშრომლობა „ცისკარს“ დიდ პოპულარობას უქმნიდა.

უდავოდ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პირველ ხანებში ცენზურაც კი მოხიბლა აკაკის პოეზიამ. ცენზორის მოვალეობის აღმსრულებელი ანჩისხატის დეკანოზი ეფრემი სწერდა აკაკის: „გილოცავ მეშაირობას და თან გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექ-

სებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ კი რაღაც სოფლურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიძღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული". ცხადია, დეკანოზს არ ესმოდა, რომ აკაკის ლექსების პოპულარობის მიზეზი, გარდა მისი ღრმა შინაარსისა, ხალხური ენაც იყო.

აკ. წერეთლის პირველი პუბლიცისტური სტატია „ახირებული ფურცელი", რომელიც დათარიღებულია 1862 წლის 30 მარტით, დაიბეჭდა „ცისკრის" იმავე წლის მეხუთე ნომერში.

ამ წერილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ აკ. წერეთლის როგორც დამწყები პუბლიცისტის მსოფლმხედველობის შესასწავლად, არამედ იმ ბრძოლის ხასიათის გასათვალისწინებლადაც, რომელიც გაიმართა 60-იან წლებში „ცისკრის" ირგვლივ შემოკრებილ კონსერვატიულ-ლიბერალური მსოფლმხედველობის გამომხატველ ძველ თაობასა და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებებს ნაზიარებ პროგრესულ ქართველ ახალგაზრდობას შორის.

წერილში აკ. წერეთელმა სასტიკად გააკრიტიკა ის გადაგვარებული ქართველობა, რომელნიც

ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ვეღარც რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.
სხვისას კარგსა მეტად ჰგმობენ,
თუმც თავის თავს სუსტად სცნობენ —
ჯიბეებსა თაგვი უჭრისთ,
მაგრამ ისევ დიდკაცობენ.
ქართულ ენას არად ხდიან,
შვილებს რუსულადა ზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.

აკაკის კრიტიკის ობიექტი გახდნენ აგრეთვე ჟურნალი „ცისკარი" და კონსერვატიულ-რეაქციული მსოფლმხედველობის გამომხატველნი, უკვე განსვენებული ანტონ კათალიკოსი, რომლის ენობრივი ნორმებიც დაკანონდა „ცისკარში", პლატონ იოსელიანი, ეფთვიძე წერეთელი და სხვანი, რომელნიც აფერხებდნენ არა მხოლოდ სალიტერატურო ენისა და ჟურნალ „ცისკრის", არამედ საერთოდ

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

ილიას მსგავსად აკაკისაც მოსწონს „სალაყბოს ფურცლები", რადგან თუმცა მოლაყბე „ლაყბობას კი ეძახის თავის სტატიებს, მაგრამ იმას უფრო სარგებლობა მოაქვს იმის ლაყბობით, როგორც თვითონ უწოდებს, ვიდრე იმ ფილოსოფოსებს, რომელნიც ხან — ინახით ჯდებიან გორს და ხან ათინა, რომი და ევროპა შეძრეს თავის ფილოსოფიით, რომელიც დააფუძნა საქართველოში პლატონ ფილოსოფოსმა" (იოსელიანმა).

აკ. წერეთელი განსაკუთრებული სიმძაფრით დაესხა თავს ე. წერეთელს, რომელმაც უმართებულოდ გაილაშქრა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. თავისი დამოკიდებულება ე. წერეთლისადმი აკაკიმ მშვენივრად გამოხატა სტატიაში ჩართული ხალხურ კილოზე დაწერილი ლექსით, რომელიც ასე იწყება: „ზემოური იმერელი კახელს შემოსწყრაო...".

წერილის დასასრულს აკაკი დასძენს: „თუ ეფთიმე გორისელმა ბოდიში არ მოიხადა, უთუოდ ყოველ თვეში შევამკობ ხოლმე სხვადასხვა რიგათო".

ე. გორისელი შეუშფოთებია აკაკის სტატიას, განსაკუთრებით აძ უკანასკნელ სტრიქონებს, მით უმეტეს, რომ ილიას მიმართ იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, მაგრამ მაინც იძულებული გამხდარა ბოდიში მოეხადა ახალთაობის წინაშე. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკო ნიკოლაძის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი: „გორისელმა შემეხვეწრა თქვენთან ბოდიშის მოხდა... მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე, გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიც გაულანძღია რაფიელ ერისთავი, მერე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „აყვავებულა მდელო" მაგალითად და ანტონისა და ჩახრუხაძის ლექსები, ვითომ, აი, ამისთანა ლექსები უნდა წეროონ. ჩვენ ვირისთავს (ესე იგი მიხვდები ვის, ანუ ესე იგი იგივე კერესელიძეს, ჩვენს პუშკინს) ჰკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცელიო... გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია".

ნ. ნიკოლაძის წერილი გორისელის გამართლების საშუალებას იძლევა, მაგრამ. როგორც სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ლევან ასათიანი, ამას „არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა თერგდალეულთა კამათში. მათი პოლემიკისთვის პიროვნება კი არ იყო საინტერესო, არამედ მთელი ის თაობა, რომლის აზრსაც გამოხატავდა გორისელის მიერ ხელმოწერილი სტატია"[1].

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1940, გვ. 192.

1863 წელს დაარსდა „საქართველოს მოამბე“, რომელიც პირველივე დღიდან ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურში ჩადგა და მკაცრად გაილაშქრა როგორც ცარიზმის, ასევე ბატონყმობის მძვინვარების წინააღმდეგ.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ აკაკის „საქართველოს მოამბეში“ მონაწილეობა არ მიუღია. იგი კვლავ „ცისკარში“ განაგრძობდა მოღვაწეობას და „ცისკრის“ ფურცლებზე ავითარებდა იმ პროგრესულ შეხედულებებს, რასაც „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი და მისი თანამშრომლები გამოხატავდნენ ჟურნალში.

1863 წლის „ცისკარში“ დაიბეჭდა აკაკის ისეთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებნი, როგორიცაა: „ძველ სამეფოს“, „ვირი და ფილოსოფია“, „დღე და ღამე იყრება“, „გლეხის აღსარება“, „მოგონება“ და „სიმღერა მკის დროს“. ეს ლექსები საკმაოდ მკვეთრად გამოხატავენ ავტორის რადიკალურ თვალსაზრისს როგორც სოციალურ, ასევე ნაციონალურ საკითხებზე. რაც დამახასიათებელი იყო „საქართველოს მოამბის“ ჯგუფისათვის.

ის ფაქტი, რომ აკაკი არ თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“, არ შეიძლება აიხსნას აკ. წერეთლისა და „საქართველოს მოამბის“ ჯგუფს შორის არსებული ვითომდა რაიმე განსხვავებული თვალსაზრისით. ვფიქრობთ,მთავარ როლს აქ უფრო სუბიექტური ფაქტორი ასრულებდა, რაც პროფ. სიმონ ხუნდაძემაც შენიშნა.

ამ მხრივ უდავოდ ყურადღების ღირსია აკ. წერეთლის წერილი კირილე ლორთქიფანიძისადმი. წერილი დათარიღებულია 1862 წლის 12 სექტემბრით. როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს უთხოვია აკაკისათვის, რომ მას თავისი ნაწარმოებები ილია ჭავჭავაძისათვის გაეგზავნა, რომელიც აპირებდა „საქართველოს მოამბის“ გამოცემას, და არა ივ. კერესელიძისათვის. აკაკი არ ყოფილა პრინციპული წინააღმდეგი, რომ თავისი ნაწერები ილიასათვის მიეცა გამოსაქვეყნებლად. მაგრამ წვრილმანმა თავმოყვარეობამ აიძულა ამჯერად თავი შეეკავებინა. „კერესელიძეს რაღათ მივსცემ, თუ შენი სურვილი იქნება, მაგრამ რა ვქნა, რომ ილიკო ჩემი მაგინებელია! მას სტატიას, რომ შემეხვეწოს, არ დავუბეჭდავო, ასე ამბობს“[1].

ძნელი საფიქრებელია, რომ ისეთ დინჯსა და გონიერ ადამიანს, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, რომელსაც იოლად არ წამოსცდებოდა ადამიანის არც ქება და არც ძაგება, აკაკი ეგინებინა. ილიამ მშვენივრად იცოდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც იგი „საქართველოს მოამბის“ გამოსაცემად ემზადებოდა, თითოეული პროგრე-

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XV, გვ. 49.

სული კალმოსანი უდიდეს შენაძენს წარმოადგენდა. ილიას აზრი აკაკის შესახებ მშვენივრად არის გამოხატული ერთ პირად წერილში, რომელიც ილიას თავისი სახელოვანი თანამებრძოლისათვის გაუგზავნია. მართალია, წერილი 1886 წლის 5 იანვრით არის დათარიღებული, მაგრამ იგი ადრეულ წლებსაც ეხმაურება და ძვირფასი დოკუმენტია ორი დიდი მამულიშვილის ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად. როგორც ცნობილია, გაზეთ „დროების“ დახურვის შემდეგ ჟურნალ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებასთან დაკავშირებით ილია აკ. წერეთელს სწერდა: „ძმაო აკაკი! მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა, ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა...

გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უყლიდი, არ ეკარებოდი. ეგ ჩემთვის თუმცა დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოსწორხს მეთქი. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენს წინაშე. რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება. რაც ძველ ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე. რაც უწინ. გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დააშვენოს ჩვენი გაზეთი. გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმით აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გავუძნელო და არასიცა მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ დავუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ, დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი, თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.

შენი კეთილის მსურველი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“[1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, I, ი. ბოცვაძის რედაქციით, გვ. 71—72.

ეს წერილი, რომლიდანაც ვრცელი ამონაწერი მოვიტანეთ, ნათლად გამოხატავს ილიას გულწრფელ დამოკიდებულებას აკაკისადმი.

მაშ რით უნდა აიხსნას ის გაუგებრობა, რომელიც წარმოიშვა ილიასა და აკაკის შორის 60-იან წლებში?

როგორც ცნობილია, აკაკის თანამშრომლობა „ცისკარში“ ამ ჟურნალს გარკვეულ შნოსა და ლაზათს აძლევდა. მრავალ უფერულ მასალაში აკაკის ლექსები მარგალიტებივით ბრწყინავდა და მბეჭდავ „ცისკარს“ მართლაც რომ აცისკროვნებდა, რაც მკითხველთა რაოდენობის გამრავლებას, ჟურნალის ტირაჟის გადიდებასა და რედაქციის მატერიალური შემოსავლის ზრდას იწვევდა. ამ გარემოებას არც ივანე კერესელიძე მალავდა და აღნიშნავდა, რომ „აკაკის ლექსებმა პირველ დროიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება... მისი ლექსი როცა „ცისკარში“ იბეჭდებოდა, იმ ნომერს ყოველთვის უფრო მეტს ვბეჭდავდით, რადგანაც იმერეთიდან იმ წიგნებს იბარებდნენ ხოლმე და თან ხელის მომწერლებსაც ვიძენდით... როცა მის ნაწერს მივიღებდი, მაშინ სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა, იმიტომ, რომ ხალხში ძალიან კითხულობდნენ აკაკის ლექსებს“[1].

ამის შემდეგ ცხადია, თუ რა ძნელი იქნებოდა ივ. კერესელიძისათვის და საერთოდ „ცისკრის“ რედაქციისათვის აკ. წერეთლის დაკარგვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა აკაკი შეენარჩუნებინათ. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ მათ შექმნეს ჭორი, თითქოს ილიას აკაკი ეძაგებინოს და უარი ეთქვას მისი ნაწარმოებების დაბეჭდვაზე. გესლიანი ენების მიტანა-მოტანამ უდავოდ ერთგვარი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დაუდუღებელ, გულფიცხ აკაკიზე, რის გამოც მან თავი შეიკავა „საქართველოს მოამბეში“ თანამშრომლობისაგან. სხვა რამე პრინციპული საფუძველი ამ გაუგებრობას არ ჰქონია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ აკაკი „ცისკრის“ ფურცლებიდან სწორედ იმ საკითხებს ეხმაურებოდა, რომლებსაც „საქართველოს მოამბე“ ასე პრინციპულად აყენებდა.

თავისი დამოკიდებულება ივ. კერესელიძისა და მის ჟურნალ „ცისკრისადმი“ მშვენივრად გამოამჟღავნა „საქართველოს მოამბემ“ წერილებში, რომელთა შორის საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის „სხარტულა“ (რედაქტორი და მისი რაინდი ბაქია).

ანალოგიურ თვალსაზრისს ამჟღავნებს აკ. წერეთელიც ვოდევილში „ჩვენი ნაცარქექიები ანუ ორი ვირის თავი“, რომელშიც საკმაოდ კომიკურ ხაზებშია წარმოდგენილი „ცისკრის“ უანგარო რედაქტორი..

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, „აკაკი“, 1897, გვ. 9.

სამართლიანად აღნიშნავს ლ. ასათიანი, რომ მწვავედ „დასცინა აკაკიმ „ცისკრის“ რედაქტორს, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მასთან კარგი განწყობილება ჰქონდა და კიდევაც თანამშრომლობდა მის ჟურნალში! მაგრამ პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები... აკაკის იმთავითვე განსხვავებული ჰქონდა და სხვანაირად მას არც შეეძლო მოქცეულიყო. ამაში სჩანს მთელი მისი ხასიათი და ბუნება“[1].

70-იან წლებში აკაკი წერეთელი ქუთაისშია. იგი ესწრება იმერეთის თავადაზნაურობის მარშლების არჩევნებს და წერს რამდენიმე სატირულ ნაწარმოებს, რომლებშიც მწვავედ არის გაკრიტიკებული „ბრწყინვალე“ წოდების სასაცილო საქციელი. ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია მისი „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელიც აკაკიმ დასაბეჭდად გაზეთ „დროებას“ გაუგზავნა. ფელეტონმა მეტად დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბევრმა მის ავტორად ნიკო ნიკოლაძე მიიჩნია. ნ. ნიკოლაძის ფელეტონად მიაჩნდა იგი „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხსაც, მაგრამ ავტორის ვინაობა მალე გამოირკვა და „დროების“ ჯგუფმა გადაწყვიტა აკაკის მოწვევა მუდმივ თანამშრომლად.

ერთ დღეს ქუთაისის სასტუმროში მყოფ აკაკი წერეთელს მოსალაპარაკებლად ესტუმრა ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც არ მოსწონდა აკაკის თანამშრომლობა „ცისკარში“. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„—მიკვირს შენი ახირებულობა, — მიმართა ნიკოლაძემ აკაკის,— ყმაწვილი ხარ, ახალ თაობას ეკუთვნი სულით და გულით და ძველებში კი გარეულხარ და იქ მუშაობ. ჩვენ გვინდა ახალი წრე შევადგინოთ ახალთაობის, „დროება“ ხელში გვეჭირება, — სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს, მე და შენ...

— მე რაღას მოგეხმარებით?

— ბევრს არა გთხოვ: სხვათა შორის ფელეტონები გვიწერე, „ცხელ-ცხელი ამბები“; შენ გგონია, რომ ის „ცხელ-ცხელი ამბები“, რომელსაც მე მაწერენ, არ ვიცი რომ შენი დაწერილია? არა! არა! აქ რა გინდა ქუთაისში? შენი ადგილი რედაქციაშია.

— ვთქვათ, რომ ყველა ეს მართალიც იყოს, მერე რჩენა არ მინდა? აქ როგორც არის, გიორგი ჭილაძის შემწეობით იოლად მივდივარ და იქ რა მეშველება?

— იქ ბინა რედაქციაში გექნება და ჩემი საკუთარი ჯიბიდან თვეში ხუთ თუმანს გაძლევ და იმყოფინე“[2].

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკ. წერეთლისა, გვ. 239.

[2] გაზ. „თემი“, 1912 წ., № 93.

მეგობრის რჩევა აკაკის ჰკუაში დაუჯდა, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა რედაქციისათვის გარკვეული პირობა ჩამოერთმია. ამის შესახებ აკ. წერეთელი მოგვიანებით წერდა: „... მე არ უნდა დავმორჩილებოდი რედაქციის „შიგნითურ“ კანონებს, ჩემს ნაწერებს ხელს ვერ შეახებდა რედაქცია, ვერ გადაასწორებდა და ვერც გადააკეთებდა; რომელზედაც თანახმა არ იქნებოდა, იმ სტატიის შესახებ თავისი საკუთარი აზრი უნდა წარმოეთქვა იმავე გაზეთში. დავთანხმდით და „დროების“ № 97-ში 1871 წ. კიდეც დაიბეჭდა ჩემი პირველი „ცხელ-ცხელი ამბები“ რედაქციის შენიშვნით. აი რას სწერდა ნ. ნიკოლაძე სხოლიოში: „თ. აკაკი წერეთელი დაგვპირდა ჩვენ ხანდისხან ფელეტონების და სხვა-და-სხვა შენიშვნების გზავნას ამ რუბრიკით: „ცხელი ამბები“. ჩვენც სიამოვნებით ვაძლევთ და მივსცემთ კვლავადაც ადგილს მის ნაწერებს, თუმცა ძლიერ ხშირად ისიც შეგვხვდება, რომ ჩვენ მის აზრს არ ვეთანხმებოდეთ და მის ნაწერებს არ თანავუგრძნობდეთ. მკითხველი ამ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ, სხვათა შორის, აზრათა გვაქვს ხმის ამოსაღები ასპარეზი მივცეთ იმისთანა მწერალს, როგორიც აკაკი წერეთელია...“.

მე ჩემს პირობაზე ვიდექი და ისინიც თავისას არ იშლიდნენ: ხშირად გვჭონდა ხოლმე ერთმანეთში კამათი რომელისამე საქმის შესახებ. ჩვენ მტერ-მოყვრობას ორი წლის განმავლობაში ხელს გარეშე არა უშლიდა რა“[1].

1871—72 წწ. „დროებაში“ აკაკის მრავალი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოები გამოქვეყნდა; განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ფელეტონები „ცხელ-ცხელი ამბების“ სათაურით, რომლებშიც აკაკი იმდროინდელი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა და განსაკუთრებული სისასტიკით ილაშქრებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ.

აკაკის თანამშრომლობას გაზეთ „დროებაში“ დიდად აფასებდა სერგეი მესხი. „აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერი და ყველაზე უფრო გამოსადეგია გაზეთისათვის, — წერდა იგი, — ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არცერთ ჩვენ მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისთვის და საზოგადოდ ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურისათვის“[2].

ამიტომ იყო, რომ ს. მესხი განსაკუთრებით უფრთხილდებოდა

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 330.
[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1950, გვ. 189.

ძვირფას თანამშრომელს, ბავშვივით ელოლიავებოდა და შეძლების-დაგვარად ყოველგვარ პირობებს უქმნიდა ნორმალური მუშაობისათვის.

1873 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში სერგეი მესხი საფრანგეთში გაემგზავრა. „დროების“ ხელმძღვანელობა კირილე ლორთქიფანიძესა და ნიკო ნიკოლაძეს დაევალათ. მათ ვერ მოახერხეს აკ. წერეთელთან საერთო ენის გამონახვა, რამაც აკაკი აიძულა დაეტოვებინა „დროება“. „დროებიდან“ აკაკის წასვლის კონკრეტული მიზეზი კი შემდეგი იყო: „დროების“ 1873 წლის 23 ნოემბრის ნომერში ხელმოუწერლად დაიბეჭდა აკაკის წერილი სათაურით „დროების“ კორესპონდენცია“, რომელიც კაცხის სამონასტრო მიწების საკითხს შეეხებოდა. რედაქციამ არ გაიზიარა ზემოხსენებულ წერილში გატარებული თვალსაზრისი და გამოეკამათა ავტორს, ხოლო აკაკის პასუხის დაბეჭდვის საშუალება არ მისცა. ამ ამბით განაწყენებულმა პოეტმა „დროება“ მიატოვა. მოგვიანებით აკაკი ასე იგონებდა ამ კონფლიქტს: „1873 წლის „დროების“ № 46-ში დაიბეჭდა ჩემი შენიშვნა კაცხის გლეხების შესახებ. რედაქციამ თეორიულის მხრით შეხედა ამ საქმეს, მე კი, თეორიის საზოგადოთ არა უარის-მყოფელი, ამ შემთხვევაში პრაქტიკულის მხრით ვუყურებდი. ჩვენმა უთანხმოებამ გამოიწვია უსიამოვნება და რადგანაც რედაქციამ უარი განაცხადა ჩემი საპასუხო წერილების ბეჭდვაზე, მეც სრულიად ჩამოვშორდი რედაქციას და აღარა მიბეჭდვინებია რა“[1].

აკაკის წასვლა მნიშვნელოვნად დაეტყო გაზეთს. „დროებამ“ ძველებური ცოცხალი ელფერი დაკარგა. გაზეთის მოდუნებამ აღაშფოთა ს. მესხი. მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა იმ კონფლიქტის შესახებ, რომელიც მოხდა აკაკისა და „დროების“ რედაქციას შორის. აკაკის სიჩუმე მან შემთხვევით მოვლენად მიიჩნია და სპეციალური წერილით სთხოვა განეგრძო გაზეთში თანამშრომლობა. ს. მესხი პარიზიდან ეკ. მელიქიშვილს სწერდა: „გუშინ წინ აკაკის მივსწერე წიგნი. თავი მოვუქონე და ვთხოვე, რომ ხშირად სწეროს „დროებაში“ თავისი ცოცხალი ფელეტონები, თორემ ამ უკანასკნელ დროს „დროებამ“ რაღაც ერთობ კოჭლობა დაიწყო და თუ ყველა არ მიეშველეთ, განსაკუთრებით ამ წლის დამდეგში, ცუდად არის საქმე. ეს ერთი წელიწადია ჩემს იქ ჩასვლამდე გასძლებდეს როგორმე, თორემ მე რომ ჩავალ ამ წლის ოქტომბერში ან ნოემბერში. მერე არა უშავს რა“[2].

---

[1] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 331.
[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 90.

მიუხედავად ს. მესხის წერილობითი თხოვნისა, აკაკი „დროებას“ არ დაბრუნებია. მაგრამ როდესაც გაზეთის სათავეში კვლავ ს. მესხი ჩადგა, მან შეძლო აკაკისთან საერთო ენის გამოძებნა და „დროებაში“ მისი დაბრუნება. „აკაკიმ, ხომ ხედავ, ეხლავე დაიწყო წერა, — სწერდა ს. მესხი ეკ. მელიქიშვილს, — გუშინ იმის წერილი მივიღე და მწერს ჩემგან მუდამ კვირას მოელოდე თუ ფელეტონს და თუ სტატიებსო. ერთ ორ-სამ სტატიას ან მოთხრობასაც რომ საახალწლოდ ილიკო (ჭავჭავაძე — ი. ბ.) მომცემდეს, მეტი აღარა მიშავს რა. იმერეთს აკაკის შემწეობით დავიპყრობ და კახეთს ილიკოს დახმარებით“[1].

თვით აკაკი შემდეგნაირად ხსნის „დროებაში“ დაბრუნებას: „მხოლოთ რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც რედაქციის წევრები წავიდ-წამოვიდნენ და „დროება“ დარჩა მარტო სერგეი მესხის ხელში, მაშინ მივუბრუნდი ისევ და ვეხმარებოდი იმ კაცს, რომელმაც გამიცნო და თავისი ადრინდელი სხვების ხმის აყოლა თითონვე იჩოთირა და მეგობრულათ მთხოვა, რომ მასთან მეც მეშრომა“[2].

ს. მესხის საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ „დროების“ რედაქციიდან გავიდნენ ნ. ნიკოლაძე და კ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ს. მესხს აღარ უთხოვია მათთვის რედაქციაში დაბრუნება. „ჩემი ძველი ამხანაგები ჩამომეცალნენ, — სწერდა ს. მესხი თავის საცოლეს, — მაგრამ არა უშავს რა, ახლებთან დავიჭერ საქმეს და იმედია, იმათის შემწეობით, ისე შეიძლება საქმის წაყვანა, რომ ძველების ჩამოცილება არ დაგვეტყოს. აკაკის გარდა მე არავის არ ვთხოვ, არავის არ შევეხვეწები, რომ გაზეთის შრომაში დამეხმაროს. აკაკის კი მუდამ ვთხოვ, რადგან ერთი, რომ ვიცი იმასთან თხოვნა გამოვა ხშირად და მეორე, ამისთანა ძვირფას თანამშრომლად ეხლა ჩვენს ლიტერატურაში არავინ არ მიმაჩნია“[3].

1875 წლის 4 მარტიდან გაზეთმა „დროებამ“ კვირაში სამჯერ დაიწყო გამოსვლა. ბუნებრივია, რომ ერთი კაცისათვის უკვე ძნელი იქნებოდა გაზეთის წარმოება, ამიტომ ს. მესხმა გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა ახალი რედაქცია, რომელშიც შევიდოდნენ თვით ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე. „ეს დღე, — წერდა ს. მესხი, — შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებულს მონაწილეობას ქვემოხსენებული პირნი, რომელნიც კისრულობენ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 162.

[2] აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 331.

[3] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 195.

როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ამას გარდა ჩვენს გაზეთში იშრომებენ ახლანდელი თანამშრომელნიცა"[1].

სარედაქციო კოლეგიის ზემოხსენებულ წევრთა შორის ყველაზე ნაყოფიერნი ს. მესხი და აკ. წერეთელი იყვნენ.

1875 წელს ნ. ნიკოლაძემ აკაკის გაზეთ „ბუკის" რედაქტორობა შესთავაზა. „ბუკი" ძირითადად გლეხობისათვის განკუთვნილი სახალხო გაზეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავდაპირველად კვირაში ერთხელ გამოვიდოდა. „მე გთხოვ, — სწერდა ნ. ნიკოლაძე აკაკის, — მოხვიდე და ამ საქმეს ხელი მოჰკიდო, ითხოეო ნებართვა და გაება საქმეში მკვიდრათ და მარჯვეთ". როგორც აკაკისა და ნ. ნიკოლაძის პირადი მიმოწერიდან ჩანს, აკაკის უარი უთქვამს „ბუკის" რედაქტორობაზე და გაზეთიც არ გამოსულა.

ყოველ ადამიანს და განსაკუთრებით ყოველ დიდ ადამიანს ზოგჯერ რაიმე უცნაურობა ახასიათებს. არც აკაკი იყო დაზღვეული ამ უცნაურობებისაგან, რაც ზოგჯერ ერთგვარ ჰირვეულობაში იჩენდა ხოლმე თავს, თუმცა ხანდახან ამ ჰირვეულობას გარკვეული საფუძველიც ჰქონდა.

ძვირად უჯდებოდა ს. მესხს აკაკის ეს ჰირვეულობა. „რა რომ აკაკი აქ არის და გაზეთისათვის შრომობს, — წერდა ს. მესხი, — ეს მგონი მეხუთედ არის, რომ რაღაც უბრალო მიზეზს მონახავს და გამომიცხადებს, რომ ყველაფერს თავი უნდა დავანებოვო, გაზეთშიაც არავითარ მონაწილეობას აღარ მიეიღებო და საზოგადოთ ყველა საზოგადო საქმეებს და ლიტერატურას ვეთხოვებიო. შენ ვერ წარმოიდგენ, რამდენ წვალებათ მიღირს მე ამის თანამშრომლობა! ისე უნდა ვეფერო, ისე უნდა მოვეპყრო ხოლმე მუდამ, როგორც ძუძუმწოვარ ბავშვს, რომელსაც უფრთხილდებიან ანჩხლობა არ დაიწყოს. გუშინა წინ გამომიცხადა, რომ მშვიდობით, გეთხოვებიო: შენ ძალიან მიყვარხარ, რაც უნდა მთხოვო აგისრულებო, შენს მეტი მეგობარი მე არ შემხვედრია ჩემ სიცოცხლეშიო, მაგრამ გაზეთში თანამშრომლობას და საზოგადოთ ლიტერატურულ შრომას კი მაინც თავს ვანებებო და ამას ნუ მთხოვო. ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია ახლა აკაკი და ყველაფრის მიზეზი ეს არის"[2].

თუმცა ს. მესხი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო აკაკისათვის, რომ მას არ დაეტოვებინა გაზეთი, მაგრამ პოეტმა ერთ ხანს

---

[1] „დროება", 1876 წ. № 23.

[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 188—189.

მაინც მიატოვა თბილისი, ქუთაისში გადასახლდა და თითქოს შემოსწყრა „დროებას“. ამით განაწყენებული ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „აკაკის უთხარი — სცხვენოდეს, რომ ამდენი ხანი ხმას აღარ იღებს და არაფერს არ იწერება, იქნება კიდევ რაზედმე გაბუტული მყავს? მიზეზი მაინც შემატყობინოს, რომ ვიცოდე და იქნება თავის გამართლება მოვახერხო, თუმცა ალახმა იცის, არაფერ შეცდომას არ ვგრძნობ ჩემში მაგის შესახებ“[1].

როგორც თევზს უწყლოდ, ისე აკაკისაც არ შეეძლო სიცოცხლე პერიოდული პრესის გარეშე, ამიტომ იგი ისევ მოუბრუნდა „დროებას“ და მასში თანამშრომლობა არ შეუწყვეტია იმ დრომდე, ვიდრე ცენზურამ არ დახურა გაზეთი.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა აკაკი „დროებას“ იმ პერიოდში, როდესაც ჯანგატეხილი ს. მესხი ლოგინად ჩავარდა და ჩამოშორდა გაზეთის საქმიანობას. ამ დროს, იგონებს დავით მესხი, „ურედაქტორო, დაობლებულ „დროებას“ ჩვენი სახელმოხვეჭილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყურადღებას არ გვაკლებდნენ. შემოდიოდნენ, გვამხნევებდნენ, გვაქეზებდნენ.

აკაკის წვევა დღესასწაული იყო ჩვენთვის, თუ რასმე დამზადებულს მოგვიტანდა, თუ არა და დავეღრიჯებოდით, დავსვამდით რედაქტორის ოთახში და მალე ან ლექსი იყო მზად, ან სხვა რამ სხარტული მასალა, რაც გაზეთის ნომერს შნოს აძლევდა.

ჩვეულებრივ მოგვინახულა მგოსანმა, შემოვიდა ღიმილით, ჩუმი ღიღინით. ჩვენც გავმხიარულდით, ვიცოდით, რომ ასეთ გუნებაზე როცაა, უთუოდ აქვს რამე ძვირფასი ძღვნად. დაჯდა, იგივე ღიმილი, მხიარული სახე.

— ჰო, კარგი ახლა, რაღას გვაწვალებ, მოიტა! და ხელი გავუშვირე.

— ჯიბეს გაიკარ ხელია! — უხუმრა ხონელმა.

— არა, შვილო, იმ ჯიბეს ერთხელ თქვენც გაიკარით ხელი!— გვეუბნება, — ეტლი მიცდის, გაისტუმრეთ და... ლექსიც იქნება!

— ამ ერთი მანეთის მეტი არ არის რედაქციაში, შემოგფიცავ აკაკი! — და მანეთიანი გაუწოდე.

— დაჯერდება... მეც უნდა დაგჯერდეთ, მეტი რა გზაა?!

და ამოიღო და წაგვიკითხა „არაბი ფაშა“. საუცხოო ლექსი, აჯანყებულ აბაშელების სარდალზე დაწერილი. აღტაცებით მოვისმინეთ. პეტრე უმიკაშვილმა სთქვა:

---

[1] ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. კ. ლორთქიფანიძის არქივი.

— ყმაწვილებო, ქართული მწერლობის მომავალმა მემატიანემ, დეე, გულისტკივილით მოიხსენიოს ის ფაქტი, რომ საქართველოს უწარჩინებულეს მგოსანს — აკაკის ერთადერთი ქართული გაზეთის რედაქციამ ერთი მანეთი მისცა ისეთ ლექსში, როგორიც „არაბი ფაშაა!"

— დეე ისიც მოიხსენიოს იმ მემატიანემ, რომ ამ რედაქციის ოთხი თანამშრომელი იმ ერთი მანეთის იმედით იყო და დღეს უსადილოდ დარჩებიანო, — დასძინა ილია ხონელმა[1].

1882 წელს აკაკიმ გადაწყვიტა გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი „გზა". ამ მიზნით პირველ დეკემბერს მან თხოვნით მიმართა სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს კავკასიაში. თხოვნაში ნათქვამი იყო:

«Желая издавать в г. Тифлисе еженедельную газету на грузинском языке под названием «Гза» (Путь) под моею редакциею по прилагаемой при сем программе, имею честь покорнейше просить ваше сиятельство разрешить мне издание означенной газеты. При сем имею честь представить документ об удостоверении моей личности.

Князь Акакий Ростомов Церетели»[2].

ამ განცხადებას აკაკიმ დაურთო გაზეთის პროგრამაც, რომელიც სრულ წარმოდგენას იძლევა აკაკის რედაქტორულ ნიჭსა და იმ მიზნებზე, რომელთაც იგი თავის გაზეთს უსახავდა.

წარმოდგენილი პროგრამა შეიცავდა თხუთმეტ განყოფილებას:

I. Статьи, посвященные выяснению и разбору текущих вопросов местной и русской жизни.

II. Движение нашего законодательства с обращением особенного внимания на изложение и популяризацию главнейших оснований существующих законов, с целью ознакомления местного населения с действующими указаниями.

III. Самоуправление: хроника и выяснение явлений из области сельского, земского и городского самоуправления, как Закавказского края, так и внутренних губерний.

IV. Народное и общественное образование: статьи по педагогике и школьному делу и хроника наиболее замечательных явлений в этой области.

V. Народное хозяйство: очерки производительных сил края, статьи по вопросам экономическим, торговым, промышленным, сельскохозяйственным и пр.

---

[1] დ. მ ე ს ხ ი, მოგონებანი, გვ. 83—85.

[2] ცსსა, ფონდი 12, საქმე 392, ფურც. 3. როგორც ეს, ასევე ქვემოთ მოტანილი სააქციო მასალები გამოაქვეყნა მკვლევარმა ა. იოვიძემ. იხ. „საისტორიო მოამბე", ტ. VII, 1953 წ.

VI. Применение науки к жизни: популярное изложение приспособлений к жизни научных открытий и изобретений.

VII. Критика и библиография замечательных сочинений и журнальных статей.

VIII. Мелкие известия и новости — местные, русские и иностранные.

IX. Корреспонденция газеты.

X. Исторические и бытовые очерки и этюды из жизни Закавказья.

XI. Юридическая хроника. Отчеты о судебных заседаниях.

XII. Хроника важнейших событий из жизни иностранных государств, в особенности же сопредельных с закавказским краем.

XIII. Фельетон. Очерк, рассказы, повести, сцены, стихотворения и т. п. беллетристические произведения как оригинальные, так и переводные.

XIV. Справочный указатель.

XV. Объявления.

Газета «Гза» будет выходить раз в неделю, листом среднего формата, и будет стоить десять рублей серебром в год с пересылкою и доставкою. Печататься она будет в типографии С. Меликова и К°.

Издателем и редактором оной будет князь Акакий Ростомов Церетели»[1].

როგორც წარმოდგენილი პროგრამიდან ჩანს, აკაკის გაზეთის გამოცემის საქმოდ ფართო გეგმა დაუსახავს. ბუნებრივია, რომ ასეთი გაზეთი დაამშვენებდა ქართულ პერიოდულ პრესას და დიდად შეუწყობდა ხელს როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას. მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ გაზეთი „გზა“ გახდებოდა ცარიზმისა და ბიუროკრატიზმის ულმობელი კრიტიკოსი, რომელიც განამტკიცებდა და უფრო მეტად გააღვივებდა დიად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

აკაკის განცხადება და გაზეთის პროგრამა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარი სამმართველოს კანცელარიიდან დასკვნისათვის კავკასიის საცენზურო კომიტეტს გადაეგზავნა, რომელმაც 1882 წლის 31 დეკემბერს კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსს აცნობა:

«Кутаисский житель князь Акакий Ростомов Церетели в поданном на имя главноначальствующего на Кавказе проше-

[1] ცსსა, ფონდი 12, საქმე 392, ფურც. 6.

нии, объяснив, что он желает издавать в Тифлисе еженедельную газету на грузинском языке под названием «Гза» (Путь) под своей редакциею и представив при этом программу оной, просит разрешить ему издание той газеты.

Почтительнейше донося об этом вашему превосходительству и представляя при сем сказанное прошение кн. Церетели, подписку его, метрическое свидетельство о рождении и крещении, выданное из Грузино-Имеретинской синодальной конторы, равно и программу газеты, цензурный комитет имеет честь присовокупить, что хотя формальные требования 27 ст. врем. прав о ценз. и печати кн. Церетели выполнены и нет со стороны комитета препятствия дозволить ему издавать сказанную газету, но, принимая во внимание, что литературное направление кн. Церетели достаточно выражается в тех статьях, которые были напечатанные в газете «Шрома» и представлены вашему превосходительству цензурным комитетом при особых рапортах, как признанных им в цензурном отношении неудобным, комитет сей находит не подлежащим к разрешению следующие отделы программы предполагаемой газеты в настоящем их виде, а именно: отдел II, в котором предполагается популяризация, т. е. разъяснение и толкование действующих узаконений, что предоставлено лишь правительствующему сенату; отдел III-хроника земского самоуправления закавказского края, где еще таковое не введено; VI отдел — статьи по педагогике и школьному делу, которые комитет считает неудобным ввиду сказанного вышеизвестного литературного направления кн. Церетели; VIII отдел, в котором местные известия противопоставляются русским, что предполагает исключить Кавказ из сферы русских интересов, и IX отдел — отчеты о судебных заседаниях, причем следовало бы добавить: за исключением военных судов и без обсуждения судебных решений.

Председатель цензурного комитета действительный стат. советник Л. Модзалевский»[1].

ამ დოკუმენტიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ თუმცა საცენზურო კომიტეტს გაზეთ „გზის“ გამოცემაზე ოფიციალურად უარი არ უთქვამს, მაგრამ აკაკის დახასიათება და გაზეთის პროგრამიდან მთელი რიგი მნიშვნელოვანი განყოფილებების ამოღება ფაქტიურად უარს ნიშნავდა.

თუ საცენზურო კომიტეტი აკაკი წერეთლის განცხადებას დელიკატურად მოეკცა, სამაგიეროდ ლ. მოძალევსკის ხელმოწერით წარდგენილი მოხსენებითი ბარათი საკმარისი აღმოჩნდა, რათა მთავარი სამმართველოს უფროსს გაზეთ „გზის“ გამოცემაზე უა-

[1] ცსსა, ფონდი 12, აღწ. 12, საქმე 392, ფურც. 1.

რი ეთქვა. მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სტაროსელსკი 1883 წლის 31 მაისს საცენზურო კომიტეტს სწერდა:

«По докладу г. главноначальствующему просьбы кутаисского жителя кн. Акакия Церетели о разрешении ему издавать в Тифлисе еженедельную газету на грузинском языке под названием «Гза» (Путь) и заключение под оному цензурного комитета, изложенного в представлении от 30 декабря прошлого года за № 845, его сиятельство, приняв во внимание, что кн. Церетели, состоя сотрудником газеты «Шрома», обнаружил своими литературными трудами направление несогласное с видами правительства, не изволил признать возможным разрешить кн. Церетели издавать газету»[1].

ამრიგად, აკ. წერეთელს გაზეთ „გზის“ გამოცემაზე უარი ეთქვა. ცხადია, ამ მარცხმა აკაკის ბევრი გეგმა ჩაფუშა, მაგრამ მას კალამი ხელიდან მაინც არ გაუგდია და ინტენსიურად განაგრძობდა თანამშრომლობას ჯერ „დროებაში“, ხოლო „დროების“ დახურვის შემდეგ — „ივერიაში“.

აკაკის აქტიური თანამშრომლობა „ივერიაში“ გაგრძელდა „კვალის“ დაარსებამდე.

1891 წლის 6 (18) სექტემბერს ანასტასია თუმანიშვილისა და გიორგი წერეთლის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე სოფელ ბრილში, ნიკო დიასამიძის ოჯახში, სადაც თავმოყრილი იყო თბილისისა და გურის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, გადაწყდა ყოველკვირეული სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთის — „კვალის“ გამოცემა.

ამ კეთილშობილურმა იდეამ განხორციელება 1893 წელს პოვა. აღნიშნული წლის იანვარში გამოვიდა „კვალის“ პირველი ნომერი. თუმცა „ბრილის თათბირზე“ რედაქტორად ალექსი ჭიჭინაძის კანდიდატურა იქნა წამოყენებული, ხოლო გამომცემლად გიორგი წერეთელი დაასახელეს, მაგრამ 1893 წლისათვის ეს ჩანაფიქრი შეიცვალა და „კვალის“ პირველი ნომერი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ანასტასია მარტო არ იყო. მას გვერდით უდგნენ ისეთი გამოცდილი ჟურნალისტები და უკვე სახელმოხვეჭილი კალმოსნები, როგორიც იყვნენ გიორგი წერეთელი, რომელიც ფაქტიურად რედაქტორობდა „კვალს“, აკაკი წერეთელი და ივანე მაჩაბელი. სამივე ეს სახელოვანი მამულიშვილი ამავე დროს „კვალის“ სარედაქციო კომიტეტის წევრიც იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაზეთის გამოცემის საქმეში.

---

[1] ცსსა, ფონდი 408, საქმე 71, ფურც. 4.

მაგრამ წლის პირველ ნახევარში სარედაქციო კომიტეტის წევრებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ფიცხმა ივანე მაჩაბელმა უმალ დატოვა „კვალი“, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ აკაკიც ჩამოსცილდა რედაქციას და ქუთაისს გაემგზავრა.

გიორგი წერეთელი არა ერთი და ორი წერილით სთხოვდა აკაკის, დაბრუნებოდა „კვალს“ და მისი რედაქტორობა ეკისრა, მაგრამ აკაკი ავადმყოფობას იმიზეზებდა და ამჯერად განზედ ყოფნას არჩევდა. „ძმაო გიორგი! — სწერდა იგი გ. წერეთელს, — ავადმყოფობამ ისე დამრია ხელი, რომ არა თუ რედაქტორობა, უბრალო თანამშრომლობაც არ შემიძლიან... ვწუხვარ, რომ საქმე მაგრე დაიხლართა, მაგრამ ვისი ბრალია! მე რაც თავდაპირველად გირჩიეთ, შორს დაიჭირეთ და ახლა კი წუწუნობთ. სათავეში რომ წყალი აიმღვრევა, ბოლოში შაბის ყრა არას უშველის... მე ჩემი ქონება, ჩემი შეძლება. სიმრთელე და სიცოცხლე შევწირე საზოგადო საქმეებს და დღეს რომ თავს ვუაქიმო, არა თუ საზღვარგარეთ წასასვლელი ფულები, არამედ წამლის ფასიც არა მაქვს თავს მოვუარო და უდროოდ ოხრობით არ მოვკვდე“[1].

1894 წლიდან აკ. წერეთელი ისევ დაუბრუნდა „კვალს“. აკაკის დაბრუნებამ „კვალში“ ქართველი ინტელიგენციის დიდი სიხარული გამოიწვია. სასიკვდილო სარეცელზე მწოლი ეგნატე ნინოშვილი 1894 წლის 1 მარტს ს. ჩოჩხათიდან გიორგი წერეთელს სწერდა: „პატივცემულო გიორგი ექვთიმეს ძევ! ძლიერ მესიამოვნა, რომ დიდებული პოეტი, აკაკი, ხელახლა მოუბრუნდა „კვალს“ თანამშრომლად. იქვი არ არის, ეს გარემოება დიდძალ ხელის მომწერს შეჰმატებს რედაქციას. აკაკი ხალხის საყვარელი პოეტია და რომელ ორგანოშიაც ის (აკაკი) თანამშრომლობს, ხალხიც იმას მიემატება“[2].

ასეთსავე აღფრთოვანებას გამოხატავდა რომანოზ ფანცხავა, ხომლელის ფსევდონიმით ცნობილი ჩვენს მწერლობაში, რომელიც გ. წერეთელს სწერდა: „ქუთაისი ღელავს და აღტაცებაშია (რასაკვირველია ყველა კი არა), აკაკი, ჩვენი ძვირფასი და მშვენება აკაკი რომ დაუბრუნდა თავის „კვალსა“[3].

აკაკის აქტიური თანამშრომლობა „კვალში“ შეუნიშნავი არ დარჩა „ივერიის“ რედაქტორს. ამ პერიოდში „ივერიასა“ და „კვალს“ შორის უკვე იჩინა თავი იდეურმა წინააღმდეგობამ, ამიტომ ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1895 წლის პირველ ნომერში თავის „ორხმიან

---

[1] აკ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ტ. XV, გვ. 94—95.

[2] ე. ნინოშვილი, ტ. III, 1935, გვ. 122.

[3] „ქართული მწერლობა“, 1929 წ. № 11—12.

საახალწლო ოპერეტში" გაკენწლა როგორც „კვალი", ასევე მისი თანამშრომლები და, კერძოდ, აკაკი წერეთელიც:

ორი წელია დავდივარ,
ბევრი ვთხზე სხვებზე არაკი,
ბევრსა შემწევდა ამაში
ჩვენი პოეტი აკაკი;

მღეროდა „კვალი".

აკაკის მიუძღვნა ილიამ ოპერეტის VII თავიც.

აკაკი წერეთლის ინტენსიური თანამშრომლობა „კვალში" 1897 წლამდე გაგრძელდა. ამ წლის დასაწყისიდან კი აკაკი შეუდგა ზრუნვას საკუთარი პერიოდული ორგანოს დასაარსებლად და 1897 წლის სექტემბრიდან დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის გამოცემა, რომელსაც „აკაკის თვიური კრებული" უწოდა, მაგრამ ამაზე — ქვემოთ.

ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ქართულ პერიოდულ გამოცემას, რომლის რედაქციასაც სასიამოვნოდ და საამაყოდ არ მიაჩნდა აკაკის თანამშრომლობა. ყოველი რედაქტორი დიდი სიხარულით ბეჭდავდა მის ნაწერებს, მაგრამ არცთუ იშვიათად იყო შემთხვევა, როდესაც ეს სიხარული უსიამოვნებად ეცვლებოდათ. აკაკის მწვავე კრიტიკული, მამხილებელი ნაწარმოებების დაბეჭდვის გამო ცენზურასაა და ადგილობრივ ხელისუფლებას არა ერთხელ მიუციათ პასუხისგებაში ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, არა ერთხელ დაუჯარიმებიათ ისედაც ღარიბი რედაქტორები და ყოფილა შემთხვევა, რომ სრულიად დაუხურავთ ესა თუ ის პერიოდული ორგანო. მაგალითად, 1906 წელს კოტე მესხის რედაქტორობით გამომავალ „პატარა გაზეთის" პირველ ნომერში დაიბეჭდა აკაკის მიერ გადმოქართულებული „ინტერნაციონალი". „ინტერნაციონალის" გამოქვეყნებამ და აგრეთვე ამავე გაზეთის მესამე ნომერში დაბეჭდილმა ლექსმა „ჯარისკაცის სიმღერამ" ცენზურას თავს რეტი დაასხა და მოითხოვა უმკაცრესი ზომების მიღება როგორც კ. მესხის, აგრეთვე აკ. წერეთლის წინააღმდეგ.

1906 წლის 5 იანვარს საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მ. გეკელი თბილისის დროებით გენერალ-გუბერნატორს გენერალ-მაიორ ალიხანოვს სწერდა:

«Кавказский цензурный комитет, приняв к рассмотрению вновь выпущенную в свет ежедневную грузинскую газету «Патара газети», усмотрел в стихотворении под заглавием «Интернационалка на мотив марсельезы», за подписью Акакия, напечатанном в № 1-м от 1-го сего января, возбуждение к ниспровержению существующего в государстве строя и в

стихотворении под заглавием «Солдатская песнь», помещенном в № 3, от 4 января, возбуждение воинских чинов к нарушению обязанности службы, ввиду чего постановил привлеч к судебной ответственности: 1. автора стихотворения «Интернационалка» Акакия по п. 2, ст. 129 уголов. уложения 1903 года и 2, редактора-издателя газеты «Патара газети» дворянина Константина Семеновича Месхи за вышеупомянутое стихотворение по п. 2, ст. 129 угол. улож. и за «Солдатскую песнью» по п. 5 той же статьи угол. улож. по дополнению в имянном высочайшему указа от 24 ноября 1905 г. отд. IX.

О вышеизложенном довожу до сведения вашего превосходительства»[1].

თბილისის გენერალ-გუბერნატორისათვის ეს ფაქტი იმდენად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა, რომ საცენზურო კომიტეტის მოწერილობის საფუძველზე მან იმავე 5 იანვარს სპეციალური დადგენილება გამოიტანა „პატარა გაზეთის“ დახურვის შესახებ:

«1906 года января 5 дня, я, временный генерал-губернатор города Тифлиса и Тифлисского уезда, генерал-манор Алиханов, приняв во внимание, что в № 1, 2, 3 и 4 издающейся в г. Тифлисе на грузинском языке ежедневной газеты под заглавием «Патара газети» помещены статьи явно противоправительственного характера, содержащие в себе призыв населения к вооруженному восстанию, с целью ниспровержения ныне существующего государственного строя, а равно пропаганду идей революционного направления и возбуждения воинских чинов к нарушению обязанности службы, постановил: на основании п. 14, ст. 19. прил. к ст. 23 общ. губ. учр., т. II св. зак., изд. 1892 года, приостановить издание «Патара газети» на все время действия в гор.Тифлисе военного положения»[2].

„პატარა გაზეთი“ დაიხურა, მაგრამ საცენზურო კომიტეტი ამით არ დაკმაყოფილდა და 1906 წლის 7 იანვარს თბილისის სამოსამართლო პალატის პროკურორის წინაშე აღძრა საქმე აკ. წერეთლისა და კ. მესხის პასუხისგებაში მიცემის შესახებ:

«Кавказский цензурный комитет... постановил, — ეწერა მიმართვაში, — возбудить через прокурора Тифлисской судебной палаты, на основании ст. 1213 уст. уголовного судопроиз., судебное преследование против автора стихотворения «Интернационалка» кн. Акакия Церетели по п. 2, ст. 129 угол. улож. и против редактора-издателя «Патара газети» дворянина Константина Семеновича Месхи, по той же статье за вышеупомянутое стихотворение, по точному смыслу ст. 1044

---

[1] ცსსა, ფონდი 20, საქმე 324, ფურც. 1.

[2] ცსსა, ფონდი 20, საქმე 324, ფურც. 22.

улож. о наказ. и против него же по п. 5, ст. 129 угол. улож. за стихотворение под заглавием «Солдатская песня»[1].

ჩვენ არ ვიცით, როგორ დამთავრდა ეს პროცესი, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ არც აკაკი წერეთელი და არც კოტე მესხი არ დაუპატიმრებიათ.

ამის შემდეგ გავიდა ზუსტად ერთი წელი და აკაკიმ შეძლო თავისი რედაქტორობით გამოეცა ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი „ხუმარა".

თუმცა აკაკი ამ ორგანოს გაზეთს უწოდებდა, მაგრამ ფაქტიურად იგი ჟურნალი იყო და ამავე დროს პირველი იუმორისტული ჟურნალი საქართველოში, რომლის არსებობაც პირველივე ნომერზე შეწყდა, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

„ხუმარას" დახურვის შემდეგ აკაკის საკუთარი პერიოდული ორგანო აღარ ჰქონია, მაგრამ მას არ შეუწყვეტია ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. შემდგომ წლებში აკაკი უმთავრესად თანამშრომლობს „განათლებაში", „თემში", „ნიშადურში", „ნაკადულში", „თეატრსა და ცხოვრებაში", „ფასკუნჯში" და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მის კალამს მელანი არ შეშრობია.

აქ წარმოგვიდგება ძირითად ხაზებში აკაკი წერეთლის მოღვაწეობა ქართულ პერიოდულ პრესაში, რომლის განვითარებასაც სახელოვანმა მწერალმა და მამულიშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

აკაკის თვიური კრებული

(ზოგადი მიმოხილვა)

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1897 წლიდან აკ. წერეთელმა დატოვა „კვალი" და შეუდგა ზრუნვას საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემისათვის. ამ მიზნით 1897 წლის 25 თებერვალს მან თხოვნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს:

«Желая самому издавать все свои сочинения как старые, уже напечатанные, так и новые, не бывшие еще в печати, честь имею покорнейше просить цензурный комитет ходатайствовать перед главным управлением по делам печати о разрешении мне издавать мои сочинения под личной моей ответственностью в ежемесячном повременном издании на грузинском языке, под названием «Кребули» (Сборник) с приложением к нему произведений народного творчества, как-то былин, сказок, легенд и др...»[2].

[1] ცსსა, ფონდი 480, საქმე 2214, ფურც. 1.

[2] ცსსა, ფონდი 480, საქმე, ფურც. 5.

როგორც ცნობილია, 1883 წელს საცენზურო კომიტეტმა და ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ აკაკის თხოვნას გაზეთ „გზის“ გამოცემაზე უარით უპასუხა და ეს გარემოება იმით დაასაბუთა, რომ აკაკიმ, როგორც გაზეთ „შრომის“ თანამშრომელმა, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით მთავრობის საწინააღმდეგო თვალსაზრისი გამოამჟღავნაო.

მას შემდეგ თითქმის თხუთმეტმა წელმა განვლო და აკაკის მტრულმა დამოკიდებულებამ არსებული ხელისუფლების მიმართ უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო; ამიტომ ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემაზე აკაკისათვის ამჯერადაც უარი ეთქვათ, მაგრამ საცენზურო კომიტეტმა მის თხოვნას რაღაც იღბლიანი თვალით შეხედა და ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს აცნობა:

«Князь Акакий Ростомович Церетели, желая выпустить полное собрание своих сочинений по предворительной подписке в виде ежемесячного журнала, подал вверенный мне комитет прошение об исходатайствований на этот предмет разрешения главного управления.

Представляя при сем означенное прошение на благоусмотрение в. п., честь имею донести, что кн. Церетели как поэт и драматург пользуется среди грузин большим уважением и псевдоним его «Акакий» один из самых популярных имен в Закавказье. Выступив в конце пятидесятых годов восторженным поборником освобождения крестьян и великих реформ, кн. Церетели в течение сорока лет обогатил грузинскую литературу разнообразными произведениями своего поэтического творчества и создал литературный грузинский язык.

Живя поэтическим литературным трудом кн. А. Церетели некогда обладавший большими средствами, находится в настоящее время в стеснительных обстоятельствах. В ознаменование его общенародных заслуг на пользу грузинской литературы, Кутаисский земельный банк назначил ему в год ежегодную пенсию в размере 1500 р., но выдача таковой по настоящее время не последовала»[1].

თუმცა ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ აკაკის „კრებული“ პერიოდულ ორგანოდ არ მიიჩნია, მაგრამ 1897 წლის 15 მარტს ნება დართო მისი გამოცემისა საერთო საცენზურო წესების საფუძველზე.

მიღებული ნებართვის შემდეგ აკაკიმ 1897 წლის 15 ივნისს ჟურნალ „მწყემსის“ მეთერთმეტე ნომერში გამოაქვეყნა მოკლე გან-

---

[1] ცსსა, ფონდი 480, საქმე 1409, ფურც. 2.

ცხადება და ჟურნალის ძირითადი პროგრამა: „დიდის ხნის სურვილი განმიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე, -- წერდა აკაკი, — ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდგან ყოველ თვე და თვე გამოვა „კრებული“ სამ განყოფილებათ: პირველში იქნება ახალი, ჯერ დაუბეჭდელი ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, მეორეში — ჩემი თავგადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი ჩვენი ქვეყნისა და ცხოვრების შესახები. შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია, საჭირო შენიშვნებითა და განმარტებებით... მესამეში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგან ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყველაფერზე, ამისთვის ყველასა ვთხოვთ. რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება თბილისში 6 მანეთი, ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში. ნახევარი წლით 4 მანეთი“. ის პირნი ვინც ჟურნალს საზღვარგარეთ გამოიწერდნენ ერთი წლით, იხდიდნენ 9 მანეთს. ცალ-ცალკე ნომრებად „კრებული“ არ გაიყიდებოდა.

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდა აკაკის ამ დიდ წამოწყებას. „ამტკიცებდნენ, რომ ვერ შესძლებს გამოცემასო, ზარმაციაო,... მალე მოიხალისებს და მოეწყინება გამოცემაო, ხელმომწერლები არ ეყოლება და ხარჯს ვეღარ გაუძლებსო“ და სხვ. აკაკი ისმენდა ამ მითქმა-მოთქმას და გაასკეცებული ენერგიით ცდილობდა ჟურნალის დროზე გამოცემას.

ჟურნალზე ხელმოსაწერად აკაკიმ მრავალი პუნქტი დააარსა. თბილისში ხელმოწერა შეიძლებოდა თვით „კრებულის“ რედაქციაში, რომელიც მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე მუხრან ბატონის სახლში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (მღვიმელთან), სათავადაზნაურო ქარვასლის შენობაში არსებულ სახალხო ბიბლიოთეკაში, სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიასა და ქართველთა საეღებმიცემო ამხანაგობის „შუამავლის“ მაღაზიაში. ხელმოსაწერი პუნქტები არსებობდა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ახალსენაკში, საჭილაოში, ხონში, ჭია-

თურაში, საჩხერეში, ზესტაფონში, წიფაში, ონში, გორში, განჯაში. ბაქოში, კავკავში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, ახალქალაქში, ხაშურში, მოლითში, ბრეთში, გუდაუთში, აღსტაფასა და შორაპანში.

აკაკიმ კარგად იცოდა, რომ იქნებოდნენ ისეთი ხელისმომწერნი, რომლებიც ვერ შეძლებდნენ ჟურნალის ღირებულების ერთად გადახდას, იქნებოდნენ ისეთებიც, რომელთაც საერთოდ არ ექნებოდათ ჟურნალის გამოწერის საშუალება. ამიტომ რედაქტორმა ერთგვარი შეღავათებიც კი დააწესა; იმ პირთ, ვისაც ჟურნალის ღირებულების ერთბაშად გადახდა უძნელდებოდა, აკაკიმ საშუალება მისცა ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანისა, ხოლო ვისაც ამის საშუალებაც არ ჰქონდა, მას ევალებოდა მხოლოდ ჟურნალის გასაგზავნი ღირებულების გადახდა და ჟურნალს უფასოდ მიიღებდა.

აკაკი მშვენივრად გრძნობდა, თუ რა რთულ და ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი, ამიტომ იმთავითვე შეუდგა საიმედო თანაშემწის ძებნას. ასეთ თანაშემწედ მან „ზღვისპირელისა“ და „ჰაღარას“ ფსევდონიმით ცნობილი „კვალის“ თანამშრომელი თედო გაბრიელის ძე კიკვაძე მიიჩნია და 1897 წლის 15 ივლისს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: „ძმაო თედო! პირველ ენკენისთვეს უნდა გამოვიდეს ჩემი „კრებული“. არა თუ ერთი თვის, ასე გასინჯე ერთი წლის მასალაც კი მაქვს მზად. გაგიტყდები და გეტყვი. მარტო იმისთვის, რომ ჩემი ნაწერები გამომეცა, მე არ ვიტვირთებდი ამ ძნელ საქმეს. მაგრამ ჩემი უმთავრესი წამახალისებელი „ზეპირ-სიტყვიერებაა“. ამას უნდა შევწირო ჩემი უკანასკნელი ძალღონე და გაუკვლიო გზა.... ხელმომწერლების იმედი არა მაქვს. დიდი პროპაგანდაა ჩვენებისაგან, რომ ვერ გამოსცემსო და ათასგვარ მიზეზს ასახელებენ!.. მაგრამ მე ამით გული არ გამიტყდება, მით უფრო, რომ ერთი წლის სახსარი გამოსაცემათ ხელთ მაქვს და შემდეგისათვისაც იმედი მაქვს ლუკმა პური დავიკლო და გამოცემას მე ხელი არ შეუშვა, გინდ სულაც არ მეყოლოს ხელისმომწერლები. სულ რომ არა იყოს რა, საწყალი, დაბალი ხალხი ხომ წაიკითხავს და ჩემთვის სწორეთ ეს არის დიდი სანატრელი. მე უფრო სხვა რამ მაღონებს: ერთისაგან ძნელია ამ საქმის თავის გართმევა და საჭიროა ჩემთვის თანაშემწე. მასთან შეგნებული, რომ მე, როცა აღარ ვიქნები და ან ვერ შევძლებ. აწ „ზეპირსიტყვიერების“ საქმეს წარუძღვეს. ამგვარ კაცად მიმაჩნიხარ შენ და ამიტომაც გთხოვ: ამ დღეებში ამოხვიდე საჩქაროთ და მოვილაპარაკოთ. მატერიალური მხრითაც უზრუნველი იქნები. რასაკვირველია, ბევრი გამოჩნდებიან მსურველები, მაგრამ ვისკენაც გული არ მიმიწევს. იმათთან საერთო სასუფეველიც არ მინდა. გელი ამ კვირის განმავლობაში, რადგანაც ამ დღეებში მივდი-

ვარ საჩხერეს. ყოველ შემთხვევაში ბარათს მაინც ნუ დაიზარებ. შენი აკაკი".

ეს ბარათი რამდენიმე მხრით არის საინტერესო. მასში საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ის მთავარი მიზანი, რომელსაც აკაკი თავის ჟურნალს უსახავდა. იგი უნდა ყოფილიყო ზეპირსიტყვიერების შემკრები და გამომქვეყნებელი, მას უნდა გადაერჩინა ჩვენი მდიდარი ფოლკლორული ძეგლები დაკარგვისაგან. გარდა ამისა, ჟურნალი ძირითადად დაბალი ფენებისათვის იყო განკუთვნილი და ევალებოდა ხალხში განათლების სხივის შეტანა.

„აკაკის კრებულის" პირველი ნომერი 1897 წლის სექტემბერში გამოვიდა. ჟურნალმა ფართო საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რედაქციამ მრავალი შენიშვნა მიიღო, რომელთაც აკაკი დიდი გულისყურით ისმენდა. „გამოვიდა თუ არა ჩვენი ჟურნალი, — წერდა იგი, — ყოველი მხრიდან მოგვდის შენიშვნები. მოხარული ვართ და ვმადლობთ შემნიშვნელებს! რაც ჭკუაში დაგვიჯდება. მორჩილად მივიღებთ და ვიხელმძღვანელებთ შემდეგ ნომრების გასაუმჯობესებლად".

„კრებულს" ჰქონდა სპეციალური განყოფილება: „კრებულის ფოსტა". სადაც იბეჭდებოდა აკაკის პასუხი მკითხველთა მიერ მიცემულ შეკითხვებსა და შენიშვნებზე.

საკუთარი განცხადების თანახმად აკაკის „კრებულში" უნდა დაბეჭდილიყო თვით პოეტის მხატვრული ნაწარმოებები და ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა. 1897 — 1898 წლებში ჟურნალი ძირითადად მართლაც ასეთი სახით გამოდიოდა, მაგრამ 1898 წლის ბოლოს. ჟურნალისათვის უფრო მრავალფეროვანი სახე რომ მიეცა და ხელმომწერთა რიცხვიც გაემრავლებინა, აკაკის გადაწყვიტა მასში დაებეჭდა ძველი და ახალი მწერლების პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოებები და აგრეთვე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილები.

ამ საკითხის მოსაგვარებლად 1898 წლის 25 სექტემბერს აკაკის თხოვნით მიმართა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს, საიდანაც დადებითი პასუხი მხოლოდ წლის ბოლოს მიიღო და 1899 წლიდან „კრებულის" ფურცლებზე სხვა ავტორებიც გამოჩდნენ. ამ დღიდან ჟურნალში თანამშრომლობა დაიწყეს გრიგოლ დადიანმა, მოსე ჯანაშვილმა, შიო არაგვისპირელმა, რომანოზ ფანცხავამ, ზაქარია ჭიჭინაძემ, დავით მიქელაძემ, თეოფილე ხუსკივაძემ, დავით მაჩხანელმა, ვასილ წერეთელმა, სიმონ ქვარიანმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, დომენტი თომაშვილმა და სხვებმა. მათმა მონაწილეობამ

ჟურნალში აკაკის „კრებულს“ უფრო ცოცხალი სახე მისცა და იგი უფრო პოპულარული გახადა.

1899 წლიდან „კრებულის“ რედაქცია ზესტაფონში (დაბა ყვირილაში) გადავიდა, ჟურნალი კი ქუთაისში იბეჭდებოდა. იქ დაიბეჭდა 1899 წლის „კრებულის“ I—XI ნომრები, ხოლო მეთორმეტე ნომერი და 1900 წლის პირველი ნომერი თბილისში გამოიცა. ქუთაისში დაიბეჭდა 1900 წლის მეორე, მესამე და მეოთხე ნომრები.

ჟურნალ „კრებულის“ თითოეული ნომერი ათას ორას ეგზემპლარზე ნაკლები არ დაბეჭდილა. იმ დროის შესაბამისად ეს არცთუ მცირე ტირაჟი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რედაქცია ხელმომწერთა მხრივ მატერიალურად მაინც არ იყო უზრუნველყოფილი. 1899 წლის მეთორმეტე ნომრის სარედაქციო განცხადებაში აკ. წერეთელი წერდა: „პირველ წელიწადს „კრებულს“, თუმცა მისი ფასიც მცირე იყო და შესატანი ფულიც ყოველ-თვიურად გავანაწილეთ, მაგრამ მაინც იმდენი ხელის-მომწერი არ ჰყოლია, რომ ხარჯი დაეფაროს. შრომა კი უსასყიდლო იყო!.. ამის მიზეზად ბევრი რაჲ მოიტანეს: „მარტო ერთის ნაწერი „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი“ რომ იყოს. მაინც მოსწყინდება მკითხველსო და ეცადე უფლების გამოტანას, რომ სხვებმაც სწეროონ შენს „კრებულშიო“. — მირჩევდნენ და მწერდნენ ზოგიერთები. ამასთანავე მიმტკიცებდნენ, რომ იმერეთში გადამეტანა გამოცემა, რადგან ხელმომწერლები იქიდან მეტი არიანო და სხვა. ესეც ავასრულე. მაგრამ უარესი მოუვიდა „კრებულს“: მეორე წელიწადსაც პირვანდელზე ერთი-ორად ნაკლები ჰყავდა ხელისმომწერლები და ზარალიც ერთი-ორად მეტი ნახა“.

ხელმომწერთა სიმცირე იმას არ ნიშნავს, თითქოს „კრებულს“ მკითხველი არ ჰყავდა. პირიქით, — საზოგადოება, განსაკუთრებით დაბალი წრეები, მას დიდი ინტერესით კითხულობდნენ, ერთი ნომერი რამდენიმე ათეული მკითხველის ხელიდან ხელში გადადიოდა, ხელმოკლე მოსახლეობა ჟურნალის გამოწერას ვერ ახერხებდა, ამიტომ აკაკი მათ „კრებულს“ უფასოდ უგზავნიდა, თავადაზნაურობა და საზოგადოების შეძლებული ნაწილი კი მისთვის ჩვეული გულგრილობისა და დაუდევრობის გამო ჟურნალს არ იწერდა. ამ გარემოებით აღშფოთებული აკაკი მოურიდებლად წერდა: „ უბრალო რამეზე ფულის გადაყრა ემარჯვებათ და ამგვარ შემთხვევისათვის კი არ ემეტებათ. ერთმა ხელის-მომწერთაგანმა ერთ ქორწილში ბოდიში მოიხადა ჩემთან: ამდენი ხანია ვერ გამოგიგზავნე რედაქციაში ხვედ-

რი ფული და ნურას უკაცრავადო!.. იმ საათშივე კი მეთარეს ოქრო გადაუგდო"[1].

მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, რაც „კრებულს" მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა, აკაკიმ მტკიცედ გადაწყვიტა გაეგრძელებინა ჟურნალის გამოცემა, რადგან ღრმად სწამდა მისი უდიდესი მნიშვნელობა. „ეს წასული ორი წელიწადი გვიმტკიცებს, — წერდა აკაკი „კრებულის" 1899 წლის მეთერთმეტე ნომერში, — რომ ამ მესამე წელიწადში უფრო მეტს გაჭირვებას ვნახავთ „კრებულის" გამოცემით. მაგრამ ჩვენ მაინც თავს არ დავანებებთ, არც შრომას დავზოგავთ, არც ხარჯს, გინდ ლუკმაც გაგვიწყდეს, და კიდევ განვაგრძობთ გამოცემას. მართალია, ამ ბოლო დროს ბევრი ხელის შემშლელი და მეაუგე გამოუჩნდა ჩვენს „კრებულს", მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი „კრებული" მისის „ზეპირსიტყვაობით" ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ მიგვაჩნია და სანამ პირში სული გვიდგას, ხელს ვერავინ აგვაღებინებს. პირველ იანვრიდან 1900-ს წლისა „კრებული" იმავე პროგრამით და იმავე პირობებით გამოიცემა თვე და თვე, როგორც აქამდე".

დაიწყო 1900 წელი და აკაკიმ კვლავ ჩვეული ენერგიითა და გატაცებით განაგრძო ჟურნალის გამოცემა. მართალია, ნომრების გამოსვლა ერთგვარად შეგვიანდა, მაგალითად, იანვრის ნომერი თებერვალში გამოვიდა, ხოლო მარტისა და აპრილის ნომრები — მაისში. მაგრამ აკაკის ფიქრად არ მოსვლია „კრებულის" გამოცემის შეჩერება. ამიტომ მკითხველი საზოგადოებისათვის სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც ჟურნალი ერთ წიგნად გამოსულ III—IV ნომრებზე შეწყდა.

გრ. ყიფშიძემ „კრებულის" დახურვა ხელმომწერთა სიმცირით ახსნა. მან გამოაქვეყნა საინტერესო ნარკვევი: „პერიოდული პრესა საქართველოში", რომელშიც ვკითხულობთ: „პირველ ხანებში „კრებულს" ჰყავდა დაახლოვებით 1000 ხელისმომწერი, მაგრამ შემდეგში მათი რაოდენობა შემცირდა, „კრებული" სისტემატურად არ გამოდიოდა და 1900 წელს სულ შეწყვიტა არსებობა".

ვინაიდან გრ. ყიფშიძის ცნობა სიმართლეს არ შეეფერებოდა, ამიტომ აკაკი იძულებული გახდა „ივერიის" 1901 წლის 248-ე ნომერში ჰეშმარიტების აღდგენის მიზნით მოკლე წერილი მოეთავსებინა. ეს წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში სავსებით ნათლად არის ახსნილი „კრებულის" დახურვის მიზეზები. „თავდაპირველად, — წერდა აკაკი, — ნება მქონდა მიღებული, რომ „კრე-

[1] „კრებული", 1899 წ. № 11, გვ. 11.

ბულში“ მებეჭდა მარტო ჩემი ნაწერები. მერე ნება დამრთეს სხვების ბელეტრისტული ხასიათის ნაწერებიც მებეჭდა და მეც ვსარგებლობდი ამ უფლებით, როდესაც ზოგიერთებმა, სადაც დიახ შინაურია ბ-ნი ყიფშიძეც, ჩემი საწინააღმდეგო, ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ჩემი სადევნელი წერილების წერა დაიწყეს „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბეში“, მეც ჩემს ჟურნალში დავიწყე პასუხის წერა და გაიმართა პოლემიკა.

მე კი უფლება არ მქონდა მებეჭდა ჩემს „კრებულში“ სხვა რამე, გარდა ლექსებისა და მოთხრობებისა. აი რამ შეაჩერა „კრებული“.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საცენზურო კომიტეტის მიერ აკ. წერეთელი გაფრთხილებული იყო, რათა შეეწყვიტა „კრებულში“ პოლემიკური ხასიათის წერილების ბეჭდვა. მას სწერდნენ:

«Главным управлением по делам печати в 1897 г. разрешено вам издавать на грузинском языке сборник ваших сочинений под названием «Кребули». Цензурный комитет приняв во внимание, что главное управление не усмотрело в представленной вами программе характера периодического издания, признало возможным в октябре 1898 г. разрешить вам печатать в издаваемом вам сборнике «Кребули» и чужие произведения, как старых, так и новых писателей, а также и критико-библиографические заметки.

Не ограничиваясь, однако, таким разрешением, вы стремитесь обратить свой чисто литературный сборник в орган полемики с вашими литературными и общественными антагонистами, придавая таким образом сборнику характер газеты.

Усматривая в этом новом направлении принципиальное уклонение от разрешенной вам программы, комитет постановил: не допускать на будущее время в издаваемом вами сборнике «Кребули» новых статей или заметок полемического характера, о чем комитет имеет честь поставить вас в известность»[1].

აკაკიმ ანგარიში არ გაუწია საცენზურო კომიტეტის გაფრთხილებას და განაგრძო პოლემიკური წერილების ბეჭდვა, ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჟურნალი სასწრაფოდ დახურა.

„კრებულის“ გამოცემის შეწყვეტა რომ სრულიად მოულოდნელი იყო, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ ბოლო ნომერში ხომლელისა და ზ. ჭიჭინაძის წერილები დაუმთავრებელია.

---

[1] ცსსა, ფონდი 480, საქმე 1409, ფურც. 21.

ხალხური შემოქმედება, მასების პოეტური ფანტაზიის ეს უშრეტი ოკეანე, ყოველთვის იწვევდა აკაკის უდიდეს ინტერესს. ჯერ კიდევ 1882 წელს გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ საშუალებით იგი მიმართავდა საზოგადოებას: „გულმხურვალედა ვსთხოვთ, ვისაც კი შეუძლიან მოახერხოს და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლებს, რომ ჩვენი სახალხო შაირები, ზღაპრები, გამოცანები და სხვა ყოველგვარი ზეპირი გადმოცემები შეძლებისდაგვარად მოაგროვონ და ჩემ სახელზედ, ან „დროებისა“ და ან „შრომის“ რედაქციაში გამოგზავნონ ხოლმე. ამით ისინი რიგიან სამსახურს გაუწევენ ჩვენს დედა-ენას და კერძოთ მეც დამავალებენ... უმორჩილესად ვსთხოვთ ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომ მათ ჟურნალ-გაზეთებშიც გადაბეჭდონ ეს თხოვნა“.

ასეთივე ხასიათის მოწოდება დაბეჭდა აკაკიმ „კვალის“ 1895 წლის მე-6 ნომერშიც.

აკაკის მოწოდებამ აამოძრავა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი. დაიწყო შემკრებლობითი მუშაობა და „დროებისა“ და „კვალის“ რედაქციებში შემოვიდა საყურადღებო მასალა, მაგრამ ამ მუშაობას არ ჰქონია სისტემატური ხასიათი. საქმე კი არ ითმენდა, საჭირო იყო ხალხური შემოქმედების არა მხოლოდ სწრაფად შეკრება, არამედ თანდათანობით პუბლიკაციაც. აკაკის მშვენივრად ესმოდა ამ საქმის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა და ძირითადად სწორედ მას უძღვნა თავისი „კრებული“. „ქართველებს რომ დღეს სხვა-და-სხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთად, ეს ვინ არ იცის? — წერდა აკაკი „კრებულის“ პირველ ნომერშივე, — მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ-გადმონაცემების“ შეკრება-შეგროვება. ჩვენ კი მაინც ამდენი ხანია, განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს! ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველია და ამიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებათ. ჩვენი ქართული „ზეპირ-გადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავნი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ“.

ხალხური შემოქმედების სწრაფად შეკრების აუცილებლობას აკ. წერეთელი იმით ასაბუთებდა, რომ მოხუცებულ მამებს საფლავში მიაქვთ ეს ძვირფასი საგანძური და ათიოდე წლის შემდეგ იგი სრულიად გაგვიქრება ხელიდან, რადგან „ახალ-დგმას აღარ ეხალისება ეს ძველებური საზეპიროებიო“.

მართლაც გამოერია „ახალ-დგმის“ ზოგიერთი ადამიანი, რომლებმაც აკაკის არ მოუწონეს ჟურნალში ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბეჭდვა. „ჩვენ თქვენგან გამოსაღვიძებელს რამეს ველოდით და არა დასაძინებელს. ზღაპრებს განა სხვაგან კი ვერ გავიგონებთ? სოფლებში მაგის მეტი რაღა იციან? აბა. რა დასაბეჭდი იყო მისთანა უშინაარსო და უთავბოლო რამ, როგორც „ბროწეულის წყარო!“ მაგ გვარი რამ ჩვენ ცოტა გაგვიგონია?!

ამასთანავე განა ადგილი უნდა ჰქონდეს თქვენს გამოცემაში ამაოთ მორწმუნეობას? მაშინ, როდესაც ეკონომიური საკითხები თვალში გვეჩხირებიან, თქვენ გამომდგარხართ და ხალხში ამაო მორწმუნეობას ავრცელებთ, უაზრო შელოცვებს ჰბეჭდავთ“.

საოცარია, რომ ამას წერდა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი.

აკაკიმ უპასუხოდ არ დატოვა უვიცი „პედაგოგის“ ეს „ბრძხული“ შენიშვნა და მოურიდებლად მოახსენა მას: „ბატონო პედაგოგო! დიდი მოხარული ვართ, რომ ინსტიტუტი გაგითავებიათ და დიპლომიც ხელში გიჭირავთ! მოგვილოცავს!.. მაგრამ ეგ ქაღალდზე დაწერილი დიპლომი სამსახურში შესვლის დროს დაგჭირდებათ... შეინახეთ!.. და ჩვენ კი მისთანა დიპლომს უფრო ვუჯერებთ, რომელიც ტვინზეა დაწერილი და ნურაფერს უკაცრავად. თუ თქვენი შენიშვნები ვერ მივიღოთ!..[1].

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ ილაშქრებდნენ ზეპირსიტყვიერების ბეჭდვის წინააღმდეგ, მაგრამ აკაკისაგან მოითხოვდნენ, რათა ეს მასალა სისტემაში მოეყვანა და ისე გამოექვეყნებინა. აკაკიმ მათაც გონივრული პასუხი გასცა: „უსისტემოთ ბეჭდავთო“ — ბრძანებთ!.. გაგიგონიათ ჰრეკენო და სად და როდის ის კი აღარ იციან!.. მე მხოლოდ მასალას ვაგროვებ ზეპირ-სიტყვაობისას და ვბეჭდავ, რომ ერთად, ყველასათვის ხელ-მოსაკიდებლათ იყოს შეგროვილი და მერე, თუ თვითონ მე ვეღარ მოვესწრები. გამოჩნდებიან სხვები, ჩვენზე უფრო კარგები და გაარჩევენ სისტემატიურათ. ჯერ მასალა არ მოგროვებულა და თქვენ კი შენობას თხოულობთ!“[2].

ხალხური შემოქმედების ღრმა და მეცნიერულ ათვისებას, აკაკის ბრძოლებული რწმენით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლისათვის, ასევე მისი მომავლისათვისაც. თუ ხალხური ზეპირსიტყვიერება შეიკრიბება, წერდა აკაკი 1897 წლის „კრებულის“ პირველ ნომერში, „მაშინ შევიტყობთ

---

[1] „კრებული“, 1897 წ. № 2, გვ. 7.

[2] „კრებული“, 1897 წ. № 4. გვ. 6.

ჩვენი ქვეყნის ფასსა და ჩვენ თავსაც გავიცნობთ; მაშინ ნამდვილად გვექნება გათვალისწინებული საქართველო ყოველი მხრით; გეოგრაფიულად, ისტორიულად, არხეოლოგიურად და სხვანი. მაშინ ლექსიკონების შედგენაც ადვილი იქნება, როგორც საზოგადოსი ისე კერძოთ ზოოლოგიურის, ბოტანიკურის, მინერალოგიურის და სხვანი".

ხალხური შემოქმედების შესაკრებად აკაკიმ გარკვეული პროგრამაც კი შეადგინა და მოითხოვა, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშები ამ პროგრამის მიხედვით ყოფილიყო ჩაწერილი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აკაკის პროგრამა მხოლოდ ფოლკლორის შეკრებით კი არ იფარგლებოდა, არამედ ამა თუ იმ სოფლის ან მხარის ყოველმხრივ შესწავლას ისახავდა მიზნად. გარდა იმისა, რომ შემკრებს ფონოგრაფიულად უნდა ჩაეწერა ხალხური ნაწარმოებები, მასვე უნდა შეეგროვებინა ცნობები იმის შესახებ, რომ იმ სოფელში ან კუთხეში, სადაც იგი მუშაობას აწარმოებდა, როგორი ხალხი ცხოვრობდა, რა მცენარეულობა იზრდებოდა და რომელ მათგანს ჰქონდა სამკურნალო მნიშვნელობა? რომელი გამოდგებოდა საწამლავად ან საღებავად? როგორი ფრინველები და შინაური და გარეული ცხოველები იყვნენ იქ? თუ იყო ამ სოფელში ძველი ციხე-კოშკები ან ტაძრები და ხომ არ არსებობდა მათზე რაიმე თქმულება ან ლეგენდა? რა ტბები არსებობდა ან რა მდინარეები და ღელეები ჩამოუდიოდა ამ სოფელს? რა ჯიშის თევზები ბინადრობდნენ მათში და სხვ.

აკაკის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით იკრიბებოდა ძვირფასი საგანძური და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იბეჭდებოდა „აკაკის თვიურ კრებულში". მაგრამ ვინაიდან ეს პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა ყველა მეცნიერულ მოთხოვნილებას, ამიტომ პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა მოსკოვში მოსწავლე ქართველი სტუდენტების დახმარებით შეადგინა „პროგრამმა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად", რომელიც დაიბეჭდა აკაკის „კრებულში" (1899 წ. № 7, 8. 9, 11, და 1900 წ. № 2).

„რამდენიმე წელიწადია, — წერდა ალ. ხახანაშვილი, — რაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები, რომელნიც თვალწინ გვიყენებენ მრავალ-ფეროვან მნიშვნელობას საერო პოეზიისას და გვიწვევენ ერის გონებითი ნაწარმოების შემოსაკრებად. ამ საგანს დიდი ხანია ყურადღება მიექცა დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიაც და გამოკვლეულ იქმნა პროგრამმა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საერო ნაწარმოების შემკრებელმა. რადგანაც სასურველია, რომ ჩვენში ამ საქმეს მიექცეს ფართო და გაკვლეული მეცნიერებისაგან

სწორი გზა, ამიტომ განვიზრახეთ მიგვეწოდებინა საერო ნაწარმოებების შემკრებელთათვის პროგრამა, რომელიც შევადგინეთ რუსული და ევროპული პროგრამების მიხედვით და დახმარებით. პროგრამა ეხება ერის ყოველგვარ მხარეს და განსაკუთრებით შემუშავებულია ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად".

ალ. ხახანაშვილის პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში, საკმაოდ ვრცელია და სავსებით აკმაყოფილებს იმ დროის მეცნიერულ მოთხოვნებს.

„აკაკის კრებულში" დაიბეჭდა ქართული ხალხური შემოქმედების მრავალი ბრწყინვალე ნიმუში, აგრეთვე ფრიად საყურადღებო ეთნოგრაფიული წერილები: „სოფ. ხიზაბავრა", „შავშეთი", „სოფ. ეალე", „სოფ. ჭოლევი", „დაბა ხონი", „აფხაზები", „სოფ. სარო", „სოფ. ქურთა და მისი მიდამოები", „სოფ. წევა" და სხვ.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „კრებულში" დაბეჭდილი ისტორიული ხასიათის მასალა, როგორიცაა: „მასალები ქრისტიანობის დაცემისა და ისლამის გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში", „ქართველი კათოლიკენი არტაანის და ჩხალის ხეობაში", „ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი როსტომ ერისთავისადმი მინაწერი", „ამბავი ალექსანდრე ბატონიშვილზედ", „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი", „ქართველთ ხელოსნები და ხელოსნობა საქართველოში", „ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში" და სხვა მრავალი.

ცხადია, ამ დიდ და საშვილიშვილო საქმეს აკ. წერეთელი მარტო ვერ გაუძღვებოდა. მას მხარში ამოუდგნენ ზეპირსიტყვიერების დიდი მოამაგენი. რომელთაც უყვარდათ ეს საქმე და ესმოდათ მისი უდიდესი მნიშვნელობა. ესენი იყვნენ ზ. ჭიჭინაძე, ნ. ჯანაშია, ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი), ს. მერკვილაძე, გრ. აფშინაშვილი, ივ. გომელაური, მიხ. როსტომაშვილი, ივ. ბუქურაული, ზ. ჩხიკვაძე, ვ. ლალიაშვილი, ს. ქვარიანი და სხვები. მათი ენერგიული მუშაობის შედეგად, აკაკის უშუალო ხელმძღვანელობით, თავმოყრილ იქნა აურაცხელი მასალა, რომლის მეცნიერულმა შესწავლამ და დამუშავებამ შემდგომში ნათელი მოჰფინა ჩვენი ისტორიული წარსულის მრავალ საკითხს.

„აკაკის კრებულმა", როგორც პირველმა ქართულმა ფოლკლორულმა ორგანომ, უდიდესი სამსახური გაუწია ხალხური შემოქმედების: საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის საქმეს.

„აკაკის კრებულის" უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ქართველი მკითხველი საზოგადოება ამ ჟურნალით გაეცნო აკაკის მრავალ ძვირფას მხატვრულ ნაწარმოებს. ასეთებია: „ბაში აჩუკი". „ჩემი თავგადასავალი". „მედია", „პატარა კახი", „თორნიკე ერისთავი", „თამარ ცბიერი", „გამზრდელი", „განთიადი" და სხვ. თუმცა ზოგი მათგანი სრულად ან ნაწილობრივ ადრეც იყო დაბეჭდილი „კვალ"ში და „თეატრში", ზოგიც ცალკე წიგნაკადაც გამოიცა. მაგრამ „აკაკის კრებულში" მათ განმეორებით დაბეჭდვას დასრულებული თუ დაუსრულებელი სახით და საყურადღებო შესწორებებით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა მხატვრული შედევრებისა, აკაკიმ თავის კრებულში დაბეჭდა მისთვის დამახასიათებელი ენაწყლიანობით დაწერილი „წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები", „სამი ლექცია ვეფხვის ტყაოსანზე" და „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ი. ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხვის ტყაოსნის" გამო". ამ ორ უკანასკნელ წერილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ აკაკის ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებების შესასწავლად, არამედ რუსთველოლოგიის პრობლემების რკვევისთვისაც.

„კრებულში" დაბეჭდილი აკაკის წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „მცირე შენიშვნა" (1897 წ. № 4), რომელიც ერთხელ კიდევ დამაჯერებლად აქარწყლებს ე. წ. „დასების თეორიას". აკაკი ხაზგასმით უარყოფს ჩვენში პირველი და მეორე დასის არსებობას და სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ „მე ჩემს დღეში არა თუ მეთაური, უბრალო წევრიც არ ვყოფილვარ რომელიმე დასისა. მით უფრო, რომ ეს დასები არსად მინახავსო".

როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ კულტურული აღორძინების საქმეშიც. სამწუხაროდ, ამ ბანკების ისტორია ჯერ არ დაწერილა. „აკაკის კრებული" ამ საკითხის შესახებაც საყურადღებო მასალას იძლევა. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს წერილები: „ბ. კიტა აბაშიძე და მისი ფარხმალი" (1899 წ. № 9), „აკაკის წერილი ილია ჭავჭავაძესთან" (1899 წ. № 10) და „ორ-კიტაობა" (1900 წ. № 3-4).

მას შემდეგ, რაც აკაკის შესაძლებლობა მიეცა ჟურნალში სხვების ნაწარმოებებიც გამოექვეყნებინა, „კრებულმა" უფრო მრავალფეროვანი სახე მიიღო. მასში დაიბეჭდა თ. ხუსკივაძის „გვარამაძე-

ების ოჯახი", დ. კამკამიძის „თავგანწირული ექიმი", დ. მაჩხანელის „გაიოზ ბართლომიჩი" და სხვ. ეს ნაწარმოები თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

„კრებულის" 1898 წლის IX ნომერში დაბეჭდილ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში" აკაკი წერდა: „ახირებულია ჩვენი საზოგადოება! ყოველგან და ყოველთვის სხვისგან გადამეტს თხოულობს და თვითონ-კი თავის მხრით მცირეც ეზარება. ბევრისაგან უმადურობა ისმის ჟურნალ „მოამბის" შესახებ: ჟურნალი-კი არა, უბრალო კრებული არისო. თუ ჟურნალობას ჩემობს, რატომ ისიც ისე არ გამოდის, როგორც სხვა ქვეყნის ჟურნალებიო, რომ არც შინაური მიმოხილვა აქვს და არც პოლიტიკურიო და კრიტიკის ხომ ხსენებაც არსად არისო. იმ დალოცვილებს ავიწყდებათ, რომ ის, რაც ერთგან მოსახერხებელია, მეორეგან შეუძლებელია. ქალმა თქვაო: სულ ნუ მეყოლება შვილები ის მირჩევნია, ვიდრე დამახინჯებულსა ვხედავდეო. მართალია მხოლოდ ერთი ის, რომ კრიტიკული სტატიები არ იბეჭდება, მაგრამ აქაც რაღა „მოამბეს" გადავახდევინოთ, რომ ჯერ კრიტიკოსები საზოგადოთ არც ყოფილან და არც არიან ჩვენში, რომ ან სხვაგან ეწეროსთ და წეროն კრიტიკული სტატიები?!"

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აკაკის მიერ ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობის ამგვარი შეფასება უმართებულოა. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან ქართულმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა აზროვნებამ შესამჩნევი ძალით იწყო განვითარება და საკმაოდ დიდი როლიც შეასრულა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ქართულ მწერლობაში.

მართალია, ჩვენ არ გვყავდა პროფესიონალი კრიტიკოსები 60-იან წლებამდე. როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, „კრიტიკის" ტოლფარდი სიტყვაც კი არ გვქონდა ქართულ ლექსიკაში, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება არ ყოფილიყო საქართველოში. ძველ საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება იგნორირებულ იქნეს XIX საუკუნის კალმოსანთა ღვაწლი კრიტიკის განვითარების საქმეში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიხ. თუმანიშვილის, ნიკ. ბერძენიშვილის, ილია ჭავჭავაძის. თვით აკაკის, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის, კ. ლორთქიფანიძის, ა. ფურცელაძის, სტ. ჭრელაშვილის და სხვათა ნაყოფიერი მოღვაწეობა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში.

რაც შეეხება „მოამბეს" და „აკაკის კრებულს", 1899 წლამდე ლიტერატურული კრიტიკის განყოფილება მათში მართლაც არ იყო. ამის გამო საზოგადოების სამართლიანი საყვედური „მოამბის" მი-

მართ „აკაკის კრებულსაც“ ეხებოდა. ამას მშვენივრად გრძნობდა აკ. წერეთელი, ამიტომ 1899 წლიდან თავის ჟურნალში ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ბეჭდვას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

1899 წლიდან აკაკიმ „კრებულის“ კრიტიკის განყოფილების გაძგედ მიიწვია რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა (ხომლელი). აკაკის მიერ ხომლელის მიწვევა შემთხვევითი არ იყო. ამ დროისათვის ხომლელი უკვე ცნობილი კრიტიკოსი იყო და, გარდა ამისა, ჰქონდა პერიოდულ ორგანოებში მუშაობის საკმაო გამოცდილება, 1893—1898 წლებში ხომლელი განაგებდა „კვალის“ კრიტიკის განყოფილებას და საერთოდ წარმართავდა ამ ჟურნალის საქმიანობას.

„აკაკის კრებულში“ ხომლელის რამდენიმე საყურადღებო კრიტიკული წერილი დაიბეჭდა. მათ შორის პირველი იყო „კრიტიკული შენიშვნები“, რომელიც 1898 წელს გამოცემულ განდეგილის (დომინიკა ერისთავის) ლექსთა კრებულს ეხებოდა.

ხომლელი საგულისხმო მოვლენად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 90-იანი წლებისათვის დაიწყო ახალგაზრდა პოეტების ლექსების ცალკე წიგნებად გამოცემა. მართალია, ბევრი მათგანი ვერ აკმაყოფილებს პოეზიის წინაშე წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნილებას, მაგრამ „პროზაულად და უნიჭოდ დაწერილს ლექსთა ამ ათას გროვაში შესაძლებელია... წააწყდეთ მართლაც ნამდვილ, ჭეშმარიტი ნიჭის მადლიანს ნაწარმოებებს... რომლებშიც იხატება ცოცხალი ნიჭი და მდუღარებასავით მღელვარე გრძნობა, ზეცის ასულის — პოეზიის ცეცხლი“.

ასეთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს განდეგილის ლექსებიც. ხომლელი, ვიდრე განდეგილის ლექსთა კრებულის განხილვას შეუდგებოდეს, მოკლედ მიმოიხილავს ქართველი ქალების ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ქართველ მწერალ ქალთაგან იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბ. ჯორჯაძის, ეკ. გაბაშვილის, ეკ. მესხის, ან. თუმანიშვილის, ნ. ორბელიანის, ნ. ყიფიანის და ან. ერისთავის მოღვაწეობაზე. მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს ქართველი ქალების მიერ „საამო საკითხავ თხზულებათა“, „ქართული ბიბლიოთეკის“ და ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემას. ქართველი მანდილოსნების უანგარო და თავდადებული შრომა ხომლელს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნია; მისი რწმენით ეს ფაქტი იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ „ჩვენი ლიტერატურის ახალს გზაზე დადგომისა და აღორძინებისთანავე ქართველი ქალებიც იღებენ მხურვალე მონაწილეობას

ლიტერატურაში და კაცებთან ერთად შეაქვთ მცირე წვლილი საერთო შრომის და მოღვაწეობის სალაროში".

ნიჭიერ და ნაყოფიერ ქართველ ქალთა მცირერიცხოვან გუნდს მიეკუთვნება განდეგილიც, რომლის „ლექსთა თაიგული წარმოადგენს უკანასკნელი დროის ქართულს პოეტურს ლიტერატურაში მართლაც ერთს სასიამოვნო მოვლინებას", თუმცა პოეტი ქალის პირველი ნაბიჯები მეტად სუსტი და გაუბედავი იყო; გარდა იმისა, რომ ეს პერიოდის ნაწარმოებებს აზრის სიღარიბე ახასიათებდა. მათ აკლდა ის ცხოველმყოფელი ძალა და ენთუზიაზმი, რომლითაც ხასიათდება მისი უკანასკნელი პერიოდის ლექსები, რომელთაც, კრიტიკოსის აზრით, შეუძლიათ „თვალსაჩინო ადგილიც დაიჭირონ ჩვენს ახალს ლირიკაში". განდეგილის პოეზიის წარმატება მდგომარეობს არა მხოლოდ მის უბრალოებასა და გულწრფელობაში, არამედ იმ გარემოებაშიც, რომ „განდეგილი მშვენივრად ფლობს და ხმარობს ქართული სიტყვიერების, ჩვენი სალიტერატურო ენის მდიდარ ფორმებს".

სარეცენზიო წიგნის მიხედვით ხომლელი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ განდეგილისთვის დამახასიათებელია პესიმიზმი, მარტოობა სულისა, იგი „ოდესღაც ბედნიერი,... დაკარგულის წარსულის მოგონებით იბრუნებს სულს". ეს გარემოება დამახასიათებელია ბევრი ჭეშმარიტი ლირიკოსისათვის. ასე რომ, ამ შეძთხვევაში განდეგილი ორიგინალობით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი იმით განსხვავდება მისი თანამედროვე ბევრი გულაჩვილებული, სენტიმენტალისტი პოეტისაგან, რომ მათ მსგავსად არ ეტანება გაცვეთილ ფაქტებს. „განდეგილი ნამდვილი ლირიკოსია. იმისი ლირა არ არის უშინაარსო, უშნო, გაცვეთილ ოხვრათა და ყალბი ფრაზების უგანაჩენო რახა-რუხი, არც უმნიშვნელო, უაზრო და მშრალი აღწერა მზისა და ლაჟვარდი ცისა".

განდეგილი სიყვარულის გრძნობასაც ეხება, თუმცა ღრმად ვერ ხატავს მას. მაგრამ სამაგიეროდ ძლიერად იგრძნობა მის ლირიკაში სამშობლო ქვეყნის დიდი სიყვარული.

განდეგილის ლირიკის დამახასიათებელ თვისებად ხომლელს ის გარემოება მიაჩნია, რომ იგი უაღრესად სუბიექტური ხასიათის გამომხატველია. „განდეგილი გამომხატველია მხოლოდ თავისი გულისა და სულის სუბიექტური ცხოვრებისა".

უდავოა, რომ განდეგილის პოეზიას სუბიექტივიზმის მკვეთრი ბეჭედი აზის. რაც ხომლელს რატომღაც მწერლის დიდ დამსახურებად მიაჩნია, მაგრამ მასში იმ პერიოდის საზოგადოების ტკივილებიც

იგრძნობა და სწორედ ეს ანიჭებს პოეტი ქალის ლექსებს გარკვეულ მნიშვნელობას.

წერილის დასასრულს ხომლელი გაკვრით შეეხო ან. ფურცელაძის, ირ. ევდოშვილისა და მაჩხანელის პოეზიას და, სამწუხაროდ, ამ მწერალთა შემოქმედების არასწორი შეფასება მოგვცა.

„აკაკის კრებულის“ 1899 წლის III, IV და V ნომრებში დაიბეჭდა ხომლელის ვრცელი სტატია გერმანელი მწერლისა და კრიტიკოსის ლესინგის შესახებ („გოტტგოლდ ლესსინგი“).

ხომლელის დაინტერესება ლესინგის ცხოვრებითა და მოღვაწეობით შემთხვევითი არ არის. როგორც ცნობილია, გერმანული განმანათლებლური ლიტერატურის აღმაღლობა ლესინგის სახელთან არის დაკავშირებული. გერმანული განმანათლებლობის ისტორიაში ლესინგი რადიკალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მკვეთრი გამომხატველია. რომელიც XVIII საუკუნის გერმანიას ადამიანის თავისუფლების მჭადაგებლად მოევლინა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ლესინგის სახელი ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. მის პროგრესულ შეხედულებათა გაცნობას კი გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის.

ხომლელი ცდილობს, რაც შეიძლება საინტერესოდ და მკაფიოდ გადმოსცეს ლესინგის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და მოგვცეს მისი შემოქმედების შეფასება. გვიჩვენოს. „თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანული მწერლობა ლესინგის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლამდე, და როგორი ხასიათი, გზა და მიმართულება, აზრი და შინაარსი მიანიჭა ამ შესანიშნავმა კრიტიკოსმა შემდეგი თაობის გრძნობა-გონების წინმსვლელობის და წარმატების საქმეს“.

დასახული მიზნის მისაღწევად ხომლელი ქრონოლოგიურ პრინციპს ირჩევს და ფეხდაფეხ მიჰყვება ლესინგის მსოფლმხედველობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს.

კრიტიკოსი, ვიდრე ლესინგის შემოქმედების განხილვას შეუდგებოდეს. მკითხველს პირველ რიგში მწერლის ცხოვრების აღწერას სთავაზობს, რადგან, მისი ღრმა რწმენით, „მწერლის ცხოვრებას, თავ-გადასავალს ძლიერ დიდი ზედმოქმედება და გავლენა აქვს იმის გრძნობა გონების ვითარებასა და მოღვაწეობაზე. ამიტომაც კარგად რომ შეიგნოს და სამართლიანად დააფასოს კაცმა მწერლის სალიტერატურო მოღვაწეობა, საჭიროა მისი აღზრდის, ყოფა-ცხოვრების, თავგადასავლის და მოქმედების ზედმიწევნით, ნათლად შესწავლა.

მხოლოდ და მარტო ამ პირობით გამოირკვევა მწერლის სრული სახე და მის ისტორიულ მნიშვნელობასაც მიენიჭება ლიტერატურაში ჯეროვანი და შესაფერი ადგილი".

ლესინგის ცხოვრება მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო ფაქტების შემცველია. იგი შეიძლებოდა ცალკე გამოკვლევის საგანიც გამხდარიყო, მაგრამ ხომლელი მწერლის ბიოგრაფიიდან მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ისეთ ფაქტებზე ამახვილებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის შემოქმედებასთან.

ხომლელი პირველ რიგში შეეხო ლესინგის ადრეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, როგორიცაა „ახალგაზრდა სწავლული", „ხნიერი ქალწული", „განდეგილი", „ებრაელები" და სხვ. კრიტიკოსის აზრით, ეს ნაწარმოებნი მხატვრულობის თვალსაზრისით გერმანული ლიტერატურის ისტორიაში რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას არ წარმოადგენს. მათში ავტორი ძირითადად გოტშედური სკოლის ტრადიციების მიმდევრად რჩება და იცავს კლასიცისტური ტრაგედიისათვის დამახასიათებელ სამი ერთიანობის კანონს, მაგრამ ამ ნაწარმოებთა სრული უგულებელყოფა მაინც არ შეიძლება, რადგან მათში ავტორის მიერ დასმულია ზოგიერთი მტკივნეული საკითხი, რაც იმ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა და, გარდა ამისა, ამ საკითხების ახლებურად, თავისებურად გადაწყვეტის ცდაც არის მოცემული. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა კომედია „ახალგაზრდა სწავლული".

როგორც ცნობილია, ეს კომედია დიდად მოიწონა სახელგანთქმულმა მსახიობმა ქალმა ნეიბერმა, რომელმაც ლესინგს გერმანული ეროვნული დრამის წინამორბედი უწოდა. კომედიის წარმოდგენამ თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ, ხომლელის აზრით, „ეს პიესა არც ისე სანაქებო და გასაოცარი იყო მაინც და მაინც, როგორც ბევრს ეგონა. კი, მოქმედი პირები პიესაში ცოცხლად არიან დახატულნი, ავტორს არც კომიკური სახე ნაწერისა არ გადაუქცევია კარიკატურად, მაგრამ კომედიას მაინც ძლიერ ეტყობა მიბაძვა. ფრანგული კომედიებიდან ზოგიერთი ადგილის თითქმის პირდაპირ გადმოწერა".

ხომლელი ყურადღებას ამახვილებს კომედიის მთავარ პერსონაჟზე — ახალგაზრდა მეცნიერ დამისზე. იგი მშვენივრად ამჩნევს, რომ ლესინგის მთელი ნიჭი სწორედ ამ ტიპის დახატვისაკენაა მიმართული. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი ვერ იძლევა დამისის სრულყოფილ დახასიათებას. მართალია, ხომლელი გრძნობს, რომ დამისი არ არის ლესინგის იდეალური გმირი, მაგრამ ბევრია საერთო დამისსა და ახალგაზრდა ლესინგს შორის (მტკიცე ნებისყოფა, ცოდნის შეძენის

ძლიერი წყურვილი და არსებული ტრადიციების წინააღმდეგ გალაშქრება).

ხომლელი ძალიან მოკლედ ეხება ლესინგის კომედიას „მინა ფონ ბარნჰელმს". კრიტიკოსი ამ ნაწარმოებს პირველ გერმანულ საერო დრამად მიიჩნევს. ამ ნაწარმოებში ავტორის მიერ უარყოფილია კლასიცისტური კომედიის ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც კომედიაში უნდა ასახულიყო მოვლენის მხოლოდ ისეთი მხარეები, რომლებიც სიცილს გამოიწვევდნენ.

„მინა ფონ ბარნჰელმში" ლესინგმა მშვენივრად გადმოსცა ადამიანთა მაღალი გრძნობები, ბრძოლა ჰეშმარიტი იდეალებისათვის, მარცხი და ამ მარცხის შედეგად შექმნილი ტრაგიკული სიტუაცია. ყოველივე ეს ხომლელს საშუალებას აძლევს „მინა ფონ ბარნჰელმი" დრამატული ჟანრის ნაწარმოებად მიიჩნიოს მიუხედავად იმისა, რომ მასში კომიკური სიტუაციებიც გვხვდება.

ხომლელი სწორად შენიშნავს, რომ „მინა ფონ ბარნჰელმის" „დაჩრდილა ყველა საუკეთესო ნემენცური პიესები და მთელ პრუსიაში ავტორს მოუხვეჭა პირველი დრამატურგის სახელი", რადგან, როგორც ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, ეს ნაწარმოები წარმოადგენდა მოწოდებას გერმანიის ეროვნული მთლიანობისაკენ.

ლესინგის სახელი და ავტორიტეტი განსაკუთრებით მისმა „ლაოკოონმა" გაზარდა. ხომლელის მართებული რწმენით ლესინგი ამ კაპიტალური შრომით „იწყებს ესთეტიკურ კრიტიკის სამფლობელოში სრულიად ახალ ხანას და გენიოსი ავტორი სჩნდება წინამორბედი ახალის ნაყოფიერის ლიტერატურისა".

მართლაც, „ლაოკოონში" ლესინგი გვევლინება თავისი ეპოქის უაღრესად პროგრესულ მოაზროვნედ, რომელმაც, დობროლუბოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, შექმნა პოეზიის ახალი თეორია, შეიტანა რა მასში სიცოცხლე და დაამსხვრია რა მანამდე ყველა ესთეტიკაში გაბატონებული მკვდარი ფორმალისტიკა.

„ლაოკოონის" ავტორის უდიდეს დამსახურებად ხომლელს ის გარემოება მიაჩნია, რომ მან მკაცრი კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარა ხელოვნებაში ფესვგამჯდარი არისტოკრატიულ-კასტური განკერძოებულობა და გზა გაუხსნა განმანათლებლური რეალიზმის პრინციპებს. გარდა იმისა, რომ „ლაოკოონმა" მთელი გადატრიალება მოახდინა ხელოვნების თეორიაში, მას „განუსაზღვრელი და გასაოცარი გავლენა ჰქონდა მთელს შემდეგს თაობაზე და განსაკუთრებით სახელოვან გიოტესა და შილლერზედ".

ხომლელი ხედავს ლესინგის ესთეტიკური იდეალების მსგავსებას დიდროს შეხედულებებთან ხელოვნების საკითხში, მაგრამ ღრმად

სწამს, რომ „ლაოკოონში“ გატარებულს შესანიშნავს აზრებს კრიტიკოსი სრულიად დამოუკიდებლივ და საკუთრივ თავის ნიჭით, ცოდნით და მოსაზრებით მიაწყდა და აქ ლესსინგი ნამდვილი თვითარსი, გენიოსი კრიტიკოსია“.

ხომლელმა, როგორც უაღრესად განათლებულმა და ნიჭიერმა კრიტიკოსმა, ამ წერილში მშვენივრად შეძლო დაელაგებინა და განემარტა მკითხველისათვის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც ლესინგმა „ლაოკოონში“ წამოაყენა.

ამ დებულებების ანალიზის შემდეგ ხომლელი იმ მართებულ დასკვნამდე მივიდა, რომ „ლაოკოონი“ ერთს დიდს და გასაოცარს სალიტერატურო ნაწარმოებს წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის ესტეტიური კრიტიკის ერთი უშესანიშნავესი ნაშრომი“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

„ლაოკოონში“ წამოყენებულ ესთეტიკურ დებულებებს ლესინგი შემდგომ ავითარებს და სრულყოფს თავის მეორე კაპიტალურ შრომაში „ჰამბურგის დრამატურგია“.

ხომლელი მშვენივრად გრძნობს ამ ნაწარმოების უდიდეს მნიშვნელობას როგორც მსოფლიო კრიტიკული აზროვნების, ასევე საერთოდ გერმანული ლიტერატურის გარდაქმნისა და განვითარების ისტორიაში.

ამ ნაწარმოების ანალიზის დროს ხომლელმა ისეთი საკითხები წამოსწია წინ, რომელთაც ქართული დრამატურგიის განვითარებისათვისაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ; მაგალითად, მან არ გაიზიარა დიდროს თეორია, „რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ კომედია არის ტიპის გამომხატველი, ტრაგედია კი უეჭველად ჰხატავს რომელიმე ნაცნობს პირს, ნიშანდობლივ ამა თუ იმ ადამიანს“. დიდროს საწინააღმდეგოდ ხომლელმა მხარი დაუჭირა ლესინგის თვალსაზრისს, რომელმაც გარკვევით მიგვითითა, რომ „ტრაგედიაც ისეთივე გამომხატველია გულისთქმათა და ტიპებისა, როგორც კომედიაც. თუ კომედიაში გამოხატულია, მაგალითად, ძუნწი და სიძუნწე, ტრაგედიაშიც შესაძლებელია გამოიხატოს ეგევე ტიპები და იგივე გულის მისწრაფება. გარდა ამისა, კომედიაშიც ისე, როგორც ტრაგედიაშიაც ტიპი მხოლოდ ერთს მომქმედ პირშია გამოხატული, ერთს განკერძოებულს არსებაშია განხორციელებული“.

როგორც ცნობილია, ვოლტერის იდეები დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში. ვოლტერის ნაწარმოებები იდგმებოდა ქართულ სცენაზედაც. ლესინგმა მოგვცა ფრანგული კლასიცისტური დრამატურგიის და, კერძოდ,

ვოლტერის დრამატურგიის დიდებული ანალიზი, „ლესინგმა ვოლტერი ისე გაარჩია.—წერს ხომლელი, — რომ მისი მსგავსი განხილვა მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის მეტი“, და განსაზღვრა ვოლტერის ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. ხომლელმა მშვენივრად გადმოსცა ლესინგის შეხედულებანი და მოგვცა „ჰამბურგის დრამატურგიის“ მეტად მაღალი შეფასება. მისი აზრით, ლესინგს ამ ნაწარმოების „მეტიც რომ არაფერი დაეწერა, მაინც სრულიად საკმარისი იყო, რომ პირველხარისხოვანი. გენიოსი კრიტიკოსის სახელი მოეხვეჭა ევროპაში და გამხდარიყო გზის მაჩვენებელ ლამპრად ნემენცური ლიტერატურის ახალი. წარმატებული ლიტერატურისა“.

ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხომლელი ლესინგის „სალიტერატურო წერილებს“. იგი იზიარებს კუნო ფიშერისა და ფრანც მერინგის თვალსაზრისს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ფრიდრიხ მეორის მამაცურად ომში ბრძოლამ და იმისმა გამარჯვებამ, ლესინგს გულში აღუგზნო სურვილი, რომ თავის „სალიტერატურო წერილების“ წერით შეექმნა საერო ნემენცური ლიტერატურა და გამხდარიყო წინამორბედი და მამათ-მთავარი შესანიშნავი მწერლებისა — გიოტესა და შილლერისა“.

ხომლელმა ისიც შენიშნა, რომ შილერის მსოფლმხედველობაზე „სალიტერატურო წერილების“ გარდა უდიდესი გავლენა იქონია ლესინგის ტრაგედიამ „ემილია ჰალოტტმა“, რომელშიც მხატერულად არის განხორციელებული „ჰამბურგის დრამატურგიაში“ განვითარებული ესთეტიკური პრინციპები.

ლესინგის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ხომლელი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფილოსოფიურ დრამას „ნათან ბრძენს“. კრიტიკოსის მართებული რწმენით, „ამ ნაწარმოებმა ბრწყინვალებით დააგვირგვინა ლესინგის მოღვაწეობა, როგორც დიდად დიდის, სახელოვანის დრამატურგისა, კრიტიკოსისა და, ფილოსოფოსისა. ფილოსოფიური დრამა „ნათან ბრძენი“... სრული და ნამდვილი გამომხატველია ლესინგის უმთავრესი სახელმძღვანელო აზრებისა და მიმართულებისა“.

„ნათან ბრძენის“ ვრცელი მიმოხილვა ხომლელს ამ ნაწარმოების საკაცობრიო მნიშვნელობამ უკარნახა. ეს ნაწარმოები, რომელიც მსოფლიო ტიპების მკვეთრი გამომხატველი იყო, ხომლელის რწმენით, სრულიად ახალი ხილი იყო ქართული ლიტერატურისათვის.

წერილის დასასრულს ხომლელმა დასკვნის სახით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ლესინგის უდიდეს დამსახურებას კაცობრიობის წინაშე და აღნიშნა, რომ ლესინგმა, ვითარცა „რეფორმატორმა განამდიდრა

ნემენცთა ლიტერატურა, შთაბერა მას უკვდავების ახალი სული და განავითარა მთელი კაცობრიობის გრძნობა-გონებაც... ლესინგი ერთი იმ დიდ მწერალთაგანია, რომელიც თვით-მყოფი, დამოუკიდებელი გრძნობა-გონებით იკვლევს გზას, სწავლობს, უკვირდება და ულრმავდება ცხოვრების მოვლენათა რთულს მრავალ-გვარობას და ძლიერის ანალიზის განმკვეთის იარაღით ჰქმნის მხატვრობა-ხელოვნურს, სიტყვა-კაზმულს ლიტერატურას. ამავე დროს იგი გვერდში უდგას მეცნიერების და ფილოსოფიის ვითარების დიდს საქმეს, ითვისებს თავის თანამედროვე საზოგადო აზრებს და სინტეზის ძალით ამუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომ გზა გაუკაფოს მთელი მოწინავე საზოგადოების და შემდეგი თაობის ჭკუა-გონებას... ლესინგმა შექმნა ახალი დრამატიული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურის ესტეტიური ისტორია. პირველად მხოლოდ ლესინგმა დაიწყო პრუსიაში რომანტიზმის ძლიერი და დიადი აღორძინების საქმე და საუკუნოდ მოსპო იმ დროში გაბატონებული ცრუ კლასიციზმის ტახტი ლიტერატურაში".

ხომლელის ზემოხსენებული წერილის დაბეჭდვას „აკაკის კრებულში" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან ქართველი მკითხველი პირველად სწორედ ამ წერილით გაეცნო ასე ვრცლად „ქარიშხლითა და შხამ-ნაღვლით სავსე ცხოვრებას ამ გენიოსის კაცისას".

„აკაკის კრებულის" 1899 წლის მერვე ნომერში დაიბეჭდა ხომლელის „ცხოვრების მოედანი". იგი მხატვრულ-პუბლიცისტური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც იმდროინდელი ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მტკივნეული საკითხია დაყენებული. ასეთია, მაგალითად, მსჯელობა ქართველ კალმოსანთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ, ქართველი ინტელიგენციის როლისა და ადგილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეცხრე ნომერში დაბეჭდილი ხომლელის ვრცელი კრიტიკული სტატია, რომელიც დავით კლდიაშვილის შემოქმედებას ეხება. ავტორი ვიდრე კლდიაშვილის ნაწარმოებების განხილვას შეუდგებოდეს. იძლევა 80—90-იანი წლების ქართული მწერლობის ზოგად დახასიათებას. ამ პერიოდის ჩვენი ინტელექტური ცხოვრების ერთ-ერთ არსებით დამახასიათებელ ნიშნად ხომლელი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ქართულ პუბლიცისტიკასა და ლიტერატურაში თავი იჩინა მრავალგვარმა მიმართულებამ. მისი ღრმა რწმენით, ქართულ მწერლობაში არიან იდეალისტებიც (რომანტიკოსები), რეალისტებიც, ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენელნიც, სიმბოლისტებიც და დეკადენტებიც. ეს მი-

მართლებანი ერთიმეორის გვერდით სრული თანხმობით არსებობენ. ხომლელი ვერ ამჩნევს, რომ „ერთი მიმართულება სასტიკად და ძლიერად სდევნიდეს მეორეს და, რაც ღონე აქვს, სცდილობდეს ლიტერატურაში მეთაურობის დაჭერას და გაბატონებას“.

სხვადასხვა მიმართულებათა მშვიდობიან თანაარსებობას ხომლელი მათი სისუსტით ხსნის: „არც ერთს ამ ახლად მოვლინებულს მიმართულებათაგანს ცალ-ცალკე იმდენი ღონე და შეძლება არ მოეძებნება, რომ საუკუნოდ გაანადგუროს და მოსპოს სხვა დანარჩენი მიმართულებანი და ერთს თავის მიერ არჩეულს საკუთარს გზაზე დააყენოს ქართველთა გრძნობა-გონება“.

ამ სხვადასხვა მიმართულებათა არსებობას და მათ სისუსტეს ხომლელი არსებითად მცდარი თვალსაზრისით ხსნის. მისი აზრით, „ჩვენ, ქართველნი მაინც იდეურ (იდეების) სფერებში არ ვვარგვართ და შესამჩნევ ბრძოლასაც ვერ გავსწევთ აქ. ქართველი ფილოსოფოსი, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ ისტორიამ არ იცის, რადგან ლოღიკური განვითარება იდეებისა არ განგვიცდია და არც გვაინტერესებს ჩვენ. წარსულში ხომ წარმოუდგენელიც იყო ჩვენი ასეთი მუშაობა, რადგან ჩვენ მუდამ მტრებს ვიგერიებდით და ჩვენ ადგილმამულს. ჩვენს საცხოვრებელს გმირულად ვიცავდით... ჩვენში რა მიმართულებაც არ უნდა დაიბადოს, ჩვენ მას მოვეკიდებით ძალიან უგულოდ, უღონოდ, უგრძნობლად და უჭკუოდაც“.

ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების აშკარა ნიჰილისტურ შეფასებასთან. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას მრავალსაუკუნოვანი და საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ფილოსოფიური აზრი უკვე იწყებს განვითარებას, ხოლო X საუკუნის 80-იანი წლებიდან იგი განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება; არისტოტელიზმი და პლატონიზმი და მათ შორის წარმოებული ბრძოლა მკვეთრად იჩენს თავს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. აქვე ვამჩნევთ ნეოპლატონიზმსაც, რომელიც ამ ორი საპირისპირო მსოფლმხედველობის მორიგებას ცდილობს. ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, შოთა რუსთველის სახელები ამშვენებენ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას. ხოლო სამეცნიერო-ფილოსოფიური მუშაობის ორი დიდმნიშვნელოვანი ცენტრი — გელათისა და იყალთოს აკადემია ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპის ფილოსოფიურ აზრთვნებასთან.

ფილოსოფიური აზროვნების განვითარება არ შეწყვეტილა არც პატრონყმური ფეოდალიზმის დაკნინების ხანაში (XIII საუკუნის მეორე ნახევარი — XVI საუკუნის დამდეგი) და არც ბატონყმური ფეოდალიზმის ხანაში (XVI—XVIII სს.).

ბრძოლა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, რაც დასავლეთის ფილოსოფიის არსებით ნიშანს წარმოადგენდა, ახასიათებდა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას საქართველოშიც.

XIX საუკუნის დამდეგიდან ახალი ხანა დაიწყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ფილოსოფიურმა აზრმაც განვითარების ახალ საფეხურზე შედგა ფეხი. ქართველ მოაზროვნეთა შრომებში თავს იჩენს ის მიმდინარეობანი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებაში. მაგრამ ეს შებედულებანი მექანიკურად არ გადმოდიან ჩვენში. „როდესაც მეცხრამეტე საუკუნის ქართული ფილოსოფიის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა რაღაც საერთო ფილოსოფიური აზრისაგან იზოლირებული და დამოუკიდებელი ხაზი, არამედ უბრალოდ ფილოსოფიურ იდეათა განვითარება ქართულ ნიადაგზე. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს არა მარტო ერთიანობას, არამედ განსხვავებასაც ქართულსა და საერთო ფილოსოფიურ აზროვნებას შორის"[1].

თავის „კრიტიკულ შენიშვნებში" ხომლელი მეორე არსებითი ხასიათის შეცდომასაც უშვებს. მისი აზრით, „სხვა და სხვა ბილიკები ქართულ ლიტერატურაში ამ თხუთმეტი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ათი წლის შემდეგ შევამჩნიეთ. წინად შენიშნავდით და ისიც ხილად მხოლოდ და მარტო იდეალისტებს და რეალისტებს, ან ერთსა და იმავე ბელეტრისტში იდეალისტიც იყო მოთავსებული და რეალისტიც (ილ. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი და სხვ.) და განსაკუთრებულს შემთხვევებში თუ მოხდებოდა ისე, რომ მწერალი ნამდვილსა და ჰეშმარიტს რეალისტს წარმოადგენდა (გ. წერეთელი, მელანია)".

ე. წ. სხვადასხვა ბილიკები ანუ სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულებანი ქართულ მწერლობაში გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე ხომლელი ვარაუდობს, მაგრამ ეს ბილიკები ქართულ ნიადაგზე იკვალებოდა. არასოდეს ქართველთა ცხოვრება არ ყოფილა „მეტად კარჩაკეტილი, სადა, უფერული და მარტივი" და ქართული ბელეტრისტიკაც ერთხელვე გაკვალულ მარტივ გზაზე არ მდგარა. თუ ქართულ მწერლობაში ფეხი ვერ მოიკიდა დასავლეთ ევროპასა და ნაწი-

[1] ვ. გაგოიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 6.

ლობრივ რუსეთში გაბატონებულმა სხვადასხვა ლიტერატურულმა მიმართულებებმა, ეს აიხსნება არა ქართველ კალმოსანთა შეზღუდულობით და ჩამორჩენილობით, არამედ მათი მაღალნიჭიერებითა და ფხიზელი გონებით, რადგან ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მშვენივრად ესმოდა, რომ ძნელი და ხშირად შეუძლებელიც იყო ქართულ ნიადაგზე უცხო ნერგის დამყნა, თუ მას ადგილობრივ შესაფერისი პირობები არ დახვდებოდა. ქართული მწერლობა რომ გაეტაცა უცხოური „იზმების“ ბრმად გადმოღებას, მაშინ იგი ბუნებრივად დაკარგავდა ინდივიდუალობას და ეროვნულ სახეს.

გაოცებას იწვევს ის გარემოებაც, თუ რამ მიიყვანა ხომლელი იმ დასკვნამდე, რომ გ. წერეთელი და მელანია რეალიზმის ჰეშმარიტ წარმომადგენლებად გამოაცხადა, ხოლო ალ. ყაზბეგი და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე — ისეთ მწერლებად, რომელნიც მერყეობენ რომანტიზმსა და რეალიზმს შორის. ხომლელი ილია ჭავჭავაძის უმცროსი თანამედროვე იყო, რომელიც კარგად იცნობდა არა მხოლოდ ილიას ლიტერატურულ მოღვაწეობას, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც და არ შეიძლებოდა არ შეემჩნია ის დიდი ბრძოლა, რაც ილიამ გადაიხადა ყოველგვარი „იზმების“ წინააღმდეგ, კრიტიკული რეალიზმის დასამკვიდრებლად და გასაბატონებლად ქართულ ლიტერატურაში.

თუ ხომლელმა ამ შემთხვევაში სწორად ვერ განსაზღვრა ილიას როლი რეალიზმისათვის ბრძოლაში, ეს იმ უმართებულო თვალსაზრისის რეციდივია, რომელიც „კვალის“ ყოფილ თანამშრომელ ხომლელს გამოჰყვა „კვალის“ რედაქციიდან.

არასწორ თვალსაზრისს ავითარებს ხომლელი სხვა მწერლების მიმართაც. მაგალითად, მისი აზრით, ვაჟა-ფშაველა და თედო რაზიკაშვილი სიმბოლისტები არიან, შიო არაგვისპირელი (ადრეულ პერიოდში) და მასთან ერთად ან. დეკანოზიშვილი ფსიქოლოგიური მიმართულების მწერლებად უნდა ჩაითვალონ, ხოლო იგივე შ. არაგვისპირელი (ბოლოდროინდელი მოთხრობებით) და იროდიონ ევდოშვილი დეკადენტურ მიმართულებას განასახიერებენ.

ქართულ მწერლობაში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის ხომლელი ყველაზე სახიფათოდ დეკადენტობას მიიჩნევს და შეუპოვარ ბრძოლას უცხადებს როგორც ამ მიმართულებას, ასევე მის ვითომდა მხარის დამჭერს ივანე გომართელს. „ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობაში შემოპარებულს დეკადენტობას უნდა შეუპოვრად ვებრძოლოთ, — წერს ხომლელი, — ამ დეკადენტობას თავის მოსარჩლეც გამოუჩნდა. ეს გახლავთ ბ-ნი გომართელი, მათი

კრიტიკოსი, რომელიც ცრუ გზაზე უპირებს ჩვენი რეალური მიმართულების დაყენებას. საჭიროა ბრძოლა, რომ რამენაირად დეკადენტობა აღიგავოს ჩვენი ნორჩი მშობლიური ლიტერატურის ნიადაგიდან".

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არც შ. არაგვისპირელი და ირ. ევდოშვილი და არც ივ. გომართელი არ იმსახურებენ ამგვარ საყვედურს, რადგან არც ერთ მათგანს არ უარუყვია რეალიზმი, არ მისულა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ქადაგებამდე, ანტიჰუმანურ და ანტიდემოკრატიულ განწყობილებამდე, წმინდა ხელოვნების თეორიის აღიარებამდე, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულგრილ დამოკიდებულებამდე, რაც დამახასიათებელი იყო დეკადენტობისათვის.

ივ. გომართელის მონათვლა ეკლექტიკოს კრიტიკოსად, რომელიც ხომლელმა დეკადენტობის აპოლოგეტად გამოაცხადა, მხოლოდ და მხოლოდ მათ შორის არსებული არაკეთილგანწყობილებით უნდა აიხსნას, რადგან ივ. გომართელის არც ერთი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი არ იძლევა მისი ამგვარად შეფასების საფუძველს. ივ. გომართელი ერთ-ერთი იმ ნიჭიერ კრიტიკოსთაგანი იყო, რომელიც ქართულ მწერლობას ყოველთვის რეალისტური გზისაკენ მიუთითებდა და ბევრი რამეც გააკეთა, რომ ეს მწერლობა სწორ გზას არ ასცდენოდა.

რაც შეეხება ირ. ევდოშვილს, იგი ისე შორსაა დეკადენტობისაგან, როგორც კ. დ. ბალმონტი რეალიზმისაგან. საბედნიეროდ, ხომლელმა ეს მცდარი თვალსაზრისი ირ. ევდოშვილის მიმართ მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში შეცვალა და მისი შემოქმედების შედარებით სწორი შეფასება მოგვცა. 1916 წელს იგი წერდა: ირ. ევდოშვილი მარქსიზმს იზიარებდა, „მარქსიზმი მის დემოკრატიულ ბუნებას და ხასიათს შეეხორცა და მას გულით უნდოდა თავისი ერის საზღვრებში განხორციელებულიყო იგი... პოეტი არ იყო დასაჩუქრებული დიდი ცოცხალი ტემპერამენტით და მღელვარე მხატვრული შემოქმედების ტალანტით, მაგრამ მისი ენერგიული ლექსები იქცევდა ძალაუნებურად ჩვენს ყურადღებას, რადგან ახალი ჯგუფის სამოქმედო გამოსვლას ჩვენში იგი გულწრფელად უმღეროდა და მის სურვილებს და იმედებს მთელი თავისი წმინდა არსებით შეტრფოდა და შენატროდა. ამ წრეში იგი ერთადერთი პირველი მებრძოლი პოეტიც იყო, რომელსაც შემდეგში მოჰყვა საკმაოდ ნიჭიერი პოეტები: ვ. რუხაძე, ს. აბაშელი, გ. ტაბიძე, ობოლი მუშა, ნ. ჩხიკვაძე, მ. რაჭველი, ი. სიხარულიძე და სხვ."[1].

[1] ჟურნ. „ცხოვრება", 1916 წ. № 9.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ხომლელი თითქოს გრძნობს ერთგვარ უხერხულობას, რომ მოინდომა ირ. ევდოშვილისა და შ. არაგვისპირელის „აღგვა ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ნიადაგიდან“, როგორც დეკადენტი მწერლებისა და ამიტომ უნდა მათ შემოქმედებაში რაიმე ხელჩასაჭიდი დაინახოს. „ჩვენ... იმას კი არ ვამბობთ, — წერს იგი, — რომ მთელი, ეგრედწოდებული, დეკადენტური ლიტერატურა... დაავადმყოფებული წარმოდგენისა და ფანტაზიის ბოდვად მიგვაჩნდეს. არა. თუ ჩვენ გულწრფელად ჩავუკვირდებით ამ ლიტერატურის შინაარსს, აქაც უეჭველად პროტესტის შეხლა-შებრძოლების ხმა ისმის გამწარებით, რომელიც ძველ ცხოვრებას და აზრს გამოუცხადა განახლებულმა ამ დროის სულმა და მოთხოვნილებამ და რომელიც ნერვებ-აშლილ, ხასიათით მოსუსტებულ არსებათა გარდა, იწვევს და იზიდავს სამოქმედოდ ტახტრთელ, სულით და ხასიათით მტკიცე ადამიანებსაც“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, განაგრძობს იგი, პირველ ყოვლისა „ქართულს ლიტერატურაში, სადაც ყოველისფერი ლამის არის ზღაპრად იქცეს, ჩვენ ვეძიებთ მხოლოდ და მარტო რეალობას, ცხოვრების სინამდვილით, შეგნებით და დიდი ხელოვნებით გამოხატვასო“.

ვფიქრობთ, ხომლელი რომ ტენდენციურად არ მოჰკიდებოდა შ. არაგვისპირელისა და ირ. ევდოშვილის შემოქმედებას, მაშინ არ დასჭირდებოდა გამადიდებელი შუშით ეძებნა მათ მემკვიდრეობაში „ცხოვრების სინამდვილით, შეგნებით და დიდი ხელოვნებით გამოხატვა“.

ივ. გომართელთან არაკეთილგანწყობილებამ ხომლელს არც ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების სწორი შეფასების საშუალება მისცა.

როგორც ცნობილია, 1899 წელს „კვალში“ დაბეჭდილ წერილში ივ. გომართელმა ე. ნინოშვილს ხალხის გულის მესაიდუმლე უწოდა. ხომლელმა მკაცრად გაილაშქრა როგორც გომართელის, ასევე ნინოშვილის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა: „ნინოშვილს არა თუ რაღაცა მყვირალა და მისტიკური სახელწოდება „ხალხის (?!) გულის მესაიდუმლე (!!!)“ დაერქმის, არამედ ნამდვილს და ჭეშმარიტს ბელეტრისტსაც ვერ ვუწოდებთ... ნინოშვილის ნაწერებში, მართალია, იხატება ალაგ-ალაგ ცხოვრების ამბავთა პირდაპირ, მშრალად გადმოღება, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა საკუთარი შემოქმედებითი, მხატვრული ძალა და ცხოვრების მოვლინებათა გათვალისწინება და შეგნება, იგი სრულიად უღონოა და ძალიან უსუსურიც... გარდა ამისა, იგი ყოველს თავის თვალსაჩინო ნაწერში ტენდენციის ბრმა მოსამსახურე და ყურ-მოჭრილი მონაა ყოველგან“.

მაგრამ ასე არ ფიქრობდა ხომლელი 1888 წელს, როდესაც იგი „თეატრს“ რედაქტორობდა. „ამ ხანებში, — წერს იგი, — პროვინციიდან მომივიდა ეგნატე ნინოშვილის ფსევდონიმით ხელმოწერილი ჰოთხრობა, თუ არა ვცდები „გოგია უიშვილი“. მოთხრობა მომეწონა. იგი ცოცხალი, ნიჭიერი მხატვრული ენით იყო დაწერილი და ამიტომ მოვათავსე კიდეც „თეატრში“. მე აქ ვფიქრობდი თან ეგნატე ჟურნალის მუდმივ თანამშრომლად მომეწვია“.

ეს ამონაწერიც ნათლად ამტკიცებს, თუ გომართელთან პირადობა განწყობილებამ როგორ შეცვალა ხომლელის დამოკიდებულება ნინოშვილის მიმართ.

ამ საერთო და ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემდეგ ხომლელი უშუალოდ დ. კლდიაშვილის შემოქმედების განხილვაზე გადადის და მიზნად ისახავს, რომ გარკვეული ადგილი მიუჩინოს მას ქართულ ლიტერატურაში.

ხომლელი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა დ. კლდიაშვილის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე და მეტად დიდი იმედებიც დაამყარა მასზე, როგორც უაღრესად ნიჭიერ მწერალზე. მისი მართებული რწმენით, დ. კლდიაშვილი „წარმოადგენს დღეს ჩვენს ლიტერატურაში ახალს შესანიშნავს მოვლენას, როგორც თავისი ნიჭის ცხოველმყოფელობით, ისე თავისი ორიგინალობით, მოთხრობათა შინაარსის სიახლით და საინტერესოა მეტად საამო საკითხავი აბზების დახატვით. ის სურათები, რომელსაც ჰხატავს ავტორი, ცხოვრებიდან დიდის ცოდნით და შეხამებით აქვს მას დახატული“.

ხომლელი, როგორც ფრიად განათლებული და დაკვირვებული კრიტიკოსი, მშვენივრად ამჩნევს დ. კლდიაშვილის მხატვრული ტალანტის ოთხ არსებით ნიშანს; ეს არის 1. მწერლის შორსგამჭვრეტელობა, ღრმა დაკვირვების უნარი, 2. რეალიზმი, 3. ჩაფიქრებულობა და რაღაც ნაზი იუმორი და 4. პოეტური ნაღველი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი სურათი, ავტორის მიერ ხელოვნურად ჩამოსხმული.

სწორედ ამ ნიჭის მეშვეობით შეიქმნა ისეთი ბრწყინვალე ნაწარმოებნი, როგორიცაა „სოლომან მორბელაძე“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელთა მთავარ მოქმედ პირებსაც, როგორც ტიპებს, ხომლელის ზუსტი განსაზღვრით უაღრესად დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობა ენიჭებათ.

სავარაუდებელი იყო, რომ ხომლელი ამ ნაწარმოებების ფართო განხილვას წარმოგვიდგენდა, მაგრამ მან თავი შეიკავა და ეს საქმე მომავლისათვის, იმ დროისათვის გადადო, „როდესაც ავტორის ტალან-

ტი სავსებით გაიშლება, როდესაც იგი გაბედულად და ღრმად განკვეთს თანამედროვე ჩვენი ცხოვრების ახალ პირობებში გაჩეხილს ფაცა-ფუცა პირების საქციელს და მოქმედებას", — აი ამის შემდეგ ვუძღვნით დ. კლდიაშვილის ნაწერებს ვრცელ განხილვასო.

ხომლელის თავშეკავება ზემოდასახელებული მიზეზით, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია, რადგან მწერლის სიცოცხლეში ყოველთვის არ ხერხდება ზუსტად დადგენა, თუ როდის მიაღწია მისმა ტალანტმა სრულყოფილობას; ლიტერატურის ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც მწერლის უკანასკნელ აკორდს დაუჩრდილავს მისი ყველა ადრინდელი ნაწარმოები ანდა მათზე დაბალი ღირებულების არ ყოფილა. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, განა „სოლომან მორბელაძე" და „სამანიშვილის დედინაცვალი" არ იძლევა უხვ მასალას კრიტიკული მსჯელობისათვის? ამ ნაწარმოებთა მიმართ ხომლელმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ავტორი უფრო უმთავრეს გმირებს ჰხატავს შესანიშნავი რეალიზმით და კომიზმით, მეორე ხარისხის მომქმედი პირები დაჩრდილულია, სუსტად არიან დახასიათებული, სიცოცხლეს მოკლებული და ერთიანობას, რომელიც ხელოვნურ დამუშავებას მოსდევს, თითქოს რაღაც აკლია". მაგრამ ეს მსჯელობა დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, რადგან ავტორი არ ასაბუთებს ზემოხსენებულ დებულებას.

კრიტიკულ წერილში ხომლელის ყურადღების ცენტრში დ. კლდიაშვილის ორი ნაწარმოები დგას. ერთია ორმოქმედებიანი სურათი სოფლის ცხოვრებიდან — „ი რ ი ნ ე ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა", მეორე — მოთხრობა „მ რ ე ვ ლ შ ი".

ხომლელი კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულს, მან იცის, რომ „იმერეთის წვრილ-ფეხა, თავით ფეხებამდე გატყავებული ერთი ნაწილი აზნაური-შვილებისა, იმათი ყოველდღიური ცხოვრება, წვრილმანი ინტერესები, რომელნიც ბოლოს უღებენ იმათაც და მთელი ქვეყნის კეთილ-დღეობას,— ეს არის ნამდვილი ნაწრეტი და ნაშობი ჩვენი პატარა, მაგრამ ერთ დროს ფეოდალიზმით ძლიერ ჩვენი ქვეყნის არე-მარისა".

დ. კლდიაშვილის როგორც ნიჭიერი ბელეტრისტის ბრწყინვალე დამსახურება, კრიტიკოსის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო მთელი სისრულით გადმოეცა ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ეს ერთი მხარე.

ხომლელმა მშვენივრად იცის, რომ დ. კლდიაშვილი პირველი არ არის ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც თავად-აზნაურთა ცხოვრებას შეეხო; „ილია ჭავჭავაძიდან დაწყებული დღევანდლამდე, დ. კლდიაშვილამდე, არც ერთს ქართველს ბელეტრისტს, გ. წერეთლის გარ-

და, არა აქვს ფართედ და შეგნებით წინ გამოყენებული და გათვალისწინებული ის ძლიერი და რთული ბრძოლა, რომელიც გამოიწვია ცხოვრების თანამედროვე ევოლუციამ. იმ მწერლების მიერ დახატულ გმირებს აკლია სიცოცხლე, სისრულე, სული და ხორცი, უფრო აჩრდილებსა და კარიკატურებს ჰგვანან, ვიდრე ნამდვილ დასრულებულ, ხელოვნურად დახატულ ტიპებს". ამ მწერლების ნაწარმოებებს ახასიათებთ სენტიმენტალიზმი, გაზვიადება, საღებავების ჭარბად გამოყენება, რაც „სახელს უფუჭებს მათ საუკეთესო ნაწარმოებებსაც კი".

ამ შემთხვევაშიც ხომლელის აზროვნებაში „კვალიდან" გამოყოლილმა მავნე ტრადიციამ იჩინა თავი, რამაც საშუალება არ მისცა კრიტიკოსს, ობიექტური ყოფილიყო 60-იანი წლების მოღვაწეთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიმართ. ჩვენ არა გვგონია, რომ ხომლელს გულწრფელად სჯეროდეს გ. წერეთლის როგორც მხატვრისა და მოაზროვნის უპირატესობა ილია ჭავჭავაძესთან შედარებით. სხვა ნაწარმოებებს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ერთი წუთით მაინც შეიძლება დაეუშვათ, რომ „კაცია ადამიანის" და „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენების" ტიპები აჩრდილებად და კარიკატურებად გამოვაცხადოთ? დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ამ შეცდომის არსებით მხარეს და მის იდეოლოგიურ საფუძველს.

თუ ხომლელი შეცდა 60-იანი წლების კალმოსანთა და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შეფასების დროს, სამაგიეროდ დ. კლდიაშვილის შემოქმედების საკმაოდ საინტერესო და არსებითად სწორი დახასიათება მოგვცა. მან კარგად შენიშნა, რომ „დ. კლდიაშვილი ჰხატავს ცხოვრების სინამდვილეს, იგი განშორებულია სანტიმენტალიზმსა და გაზვიადებას და ავტორი ჰეშმარიტი მწერლის ტაქტით და საქციელით ფერ-უმარილებს, ზღაპრულ ამბებს და წარმატებულ ფარჩის ბაღდადებს შორს, ძალიან შორს გაურბის. ამასთანავე სრული ობიექტივობა, ნაზი იუმორი ავტორისა მისს მოთხრობების შინაარსს ღრმა და ძლიერ ინტერესს აძლევს, და ის პოეტური ცოცხალი სული, რომელიც მოჰბერს ხოლმე ყოველგან კლდიაშვილის მიერ დახატულ სურათებს, ჰხდიან ამ სურათებს მხატვრულად დასრულებულ ნაწარმოებად".

დ. კლდიაშვილმა თავისი მხატვრული ოსტატობა მშვენივრად გამოამჟღავნა „ირინეს ბედნიერებაში" აბესალო სალამთაძის სახის გამოქანდაკებით. კრიტიკოსმა იცის, რომ მის „მსგავსს ხალხს იცნობს ჩვენი ლიტერატურა. ის იერემია წარბას („პირველი ნაბიჯი" — გ. წერეთლისა) და მისი აჩრდილის ტარიელ მკლავაძის („ჩვენი ქვეყ-

ნის რაინდი“ — ნინოშვილისა) ახლო მონათესავეა. მაგრამ აბესალომს ნიჭიერმა ავტორმა მაინც შთაბერა ახალი სული და ცხოვრების განსხვავებულ გარემოებაში დაგვიხატა იმის ხასიათი და საქციელი“.

აბესალო ის ხორცმეტია, ტიპია „შეზარხოშებული აზნაურიშვილისა“, რომელიც ჩვენმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წარმოშვა და რომელიც სოციალურად უაღრესად მავნე ელემენტია. ხომლელი ხედავს, რომ განახლებული ცხოვრების პირობებში განსაკუთრებით იგრძნობა ამგვარი ტიპების ზედმეტობა, მაგრამ მათი რიცხვი მატულობს და კი არ კლებულობს. „აგერ მეოცე საუკუნეში გადავდივართ, — წერს ხომლელი, —- თითქოს განახლებული ცხოვრების ქამმაც ჩვენშიაც დარეკა, და ამ თავზე ხელ აღებულთა რიცხვი ქალაქებსა, დაბებსა, სოფლებსა და რკინის გზების სადგურებზე არა თუ კლებულობს, მგონია, მატულობს კიდეც და მათი საქციელით ქვეყანას თავი ეჩვრება და დიდი საგრძნობელი ზარალიც ეძლევა“. ამიტომ ხომლელმა სავსებით დროულად და მწერლის უდიდეს დამსახურებად მიიჩნია XIX საუკუნის ქართველი თავადაზნაურობის ტიპურ სახეთა დახატვა სრულიად ახალ ვითარებაში.

რაც შეეხება ფილიპე ბარბაქაძეს, ხომლელის მართებული თვალსაზრისით, „იგი ძველი დროის ნაშთია, მაგრამ ესეც ნამდვილი ტიპია.... ბარბაქაძე დახავსებული გრძნობა-გონების პატრონია. იმთავითვე ისე აღზრდილა იგი, რომ ერთი ნათელი აზრი არ მიჰკარებია მის გონებას, მუდამ ისეთ ხალხში და წრეში უტრიალებია, რომ ძალა-უნებურად ცხოვრების ცუდს, გამათახსირებელს მხარეებს აწყდებოდა“. დ. კლდიაშვილის ღირსება, კრიტიკოსის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფილიპე ბარბაქაძის ტიპის ოსტატურად გამოძერწვით ავტორმა ნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრების ძლიერი ქარტეხილი აუცილებლად წალეკავს ბარბაქაძეებს, მაგრამ თანამედროვე პირობებში საჭიროა მეტი ბრძოლა, მეტი ინიციატივა.

ხომლელმა ძალიან კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ბევრნი იყვნენ აბესალოსა და ფილიპეს მსგავსი გონებაჩლუნგი პიროვნებანი, მაგრამ თავადაზნაურობის წრეში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ბევრად მაღლა იდგნენ ზემოხსენებულ ტიპებზე. დ. კლდიაშვილის მხატვრული ხედვის დიდ დამსახურებად ხომლელი სწორედ იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ბიქტორის სახით დაგვიხატა სრულიად ახალი ტიპი ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. „აქამდის, — წერს ხომლელი, — ვინც კი შეხებია ჩვენ თავად-აზნაურთა ცხოვრებას, ყველანი უარყოფით და რაღაც ერთხელვე აჩემებულის ტენდენციით ეკიდებოდნენ ხოლმე თავის საგანს. დ. კლდიაშვილმა ღრმად და შეგ-

ნებით ჩაიხედა ცხოვრებაში და თავად-აზნაურთა შორის დღეს დაინახა მეტად სიმპატიური და ნათელი არსება, რომელსაც ყოველს სიტყვა-პასუხში და საქმეში ეტყობა გონიერი მოქმედება“.

თუ აბესალო, ფილიპე და ბიქტორი სრულყოფილი ტიპები არიან, სამაგიეროდ კრიტიკოსი შენიშნავს მწერალს ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის, ირინეს და მასთან ერთად როდამაშვილის მკრთალად გამოხატვას, რაც „ხელს უშლის დრამატიზმის თან-დათანობას და პიესას აკლდება სიცოცხლე“.

ხომლელის ეს შენიშვნა უდავოდ მართებულია, მაგრამ, როგორც პროფ. დ. გამეზარდაშვილი აღნიშნავს, „ამაში მთავარი ბრალი მწერლის მიერ გაკიცხულ ცხოვრებას მიუძღვის და არა თვით მწერალს. რა ქნას მხატვარმა, როცა „ბედს“ ისე უნებებია, რომ საკუთარ ბედნიერებას თუ უბედურებაშიც ისინი მეორეხარისხოვან ფიგურებს წარმოადგენენ. იქნებ ამის არ ჩვენება უფრო მეტს დააკლებდა პიესას?“[1].

ხომლელის მეორე შენიშვნა დავით კლდიაშვილისადმი მწერლის მიერ ტენდენციის გაგების, მხატვრული განზოგადებისა და ფანტაზიის ძუნწად გამოყენების საკითხს ეხება. კრიტიკოსის მართებული რწმენით, გამოგონებული ზღაპრები, ფანტაზია და ტენდენცია შესანიშნავი მხატვრის ხელში სინამდვილეს არ ამახინჯებს. დ. კლდიაშვილი კი ამ შემთხვევაში გადაჭარბებით თავშეკავებულია. „აჭარბებს მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნამდვილ ხელოვნურ მხატვრობისათვის არა კმარა ცხოვრების მარტო სინამდვილის მშრალად, პირ-წმინდად აღნიშვნა და გადაღება. საჭიროა ერცელი მხატვრობა, შეგნებით დასურათება მოვლინებათა ურთიერთობისა, პოეტური მოგონებაც, ასე ვსთქვათ, წარმატება, სწორედ იმიტომ, რომ ეს სინამდვილე დიდი სიცხოველით, გარკვევით და შუქის მოფენით დაგვიხატოს თვალწინ“.

ხომლელმა ის გარემოებაც მართებულად შენიშნა, რომ „ირინეს ბედნიერების“ მეორე მოქმედება მწერალს სუსტი და უფერული გამოუვიდა, რადგან „ირინეს და აბესალომს შორის ურთიერთი დამოკიდებულება ვერ არის გარკვეული და დახატული, მაგიერად ავტორი ირინეს მხოლოდ მეოჯახედ ჰხატავს და ეს თითქოს რაიმეს მატებდეს დრამატიზმის ვითარების საქმეს“.

კრიტიკოსს არც პიესის ფინალი მოსწონს, რადგან ქმრის მიერ ცოლის ხანჯლით მოკვლა ე. წ. ეფექტისა და „უშველებელი შთაბეჭდილების“ მოხდენის მიზნით არის ხოლმე გამოყენებული უნიჭო

---

[1] ხ ო მ ლ ე ლ ი, რჩეული ნაწერები, გვ. 034.

დრამატურგების მიერ, ჰკუისა და ტალანტის მადლით ცხებულ დ. კლდიაშვილს კი არ მართებდა მათი მიბაძვა. მწერალს შეეძლო პიესა უკატასტროფოდ დაემთავრებინა. „ცოლისთვისაც და ქმრისთვისაც კმაროდა მხოლოდ ერთად ერთი ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ტანჯვა, უბედურება და ის საწამლავი, რომელმაც ირინე „გააბედნიერა“ ცხოვრებაში“. გარდა ამისა აბესალოს მსგავს ადამიანებს არ სჩვევიათ „მამაცური“ საქციელი, ისინი ველურები არიან და ველურები კი „გერბერტ სპენსერისა არ იყვეს, მეტად მხდალი და მშიშარა ხალხია... “

ამავე წერილში ხომლელმა ვრცლად მიმოიხილა დ. კლდიაშვილის მოთხრობა „მ რ ე ვ ლ შ ი“. კრიტიკოსის სიტყვით, ეს ნაწარმოები „წმინდა განხორციელებული მხატვრობაა თავიდან ბოლომდე. ჩვეულებრივი ამბავია აღებული, მაგრამ რა სიამოვნებითა და გატაცებით იკითხება იგი, რა დიდ შთაბეჭდილებას იწვევს, რადგან დაწერილია დიდი დაკვირვებით და მხატვრობით“.

ხომლელმა სწორად შენიშნა, რომ მოთხრობაში მწერლის მიერ არასრულყოფილად არის დახატული მღვდლის ხასიათი. მართლაც, დ. კლდიაშვილი, მისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით მაღალი იდეებით გატაცებული ახალგაზრდა მღვდლის მეტად საინტერესო სახეს ქმნის. ხომლელი არ არის კმაყოფილი მწერლის მიერ გამოკვეთილი სახისა. მისი აზრით, იგი „ვერ არის მთელის სამხატვრო სავსებით დამუშავებული“, რადგან „ავტორს თავისი მოთხრობის გმირი, რაღაც განცალკევებით, შემთხვევით აქვს გამოყვანილი, რაღაც განკერძოვებულად ხატავს მღვდლის ყოფას მრევლში და ოდნავადაც არ გვიხსნის იმ შინა და გარე რთულ მიზეზებს, რომელნიც ირგვლივ შემოხლართვია მთელს ჩვენს აწინდელს ცხოვრებას“.

დ. კლდიაშვილის რეალიზმის ძლიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის უნუგეშო მდგომარეობით „გულ-დაჩაგრული, გულ-აჩვილებული“ მამა ზოსიმე თვით ამ ხალხისაგან იზოლირებული აღმოჩნდა. დ. კლდიაშვილმა მშვენივრად გვიჩვენა, რომ „მამა ზოსიმე მხოლოდ მძიმე ტვირთია თავის მრევლისა“. მეტად ნიშანდობლივია კიმოთეს სიტყვები, რომლებშიც მშვენივრად იხატება ის „შინა და გარე რთული მიზეზები“, რომელნიც ირგვლივ შემოხლართვია ჩვენი სოფლის იმდროინდელ ცხოვრებას: „განათლებული მოძღვარი, რასაკვირველია, სჯობია გვყავდეს, მაგრამ მეტ ტვირთად გვაწვება.... ჩვენ ჩვენი საკუთარი გაჭირვება გვეყოფა, ძლივს სული გვიდგა ტანში, ჩვენ მაგისაგან მოველით შველას და დახმარებას, ჩვენი გაჭირვების გაადვილებას, და ამის მა-

გიერად ტვირთად გვაწვება... დასაბინავებლათ ჩვენ გვიხთება და შესანახავათ... ჩვენც ცოდვანი ვართ!“

ზოსიმე მღვდელმა მშვენივრად იგრძნო, რომ „ეს მრევლი მას მტრულის თვალით უცქერის, ნათლად ხედავს, რომ ამ მრევლში იგი სრულიად ხორცმეტია, მას ადგილი არა აქვს ამ გლეხთა საზოგადოებაში და იმათ გარეშე უნდა დარჩეს მთელი მისი სიცოცხლე. ამ ახალგაზრდამ ამ წამსვე იგრძნო, რომ მისთვის მომავალი დაღუპულია, აწმყო წარხოცილი და შერცხვენილი“.

დ. კლდიაშვილს სწორედ ამის ჩვენება სურდა, რადგან იგი, როგორც ჩვენი ცხოვრების დაკვირვებული და ნიჭიერი მხატვარი, მშვენივრად გრძნობდა და ხედავდა, რომ 900-იანი წლებისთვის სამღვდელოებას ფეხქვეშ ნიადაგი ეშლებოდა, მისი მომავალი დაღუპული იყო, ხოლო აწმყო — შერცხვენილი.

ჩვენი აზრით, ხომლელმა სწორად ვერ გაიგო მწერლის ჩანაფიქრი. იგი ფიქრობს, რომ ამ ნაწარმოებში დ. კლდიაშვილმა ორი საკარგებლო და აუცილებლად საჭირო საკითხი დააყენა: „პირველი შეეხება ჩვენი ქვეყნის სამღვდელოების ნივთიერად მეტად უნუგეშო მდგომარეობას, მეორე—სამღვდელო პირთა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების და განვითარების დიდს საჭიროებას და სარგებლობას“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა „მრევლში“ დ. კლდიაშვილი ოდნავადაც არ არის დაინტერესებული სასულიერო წოდების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, რადგან მან მშვენივრად იცის, რომ მათი მატერიალური წარმატება ფართო მშრომელი მასების ხარჯზე ხდება და საესებით აპარტახებს მათ ისედაც გაევრანებულ ყოფას; რომ სასულიერო წოდებას „თვალები აქვს გამოპრაწული, რომ თავის სულიერ შვილების წანაგლეჯით გამოიტანოს თავი, იმის მაცადინეა, რომ თავისი თავი სოფელს შეაპაროს და სარჩენად გაუხადოს მას თავის ოჯახი“.

მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ თვით კეთილი. კაცთმოყვარე მამა ზოსიმეც კი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „...მართლა თვალებგამოპრაწულად უნდა იყვეს, თორემ ვერც სხვას წაადგება და თავის თავსაც ავნებს. ყოველივე ოცნებაზე ხელი უნდა აიღოს, იცხოვროს ისე, როგორც სხვები სცხოვრობენ. დროა აწი სოფლის ადათს შეეჩვიოს“.

დ. კლდიაშვილი არც სამღვდელო პირთა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საკითხით არის დაინტერესებული, როგორც ეს ხომლელს ჰგონია. ყოველ შემთხვევაში, ზოსიმეს შეკითხვაზე: „სად მიბრძანდები, მამაო მიხეილ?“, — გამოჩერჩეტებული მღვდლის პა-

სუხი: — ქუთაისში, აგერ ეს ვაჟბატონი მიმყავს, ეგებ გვარი დაამშვენოს თავის ჭკუითა და სწავლა-განათლებითო, — ხომლელის დებულების საბუთად არ გამოდგება.

ხომლელს რომ არასწორი წარმოდგენა ჰქონდა სამღვდელოების როლზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში, ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს.

ხომლელი ამჩნევს, რომ სოფლად მომხდარმა ეკონომიურმა ცვლილებებმა განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში სამეურნეო პრაქტიკული ცოდნის გავრცელების, მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის, გლეხობის ჯანმრთელობის დაცვის, მისი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების და სხვა მრავალი საკითხი. ყველა ამ საკითხზე ზრუნვა, მისი აზრით, სოფლად განათლებულ სამღვდელოებას ეკისრება, „თვით ცხოვრების საჭიროებანი თხოულობენ დღეს და ხმამაღლაც თხოულობენ, რომ სამღვდელო პირი იყვეს განათლებული უნივერსიტეტში, მაღალი და ნამდვილი სწავლით აღჭურვილი, რომ შეეძლოს ნამდვილი მოღვაწეობა თავისი სინიდისისა და საქმის წინაშე".

საკვირველია, რომ ამ დებულებას აყენებს ის პირი, რომელიც თავის თავს ერთ-ერთ პირველ მარქსისტად თვლიდა საქართველოში.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, რომლებიც ხომლელის „კრიტიკულ შენიშვნებს" ახასიათებს, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ დ. კლდიაშვილის შემოქმედების შესწავლისათვის, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის განვითარების გზების გასათვალისწინებლად.

1900 წელს „აკაკის კრებულის" მესამე და მეოთხე ნომერში, რომელიც ერთ წიგნად გამოვიდა, ხომლელმა განაგრძო 1894 წელს „კვალში" დაწყებული სტატიის — „ქართველი გლეხის შვილის" — ბეჭდვა, მაგრამ ჟურნალის დახურვის გამო მისი დამთავრება არ მოხერხდა.

„ქართველი გლეხის შვილი" საინტერესოა არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ აფასებს ხომლელი მელანიას ფსევდონიმით ცნობილი ნიჭიერი ბელეტრისტის ნიკოლოზ ნათიძის მოთხრობა „ბნელოს", არამედ თვით ხომლელის ლიტერატურულ-კრიტიკული მრწამსის გასარკვევადაც. წერილი მით უფრო საყურადღებოა, რომ მასში ავტორი მხოლოდ „ბნელოს" განხილვით არ კმაყოფილდება და გზადაგზა სხვადასხვა მწერლებისა და კრიტიკოსების შესახებაც მსჯელობს.

ვინაიდან „აკაკის კრებულში" ამ ვრცელი სტატიის მხოლოდ მცირე ნაწილია დაბეჭდილი, ამიტომ აქ მას არ შევეხებით.

ხომლელთან ერთად „აკაკის კრებულში“ თანამშრომლობა დაიწყო ვასილ წერეთელმაც. მან 1899 წლის V და VI ნომრებში დაბეჭდა ორი წერილი საერთო სათაურით: „კრიტიკული წერილები“.

პირველი წერილი — „ხელოვნური ლიტერატურა“ — ზოგადთეორიული ხასიათისაა, რომელშიც ავტორი რამდენიმე ფრიად საყურადღებო საკითხს იხილავს. მას სურს გაარკვიოს, თუ რაში მდგომარეობს მსგავსება და განსხვავება ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის, რას წარმოადგენს სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობები და როგორია მათი ზემოქმედება ადამიანის ბუნებაზე, რით განსხვავდება ხელოვნური თხზულება არახელოვნურისაგან და სხვ.

წერილის ამ ნაწილში ვ. წერეთელი საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობს. მართალია, დღეს მისი ზოგიერთი დებულების გაზიარება შეუძლებელია, მაგრამ თავის დროზე ამ წერილს უდავოდ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ სპეციალურ წერილს ლიტერატურის თეორიის სფეროდან, რომელიც ხელს უწყობდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას ამ მიმართულებით.

მეორე წერილში ვ. წერეთლის მიერ განხილულია სამი პოეტი: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი.

ვ. წერეთელს გრ. ორბელიანი თავისი შემოქმედებით შუა საუკუნეების პირმშოდ მიაჩნია, რომლის იდეალიც არის იდეალი მეომრისა. ვ. წერეთლის აზრით, გრ. ორბელიანი „თუ წარსულში წინაპრებს და მათ მამაცობას ამკობდა, თანამედროვე ცხოვრებაში ქალების ტრფიალებისა და ქეიფის მეტს ვერაფერს ხედავდა თავის ყურადღების ღირსს“.

თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ არ შეიძლება გაიზიაროს კრიტიკოსის ეს თვალსაზრისი, რადგან გრ. ორბელიანისათვის არ არის დამახასიათებელი გულგრილი დამოკიდებულება თავისი დროის პოლიტიკური და სოციალური პრობლემებისადმი. გრ. ორბელიანის პოეტური ნაწარმოებები, მისი ცნობილი „დღიური“, ეპისტოლური მემკვიდრეობა და პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა მკაფიოდ გვიჩვენებს მის კოლოსალურ ინტერესს თანამედროვეობის აქტუალური საკითხებისადმი.

ვ. წერეთელი სწორად შენიშნავს, რომ გრ. ორბელიანი გულწრფელად მისტირის ძველ დაკარგულ დიდებას, მაგრამ ცდება, როდესაც ფიქრობს, თითქოს პოეტი არაფერს ეძებდეს ახალს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გრ. ორბელიანის მრწამსის გამომხატველად ვ. წერეთელს მიაჩნია პოეტის „პასუხი შვილთა“ და „სადღეგრძელო“.

„პასუხი შვილთა“ ის ნაწარმოებია, რომელშიც „იხედება დაუფარავად მისი გულუბრყვილო იდეალი. იგი სწუხს, რომ დაივიწყეს ძველებური მამაცობა და ძველი რწმენა. მას წინაპართა საფლავების შეურაცხება ჰგონია ყოველივე, რაც ეწინააღმდეგება ძველ რწმენა-შეხედულებას. იგი წინააღმდეგია ახალი ენის, რომლითაც შესაძლოა გამოითქვას ახალი აზრი“.

ვ. წერეთლის ეს თვალსაზრისი არსებითად მართებულია. მაკრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ გრ. ორბელიანის თეორიული შეხედულებანი ქართული ენის შესახებ არ ეთანხმებიან მის როგორც პოეტის პრაქტიკულ საქმიანობას. მაგალითად, თავის კრიტიკულ წერილში — „მგზავრობა სვანეთისაკენ“, გრ. ორბელიანი აღშფოთებულია ახალი თაობის მიერ ქართული ორთოგრაფიის გამარტივებით და კატეგორიულად აცხადებს: „ჩუმნ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კადნიერებით, უარვჰყოთ, გადავაგდოთ და შევჰსცვალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიც დაჰსდუმს ჩუმნისა ენისა-თჳს დიდად მეცნიერთა ღრამატიკოსთა“[1]. აქვე გრ. ორბელიანი აყენებს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სალიტერატურო ენას. ეს მოთხოვნები ანტონ კათალიკოსის თვალსაზრისს ემყარება.

მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, თავის პოეტურ თხზულებებში გრ. ორბელიანი ყოველთვის არათუ ორთოგრაფიის ანტონისეულ წესების დაცვას ვერ ახერხებს, არამედ თავისი ლექსიკიდანაც კი დევნის ამ სკოლისათვის დამახასიათებელ არქაიზმებს. გრ. ორბელიანის შემოქმედებაში მკვეთრად იგრძნობა პოეტური სილაღე. მუხამბაზების თემატიკამ, ნებით თუ უნებლიეთ, გრ. ორბელიანს საშუალება მისცა სალიტერატურო ენა ხალხური მეტყველებისათვის დაეახლოებინა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქართული ენის განახლების გარიჟრაჟზე. იონა მეუნარგია თავის ვრცელ გამოკვლევაში — „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“ — შენიშნავდა: გრ. ორბელიანის ენას საეკლესიოსა და მდაბიურს შორის „შუა ადგილი უჭირავს. ეს ენა უფრო მდაბიოა, ვიდრე საეკლესიო: მდაბიო ენისა იმას აქვს ნაკლი, საეკლესიო ენისა — სიტყვები და სიტყვის ფორმები, რომელსაც ჩვენი ეხლანდელი მწერლობა არ ხმარობს. პირველი ენის თვისება პოეტის ენას ხდის ყოველთ-

---

[1] გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, 1959, გვ. 317.

ვის გასაგებად, მეორე ენის ელემენტი აძლევს მას ძლიერებას და სიმაღლეს"[1].

სწორედ ეს გარემოებაც ჰქონდა მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როდესაც რევაზ ერისთავთან კამათის დროს აღნიშნავდა: „გიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედმამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!.. რომ არა გვყავდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენასა?"

ვ. წერეთელი სწორად შენიშნავს გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭიერების იმ თავისებურებას, რომელსაც ლაკონიურობა ეწოდება. მისი მართებული რწმენით, პოეტის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ „გრ. ორბელიანს აქვს ნიჭი ორი-სამი სიტყვით დაასურათოს ის, რასაც სხვა მრავალსიტყვაობითაც ვერ დაასურათებს".

გრ. ორბელიანის პოეზიის უდიდეს ღირსებად ვ. წერეთელი იმ გარემოებასაც მიიჩნევს, რომ მის ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა „სიყვარული წინაპრების გმირული მოღვაწეობისა, თავგანწირული ბრძოლისადმი, თავისი არსებობის დასაცველად გარეშე მტერთაგან... გრ. ორბელიანი პოეტია ჩვენი მამაცი წინაპრებისა, რომელნიც განუსაზღვრელი მადლობის ღირსი არიან ჩვენგან, რადგან მათ დაიცვეს, თავისი გმირობით, ჩვენი მშვენიერი ქვეყანა, დაგვიცვეს ჩვენ აუარებელ განსაცდელთა შორის".

წინაპართა შესანიშნავ ეპოპეას, ვ. წერეთლის აზრით, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო" წარმოადგენს.

ვ. წერეთელმა გრ. ორბელიანში დაინახა აგრეთვე ბუნების დიდი მხატვარი და სიყვარულის გრძნობის მაღალნიჭიერად გამომხატველი პოეტი.

კრიტიკოსი გრ. ორბელიანის მიმართ გარკვეულ საყვედურსაც გამოთქვამს იმის გამო, რომ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე პოეტმა „ერთი ვრცელი პოემა მაინც არ დასწერა". საყვედური, ცხადია, მართებულია, მაგრამ უმართებულოა ხელოვნების ამ დარგში გრ. ორბელიანის სიჩუმის მიზეზის ვ. წერეთლისეული ახსნა. მისი აზრით, „გარეშე პირობები სრულიად არ უწყობდნენ ხელს მისი ნიჭის განვითარებას. გრ. ორბელიანის ნიჭი ჩაიღუპა ცხოვრების ავ პირობებში".

უდავოა, რომ ვ. წერეთლის ეს მოსაზრება მცდარია. ნ. ბარათაშვილმა, რომელსაც ამავე რთულ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება და

[1] „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 1—2, გვ. 339.

რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ვერ გადმოაბიჯა, შეძლო შეექმნა უშესანიშნავესი პოემა „ბედი ქართლისა“. გრ. ორბელიანს კი, რომელმაც XIX საუკუნე თითქმის ბოლომდე მიიტანა, ეს საუკუნე, რომელშიც იშვა პოეტური ეპოსის ისეთი ბრწყინვალე შედევრები, როგორიცაა „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, „თორნიკე ერისთავი“ და სხვანი, ყოველგვარ პირობებს უქმნიდა, რათა დაეწერა თავისი მაღალნიჭიერების სადარი თუნდაც ერთი ბრწყინვალე პოემა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები გრ. ორბელიანის გასამართლებლად არ გამოდგება. მისი სიჩუმის მიზეზი უფრო სხვაგან უნდა ვეძიოთ...

დასასრულს, ვ. წერეთელი გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძესაც“ შეეხო და სავსებით სწორად აღნიშნა, რომ ეს ნაწარმოები „თუმცა ნიჭიერად არის დაწერილი, მაგრამ იგი შეადგენს დისონანსს გრ. ორბელიანის ლექსებში და აიხსნება ახალი ხალხური მიმართულების ზედ-გავლენით გრ. ორბელიანზე“.

მართლაც, „მუშა ბოქულაძე“ სრულიად განკერძოებით დგას გრ. ორბელიანის პოეტურ სამყაროში, რაც „ახალი ცხოვრების“ უშუალო ზეგავლენით აიხსნება. ამ გარემოებას პირველად ილია ჭავჭავაძემ გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ „...დამალულ წყლულსა საზოგადოებურ სატკივარისას სამოციან წლებში გამოქვეყნებულსა (გრ. ორბელიანმა — ი. ბ.) თავისებური შუქი მიაფინა... ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწრით ოხვრას მუშაკაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალებში მორეულ ცრემლსა და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სად ჰკვნესის მუშა“.

მეოცე საუკუნის დასაწყისში კ. აბაშიძემ გაიზიარა ი. ჭავჭავაძისა და ვ. წერეთლის თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ „ახალი ლიტერატურის ზედგავლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1874 წელში მან „მუშა ბოქულაძე“ დასწერა, სწორედ 14 წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის „მუშისა“.

მეტად საყურადღებოა ვ. წერეთლის მოკლე ეტიუდი, რომელშიც ავტორი ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედების შეფასებას იძლევა. ვ. წერეთელმა სწორად გაიგო ნ. ბარათაშვილის როლი, ადგილი და მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებაში. მისი მართებული რწმენით, „ნიკ. ბარათაშვილი წარმოადგენს პირველ მაგალითს ქართულის გონებრივი და ზნეობრივი მოძღვრებისას, გამოფხიზლებისას“. ნიკ. ბარათაშვილი ის ადამიანია ქართულ პოეზიაში, რომელსაც

„პირველად მიაშუქა ევროპის განათლების სხივმა. თუმცა პირდა-პირ არა, ალმაცერად მაინც“.

ნიკ. ბარათაშვილი მებრძოლი სულის პოეტი იყო, რომელიც თა-ნადროულობასთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა. კრიტიკოსის რწმენით, იგი, „როგორც სხვა, ახალი აზრებისა და გრძნობების კაცი, ვერ ურიგდებოდა მაშინდელ ცხოვრებას, მაშინდელ ჩვეულებას და ამიტომ ჰქონდა უკმაყოფილება ცხოვრებასთან“.

ვ. წერეთელი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ცხოვრების უფერულობით გამოწვეულ მარტოობისა და ობლობის გრძნობას ნ. ბარათაშვილის პიროვნებაში. სწორედ ამ გრძნობამ დააკავშირა პოეტი ასე ძლიერად ბუნებასთან. რაც უფრო დიდია ადამიანის სულიერი ტანჯვა, მით უფრო ძლიერია მასში მარტოობის გრძნობა და მისწრაფება ბუნებისადმი. „ამით აიხსნება ძლიერი სიყვარული გენიოსებისა ბუნებისადმი, ამით აიხსნება ამგვარივე სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილისაც“, რაც მშვენივრად გამოიხატა მის ლექსებში: „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“.

ვ. წერეთელი სწორად შენიშნავს, რომ თუმცა ნ. ბარათაშვილი რთული ფილოსოფიური ძიების შედეგად რწმუნდება ცხოვრების ამაოებაში, მაგრამ პოეტი ადამიანის წინაშე ფართო საკაცობრიო ამოცანას სახავს — ეს არის „ზრუნვა სოფლისათვის“.

ვ. წერეთელი ხედავს, რომ ნ. ბარათაშვილის წინაშე ალტერნატივა იდგა. იგი ან უნდა ჩაფლულიყო მოდუნებული საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაობში, „შეერთებოდა იმ წრეს, რომელიც მას გარს ერტყა, ანდა კიდევ უფრო უნდა გაედიდებინა ის უფსკრული, რომელიც სუფევდა იმას და საზოგადოებას შორის“. ნ. ბარათაშვილმა უფსკრულის გაფართოება არჩია და საკუთარი ტანჯვა-წამებით შეეცადა გზის გაკაფვას ჰეშმარიტების ძიებისათვის, თანამოძმეთა უკეთესი მერმისისათვის. ძლიერი სწრაფვა ნათელი მომავლისაკენ, ჰეშმარიტებისაკენ მკაფიოდ აისახა ლექსში „მირბის, მიმაფრენს... “.

ვ. წერეთლის რწმენით, ნ. ბარათაშვილს სურს, „რაც შეიძლება მალე მოიახლოვოს ჰეშმარიტება, რომელიც არის ერთად-ერთი მიზანი მისი ცხოვრებისა. ჰეშმარიტების ძიებაში იგი ჰკარგავს სწორსა და მეგობარს, მშობლებსა და სატრფოს, დაჰკარგავს თვით სამშობლოს, იგი იქნება უბედური, მაგრამ ყოველ ამას მოაქარვებიებს მაღალი, კეთილშობილური მისწრაფება ჰეშმარიტებისადმი“.

ვ. წერეთელი საინტერესო დაკვირვებას აწარმოებს გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებით შესაძლებლობებზედაც. მისი აზრით, შემოქმედებითი ძალა „ნ. ბარათაშვილშიაც ისეთია, როგორც გრ. ორბელიანში. განსხვავება ის არის, რომ გრ. ორბე-

ლიანის ენაში მეტი აღტაცება და სისწრაფე სჩანს, მისი ენა უკედ გამოხატავს გარეგან მოქმედებას, ბარათაშვილის ენა კი უფრო აუჩქარებელია, დამაფიქრებელი, მწუხარე, თუმცა ლამაზი, მშვენიერი და თან მხნე, მამაცური, ეს მხნეობა, ეს მამაცური ძლიერება, მიაღწევს უაღრესს წერტილს ლექსში „მირბის, მიმაფრენს...“ ეს ლექსი არის შედევრი ნ. ბარათაშვილის ლექსებისა“.

ასეთია დასკვნა, რომლითაც ამთავრებს ვ. წერეთელი ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ მოკლე სტატიას.

ნ. ბარათაშვილის შემდეგ ვ. წერეთელი აკაკის შემოქმედების მიმოხილვაზე გადადის. წერილს ამ ნაწილს რედაქციის ასეთი შენიშვნა ერთვის: „შეიძლება ზოგმა ნამეტნავად ჩამოართვას რედაქციას ამ თავის დაბეჭდვა, მაგრამ იგი მოიქცა ასე მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ამ წერილებისათვის არ გამოეცვალა ავტორის მიერ მიცემული საერთო გეგმა“.

ვ. წერეთლის წერილი იწყება ნ. ბარათაშვილისა და აკაკის შედარებით და, საერთოდ, მთელი წერილი ამ შედარებითი მეთოდითაა დაწერილი.

ორი მწერლის ერთმანეთთან შედარება საკმაოდ რთული და ერთგვარად სახიფათოც არის, მით უფრო, როცა ეს მწერლები მთელი ეპოქით არიან ურთიერთისაგან დაშორებული. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს როგორც მათი მოღვაწეობის პერიოდის თავისებურებანი, ასევე მათი ლიტერატურული მიმართულებაც.

ვ. წერეთელი მშვენივრად ხედავს იმ განსხვავებას, რომელიც ახასიათებდა ნ. ბარათაშვილისა და აკაკის მოღვაწეობის პერიოდებს. კრიტიკოსი არსებითად კარგად ერკვევა მათ თავისებურებებში, აკაკის შემოქმედების მოტივებს მისი ეპოქის ცოცხალ გამოძახილად თვლის, მაგრამ ის სწორი თვალსაზრისი, რაც ვ. წერეთელმა ბარათაშვილის შესახებ წინა წერილში განავითარა, აკაკისთან შედარების პროცესში ერთგვარად გაამრუდა. მაგალითად, წერილის დასაწყისშივე ვ. წერეთელი წერს: „ნ. ბარათაშვილი არ ეხებოდა საზოგადო კითხვებს, საზოგადო ურთიერთობას. იგი მოიწვევდა თავის წრის კაცებს პირადი განვითარებისადმი. იგი იყო მწერალი ერთი წრისა. აკაკი პოეტია მთელი საზოგადოებისა, მთელი ხალხისა; იგი ეხება ყოველ წრეს საზოგადოებისას და მოიწვევს პროგრესისადმი ყველას ერთნაირად. პროგრამმა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა იყო უფრო ვიწრო, აკაკიმ გააფართოვა პოეზიის პროგრამა მით, რომ მიაღებინა მონაწილეობა პოეზიას ცხოვრების ყველა ინტერესებში. მიზეზი ამგვარი განსხვავებისა ამ ორ პოეტს შორის ის არის, რომ ბარათაშვილი

სცხოვრობდა იმ დროს, როდესაც ჩვენში შეუძლებელი იყო ფიქრი საზოგადო კითხვებზე".

ვფიქრობთ, ორი სხვადასხვა ეპოქის დიდი პოეტის შედარება ამ განასერში უხერხულია. არ არის სწორი, თითქოს ბარათაშვილი არ ეხებოდა „საზოგადო კითხვებს", თითქოს იგი იყო მწერალი „ერთი წრისა". ცხადია, ნ. ბარათაშვილის პოეზიის პროგრამა აკაკის პოეზიის პროგრამასთან შედარებით უფრო ვიწროა, მაგრამ ეს იმ საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით აიხსნება, რომლებშიც მას უხდებოდა ცხოვრება. თავის მხრივ ბარათაშვილმა არსებითად ისეთივე როლი შეასრულა ეპოქის წინაშე, რომელიც შემდეგ წილად ხვდათ ი. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს, კერძოდ, ბარათაშვილმა უდავოდ გააფართოვა პოეზიის პროგრამა და ახალი სიტყვა თქვა მის თანამედროვეებთან შედარებით.

არც ის მიგვაჩნია მართებულად, თითქოს „ნ. ბარათაშვილს თავისი პირადი განვითარებით ან სიტყვიერი ქადაგებით უნდოდა დაეცხრო თავისი აღშფოთებული სული, რომელიც ვერ ურიგდებოდა ამაო ცხოვრებას: აკ. წერეთლისთვის კი ეს არ კმარა, ლიტერატურა მას საშუალებად მიაჩნია სხვა უფრო მაღალი მიზნისათვის: იგი ეძებს ხსნას საზოგადო მოღვაწეობაში. ამიტომ ებრძვის იგი ყოველსავე ავ თვისებას კაცისას, რომელიც კი წინააღმდეგია ძმობისა და გვისახავს გულში მძულვარებას იმ ორპირობისადმი, რომელიც არის საუბედუროდ ყველგან ამ უკუღმართ დროში".

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ის, რაც ვ. წერეთელს, სავსებით მართებულად, აკაკის პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა, თავისებური მასშტაბით დამახასიათებელი იყო ნ. ბარათაშვილისათვისაც. ამიტომ, თუ საერთოდ ამ ორი პოეტის შედარება საჭირო იყო, მაშინ იგი სხვა მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

ვ. წერეთლის ამ წერილში ისიც შეიმჩნევა, რომ იგი განსაკუთრებით ცდილობს აკაკის განდიდებას. უდავოა, რომ აკაკი ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, მაგრამ თვით აკაკისათვის უხერხულია იმის თქმა, თითქოს იგი „იყო ჩვენში პირველი პოეტი, რომელმაც გამოუცხადა ბრძოლა ახლანდელი დროების უკუღმართობას, წინააღმდეგობას და იმ მტრობის და ორპირობის მაგიერ, რომელიც მოიტანა ახალმა დრომ, დააწერა თავის ბაირაღზე" ძმობა, სიყვარული და თავისუფლება; რომ თითქოს აკაკია ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელი. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის როლის იგნორირება, ილიასი, რომელიც იყო მებაირახტრე ახალი იდეებისა და

სულისჩამდგმელი უკუღმართობათა წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლებისა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ვ. წერეთელი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ აკაკი, რომელმაც „ღრმად შეიგნო ახალი ცხოვრების ვითარება“, დაჩაგრული მშრომელი მასების იდეოლოგია, მათი ჭირის თანამოზიარე. ეს მშვენივრად ჩანს მის ლექსებში — „იმერული ნანინა“ და „სიმღერა მკის დროს“. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს უკანასკნელი, რომელშიც „გამოხატულია სიხარული შრომისა, გამამხნევებელი ადამიანის სულისა, სასარგებლო სხეულისათვის, — სიხარული, რომელიც არის საფუძველი ეროვნული ძლიერებისა“.

აკაკი, ვ. წერეთლის მართებული რწმენით, თავისი ეპოქის უარყოფითი მოვლენების მოურიდებელი მამხილებელი და მათ წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლია; იგი იბრძვის ეგოიზმის, ორპირობის, ფარისევლობის, მონობისა და სხვა მრავალი უკუღმართობის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში ყოველთვის შეუპოვარი და უაღრესად პრინციპულია.

აკაკის პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარედ ვ. წერეთელს ის გარემოებაც მიაჩნია, რომ „ყოველ მის ლექსში გამოსჭვირს იმედი უკეთეს მომავალზე“; მართლაც, ძლიერი ოპტიმიზმი ნიშანდობლივი თვისებაა აკაკის შემოქმედებისა.

ვ. წერეთელს შეუმჩნეველი არ დარჩა აკაკის იუმორისტული ნიჭი, „მისი ცოცხალი გონება ადვილად აფარდებს ერთმანეთთან ცხოვრების ერთმანეთის წინააღმდეგ მოვლენებს და ჰხატავს რა ნათლად ცხოვრებას, გამოიწვევს ჩვენში სიცილს, რომელიც შვების მომცემიც არის და თან მწარეც“.

აკაკი. როგორც დიდი ხელოვანი, გამოჩნდა აგრეთვე პროზაშიც. მისი „თავგადასავლის“ რამდენიმე გვერდი უკეთ გვიხატავს იმ ცხოვრებას, ვიდრე ზოგიერთი მწერლის მოზლაზნილი მოთხრობა“.


რაც შეეხება აკაკის ენას, ვ. წერეთლის აზრით, იგი პროზაშიც შეუდარებელია. „ქართველის ყურს მეთორმეტე საუკუნეს აქეთ არ სმენია ასე მშვენიერი ენა... “.

ვფიქრობთ, კრიტიკოსი ამ შემთხვევაშიც ერთგვარად აჭარბებს. აკაკის მხატვრული ენის ღირსება უდავოა, მაგრამ მისი დაყენება XIX საუკუნის ყველა კალმოსნის ენაზე მაღლა, ილიას ენაზე მაღლა, არ იქნებოდა მართებული.

ვ. წერეთლის წერილებს, რიგი შეცდომების მიუხედავად, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ არა მხოლოდ გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის და აკ. წერეთლის შემოქმედების შესწავლისათვის,

არამედ ქართული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარებისათვისაც.

„აკაკის კრებულში“ (1899 წ. № 2) ყურადღებას იპყრობს „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, რომლებიც რედაქტორის კალამს ეკუთვნის. აქ აკაკი ეხება ბერანჟეს ლექსების ქართულ თარგმანს. შესრულებულს გიორგი გვაზავას მიერ, რომელიც მთარგმნელის



წინასიტყვაობით 1898 წელს გამოიცა, სიტყვიერების თეორიას, შედგენილს არქიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ 1898 წელს, მ. ჯანაშვილის საქართველოს ეკლესიის ისტორიას, ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებებს; ბიბლიოგრაფირებულია აგრეთვე „მეექვსე ნომერი, ანუ ხალიფას წინააღმდეგ (ამბავი ილდიზ-კიოსკიდან)“ და ქართული ლეგენდები.

ამავე ნომერშია დაბეჭდილი წერილები: „ორი ქართველი მეცნი-

ერის აზრი ქართული ანბანის შესახებ“ და რეცენზია 1895 წელს გამოცემულ რ. აბიხტის ბროშურაზე — „გლაგოლიცის ქართული ანბანის მსგავსება შემთხვევითია თუ არა?“ ორივე წერილი უდავოდ საყურადღებოა, განსაკუთრებით ენათმეცნიერთათვის.

1899 წელს „აკაკის კრებულის“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის ვრცელი გამოკვლევა „ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა. 1625-1900“. ეს არის პირველი მოზრდილი შრომა, რომელიც ქართველი ხალხის ინტელექტური ცხოვრების ამ ფრიად საყურადღებო უბანს ეხება. რიგი შეცდომების მიუხედავად, ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სტამბებისა და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესასწავლად. ზ. ჭიჭინაძის ზემოხსენებული ნაშრომი გახდა სათავე მრავალი საყურადღებო გამოკვლევისა ამავე საკითხზე (დ. კარიჭაშვილი — ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929 წ., ქ. რაჭველიშვილი — ქართული სტამბის წიგნი, 1934 წ., შ. კვასხვაძე — ვახტანგ VI სტამბის წიგნი, 1952 წ., შ. კურდღელაშვილი — ქართული სტამბის ისტორიიდან, 1959 წ., ვ. გოგოლაძე — ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან, 1963 წ. და სხვ.).

ჟურნალისტიკის ისტორიკოსისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის „ისტორია ქართული გაზეთების და ჟურნალების გამოცემისა — 1817-1900“, რომელიც „აკაკის კრებულის“ 1900 წლის II და III-IV ნომრებში დაიბეჭდა.

მკვლევარს მიზნად ჰქონია მიმოეხილა ქართული პერიოდული პრესა ჩასახვიდან 1900 წლამდე. სამწუხაროდ, ზ. ჭიჭინაძის ეს წერილი ჟურნალის დახურვის გამო მთლიანად ვერ დაიბეჭდა. სრული სახით ამ ნაშრომის გამოცემა ზ. ჭიჭინაძემ მხოლოდ 1902 წელს შეძლო, 1916 წელს კი იგივე შრომა, მცირე ცვლილებებით განმეორებით დაიბეჭდა სახელწოდებით: „ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია“.

ამ ნაშრომში ზ. ჭიჭინაძე არ გვესაუბრება მის მიერ მიმოხილული პერიოდული ორგანოების მიმართულებაზე, მათ მიზნებსა და დანიშნულებაზე, იგი ხშირად უხეშ ქრონოლოგიურ შეცდომებსაც უშვებს: მაგალითად, ყოველგვარი საბუთის გარეშე პირველი ქართული გაზეთის გამოცემას 1817 წლით ათარიღებს, 1821 წელს გამომავალ „ქართულ გაზეთს“ „წმინდა გიორგის“ სახელწოდებით ნათლავს და მისი არსებობა 1824 წლის ბოლომდე მოაქვს და სხვ.

მაგრამ წერილში გვხვდება ზოგიერთი გასაზიარებელი შეხედულებაც. მაგალითად, ზ. ჭიჭინაძე სწორად ხსნის ცარიზმის მიერ საქართველოში ქართულ ენაზე გაზეთის დაარსებას: „მაშინ ქართულ

ენაზე მთავრობის გაზეთის გამოცემა აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა... რადგან საქართველოში ქართული ენა მეფობდა, იგი იყო სახალხო, საერო ენად მიღებული, იგი მეფობდა ქართველებს გარეშე თვით თათრებსა და სომხებში... მთავრობისათვის ქართული გაზეთის ქონება კი, როგორც იარაღი, აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა".

სწორია ის აზრიც, რომ პირველი ქართული გაზეთი საყურადღებო ცნობებს იძლევა კაპიტალიზმის განვითარებისა და საერთოდ იმ პერიოდის საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გასაცნობად.

ზ. ჭიჭინაძე სამართლიანად იწუნებს როგორც პირველი ქართული გაზეთის, ასევე „ტფილისის უწყებანის" და მისი დამატების „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" ენას და მაფი დახურვის ერთ-ერთ მიზეზად ესეც მიაჩნია. ზ. ჭიჭინაძის მართებული რწმენით, ამ პერიოდულ გამოცემათა ენა „არც ძველს ეკუთვნოდა და არც ახალს... მისას ვერც ერი გაიგებდა რამეს ადვილად და ვერც მღვდელი. ეს ნაკლი მათ რომ თავიდან აეცდინათ, იქნება მაშინ ქართველობაში საერთოდ განათლებისა და მწიგნობრობის საქმე სხვანაირად წასულიყო, იქნება იგი წარმატებით შემოსილიყო".

საკმაოდ ფაქტიური შეცდომებისა და სქემატიზმის მიუხედავად, თავის დროზე ზ. ჭიჭინაძის ამ ნაშრომს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასში პირველად იყო თავმოყრილი, გარკვეული და სისტემაში მოყვანილი საყურადღებო მასალა ქართული პერიოდული პრესის შესაბებ. ამ წერილმა გააღვიძა საზოგადოების ინტერესი ქართული პერიოდიკის მიმართ.

ასე წარმოგვიდგება ზოგად ხაზებში „აკაკის თვიური კრებული", რომელიც ნათლად ასახავს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას და აკაკი წერეთლის საყურადღებო რედაქტორულ მოღვაწეობას.

ჟურნალი „ხუმარა"

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ 1907 წელს აკაკიმ დაიწყო ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალის — „ხუმარას" გამოცემა.

ჟურნალის გამოცემისათვის სამზადისს აკაკი ჯერ კიდევ 1905 წელს შეუდგა. ამ წლის 17 მაისს მან თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, რათა მიეცათ უფლება „ხუმარას" გამოცემისა. თხოვნასთან ერთად აკაკიმ წარადგინა ჟურნალის პროგრამაც.

«Желая издавать в городе Тифлисе на грузинском языке под своим же редакторством еженедельную подцензурную юмористическую газету с иллюстрациями под названием «Хумара» (Юморист), покорнейше прошу ваше сиятельство дать мне разрешение на означенное издание по нижеследующей программе.

При сем имею честь довести до сведения вашего сиятельства, что подобного издания на грузинском языке пока не существует и чувствуется в нем большая потребность.

Программа еженедельной юмористической газеты «Хумара»:

1. Разные телеграммы;
2. Хроника местной, общерусской и заграничной жизни;
3. Стихи, повести, рассказы и др. (переводные и оригинальные);
4. Шутки, курьезы, остроты, сказки, анекдоты и пр.;
5. Обзор печати, критика и библиография;
6. Отчеты и заметки о заседаниях благотворительных городских сословных, судебных и др. учреждений;
7. Статьи и заметки по местным, общерусским и заграничным злобам дня. Исторические и географические очерки;
8. Корреспонденции из разных мест края, письма в редакцию, почта, смесь, вопросы и ответы;
9. Иллюстрации, портреты, каррикатуры;
10. Объявления.

Подписная цена в год 6 рублей, с пересылкой — 7 р. Объем номера 1—2 печатных листа.

Кн. Акакий Церетели»[1].

წარმოდგენილი პროგრამა მკაფიოდ გამოხატავს იმ ფართო მიზნებს, რომლებსაც აკაკი წერეთელი უსახავდა თავის ჟურნალს. პროგრამა იმდენად ვრცელი და მრავალმხრივია, რომ, ვფიქრობთ, იგი ერთგვარად სცილდება კიდეც იუმორისტული ჟურნალის ფარგლებს.

აკაკი წერეთლის თხოვნა და პროგრამა საცენზურო კომიტეტმა მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ განიხილა და 1905 წლის 16 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას აცნობა:

«Припровождая при сем прошение на имя наместника е. и. в. на Кавказе, князя Акакия Ростомовича Церетели о разрешении ему издавать в г. Тифлисе, под его редакторством с предварительной цензурой юмористическую газету с иллюстрациями, под названием «Хумара» (Юморист), имею честь уведомить ваше превосходительство для доклада наместнику, что со стороны комитета не встречается препиат-

[1] ცსსა, ფონდი 13, საქმე 170, ფურც. 3.

ствий к удовлетворению ходотайства просителя, обладающего достаточным образовательным цензом и известного в грузинской литературе своей публицистической деятельностью. Причем полагал бы исключить из программы «Хумара», согласно заявлению самого князя Церетели, сделанного им в комитете I отдел, по содержанию не отвечающий характеру газеты.

И. о. председателя комитета А. Кишмишев.
Секретарь Н. Мелик-Нубаров»[1].

იმავე წლის 25 სექტემბერს აკაკი დაამტკიცეს „ხუმარას“ რედაქტორად და მისცეს ჟურნალის გამოცემის უფლება.

სავარაუდებელი იყო, რომ აკაკი თუ იმავე 1905 წლის მიწურულში არა, 1906 წლის იანვრიდან მაინც დაიწყებდა თავისი პერიოდული ორგანოს გამოცემას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და „ხუმარას“ პირველი და უკანასკნელი ნომერი მხოლოდ 1907 წლის იანვარში გამოვიდა.

ერთადერთ მიზეზად, რითაც შეიძლება აიხსნას „ხუმარას“ დაგვიანება, მხოლოდ მისი რედაქტორის ავადმყოფობა უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, 1904 წლის ოქტომბერში დაძაბული შრომითა და არაადამიანური ცხოვრების პირობებით ჯანგატეხილ აკაკის დამბლა დაეცა. ოდნავი გამოჯანმრთელების შემდეგ, 1905 წლის მაისის ბოლო რიცხვებში, პოეტი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა, საიდანაც იმავე წლის სექტემბერში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაბრუნებულ აკაკის უკვე დახვდა ჟურნალის გამოცემის ნებართვა, მისი ჯანმრთელობა იმდენად იყო შერყეული, რომ მძიმე რედაქტორულ შრომას ვერ გაუძლებდა (თითქმის ყოველი ქართული პერიოდული ორგანოს რედაქტორს, გარდა უშუალოდ რედაქტორობისა, უხდებოდა ყველა წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმის შესრულება, რაც კი გაზეთის ან ჟურნალის გამოცემასთან იყო დაკავშირებული).

გარდა ამისა, ავადმყოფობა საკმაო ხარჯს ითხოვდა და ყოველთვის ღარიბ აკაკის აღარ რჩებოდა თავისუფალი თანხა ჟურნალის გამოსაცემად. ჯანმრთელობისა და მატერიალური სახსრების ძიებაში გაიარა 1906 წელმა და მხოლოდ 1907 წლიდან მიეცა აკაკის ჟურნალის გამოცემის შესაძლებლობა. საყურადღებოა, რომ რედაქცია თანამშრომლებს ჰონორარსაც ჰპირდებოდა.

---

[1] ცსსა, ფონდი 13, საქმე 170, ფურც. 1.

„ხუმარას" გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული პრესის ისტორიაში. მართალია, სატირა და იუმორი უცხო არ იყო ქართველი მკითხველისათვის, „ხუმარამდე" არსებულმა ქართულმა პერიოდულმა ორგანოებმა სატირა და იუმორი იმდროინდელ უკუღმართობათა წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად გამოიყენეს; მაგალითად, „დროებასა" და „ივერიაში" დაბეჭდილმა ფელეტონებმა თუ პატარა ფელეტონებმა საკმაოდ ხელშესახებად გადმოსცეს ის წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდა იმ პერიოდის საზოგადოებრივ კლასებსა და ამ კლასებისა თუ ფენების ცალკეულ წარმომადგენელთა შორის, მაგრამ ეს მასალა ზოგ შემთხვევაში იკარგებოდა იმ მრავალ წერილს შორის, რომლებიც გაზეთის ნომერში იბეჭდებოდა. გარდა ამისა, ამ ორგანოებში ნაკლებად ანდა სრულიად არ იყო გამოყენებული კარიკატურა, რაც ერთგვარად ანელებდა სატირისა და იუმორის ძალას.

„ხუმარას" მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი საგანგებო სატირულ-იუმორისტული ორგანო იყო და მასში დაბეჭდილ მასალებსაც გარკვეულ სიმახვილეს აძლევდა ერთ-ერთი პირველი ქართველი კარიკატურისტის გიგო ზაზიაშვილის მიერ მაღალი გემოვნებით შესრულებული კარიკატურები.

„ხუმარა" გამიზნული იყო პირველ რიგში ცარიზმისა და შემდეგ ყველა იმ მანკიერების, ნაკლოვანებისა და ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ, რომელთაც იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი.

„ხუმარამ" თავისი მსოფლმხედველობრივი პოზიცია მშვენივრად გამოამჟღავნა იმ ოთხსტრიქონიან განმარტებაში, რომელიც პირველი ნომრის პირველსავე გვერდზე მოათავსა: „ხუმარა" ერთი რომელიმე პარტიის ორგანო არაა, — წერდა აკაკი, — ისაა კარ-ღია გაზეთი. აზრთა შეჯახება — აი, რაა ჭეშმარიტების გამომკვეთელი. დეე, დაეჯახნონ სხვა და სხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს — ეს საჭიროა და კარგია. „მოყვარეს პირში უძრახე" თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრახო", ეს კიდევ მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნე იქნება".

მართლაც, „ხუმარამ" არ დაინდო არც მტერი და არც მოყვარე და მოურიდებლად ამხილა მათი „ავკაცობანი". ჟურნალი მკვეთრად დაუპირისპირდა მის მიერ დანახულ მახინჯ მოვლენებს და ნათლად გამოაჩინა ცხოვრებაზე დაკვირვების ძლიერი ნიჭი.

„ხუმარას" როგორც სატირულ-იუმორისტული ორგანოს მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან დიდი სიცხოველით გააცნობიერა ის საგნები და მოვლენები, რომელთა წინააღმდეგაც ხმა

აიმაღლა. და ამავე დროს მკითხველისათვის ნათელი გახადა თავისი იდეალები, თავისი პოზიტიური თუ ნეგატიური დამოკიდებულება ამ საგნებისა და მოვლენების მიმართ.

მაგალითად, იმ პერიოდში, როდესაც „ხუმარა" გამოდიოდა, თბილისის გუბერნატორის თანამდებობა ეჭირა ქართველების მოძულეს, ქარაფშუტას, ლოთს, ამპარტავანსა და თავხედ პიროვნებას, ვინმე რაუშ-ფონტრაუბენბერგს. რაუშის თავხედობა და ერთ-ერთი კურიოზული შემთხვევა მშვენივრად გადმოგვცა იოსებ გრიშაშვილმა თავის „ნარკვევებში": თურმე 1906 წელს მცხეთის საგვარეულო აკლდამაში ასაფლავებდნენ რომელიღაც ბაგრატიონს, დაკრძალვას ფონ-რაუშიც დაესწრო. დაკრძალვის შემდეგ, რასაკვირველია, გაიმართა ჩვეულებრივი ქელეხი. ფონ-რაუში ძალიან გამხიარულდა, ღვინომ გონება გაუფიცხა და ქელეხში „მრავალჟამიერი" შემოსძახა. ჩვენს გუბერნატორს ეგონა, რომ ქართველები ყველგან და ყოველთვის, ჭირსა თუ ლხინში „მრავალჟამიერს" მღეროდნენ. ამ ამბავმა ქართველებში უსიამოვნება დაბადა.

სწორედ ამ ხანებში თბილისის სამხედრო ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის რომელიღაც წევრის პარაკლისს იხდიდნენ. მთელი გენერალიტეტი იქ იყო. საზოგადოდ ამისთანა შემთხვევებში ტაძრის არენაზე ყოველთვის პირველ პლანზე ჯერ თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უნდა მდგარიყო, მერე გუბერნატორი და ა. შ. ფონ-რაუშმა მოინდომა ყველაზე წინ დგომა და თავად-აზნაურთა მარშალს გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილს წინ აეტუზა; ბაგრატიონმა წინ გაიწია, რაუშიც წინ წავიდა და კვლავ აეფარა ბაგრატიონს. ერთი სიტყვით გაჩაღდა ბრძოლა „პირველობისათვის"... ბაგრატიონი იმედაც გულაჩხრეკილი იყო ამ გუბერნატორის მიმართ, ეხლა ეს ეტიკეტის დარღვევაც ზედ დაემატა და როცა პარაკლისის გათავების შემდეგ, ფონ-რაუშმა ბაგრატიონ-დავითაშვილს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, ბაგრატიონმა საჯაროდ ხელი არ ჩამოართვა და ზურგი შეაქცია... საბოლოოდ რაუში გაძევებულ იქნა თანამდებობიდან.

ეს ფაქტი მშვენივრად გამოიყენა აკაკიმ თავისი ჟურნალისათვის და პირველ გვერდზე ასეთი კარიკატურა მოათავსა: მარჯვენა მხარეს სახედარს ახურავს გუბერნატორ რაუშის ქუდი, აცვია მისივე ტახსაცმელი, ხელში ტროსტი უჭირავს და შეშინებული გაურბის მარშალს, რომელიც თეფშზე ნიშადურს ლესავს. უკანა პლანზე დგას კინტო, რომელსაც ხილით სავსე თაბახი და სასწორი ქვაფენილზე დაუწყვია და უყვირის სახედარ რაუშს. კარიკატურის ქვეშ მოთავსებულია აკაკის ლექსი:

დიდყურაანთ ყროყინას
ჩვენები ეჯავრება;
საიდანაც მოსულა,
იქით მიეჩქარება.

და ნიშადურს ულესავს
გულმოსული მარშალი,
რომ აქ აღარსა დარჩეს
იმ ვირის გზა და კვალი.

კონტო კი გაოცებით
შესცქერია ამ ამბავს
და ხმა მაღლა იძახის:
„ამოუხეით, რა უშავს!“

ეს იყო მეტად მწვავე პოლიტიკური პამფლეტი, რომელშიც მოურიდებლად იყო გამათრახებული მეფის რუსეთის ერთგული ლაქია.

„ხუმარაში“ ხელმოუწერლად დაიბეჭდა აგრეთვე საკმაოდ ვრცელი ლექსი რუსული სათაურით: „Селеть, а не собака“, რომელშიც მწვავედ არიან გაკრიტიკებული ფედერალისტები, რადიკალები და კადეტები, გაბაიბურებულია აგრეთვე სახელმწიფო სათათბირო (დუმა), რომელიც შეიქმნა მეფის ხელისუფლების მიერ 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. სახელმწიფო სათათბიროს მთავარი მიზანი რევოლუციის საბოლოო განადგურება იყო. ის რეპრესიები, რომელთაც მეფის ხელისუფლება რევოლუციის წინააღმდეგ აწარმოებდა, საკმარისად არ მიაჩნდათ, ამიტომ სათათბიროს მოწვევის საშუალებით ცარიზმმა მოინდომა გლეხობის ჩამოშორება რევოლუციისაგან, რითაც ბოლომდე დააშარცხებდა რევოლუციას.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს პირველი სესია მიმდინარეობდა 1906 წლის 27 აპრილიდან 8 ივლისამდე. სესიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო აგრარული საკითხი. კადეტები, ესერები და მენშევიკები არწმუნებდნენ გლეხობას, რომ შესაძლებელი იქნებოდა მიწის მიღება სათათბიროს საშუალებით და საერთოდ აჯანყებისა და რევოლუციის გარეშეც შეიძლებოდა ნეტარი ცხოვრების დამყარება. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მოჩვენებითი ლაყბობა იყო, რადგან სახელმწიფო სათათბირო არსებითად მეფის, მემამულეებისა და კულაკობის ინტერესებიდან გამოდიოდა.

მეფის ხელისუფლებისა და პირველი სახელმწიფო სათათბიროს მთელი სიყალბე, მისი ფლიდი პოლიტიკური ფიზიონომია მკაფიოდ გამოაელინა ჟურნალმა „ხუმარამ“:

შემოკრბა დუმა კადეტოვანი
და ჰანგით ტკბილით იწყო ღაღადი,
ნისიათ ერთობ ბევრი ივაჭრა,
მაგრამ ვერ ნახა შაური ნაღდი.

მოგეხსენებათ, ჩვენსა მთავრობას
ხალხისთვის ფრიად შესტკივა გული...
ენაზე აკრავს მუშა და გლეხი,
ყველგან ტანჯული და დაჩაგრული.

ამბობს: „მიწა და თავისუფლება“
სულ დამიღუპავს გლეხს და მუშასო,
ათასი წლობით შეკრულ სამეფოს
გამინადგურებს, დამიფუშავსო.

არ გასჭრა თხოვნამ კერპ მინისტრებზე
და არა დასთმეა მათ ნათხოვარი,
ხოლო სანაცვლოდ სოფლით, ქალაქით
კვლავ ააყენეს სისხლისა ღვარი.

ასე მოურიდებლად ამხილა „ხუმარამ“ „დაშნაკცუტიუნის“ პარტია, რომელიც ეროვნულ შუღლს აღვივებდა ამიერკავკასიის მოსახლეობაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეაქციის პერიოდში პრესის ფურცლებიდან მეფის ხელისუფლების ამგვარად განადგურება შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, როგორიც აკაკი იყო, რომელსაც განსაკუთრებით სძულდა ცარიზმი და მზად იყო საკუთარი სიცოცხლეც კი გაეწირა მშრომელი მასების ინტერესების საკეთილდღეოდ.

სახელმწიფოს საბჭოს დეპუტატებისადმია მიძღვნილი ხუთი გამოცანა, რომელთა შორის ერთ-ერთი ქართველი მენშევიკების ლიდერს ნოე ჟორდანიას უნდა ეხებოდეს:

„როგორც მოსულხარ სეიანო,
ისევე წახვალ შინაო!“
ენაბრგეილობამ მიშველა,
რომ არა მათქმევინაო.

მწვავე პოლიტიკური ხასიათის მატარებელია ჟურნალის ბოლო გვერდზე მოთავსებული სურათი, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთია: მოჩანს სასაფლაო ამობურცული ახალი სამარეებით, ყოველ საფლავს ჯვარი უსვია, წინა პლანზე ახალთახალი საფლავია, საფ-

ლავს. დაჰკვდომია ტანსაცმელშემოძარცული ქალი, სამარეზე დასობილ ჯვარს მოზრდილი ასოებით აწერია „თავისუფლება“, რომელიც მეფის ტირანიას აქ ჩაუმარხავს. საფლავებს ყვავ-ყორნები დასტრიალებენ. შორიახლოს დგანან ხანში შესული კაცი დაღერებილი სახით. ხოლო მეორე — ახალგაზრდა, რომლის გულშიც შურის-



ძიების ცეცხლი ტრიალებს. სურათს წარწერა არა აქვს, მაგრამ საკმაო სიცხადით გამოხატავს მხატვრისა და რედაქტორის ჩანაფიქრს.

როგორც ცნობილია, ქართულმა ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა თავისი გამოხატულება სოციალ-ფედერალიზმში პოვა, რომელიც არსებითად ოპოზიციურად განწყობილი ეროვნული ბურჟუაზიის ნაციონალისტური ტენდენციების გამომხატველი იყო.

ქართული სოციალ-ფედერალიზმი ორ ძირითად დაჯგუფებას შეიცავდა: „მემარჯვენეებს“ და „მემარცხენეებს“, რომელთა შორისაც აშკარა წინააღმდეგობამ იჩინა თავი.

როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა, „ქართველ ფედერალისტთა მემარჯვენე დაჯგუფება პირველ პლანზე იდეურ ბრძოლას აყენებდა. მას ბურჟუაზიული სახელმწიფო სოციალიზმის დამყარების იარაღად მიაჩნდა. იგი წინააღმდეგი იყო მისი დამსხვრევისა და იმედი ჰქონდა, რომ როცა პარლამენტის უმრავლესობას სოციალისტები შეადგენენ, მაშინ ბურჟუაზიული სახელმწიფო სოციალიზმის დამყარებას „თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს“. იგი მოითხოვდა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციას და სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობას.

რაც შეეხება სოციალ-ფედერალისტური პარტიის „მემარცხენე“ დაჯგუფებას, იგი არსებითად ანარქიზმის პოზიციებზე იდგა, უარყოფდა ყოველგვარ სახელმწიფოს, გმობდა პარლამენტარიზმს და აღიარებდა დეცენტრალიზაციას და თავისუფალ კომუნათა ფედერაციას“[1].

ისტორიულმა ვითარებამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ ქართველი სოციალ-ფედერალისტები ფაქტიურად ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი იყვნენ და მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც სოციალ-ფედერალისტებთან შედარებით იმ პერიოდში უდავოდ პროგრესულ მიმართულებას წარმოადგენდა.

ჟურნალი „ხუმარა“ თავისუფლად ერკვეოდა იმ წინააღმდეგობებში, რომლებიც არსებობდა სოციალ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, და მოურიდებლად ამხელდა სოციალ-ფედერალისტთა უსუსურობასა და უნიადაგობას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჟურნალში დაბეჭდილი საკმაოდ ვრცელი კომიკური სცენა „ლექცია“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ე ლ ი“ (პოლიექტოს ანტონის ძე კალანდაძე).

ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია სოციალ-ფედერალისტების ლიდერი, ვინმე „ცნობილი“ აკობია, რომელსაც „ბალაგანში“ შეუკრებია ბრბო და „მჭერმეტყველური“ ლექციით სურს დაუმტკიცოს სოციალ-ფედერალისტთა უპირატესობა სოციალ-დემოკრატებთან შედარებით.

აკობიას პიროვნება ავტორის მიერ საკმაოდ კომიკურ შტრიხებშია წარმოდგენილი; მას ხალხის „კეთილდღეობაზე“ ფიქრითა და ზრუნვით საშინელი თავის ტკივილები დასჩემებია. „ძმებო! ძმებო!

---

[1] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, გვ. 113—114.

ჩემო მშრომელო ძმებო! — მიმართავს იგი ბრბოს, — გული მიწუხს, გონება მებნევა, თავი მიხურს, როდესაც ვხედავ თქვენ ტანჯვა-წვალებას. ნუ თუ ერთხელ მაინც ბოლო არ უნდა მოეღოს თქვენ ტანჯვას?.. მე თავი მაბია კისერზე, როგორც ხედავთ, კაი მოზრდილი თავი მაქ. როგორც გამოჩენილი პუბლიცისტი უმეტეს დროს ვწერ. ავდგები დილით, მიუჯდები მაგიდას და ავიღებ კალამს ხელში თუ არა, რაღაც აქედან (კეფაზე დაიდებს ხელს) უცბად შეიფრთხიალებს და შუბლისაკენ გამოფრინდება. შემდეგ ისევ უკან გადაფრინდება. ხან გვერძე, ხან აღმა, ხან დაღმა. ამ დროს საშინელ ტკივილს ვგრძნობ, მაგრამ სამაგიეროთ თითო გადაფრენაზე ისეთი გენიოსური აზრი მებადება, რომ ყველაფერ ტკივილს გაუძლებს კაცი“, და იწყება „გენიოსურ“ აზრთა ფრენა.

ნევრასტენიკ აკობიას ურყევი რწმენით, მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას შესწევს უნარი, რომ ხალხს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანოს. სოციალ-დემოკრატია კი, მისი აზრით, ხალხის მტერია, რადგან იგი „მდიდრების პარტიაა“.

—ხედავთ, „ჩემს ცარიელ თავში გენიოსური აზრები დაფრთხიალობენ!“ — გაჰკივის ისტერიულად აკობია და იწყებს სოციალ-დემოკრატთა პარტიის ლანძღვა-გინებას.

როგორც ცნობილია, სოციალ-ფედერალისტთა ლიდერები, რომელნიც არსებითად სუბიექტივიზმის პოზიციებზე იდგნენ, ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ სოციალიზმის დამყარება არ იყო დამოკიდებული ობიექტურ პირობებზე, ამიტომ ისინი თავს ესხმოდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც იმ პერიოდში სოციალიზმის განხორციელება უდროოდ მიაჩნდათ.

სოციალ-ფედერალისტთა ამ მცდარი თვალსაზრისის გამომხატველია ნაწარმოების მოქმედი პირი აკობიაც: „ძმანო მშრომელნო! თქვენი ერთგული, თქვენი ქომაგი, თქვენთვის თავდადებული ს.-ფედერალისტებია. მათ უნდათ თქვენთვის ყოველივე ბედნიერება. ს.-ფედერალისტების სოციალიზმი სულ ადრე იქნება, — ხვალ თუ ზეგ... ს.-ფედერალისტებს უნდათ ახლავე განახორციელონ ჭართული „სოციალიზმი“, ს.-დემოკრატებს კი — ხალხის ტყავის გაძრობა... მე ვარ გენიოსი.... ამ მფრინავ აზრების წყალობით მე ქუჩური სიტყვებით გავლანძღე ს.-დემოკრატია... და მით დაგარწმუნეთ თქვენ, რომ ის ხალხის მტერია“.

ეს კომიკური სცენა იმდენად ნათლად გამოხატავს ჟურნალის დამოკიდებულებას სოციალ-ფედერალისტებისა და მათი უნიადაგო მოძღვრებისადმი, რომ იგი არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. აქ კომიზმი იქმნება ფედერალისტთა ყალბი მოძღვრების საფუძვ-

ლიანი გაგების, მისი განზოგადებისა და შემოქმედებითი ფანტაზიის საშუალებით, მხატვრული გარდასახვის გზით.

„ხუმარაში“ ყურადღებას იპყრობს აკ. წერეთლის „ბენია და ბეშტია“. კუზიანი ბენია ქართლელია, ხოლო კოკლი ბეშტია — იმერელი. ორივენი ხუმარები არიან, „იმათი ნამოქმედარი ბევრი რამ დარჩენილა ხალხშიო“. — გვეუბნება აკაკი და მათ მონოლოგებში მშვენივრად გადმოგვცემს და კიცხავს იმდროინდელი ცხოვრების მახინჯ მოვლენებს.

ბენიასა და ბეშტიას
შეუკრავთ თურმე პირობა,
რომ ხალხში გამოამჟღავნონ
ავიც და კარგიც... გმირობა!..

ბენია ეტყვის ბეშტიას:
ყოველთვის თუ ვერ მნახოო,
კორტოხზე უნდა შემოდგე,
იქიდან გადმომძახოო.

და მეც იქიდან მოგაწვდენ,
რასაც კი გავიგონებო!
ბევრ ფარისეველ მელა-კაცს
შევარცხვენ... დავაღონებო.

„ბენია და ბეშტია, — გვეუბნება აკაკი, — როგორც ძველი დროის კაცები, არ იშლიან ჩვეულებას და ხან და ხან კიდეც აპირობენ, რომ ვინც ღირსია, ულვაშები აუწიონ ხოლმე. ჩვენც ჩვენი მხრით ვაფრთხილებთ ყველას და უფრო კი ხელმწიფის მოურავებს!“

ჟურნალის დახურვის გამო აკაკის აღარ მიეცა საშუალება თავისი მამხილებელი ფელეტონების „ხუმარაში“ ბეჭდვისა, მაგრამ მან მაინც შეძლო რახილ ქალანდაძის მიერ გამოცემულ იუმორისტულ ჟურნალ „მასხარაში“ გამოექვეყნებინა ბენიასა და ბეშტიას დიალოგი, რომელიც ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის საკითხს ეხება.

საინტერესოდ იკითხება ზღაპრისებური „მექოთნე, მომჩივარი და ღმერთი“, რომლის მორალიც ასეთია: „უწყოდე ცოდვილ მჭირს შვილო, რომ, როცა ქოთანი გჭირია, მექოთნეს იქით საშველს ნუ ეძებ თვარა ყოველთვის გაწვალებული იქნები“.

ჩვენ ზემოთ გვქონდა აღნიშნული, რომ 1905 წლის 16 სექტემბრის დოკუმენტის საფუძველზე „ხუმარაში“ დასაბეჭდად გამზადებულ მასალას წინასწარი ცენზურა უნდა გაევლო და, თუ ხელნაწერს ცენზორი მოიწონებდა, მხოლოდ შემდეგ ჰქონდა რედაქტორს მისი დაბეჭდვის უფლება.

1907 წლისათვის ეს წესი შეიცვალა. ცენზორი ახლა უკვე დაბეჭდილ ნომრებს კითხულობდა. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ცენზორს ერთი ან ორი მასალის გულისათვის რომელიმე გაზეთისა ან ჟურნალის ყველა ნომრის კონფისკაცია მოუხდენია და რედაქტორიც პასუხისგებაში მიუცია.

ასე დაემართა აკაკის „ხუმარასაც“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აკაკიმ მოასწრო გამოცემული ჟურნალის მეტ-ნაკლებად გავრცელება. მაგრამ თვითონ კი ვერ გადაურჩა „მართლმსაჯულებას“: ჟანდარმერიამ აკაკი დააპატიმრა და მეტეხის ციხის გზას გაუყენა, ხოლო ჟურნალი სამუდამოდ დახურა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალმა „მასხარამ“, რომელიც „ხუმარას“ შემდეგ გამოვიდა, მეორე ნომერში კარიკატურაც კი მოათავსა წარწერით: „აკაკის მოგზაურობა „ხუმარას“ რედაქციიდან მეტეხამდინ“.

„როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, -- გადმოგვცემს ი. გრიშაშვილი, — მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულებრივი ხასიათისა, დემონსტრაციულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდე მივიდა, კანცელარიის გამგის ვასილიევის მოხსენებისთანავე ტიმოფეევმა გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლების შესახებ. ქაღალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა, ქაჯან. ნუ მაწუხებთ, ამალამ აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო“ და მეორე დღით გამოვიდა დიდის ზარზეიმით“.

აკაკის დაპატიმრებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ბეჟან წერეთლის წერილი აკაკისადმი: „ძვირფასო ძმაო აკაკი! ძლიერ შეგვაწუხა შენმა მეტეხის ვიზიტმა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ბევრი ხნით არ შეუწუხებიხართ. რა მოელანდათ მაგ ოჯახდასაქცევლებს. მე ვფიქრობ მანდაურს დიდ ბატონს წინანდელი სცენები დავიწყებული ჰქონდა და რომ ნახეს შენს „ხუმარაში“ მარშალი ამზადებს ნიშადურს, დაფთხნენ კიდევ არავის ამოგვისვასო.

იყავი კარგად, ნურაფერს შეუშინდები, ეს კი, რომ არ იქნება ცუდი, ამ ჩვენ მარშლებსაც ასწავლიდეთ ნიშადურის შემზადებას“.

ასეთი იყო აკაკის „ხუმარას“ ისტორია, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული იუმორისტული ჟურნალისტიკის შემდგომ განვითარებას.

ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების გზები

ქართული საბავშვო მწერლობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში, არსებითად ქართულ საბავშვო ჟურნალისტიკასთან ერთად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა.

ქართული საბავშვო პერიოდიკის ჩასახვა მეტად მძიმე ეპოქაში მოხდა. ეს იყო პოლიტიკური რეაქციის შავბნელი წლები, რაც ნაროდოვოლცების მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობას მოჰყვა რუსეთში.

1881 წლიდან სამეფო ტახტზე გონებაჩლუნგი ალექსანდრე მესამე ავიდა, რომელმაც გარს შემოიკრიბა პირწავარდნილ რეაქციონერ-მოხელეთა მთელი ხროვა, როგორიც იყვნენ პობედონოსცევი, — ალექსანდრე მესამის აღმზრდელი და პირველი მრჩეველი, განათლებით იურისტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან საქმეთა მინისტრები — იგნატიევი და დ. ტოლსტოი, მსხვილი მემამულე ზაპუხინი, სინდისგარეცხილი ჟურნალისტები: კატკოვი, მეშჩერსკი, დანილევსკი და სხვები.

როგორც პროფ. აკ. სურგულაძე აღნიშნავს, ახალი ხელისუფლება მიზნად ისახავდა შეეჩერებინა რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება ბურჟუაზიული მიმართულებით, შეენარჩუნებინა ქალაქად და სოფლად პატრიარქალურ-ფეოდალური წესები, აღედგინა 60-იანი წლების რეფორმების შედეგად შელახული წოდებრივი პრინციპები, შეეფერხებინა სახელმწიფოებრივი აპარატის გარდაქმნა თვითმპყრობელური ხელისუფლების რაიმე შეზღუდვის მიმართულებით, ამოეძირკვა რევოლუციური ორგანიზაციის ფესვები და ჩაეხშო პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობა[1].

დაიწყო თავისუფალი აზრის დევნის სისხლიანი ეპოქა, რევოლუ-

[1] აკ. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნის 60—80-იან წლებში, 1961, გვ. 383.

ციონერებით აივსო საპატიმროები, საფრთხობელებივით აღიმართა სახრჩობელები, როგორც ფართო მასების „გამოსწორების“ საუკეთესო ღონისძიება.

უნდა აღინიშნოს, დროც შესაფერისი დაუდგათ რეაქციონერებს. როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, „რევოლუციონერებმა პირველ მარტს ამოსწურეს თავიანთი ძალები, მუშათა კლასში არ იყო არც ფართო მოძრაობა და არც მტკიცე ორგანიზაცია, ლიბერალური საზოგადოება ამჯერადაც იმ ზომამდე პოლიტიკურად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ის ალექსანდრე II მოკვლის შემდეგაც შუამდგომლობებს ვერ გასცილდა“[1].

რეაქციის ცეცხლი რუსეთის იმპერიაში შემავალი განაპირა ქვეყნებს და, კერძოდ, საქართველოსაც დაატყდა თავს, მაგრამ უფრო მეტი სიძლიერით, რადგან აქ სოციალურ პრობლემას ეროვნული თვითარსებობის საკითხიც ემატებოდა. ცარიზმმა მიზნად დაისახა მწვავე ბრძოლა ეწარმოებინა არარუსი ხალხების ეროვნული არსებობის წინააღმდეგ, მოესპო მათი თვითმყობადობა და მოეხდინა ამ ერების სრული ასიმილაცია. სავსებით სწორად შენიშნავს პროფ. ა. კიკვიძე, რომ „ამ ბრძოლამ მიიღო შემტევი ნაციონალიზმის ხასიათი, რაც ველიკორუსულ შოვინიზმში გამოიხატა“[2].

რეაქციონერებმა უპირველესი იერიში კულტურულ კერებზე მიიტანეს. სკოლა და ქართული პრესა გახდა მათი შეტევის მთავარი ობიექტი, რადგან ღრმად სწამდათ, რომ მათი მოსპობით ან შეზღუდვით ადვილად განახორციელებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას.

სწორედ ამ პერიოდში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია კ. იანოვსკის დანიშვნას დიდი იმედებით შეეგება. „დროების“ რედაქტორმა — სერგეი მესხმა საკმაოდ მოზრდილი მოწინავე მოათავსა გაზეთში, რომელშიც ნათქვამი იყო: „...აქ კი (საქართველოში — ი. ბ.) დღემდინ მუდამ და ყველგან ირღვეოდა პედაგოგიის უპირველესი ჰეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზე უნდა მიიღოს პირველდაწყებითი სწავლაო. სხვა გარეშე მოსაზრებებმა, სრულებით არაპედაგოგიურმა მოსაზრებებმა და გარემოებამ დაავიწყებინა, გაათელვინა ფეხქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჰეშმარიტება. თქვენგან მოველით ახლა ამ ჰეშმარიტების აღდგენას, თქვენგან

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. V, 1949, გვ. 54.

[2] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1959, გვ. 136.

მოველით მის მკვიდრ საფუძველზე დამყარებას. თქვენგან მოელის ქვეყანა გარეშე მიზეზთა და გარემოებათა მიტოვებას და ნამდვილს პედაგოგიურს გზაზედ დაყენებას ჩვენი ხალხის განათლებისას. თქვენგან მოელის ეს მდიდარი, ეს ჩინებული ქვეყანა ხელმძღვანელობას იმ საქმეში, რომელიც ყველა ხალხისათვის წარმატების გზაზე დამყენებელი საქმეა, რომლისთვისაც თვითონ ეს ხალხი არაფერს არ ზოგავს... თქვენ დაინახავდით და დაინახავთ, რომ ჩვენი ხალხისათვის ნიჭი და გონება სხვებზე მომეტებული თუ არა ნაკლები არ მოუცია ბუნებას, მაგრამ სწავლაში მაინც არ არიან წარმატებულნი. რატომ? გაიცანით აქაური პედაგოგები, გაიცანით აქაური სწავლების წესი და პროგრამა და მაშინ მიხვდებით"[1].

როგორი იყო სწავლების წესი, რომელსაც ხაზს უსვამდა „დროების" რედაქტორი? ამის შესახებ თვით „დროება" იძლევა პასუხს: „ყმაწვილებს აძლევენ ხელში წიგნსა უცხო ენაზე და ეუბნებიან გაიზეპირეო. ყმაწვილი, რაც უნდა ფხიზელი და ცქვიტი იყოს, ისე გამოშტერდება, რომ „ჰკუიანობის" მეტი ველარ შეუძლიან რა. ამხანარ შკოლებში თავიანთი შემოქმედებით ყმაწვილები აჭკნობენ ყოველს კაცურს ნდობას, ფიქრს და გრძნობას, იქ ყმაწვილები ისეთ მდგომარეობამდის მიაღწევენ ხოლმე, რომ იმათ ყველაფერზე გული უცრუდებათ და ვერცერთ საგანზე ცხოველი აზრის წარმოთქმა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ"[2].

თუმცა მეფის რუსეთის ბიუროკრატია მიზნად ისახავდა, რომ ქართველობისათვის მიეცა „საკაცობრიო განვითარება", მაგრამ ამავე დროს ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა, რომ მოემზადებინა ქართველობა „მთლიან რუსულ ოჯახთან შესადუღებლად საერთო ინტერესებითა და მისწრაფებებით"[3].

ამ მიზნით სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა, საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, აიკრძალა ყოველივე ის, რასაც ქართული სული ედგა, რასაც კავშირი ჰქონდა ეროვნებასთან.

კ. იანოვსკის ჩამოსვლის შემდეგ მდგომარეობა, ოდნავადაც არ შეცვლილა, პირიქით, ერთხელ აღებული გეზი ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარებისა მოხერხებული და გაიძვერა მოხელის წყალობით უფრო ძლიერად, მაგრამ სხვადასხვა თავბრუდამხვევი, ვითომდა ქართველობისათვის სასარგებლო გზით წარიმართა.

კ. იანოვსკის შეხედულებით სკოლა უნდა ყოფილიყო რუსული

---

[1] „დროება", 1878 წ. № 263.

[2] „დროება", 1866 წ. № 24.

[3] ცსსა, ფონდი 107, სერია — ბ, საქმე № 211.

ცივილიზაციის დამნერგავი, რომელიც შემუსრავდა ადგილობრივი ერების კულტურას და მოსპობდა ეროვნულ ენას. ამ მიზნით 1881 წელს მან შეადგინა სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც თვით სოფლის დაწყებით სკოლებშიც კი სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმოებულიყო.

კ. იანოვსკის ამ თავხედურმა ნაბიჯმა საშინელი აღშფოთება გამოიწვია ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში; მათ იმედებს ცივი წყალი გადაესხა და მთელი ქართველი ინტელიგენციის სახელით ს. მესხმა გულისწყრომით აღსავსე წერილით მიმართა კ. იანოვსკის: „პირველი ნაბიჯები თქვენის მოქმედებისა ჩვენში, — სწერდა ს. მესხი,—თითქო გვაიმედოვნებდა... რომ ნამდვილ პედაგოგიურ მიზანს მისდევდით და სხვა არაფერს... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს რაღაც სხვა ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენის მოქმედებისას...

არ ვიცი რა არის თქვენი აზრი და მიზანი, მაგრამ ჩვენ კი შემდეგი უნდა მოგახსენოთ: ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს, ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყნარებლად, მოუსვენლად იბრძვის თავის დედაბიწის, სარწმუნოების, ენის და ერობის დასაცველად. თითო მტკაველი თავის სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს სწავლისა, ყოველი ლექსი თავისი სამშობლო ენისა, ათას, ათი ათას თავის საკუთარ შვილად უღირს... მუდამ დღე, მუდამ წამს, კაცის ფიქრი იმაზედ იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენას და ერობას არ შეჰხებოდა...

...და თქვენ გნებავსთ ახლა, რომ სოფლის სკოლების საშუალებით უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და თქვენ გნებავსთ, რომ ერთის თვალის დახამხამებაში ხალხმა დაივიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა და ტანჯვა წამებით შეუძენია და ძვირფას საუნჯედ გადმოუცია თავის შთამომავლობისათვის? და თქვენ გნებავსთ, რომ ამგვარ ხალხმა ერთის სიტყვით მიატოვოს თავის გვარტომობა?!“[1].

საკმაოდ გაბედული და მკაცრი სიტყვებია. ს. მესხის ამ წერილს მოჰყვა მთელი სერია წერილებისა, რომლებიც არანაკლები მკაცრი ტონით გმობდნენ კ. იანოვსკის განზრახვას.

ქართული ენის აბუჩად აგდება, მისი მიჩნევა არასავალდებულო საგნად, მისი გამოყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ერთგვარ დახმარებას გაუწევდა „ტუზემც“ მოწაფეებს უკეთესად და

[1] „დროება“, 1880 წ. № 254.

შეგნებულად შეეთვისებინათ რუსული ენა, ქართულ ენაზე ლიტერატურული მასალის შერჩევისას შეჩერება უპირატესად ისეთებზე, რომელნიც ისწავლებოდნენ იმავე კლასში რუსულ ენაზე, ქართული ენის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, მოსპობა და მისი გამოცხადება რუსული ენის და სხვა საგნების ზედნადებად „ქართველ ბავშვს სძარცვავდა ყველა იმ საუნჯისაგან, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას მოსდევდა თან, რადგან... ქართველი ბავშვი მოკლებული იყო შესაძლებლობას გაეცნო თავისი გარემო და სამშობლო ქვეყანა, მშრომელი გლეხი და მისი გმირული წარსული, ცალკე ისტორიულ გმირთა თავდადება სამშობლოს კეთილდღეობისათვის, გაეცნო ქართველი მწერლები და მათი შემოქმედება“[1].

სწორედ ეს იყო ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარი მიზანი. „განათლების მესვეურნი“ ნაწილობრივ შედეგსაც აღწევდნენ, — გამოდიოდა ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, უცოდინარი ქართული ენისა. მაგრამ საბრალოებმა არც რუსული იცოდნენ ხეირიანად. „განათლების მესვეურნი“ კი გულმოდგინებით ქსოვდნენ ოცნების ბადეს და ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ „რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, ყურს მიაპყრობს მგზავრი კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ღაპარაკს და უკვე აღარ გაიგონებს სხვადასხვა ენას, რაც მას დღეს აქ აოცებს... როდესაც კავკასიის განაპირა მოსახლეობა კულტურით გაუერთიანდება და სულით შეედინება ცენტრალური რუსეთის მოსახლეობას, მაშინ ამ განაპირა თითოეული მისი მწვერვალის, თითოეული ხევის შესახებ შეიძლება ითქვას: „Там русский дух, там русью пахнет“[2].

ყოველივე ამას საშინელი გულისტკივილით გრძნობდა ქართველი საზოგადოება, იგი „განათლების მესვეურთა“ ბრბოში ხედავდა მესაფლავეს, რომელიც ყოველდღიურად თითო ადლ მიწას იღებდა ქართველი ერისათვის განკუთვნილი სამარიდან, რათა „ბუნებრივად“, თანდათანობითი გადაგვარების გზით, მოხერხებულად დაესამარებინათ „ბურჯი ეროვნებისა“, ქართველი მოზარდი თაობა, ეროვნული ნიადაგის გამოცლით წამოექციათ დედაბოძი ქართველობისა.

ცხადია, შეუძლებელი იყო შექმნილ ვითარებასთან შეგუება. ამი-

---

[1] ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, გვ. 77.

[2] Н. Попов, Деятельность управления кавказского учебного округа, журн. „Русская школа“, 1901 г. № 1, стр. 76—77.

ტომ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობდა. რათა გადაერჩინა მოზარდი თაობა, ეროვნება დაღუპვისაგან. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ სახალხო განათლების სადაველები ხელისუფლებას ეპყრა ხელთ, ცხოვრების ყოველ სფეროში რუსიფიკატორული სული ტრიალებდა. ქართველი ბავშვი რჩებოდა ყოველივე ქართულის გარეშე და თითქოს თავისდა შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც, საკმაოდ ძლიერ სულიერ ტრაგედიას განიცდიდა. მოზარდ თაობას არ გააჩნდა რიგიანი საკითხავი წიგნები[1], არ ჰქონდა თავისი პერიოდული გამოცემა, ვერსად პოულობდა იგი სულიერ საზრდოს და სკოლაში მასწავლებლის ჯიჯღინ-შტიალით და ცეშატყეპით დამფრთხალი, უარესის მოლოდინით შეშინებული, შიხ გაკვეთილების ზუთხვას „ასხამდა ტვინს“, რომელსაც მხოლოდ ერთი დღისათვის იზეპირებდა. სკოლაში „კურს გამთავეს არც იმისთანა სწავლა გამოაქვს, რომელიც პირადად მას გამოადგეს ცხოვრებაში და არც იმისთანა, რომ საზოგადოების ხეირიან წევრად გამოდგეს, ესმოდეს ავი და კარგი და სცდილობდეს საზოგადოებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას“[2], — ჩიოდა ჟურნალ „იმედის“ თანამშრომელი.

ქართველი ინტელიგენციისათვის აშკარა გახდა, რომ ამ ბურუსით მოცულ უდაბნოში საჭირო იყო ნათელი სხივი, საჭირო იყო პედაგო-

---

[1] 1868 წლიდან 1880 წლამდე ბავშვებისათვის გვხვდება წიგნები, რომელთაც მეტ წილად სახელმძღვანელოს ხასიათი აქვთ. აი თითქმის მთელი ეს საგანძური: „ანბანი და სასარგებლო წერთვნანი ყმაწვილთათვის, თარგმნილი რუსულიდან“, 1868 წ.; ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი“, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებლად“; მისივე, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“; სერვანტესი, „ლამანჩელი აზნაური დონ კიხოტი“, თარგმანი ნ. ავალიშვილისა, 1869 წ.; „არსენას ლექსი“, მდივანოვის „ანბანი ქართული“, 1873 წ.; ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა პირველდაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან“, 1874 წ.; ისარლიშვილი, „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად“, 1875 წ.; ლ. ჩომახიძე, „ქართული ანბანი“, 1875 წ.; ა. ჯუღელი, „ყმაწვილის სარკე ანუ წერა-კითხვის წიგნი“, 1875 წ.; კრილოვი, „არაკნი კრილოვისა“, თარგმანი მ. ბებუთოვისა, 1876 წ.; რ. ერისთავი, იგავ-არაკნი გამოკრებილნი „სიბრძნე სიცრუისაგან“ და გალექსილი რ. ერისთავის მიერ“, 1878 წ.; „პატარა ბიბლიოთეკა“, ი. გოგებაშვილის რედაქციით, წიგნი პირველი; ზ. ჭიჭინაძე, „საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს“, ლექსთა კრება შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

როგორც ვხედავთ, დასახელებულ წიგნებს შორის მეტი წილი ანბანის სახელმძღვანელოა, მეორე ადგილი უჭირავს თარგმანებს, ხოლო ორიგინალური სულ რამდენიმეა.

[2] „იმედი“, 1881 წ. № 2, გვ. 131.

გიური ჟურნალი, რიგიანი ქართული საბავშვო წიგნების მთელი წყება და თვით საბავშვო პერიოდული გამოცემაც კი, რომელიც გაუადვილებდა მშობელს აღზრდის რთული პროცესის წარმართვას, შეაგნებინებდა ქართველ ბავშვს თავის ვინაობას, მიაწოდებდა მისთვის საჭირო გონებრივ საზრდოს და ხელს შეუწყობდა მასში ადამიანურ გრძნობათა განვითარებას. „ნამეტანი იქნება იმაზე ლაპარაკი, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც ცხადია, რომ ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას, ამასთანავე ყველამ კარგათ ვიცით, როგორ ცუდათ იზრდებიან ჩვენი ნიჭიერი, მაგრამ საცოდავი ყმაწვილები, რამდენს ჰკარგავენ ისინი და როგორ ხდებიან იმისაგან, რომ მშობლებმა მათი გაძღოლა არ იციან“[1].

ქართველი ერის მეორე დიდი მოამაგე იაკობ გოგებაშვილი მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოებები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა. ენისა, ტერიტორიისა და ლიტერატურის შესწავლით ყოველი მოწაფე გულით და სულით შეუთვისდება წარსულს და აწმდგომს თავის ერისას და შეიქმნება მისი ჰეშმარიტი სულიერი შვილი. ამიტომ ყოველ ქვეყანაში დედა-ენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლა შეადგენს მთავარს საგანს ზრუნვისას... მაგრამ ჩვენი ქვეყანა ამ მხრითაც გამოკლებულია სხვა ქვეყნების რიცხვიდან“[2].

ამრიგად, ეპოქა მოითხოვდა წიგნსა და ჟურნალს მშობელთა და შვილთათვის და როდესაც ოთხმოციანი წლებისათვის მეფის მოხელეთა თავხედობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, მთელი სიმწვავით დაისვა პედაგოგიური და ქართული საბავშვო ჟურნალების და საკითხავი წიგნების შექმნის საკითხი.

პირველი ქართული საბავშვო ჟურნალები „წყარო“ და „საყმაწვილო გაზეთი“

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ პედაგოგიურ ცხოვრებას და, კერძოდ, საბავშვო ლიტერატურას თვალსაჩინო გამოცოცხლება დაეტყო. 1881 წლის დასაწყისში „დროების“ ერთ-ერთი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938, გვ. 117.

[2] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, 1910, გვ. 28.

თანამშრომელი რ. ჯაჯანაშვილი დაჟინებით მოითხოვდა პედაგოგიური ჟურნალის დაარსებას და ამ ჟურნალს ასეთ მოთხოვნას უყენებდა: „ჟურნალმა უნდა გამოააშკარაოს და გამოიკვლიოს ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებდნენ და ეხლაც აბრკოლებენ ჩვენში სწავლა-განათლებას. ჟურნალმა უნდა გვიჩვენოს, რა ადგილი უნდა ეჭიროს დედა ენას სწავლების სისტემაში, ჟურნალმა უნდა გამოიკვლიოს, როგორ უყურებს ხალხი სკოლას და რას მოელის იმისაგან, ჟურნალმა უნდა შეიმუშაოს სწავლების მეთოდები, ყურადღება უნდა მიაქციოს მასწავლებლის მომზადებას“[1].

თუმცა პედაგოგიური ჟურნალი მოთხოვნის უმალ არ დაარსებულა; ამის მიზეზი იმდროინდელი საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ცენზურის სიმკაცრეში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ჟურნალის საჭიროების დღის წესრიგში დაყენება მაინც მრავლისმეტყველი ფაქტია.

პედაგოგიური ჟურნალის დაარსების საჭიროებაზე ცოტა უფრო ადრე, 1880 წლის ნოემბერში, მეტად მორიდებულად, მაგრამ მტკიცედ დაისვა ყოველთვიური საბავშვო ჟურნალის დაარსების საკითხი. ამის შესახებ გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ რამდენიმე ყმაწვილ კაცს განზრახვა აქვთ მომავლის წლიდან ქართული საყმაწვილო თვიური ჟურნალი გამოსცენ, სახელწოდებით „წ ყ ა რ ო“, რომელშიაც საყმაწვილო მოთხრობები და სტატიები დაიბეჭდაო. ამ ჟურნალის რედაქტორად ბ. ანთ. ჯუღელს ასახელებენ“[2].

უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი ამ ფრიად სასიამოვნო ცნობას. იგი მოუთმენლად მოელოდა მომავალ 1881 წელს, რომელმაც სულ მოკლე ხანში მიუძღვნა ქართველ მოზარდ თაობას უძვირფასესი საჩუქარი — პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „წყარო“.

„ჩვენი საზოგადოებისათვის ფიქრიც დანაშაულობად ითვლება, არა თუ მასზე ზრუნვა, მისთვის ღვაწვა“, — სამართლიანად შენიშნავდა „იმედის“ თანამშრომელი დ. აბდუშელიშვილი. მართლაც, „წყაროს“ გამოცემა ანთიმოზ ჯუღელს თითქოს უდიდეს დანაშაულად ჩაეთვალა; მას არ მიეცა შესაძლებლობა სისტემატურად, გარკვეული ინტერვალების დაცვით და ხანგრძლივად ეწარმოებინა ჟურნალის გამოცემა.

„წყაროს“ პირველი ნომერი უნდა გამოსულიყო არა უგვიანეს 1881 წლის იანვრისა, მეორე ნომერს ცენზურის ვიზა მიუღია იმავე

---

[1] „დროება“, 1881 წ. № 74.

[2] „დროება“, 1880 წ. № 238.

წლის 12 მარტს, ხოლო მესამე და მეოთხე ნომრები ერთ წიგნად გამოსულა, რომელსაც ცენზურის ვიზა მხოლოდ 9 ივლისს ღირსებია.

ჟურნალი განკუთვნილი ყოფილა როგორც მცირეწლოვანთათვის, ასევე მოზრდილთათვის, რასაც გვაფიქრებინებს მასალის სხვადასხვაობა და ორგვარი ტექსტი, აწყობილი კორპუსით (მცირეწლოვანთათვის) და პეტიტით (მოზრდილთათვის).

ჟურნალის პირველი ნომრიდანვე აშკარად ჩანს, რომ რედაქციას მიზნად დაუსახავს მოზარდი თაობისათვის პოპულარული ფორმებით მიეწოდებინა ცნობები ბუნების მეცნიერებიდან („მატლი", „ანკარა"), ჩაენერგა ბავშვში ჰუმანური გრძნობები („დედა და შვილი"), აეხსნა და განემარტა სწავლის მნიშვნელობა და შეეყვარებინა სკოლა და წიგნი („დედა და შვილი", „ყინვა და პატარა მოწაფე").

ჟურნალის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში დაიბეჭდა ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, ნ. ლომოურის „პატარა ქაჯანა" და რაფიელ ერისთავის „ზამთარი".

რედაქცია პირველივე ნომერში ჰპირდებოდა მკითხველებს, რომ ჩვენი ჟურნალი ილუსტრირებული იქნებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, მასში მხოლოდ რამდენიმე მდარე ხარისხის ილუსტრაციაა დაბეჭდილი.

მეორე ნომერს გარეკანზე ასეთი წარწერა აქვს: „გაზაფხული. ყრმათათვის საკითხავი წიგნი „წყარო" № 2", ხოლო მესამე და მეოთხე ნომრებს — „ზაფხული, ყრმათათვის საკითხავი წიგნი „წყარო", № 3—4".

როგორც ჩანს, რედაქტორს უცდია დაეცვა სეზონურობა მასალის მიწოდების საქმეში, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია, რადგან როგორც გაზაფხული, ისე ზაფხული ჟურნალში მხოლოდ რაფიელ ერისთავის ორიოდე ლექსით არის წარმოდგენილი.

ჟურნალში მონაწილეობდნენ: რაფ. ერისთავი, რომლის ლექსებიც — „ბზობა", „აღდგომა", „გაზაფხული" — დაწერილია „წყაროს" რედაქციის შეკვეთით და პირველად აქ დაიბეჭდა; ნ. ლომოური, ი. მრევლიშვილი, ა. ჯუღელი, ელ. ბაქრაძე და სხვ. მათ შორის უველაზე ნაყოფიერი რაფ. ერისთავი და ან. ჯუღელია.

1881 წლისათვის ხელახლა ისმის საკითხი ლიტერატურის რაობისა და დანიშნულების შესახებ. „იმედის" რედაქტორი მიხ. გურგენიძე ჟურნალის ფურცლებზე ათავსებს საკმაოდ ვრცელ სტატიას — „ერთი ჩვენი მწერლობის სენი", რომელშიც ნათქვამია: „მწერლობა არის გონებით, გრძნობით და მოქმედებით ხალხის მაღლა აწევა ძალა. მან უნდა გახსნას დახშული გონება ხალხისა და გააც-

ნოს მას ყოველივე, რაც კი იმის გონივრულ არსებობისათვის დასაკმაყოფილებლად საჭირო არის, უნდა ჩანერგოს იმის გულში ის გრძნობაები, რომლებიც საჭირონი არიან იმის გასათბობლად და ზნეობით ასამაღლებლათ; უნდა დააყენონ იმ გზაზედ, რომელსაც ნამდვილათ შეეძლოს იმის მატერიალური კეთილ მდგომარეობამდის მიყვანა. სხვანაირათ ვსთქვათ, მწერლობამ უნდა გაუსწოროს ხალხს ხასიათი, უჩვენოს მას მისი ნაკლულოვანებაები და მათგან განმანთავისუფლებელი საშუალებანი"[1].

ეს მოძღვრება თითქმის მთლიანად შეითვისა „წყაროს" რედაქციამ. მოზარდი თაობის დახშული გონების გახსნა, ჩანერგვა მის გულში გრძნობებისა, „რომლებიც საჭირონი არიან იმის გასაბათილებლათ და ზნეობის ასამაღლებლათ", ბავშვის ხასიათის სწორ გზაზე დაყენება „წყაროს" თანამშრომლებისათვის ძირითად საკითხად იქცა, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ჟურნალი ცდილობს მკვეთრად გაუსვას ხაზი თანადროულობას, ჩაახედოს პატარა მკითხველი ცხოვრების გულში და დაანახვოს, ერთი მხრივ, ია-ვარდით მოფენილი გზა, რომელსაც მედიდურად სტკეპნიან მდიდრულად ფარჩა-აბრეშუმებში გამოწყობილი უზრუნველი ცხოვრების შვილნი, ხოლო, მეორე მხრივ, — გზა ნარეკლით მოფენილი, რომელზედაც ბაწარაღებით მიემართება მთელი წყება ცხოვრების გერებისა.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის პროცესი, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩქარი ტემპით განვითარდა, 80-იანი წლებისათვის საკმაოდ შესამჩნევ მოვლენას წარმოადგენდა. ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ გამოიწვია ფაბრიკა-ქარხნების ზრდა და საქართველოს მთავარი ქალაქები ქარხნების მილებიდან ამონადენ კვამლში გაეხვია. გაიზარდა საფაბრიკო პროლეტარიატი, გაიზარდა ექსპლოატაცია, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ქალთა და ბავშვთა შრომა. „დროების" ერთ-ერთი თანამშრომელი სტ. გულიშამბაროვი ასე ახასიათებს ამ მოვლენას: „...ამ ფაბრიკაში (ლაპარაკია მირზოევის მიტკლის საქსოვ ფაბრიკაზე), როგორც ამბობენ ხუთას მუშამდე არის თურმე, მეტი ნაწილი ახალგაზრდა ბიჭებია, რომელნიც ძლიერ მალე გაწაფულან თურმე და მალეც შეუსწავლიათ ფაბრიკის ხელობა... ფაბრიკის პატრონს, რასაკვირველია, უხარია, რომ ასე იაფად პოულობს მუშა ხელს და ამის გამო უფრო პატარა ბიჭებს და ქალებს ქირაობს"[2].

[1] „იმედი", 1881 წ. № 2.

[2] „დროება", 1872 წ № 24.

ეს რთული მოვლენა შეუნიშნავი არ დარჩა „წყაროს“ რედაქციას და შეეცადა მიექცია მისთვის პატარა მკითხველების ყურადღება. ამ მიზნით ჟურნალში დაიბეჭდა საკმაოდ საინტერესო მასალა, როგორიცაა: „ოლა“, „მზეთუნახავი ქალი და თორმეტი თვენი“ („წყარო“, № 2), „ყმაწვილის ლოცვა“, „თედო“, „ჩიტი და ტუსაღი“ (№ 3 და 4) და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ა. ჯუღელის მოთხრობა „ოლა“, ავტორი გვაცნობს მდიდარი საზოგადოების ცხოვრების სურათს და გადმოგვცემს ამ წრეში აღზრდილი ბავშვის ფსიქოლოგიას, რასაც მოხერხებულად უპირისპირებს ახლად წარმოშობილი საფაბრიკო პროლეტარიატის უნუგეშო მდგომარეობას.

ოლა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აღზრდილი გოგონაა, რომელსაც მშობლები ზომაზე მეტად ანებივრებდნენ. მას „ჰყვანდნენ მრავალი მასწავლებელნი და გამზრდელები“, რომელნიც კუდში დასდევდნენ და ციებს ნიავს არ აკარებდნენ; „ოლა, ნუ დარბიხარ ეგრე ჩქარა, თორემ წაიქცევი, ოლა, კარზე ნუ გახვალ, თორემ გაციები, წყალი ცივია, არ დალიო“. ეს და სხვა ამგვარი დარიგებანი გულს უწუხებდნენ ბავშვს. იმ შემთხვევაში, თუკი იგი სადმე წასელას მოისურვებდა, აუცილებლად დახურულ კარეტას მოართმევდნენ. თავისებური იყო მათი საცხოვრებელი ბინაც: იქ „ყველგან ბრწყინავდნენ ოქროსა და ვერცხლის ჭაღები, იმათ ელვარებას კაცი ძნელად გაუსწორებდა თვალს. ძვირფასი რბილი ხავერდით გადაკრული დივნები და კრესლოები მოხდენით იდგნენ ოთახებში... რას მოისურვებდი სულო და გულო, რომ მათ სუფრაზე არ მდგარიყო“.

აი ასეთ პირობებში იზრდებოდა ოლა და თუმცა ყოველდღე ხედავდა თავისი ოთახის ფანჯრის წინ მოგროვილ ჩამოძონძილ, ქუჩაში გამოყრილ გოგო-ბიჭებს, მაგრამ „ჯერ ბავშვი იყო, არაფერი არ ენახა და არ იცოდა რა წვა და დაგვით სცხოვრობდნენ ეს პატარა გოგო-ბიჭები. მას ეგონა, რომ იმათაც დიდრონი მშვენიერი ოთახები ეჭირათ, ის კი არა თუ სოროს მსგავსი საცოდავი პატარა ჭოხმახები ავდრისა და სიცივისაგანაც კი ვერ იფარავდნენ მათ“.

ასე ეგონა არა მარტო ოლას, არამედ „წყაროს“ მკითხველთა საკმაოდ დიდ ნაწილსაც. ამიტომ ავტორმა მოინდომა ფარდა აეხადა ჩვენი ცხოვრების ერთი დიდი კუთხისათვის და მზის სინათლეზე გამოეტანა პატარა მკითხველებისათვის უცნობი ჯურღმულის ცხოვრება. ამ მიზნით ავტორმა მკითხველი თვით ამ ცხოვრების მორევში შეიყვანა.

ოლა და მისი ძმა სასეირნოდ გაემართნენ. „როდესაც უმთავრესი

ქუჩები გაიარეს ჩვენმა მოსეირნეებმა, გაუხვიეს ღარიბ, განაპირა ქუჩისაკენ. აქ ორთავეს მხრით დიდი შავი სახლები იყვნენ ჩამწკრივებულნი... იდგა მძიმე და გაშტერებული ჰაერი, ყველა ამ სახლებიდან გამოდიოდა მოთეთრო ორთქლი და სახლების გვერდზე ამოყუანილი ბუხრებიდან ამოდიოდა შავი კვამლი. საშინელი რახარუხისაგან აღარაფერი ისმოდა, ქუჩა ისეთი ტალახიანი იყო, რომ ბევრს ადგილას სანდრომ ხელში აიყვანა ოლა".

ასეთია ქალაქის განაპირა უბანი, სადაც უზარმაზარ ქარხნებს დაუღიათ შავი, გაუმაძღარი ხახა და ათასობით ნთქავენ ლუკმაპურის მაძიებელ გაძვალტყავებულ ადამიანებს. მაგრამ ავტორი აქ სურათის ჩვენებით არ კმაყოფილდება და ამ ქარხნების შინაგან ცხოვრებასაც ასახავს: „სინოტივისაგან გაშავებული კედლები ბევრ ალაგას ხავსით იყვნენ დაფარული, დიდძალი მატყლი, რომელშიც დამპალი ბევრი ერია, ეყარა აქა-იქ და ცუდ სუნს აყენებდა... კაცი სულს ვეღარ იბრუნებდა მძიმე და შეგუბებული ჰაერის გამოისობით... მატყლს უსხდნენ პატარა ბავშვები და სწეწავდნენ... მკბენარს ფუთფუთი გაჰქონდა მათს ტანსა და საცმელზედ, მაგრამ ესენი ყურადღებას არ აქცევდნენ მათ. დაგლეჯილი, ერთმანეთზე მიკერებული მჩვრები ძლივსა ჰფარავდა მათ გამხმარ სხეულს. მატყლის მყრალი მტვერი ჩასდიოდათ ყელში და ყოველ მათგანს საცოდავათ ახველებდა. მათი სახე ისეთი გამხდარი, გაყვითლებული და ჭუჭყით დაფარული იყო, რომ თუ კარგათ არ დააკვირდებოდით, იმათ თქვენ უსათუოდ რაიმე ცხოველებათ მიიღებდით".

კაპიტალიზაციის ულმობელმა პროცესმა ეს ადამიანები ცხოველებად გადააქცია; ჩაკლა მათში მრავალი გრძნობა, გააქვავა, გააპირუტყვა. ერთი მხრივ, მუშაობის უმძიმესმა პირობებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ზედამხედველთა აუტანელმა სიმხეცემ და ლუკმაპურის დაკარგვის შიშმა, მცირე ხელფასმა, რომელსაც სამადლოდ გადმოუგდებდნენ ქარხნის მეპატრონენი, მათში ეგოიზმი გააღვივა.

მთელი ეს სურათი დიდი სიცხადით არის გადაშლილი მკითხველის წინაშე.

მაგრამ როგორია მუშის შინაური პირობები? აქ ხომ მთელი საშინელებაა: ბნელი, ნესტიანი სადგომი, რომელიც უფრო სოროს ჰგავს. მიწის იატაკზე გართხმულა „გაყვითლებული დედაკაცი... ოჰ, როგორი გამხდარია საწყალი. აგერ იმის გარშემო ვიღაცეები იძვრიან... შვილები, პატარა გოგონები... ერთი მომკვდარა კიდეც... დედაკაცი კვნესის... აი, კიდევ ვიღაებიც კუნჭულში, კიდევ პატარა, კონკებში გამოხვეული, მშიერ-მწყურვალი გოგოები... დედავ, დედავ, თითებს იკვნეტენ საცოდავები".

იმ დროს, როდესაც მდიდრულად მორთულ გაჩირაღდნებულ დარბაზებში გამართულ ნაძვის ხეს „სულ მშვენიერ ტანისამოსში დართულნი ოცამდისინ ქალი და ვაჟები უხტოდნენ ამ ნაძვის ტოტს და სიამოვნებით შესცქეროდნენ მის ლამაზ კამფეტებს, ქუჩის სიბნელეში რამდენიმე თავშიშველა-ფეხშიშველი პატარა ბიჭების გროვა განათებულ ფანჯარას შემოსცქეროდნენ ქვეშიდამ".

საკმაოდ მკვეთრი დაპირისპირებაა და ამავე დროს შეუფერავი სურათი 80-იანი წლების ცხოვრებისა.

ავტორი თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ თვით ბურჟუაზიულ ოჯახში იწყება ერთგვარი რღვევა, თავს იჩენს წინააღმდეგობა მშობლებსა და შვილებს შორის. მშობლები ძველ თვალსაზრისზე რჩებიან, ხოლო შვილები გრძნობენ ახალი სიოს ქროლას და სრულიად ახალ მიმართულებას ეწაფებიან. ისინი (სანდრო, ოლა) თანაუგრძნობენ მუშათა კლასს, კითხულობენ წიგნებს ქარხნებზე, ღარიბ ბავშვებზე, უნდათ უფრო დაწვრილებით გაეცნონ მათ ცხოვრებას და მომავალი მოქმედების გეგმებსაც სახავენ: „როდესაც დიდი ვიქნები, ყველაფრით შევეწევი საწყალ პატარა ღარიბ ბავშვებს... გავუმართავ ხოლმე სადილებს, ვახშმებს და ისეთ ქეიფს გავაწევინებ, რომ ჰა!" — გვპირდება პატარა ოლა.

ასეთია მოთხრობის ფინალი. როგორც ვხედავთ, ავტორი არ აღვიძებს მკითხველში რევოლუციურ სულისკვეთებას. იგი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას მიამიტური, ბავშვური საშუალებებით ცდილობს და არ ესმის, რომ ცხოვრების გარდაქმნა მხოლოდ შეუპოვარი კლასთა ბრძოლის საფუძველზე მომხდარი რევოლუციით შეიძლებოდა. მაგრამ ამდენს ვერც მოვთხოვთ ავტორს, რადგან მუშათა კლასის დარაზმვა, მისი კლასობრივი თვითგამორკვევა, მარქსისტული იდეოლოგიის ხელმძღვანელობით მწყობრი რევოლუციური ბრძოლა საქართველოში მხოლოდ 90-იანი წლებიდან იწყება.

თუ „წყარო" თავის მკითხველს, ერთი მხრივ, აცნობს ქალაქის ცხოვრებას, მეორე მხრივ, სოფელსაც არ ივიწყებს და სურს, რომ პატარა მკითხველს დაანახვოს სოფლის ცხოვრებაც მთელი თავისი ტკივილებით.

მთელი რიგი ნაწარმოებები, ლექსი იქნება იგი თუ მოთხრობა, სოფელს და მის ყოფა-ცხოვრებას ეხება („თედო", „გიგოს ყანა", „პურის მოსავალი" და სხვ...). განსაკუთრებით საყურადღებოა მოთხრობა „თედო".

სოფლის ღარიბი ბიჭი იყო თედო. თუმცა მისი მშობლები დღედა-

ღამ მიწას შრომის ოფლით რწყავდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ სადგომში „ერთად-ერთი საკიდელის, ერთი თუჯის ქვაბის, ორი თიხის ქოთნის და მცირეოდენი ავეჯის გარდა არა მოიძეოდა რა“.

ძნელი იყო მარტოხელა გლეხისათვის ოჯახის რჩენა. იგი იმედით შესცქეროდა თავის ერთადერთ ვაჟკაცს და ბავშვური გულუბრყვილობით სთხოვდა მომავალ ნუგეშს: „დროზე გაიზარდე, ჩქარა მომეშველე, ლამის არის წელში გავწყდე მუშაობითო“.

პატარა თედომ მამასთან საუბრით გაიგო, რომ ყველა გლეხი შეწუხებული ყოფილა, ყველა მისი ნაოფლარით იკვებება: თავადი. აზნაური, მღვდელი, მამასახლისი, მწერალი, ვაჭარი და სხვანი მრავალნი მის კისერზე სხედან. ამ გარემოებამ ჩააფიქრა პატარა თედო. იგი აკვირდებოდა მამისა და მეზობლების ცხოვრებას, „ხან ფოჩტის ფულს ახდევინებდნენ, ხან მწერლისას, ხან გზაში გაჰყავდათ სამუშაოდ და ხან ვინ იცის სად“. დაკვირვებულ ბავშვს აოცებდა ის მდგომარეობა, რომ „ვინც მუდამ დღე განუწყვეტლივ მუშაობს, ის ღარიბია, ვინც არაფერს აკეთებს, ის კი მდიდარია. საწყალი გლეხი მუშაობს, მუშაობს და ბოლოს ერთი ვიღაცა აუჩნდება და წაართმევს ამდენ ნაწვავ-ნადაგს“. შრომა, სიღატაკე, შიმშილი — აი განუყრელი თანამგზავრი საწყალი გლეხისა.

მაგრამ იქნებ ქალაქში მაინც შეიძლებოდეს მისთვის ადამიანური ცხოვრება? არა, ქალაქი უარესია. ასპიტი და გულცივია ქალაქი, მიუკარებელია მისი კედლები. „იმ ქალაქებში იმდენი ღარიბები ცხოვრობენ, რომ წარმოდგენა არ შეგიძლიან. მერე უნდა იცოდე რა გასაჭირია ღარიბებისათვის ქალაქში ცხოვრება. აქ, სოფელში რომ რამე შემოგაკლდეს. მეზობელთან მიხვალ, დაესესხები და მოგცემს, ქალაქში ღმერთმა ნუ გაუჭირვოს ადამიანს. იქ ისე სჭირს ცხოვრება ზოგიერთისათვის, რომ შიმშილითაც ბევრი ღარიბი მომკვდარა. იქ არც მეზობლობა იციან და არც კაცის შებრალება. ღარიბებზე არც კი ფიქრობენ მდიდრები, იმათ ღარიბი კაცი სრულიად არ ებრალებათ“.

ამ პატარა ნაწყვეტში საკმაოდ მკვეთრად არის გამომჟღავნებული უარყოფითი შეხედულება ქალაქზე. სოფელი სჯობს მას. მართალია, აქაც შიმშილი მეფობს, მაგრამ სოფლად უფრო სიფაქიზეა, იქაური ადამიანები უფრო მთლიანნი, საღნი და გამტანნი არიან. ეს ტიპური ხალხოსნური მსოფლმხედველობაა, რომელიც საკმაოდ აშკარად გამომჟღავნდა 80-იანი წლების მხატვრულ ლიტერატურაში[1].

---

[1] იხ. პიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III, გვ. 25.

თედო წამოიზარდა. პირადი დაკვირვების საფუძველზე შეისწავლა ვაჭრისა და ჩინოვნიკის ცხოვრება, იგემა ქალაქის სიმწარე და დარწმუნდა, რომ „ვაჭრები, ჩინოვნიკები, თავადაზნაურნი და სხვა ათასი ვიღაცეები უბრალო ბარგი ყოფილან გლეხებისა... გლეხი რომ მარტო თავისთვის მუშაობდეს, იმის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“.

თედო ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, გარდაცვლილი მამის ადგილი დაიჭირა, მაგრამ არც მას ასცდა მამის მწვავე ბედი, თედოს „ერთი გლეხიც ვერ სჯობდა მუშაობაში, მაგრამ იმის გამდიდრებას მაინც არა ეშველა-რა“.

ეს მოთხრობა უდავოდ გაბედული სიტყვა იყო 80-იანი წლების პირობებში. მან პატარა მკითხველს სოფლის ცხოვრების ნათელი სურათი გადაუშალა და დაბეჩავებული ადამიანებისადმი თანაგრძნობით გული აუძგერა.

ბოლმამოწოლილი, ილაჯგაწყვეტილი მშრომელი მოსახლეობა ველარ იტანდა ტანჯვასა და გვემას. მათში აქა-იქ გაისმოდა პროტესტი, სამდურავი, რასაც შედეგად ცხე და გაციმბირება მოსდევდა.

. . არც ეს მოვლენა გამოჰპარვია „წყაროს“ რედაქციას და ამ უსამართლობის კვალიც აღბეჭდა ჟურნალის ფურცლებზე მოთხრობა „ჩიტი და ტუსაღით“. ამ ნაწარმოებში რამდენიმე სტრიქონით მშვენივრად არის გადმოცემული ტუსაღის ცხოვრებისა და სატუსაღოს გულშემზარავი სურათი: „ოთახის ვიწრო კედლები, ცივი და ნოტიო ჰავა სულს უხუთავდნენ ტუსაღს... იატაკზე იყო გაშლილი თივა, სათაურისაკენ ფანჯარა იყო... ოთახში დოქი და პირის საბანი წყლის ჭურჭელი იდგა. ეს შეადგენდა ტუსაღის კუთვნილებას სანამ აქ იქნებოდა. საჭმელად ჰქონდა ტუსაღს შავი ხმელი პური, მღვრიე წყალივით არეული წვენი და წყალი“. მაგრამ ავტორი მარტო ამ თხრობით არ კმაყოფილდება. იგი ცდილობს აუხსნას მკითხველს ტუსაღის დაპატიმრების მიზეზიც: „ის დაიჭირეს ავმა და კაცის შეუბრალებელმა კაცებმა, იმიტომ, რომ ამბობდა: „ყოველი კაცი ძმები და თანასწორნი ვართო“.

საყურადღებოა, რომ აქაც ცხოვრების გაუმჯობესების პროექტი კლასთა ბრძოლის გარეშეა წარმოდგენილი. ავტორი მოითხოვს, რომ „ავ კაცებს არ წაეკარონ და უსამართლობა სდევნონ“ მშვიდი და წყნარი ჩაგონების გზით, დაეხმარონ ღარიბებსა და ჩაგრულებს.

ეს მოთხრობა ანდერსენის კალამს ეკუთვნის და ჟურნალისათვის იგი სპეციალურად არის თარგმნილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „წყაროს“ რედაქცია შემთხვევითი ხასიათის მასალას კი არ ბეჭდავს, არამედ წინასწარი მიზნით ქმნის ორიგინა-

ლურ ნაწარმოებებს, ასევე თარგმანების შერჩევის დროსაც უპირატესობას „უსწორმასწორო წუთისოფლის“ ამსახველ მასალას აძლევს და. თუმცა მკითხველში არ აღვიძებს კლასობრივი ბრძოლის სურვილს, მაგრამ მაინც საკმაოდ გაბედულად იმაღლებს ხმას სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ 80-იანი წლების შავი რეაქციის პერიოდში.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა ჟურნალი ცდილობს აგრეთვე მიაწოდოს ბავშვებს ცნობები ბუნებისმეტყველებიდან. ამ მიზნით იგი აცნობს პატარა მკითხველებს მწერებისა და ცხოველების ცხოვრებას და ათავსებს ისეთ მასალას, როგორიცაა „ცხოველების ჰკუა“, „წურბელები“, „ჭინჭველები“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალში დაბეჭდილი მასალები აღვიძებენ ბავშვში მეგობრობისა და სიმამაცის გრძნობას, ამდიდრებენ ბავშვის გონებას მოგზაურობის ჟანრის ნაწარმოებებით და ამავე დროს აცნობენ გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებას. ჟურნალი ხელს უწყობს მოზარდ თაობაში რელიგიური გრძნობის განვითარებასაც და ზოგიერთ მოვლენას ღვთის ძალის შემწეობით ხსნის. სამწუხაროდ, ჟურნალში მეტად მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ფოლკლორული მასალა. სამაგიეროდ სჭარბობს ანდაზები. ამოცანები, გამოცანები და სავარჯიშოები, რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას გონების ვარჯიშის გზით.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში ვხვდებით პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელ მასალასაც. მაგალითად, დედებსა და შვილებს შორის მთელი ბრძოლაა გამართული. ბავშვებს დიდების შიშით თავისუფლად მოქმედების უნარი ეკარგებათ. „გაჯოხვა“ ჩვეულებრივი გამასწორებელი ზომაა, მშობლების მიერ გამოყენებული.

მიუხედავად ამისა, „წყაროს“ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ბავშვის აღზრდისა და ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში. მან, ერთი მხრივ, გაამდიდრა მოზარდი თაობის გონება მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებით, განავითარა მისი მეტყველება, ესთეტიკური გემოვნება და ხელი შეუწყო საბავშვო მწერლობაში წმინდა ლიტერატურული ქართულის დამკვიდრებას, მეორე მხრივ კი „წყაროს“ საფუძველი ჩაუყარა ქართული საბავშვო ჟურნალის არსებობას და, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, დღის წესრიგში დააყენა საბავშვო ჟურნალის აუცილებელი საჭიროების საკითხი.

რაიმე გარკვეული მიზეზი, რომელიც ნათელს ხდიდეს ჟურნალ „წყაროს“ დახურვას, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ფაქტია მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი შეწყდა მეოთხე ნომერზე და ამის შემდეგ აღარც ყოფილა ცდა მისი აღდგენისა. ამრიგად, ქართველი ახალგაზრდობა ისევ უჟურნალოდ დარჩა. პრესის საჭიროება კი დღითიდღე უფრო აშკარა ხდებოდა, მაგრამ გავიდა ორი წელი და ამ ხნის განმავლობაში არც კი დასმულა ჟურნალის დაარსების საკითხი.

1883 წელს გაზეთ „დროებაში“ გაიელვა ცნობამ, რომ „ბ. ა. ს. ღულაძეს განუზრახავს გამოსცეს ქართული პედაგოგიური ჟურნალი და ნებადართვისათვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობასთან. ეჭვი არ არის, რომ ეს ჟურნალი არა მცირედს სარგებლობას მისცემს მოსწავლეებს და მასწავლებელ მშობელთაც, რომელთათვისაც საკითხავი წიგნი ასე ცოტა მოიპოვება ამჟამად ჩვენს ლიტერატურაში“[1].

ეს ცნობა ნაადრევი გამოდგა, რადგან ანდრია ღულაძის ჟურნალი საკმაოდ დაგვიანებით გამოვიდა (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). იმედებზე დამყარება შეუძლებელი იყო, ბავშვთა სამყარო სრულიად მართებულად მოითხოვდა წიგნსა და ჟურნალს მშობლიურ ენაზე, საქართველოს სატახტო ქალაქი კი დუმდა და მხოლოდ დროდადრო თუ გამოქვეყნდებოდა „დროებაში“ ცნობა, რომ ღულაძის ჟურნალი მალე გამოვაო. ამიტომ ხაშურისა და სურამის პედაგოგებმა — ალექსანდრე აბაზაძემ და ალექსანდრე ნათაძემ გადაწყვიტეს ნაწილობრივ მაინც შეევსოთ ეს უდიდესი ხარვეზი და გაზეთ „დროების“ საშუალებით ასეთი განცხადებით მიმართეს საზოგადოებას: „ვინც კი ბეჯითად დაჰკვირვებია ჩვენი სკოლების მიმდინარეობას, მის ავან-ჩავანობას, მის ავსა და კარგს, ის უეჭველია შენიშნავდა, რომ სხვა დაბრკოლებათა შორის ერთი, უფრო საგრძნობი დაბრკოლება გადაეღობა ჩვენ პირველდაწყებით სკოლებს: ეს დაბრკოლება საყმაწვილო წიგნების უქონლობა გახლავთ. ეს... დაბრკოლება... უსპობს სკოლას წინსვლის სახსარს. და აი, ამ საგრძნობელმა დაბრკოლებამ გვაიძულა და მოგვაგონა გამოცემა პატარა საყმაწვილო ალმანახისა, რომლის თავი და თავი დანიშნულება იქმნება: პატარა ყრმათ, უფრო სოფლის სკოლის შეგირდებს მიეცეთ საკითხავი მასალა და მით შეძლებისდა-

[1] „დროება“, 1883 წ. № 20.

გვარად გაუფართოოთ ბუნებაზე და ცხოველებზე წარმოდგენილობა და ვეცადნეთ გაუხსნათ ბავშვებს ცოდნის მოყვარეობა. ჩვენ პატარა ალმანახში იქნება დაბეჭდილი: მოთხრობები — ორიგინალური და ნათარგმნიც, სახალხო და ხელოვნებითი ზღაპრები, არაკები, ლექსები, გამოცანები, ცნობები შესახებ ბუნების მოვლენებისა, სცენები და სხვა.

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავთ სოფლის მასწავლებლებს, რათა მათაც ჩვენთან მიიღონ შეძლებისდაგვარად ამ ალმანახის გამოცემაში მონაწილეობა და თავიანთი შრომანი გამოგვიგზავნოს ხაშურში მასწავლებელ ალ. ნათაძეს და სურამში ალ. აბაზაძეს"[1].

სამწუხაროდ, ეს მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და არავითარი ალმანახი არ გამოცემულა.

რა უნდა ყოფილიყო ალმანახის გამოუსვლელობის მიზეზი? ჩვენი აზრით, მიზეზი თვით ალმანახის მმართველთა გამოუცდელობაში უნდა ვეძიოთ. მათ ვერ შეძლეს მიეზიდათ სათანადო ძალები, ფიქრადაც არ მოსვლიათ მწერალთა და მოღვაწეთა ჩაბმა ამ საპატიო საქმეში, მოინდომეს კორესპონდენტთა ვიწრო წრით შემოფარგვლა და ძირითადად იმედი სოფლის მასწავლებლებზე დაამყარეს, რომლებიც ამ პერიოდში, საკმაოდ დაქსაქსულნი, კარჩაკეტილ მოღვაწეობას ეწეოდნენ მივარდნილი სოფლების სკოლებში.

თუმცა „ალმანახის" დაარსების ცდა მარცხით დამთავრდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ „დროებამ" გამოაქვეყნა ცნობა, რომ „ჩვენ მივიღეთ პირველი წიგნი „საყმაწვილო ბაღისა", რომელიც გამოიცემის ბ. ზ. ჭიჭინაძის მიერო"[2].

ქართული წიგნის მოჭირნახულემ განახორციელა მოზარდი თაობის გულწრფელი სურვილი და თუმცა სუსტად, მაგრამ დიდი სიყვარულით კვლავ გააღვივა საბავშვო ჟურნალისტიკის ჩამქრალი კერა.

„საყმაწვილო ბაღი" წარმოადგენდა მეორე ქართულ საბავშვო პერიოდულ გამოცემას, რომელსაც უფრო ალმანახის სახე ჰქონდა, ვიდრე ჟურნალისა.

ზაქარია ჭიჭინაძემ ზრუნვა „საყმაწვილო ბაღის" გამოცემისთვის 1882 წლის დასაწყისში დაიწყო. ამ წლის „დროების" 51-ე ნომერში ზ. ჭიჭინაძემ სპეციალური წერილით მიმართა ქართველ კალმოსნებს და სთხოვა: საყმაწვილო ნაწარმოებები თუ აქვს ვისმე, დაგვითმეთ და გამოგვიგზავნეთო. მაგრამ მასალის მიწოდება საკმაოდ მოდუნებული ტემპით მიმდინარეობდა და თითქმის ერთი წლის

---

[1] „დროება", 1883 წ. № 52.

[2] იქვე, № 54.

განმავლობაში მხოლოდ თერთმეტმა ნაწარმოებმა მოიყარა თავი. ამის გამო 1882 წლის ნაცვლად „საყმაწვილო ბაღი“ 1883 წლის დასაწყისში გამოვიდა.

წინასიტყვაობაში, რომელიც ამ პერიოდულ ორგანოს ერთვოდა, ზ. ჭიჭინაძე აცხადებდა: „დღეიდან ვიწყებ მე ამ „საყმაწვილო ბაღის“ გამოცემას და რამდენადაც გარემოება ნებას მომცემს, ვეცდები, რომ იგი ხშირად გამოვსცე ხოლმე. გამოცემისათვის დროის აღნიშვნა საჭიროდ არ ვრაცხეთ, რადგან მინამდის საკმარისი მასალა არ მომივა, დაბეჭდვის შედგომა ჩემთვის შეუძლებელი იქნება“.

„საყმაწვილო ბაღის“ გარეგნული მხარე მეტად უბრალოა: გარეკანს შავი საღებავით შესრულებული გირლანდასებური აშია აქვს შემოვლებული; მთელი ნომერი აწყობილია პეტიტით, რაც კითხვას საკმაოდ აძნელებს. ალმანახში არ ვხვდებით არც ერთ ილუსტრაციას, რაც დიდ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს საბავშვო გამოცემისათვის. ამ ნაკლს თვით რედაქტორიც გრძნობდა და ბოდიშს იხდიდა მკითხველთა წინაშე: „ჩვენ გვინდოდა, რომ ამ წიგნში ზოგიერთი ნაწარმოების შესაფერი სურათები ჩაგვერთო, მაგრამ, როგორც საზოგადოდ ცნობილია, ამის მოხერხება ჯერჯერობით გაგვიძნელდა და შემდეგი წიგნებისათვის კი ვეცდებით, რომ ნაწერებს ზოგიერთი შესაფერი სურათებიც ჩაურთოთო“[1].

ზ. ჭიჭინაძემ შეძლო ჟურნალში სამოღვაწეოდ მოეზიდა საუკეთესო ქართველი მწერლების ერთი ნაწილი, მაგ., აკ. წერეთელი, ნ. ლომოური, ი. დავითაშვილი, მაგრამ იგი მხოლოდ მათი თანაშრომლობით არ კმაყოფილდებოდა და სურდა პირველ ნომერში მონაწილე მეორეხარისხოვან მწერალთა შეცვლა სახელოვანი მწერლებით და ამიტომაც მიმართავდა ასე გულწრფელად საზოგადოებას: „სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გულ-მხურვალე ყმაწვილ-კაცები ამ საყურადღებო მხარეს ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობს და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება“.

როგორც ჩანს, ზ. ჭიჭინაძეს „საყმაწვილო ბაღის“ გამოცემისათვის საკმაოდ ფართო გეგმა ჰქონია. იგი მუშაობას მეორე ნომრის გამოცემისათვისაც გულმოდგინედ შესდგომია, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ნომერი აღარ გამოსულა და თავისი მოღვაწეობა „საყმაწვილო ბაღს“ ამ ერთადერთი ნომრით დაუსრულებია.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი „საყმაწვილო ბაღის“ დახურვისა? ჩვენი ფიქრით, ეს შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას: 1883 წლის თებერვლიდან „დროებაში“ თანდათან გახშირდა ცნობები „ნობა-

---

[1] „საყმაწვილო ბაღი“, გვ. 77—78.

თის“ უახლოეს მომავალში გამოსვლის შესახებ. მართლაც, „ნობათის“ რედაქციას უკვე მნიშვნელოვანი მუშაობა ჰქონდა ჩატარებული ჟურნალის გამოსაცემად, რამაც გამოიწვია საუკეთესო კალმოსნების მიზიდვა-დაჯგუფება „ნობათის“ ირგვლივ. გარდა ამისა, იმ პერიოდში ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო იმდენად გაპოხიერებული, რომ ერთსა და იმავე დროს ორი ერთი და იმავე ხასიათის ჟურნალი ესაზრდოებინა, მაინცდამაინც არც საცენზურო პირობები იძლეოდა ამის შესაძლებლობას და ამიტომ ზ. ჭიჭინაძემ გადაწყვიტა ამ პირველი ნომრით დაემთავრებინა „საყმაწვილო ბაღის“ გამოცემა.

რას წარმოადგენს „საყმაწვილო ბაღის“ ეს ერთადერთი ნომერი? მისი შინაარსი ასეთია:

ა) აღდგომის შაბათი — საყმაწვილო კომედია პ. იეზოვისა.
ბ) ნიკო და ლიზა — მოთხრობა, თარგმანი ვანოსი.
გ) რთველი — მოთხრობა ი. ცისკარიშვილისა.
დ) ვედრება პატარა გლეხისა — ლექსი ნ. ლომოურისა.
ე) სიმღერა — ლექსი ი. დავითაშვილისა.
ვ) ამოცანები.
ზ) მათხოვარა ბავშვი — ლექსი თ. სოლომონისა.
ჱ) იგავ-არაკნი.
თ) დედის ამბავი (გოფმანისა) — რ. ჯაჯანაშვილისა.
ი) ამოცანები.
ია) ობოლი (სახალხო ლექსი).
იბ) ვარდი და ეკალი — აკაკისა.
იგ) წინასიტყვაობა — ზ. ჭიჭინაძისა.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით ალმანახი ცდილობს ხელი შეუწყოს ბავშვში რელიგიური გრძნობების განვითარებას („აღდგომის შაბათი“), გააცნოს პატარა მკითხველებს ბუნების მოვლენები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, ნამი და სხვ.), აუხსნას მათი მნიშვნელობა და წარმოშობის მიზეზები („ნიკო და ლიზა“). უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ნაწარმოები თავის მიზანს სამაგალითოდ აღწევს, ბუნების მოვლენები საკმაო მეცნიერული სიზუსტით არის განმარტებული და მარტივი თხრობით პატარა მკითხველამდე დაყვანილი.

„საყმაწვილო ბაღი“ ცდილობს გააღვიძოს მკითხველში სიყვარული სწავლისა და წიგნისადმი, აუხსნას მისი სარგებლობა (ი. დავითაშვილის „სიმღერა“) და ამავე დროს გააცნოს მისი თანატოლი გლეხის პატარა ბიჭის სოციალური მდგომარეობა და მისწრაფება (ნ. ლომოურის „ვედრება პატარა გლეხისა“).

„საყმაწვილო ბაღი“ ხელს უწყობს სამშობლოს სიყვარულის

ჯრძნობის განვითარებას და გასაგები ფორმით აწვდის მკითხველს ზნეობრივ ნორმებსაც (აკაკის „ვარდი და ეკალი“, თ. სოლომონის „მათხოვარა ბავშვი“).

ალმანახში საკმაოდ თვალსაჩინოდ გამოსჭვივის დიდაქტიზმი, რომელიც ხანდახან ორგანულად ერწყმის ნაწარმოებს, ხან კი ნაძალადევად მიტმასნილი მოძღვრების შთაბეჭდილებას ტოვებს („დედის ამბები“).

ხშირ შემთხვევაში კარგად არის გაგებული ნაწარმოების მოქმედ პირ ბავშვთა ფსიქოლოგია („ნიკო და ლიზა“, „ვარდი და ეკალი“), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პატარა მოქმედ პირთა ქცევას არ ახასიათებს ბავშვური ხასიათის ძირითადი ნიშნები („რთველი“), ხოლო უზნეო ვასოს სახით („დედის ამბავი“) წარმოდგენილია დესპოტი უმაწვილის ისეთი უარყოფითი სახე, რომლის მსგავსიც იშვიათად გვხვდება ცხოვრებაში და რომლის გაცნობაც პატარა მკითხველისათვის არც სასარგებლოა და არც სასურველი,— იგი ეწინააღმდეგება პედაგოგიურ მოთხოვნებს.

ალმანახის ენა ალაგ-ალაგ არქაულია, გვხვდება დამახინჯებული გამოთქმები და კორექტურული შეცდომებიც.

რაც შეეხება ალმანახის მიმართულებას, ამაზე ჩვენ ვერას ვიტყვით, რადგან ერთადერთი ნომერი მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

იმ პერიოდის პრესა არ შეხებია „საყმაწვილო ბაღს“ კრიტიკული თვალსაზრისით. 1883 წლის 54-ე ნომერში „დროებამ“ აღნიშნა მხოლოდ, „ეს პირველი წიგნი ცოცხლად არის შედგენილიო“, და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ჟურნალი „ნობათი“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დროების“ 1883 წლის მეოცე ნომერში გამოქვეყნებული იყო განცხადება ანდრია ღულაძის მიერ საბავშვო პერიოდული გამოცემის დაარსების შესახებ. ამ ჟურნალს თავისი პედაგოგიური დამატებაც უნდა ჰქონოდა.

საზოგადოებისათვის რომ ნათლად დაეხახვებინა ამ უდიდესი საქმის მნიშვნელობა და დაემტკიცებინა ჟურნალის დაარსების აუცილებელი საჭიროება, „დროებამ“ გამოაქვეყნა სტეფანე ჭრელაშვილის მოკლე, მაგრამ საკმაო მნიშვნელობის მქონე წერილი, რომელსაც სააგიტაციო ხასიათი ჰქონდა. წერილში ნათქვამი იყო: „სკოლები ჩვენში თანდათან მრავლდება და მასთან სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების რიცხვი მატულობს. მაგრამ ერთი

აკლია ჩვენი სკოლების კეთილდღეობას, მასთან ისეთი ნაკლი, რომლის მოშორებაც აუცილებელია. მასწავლებლების შორის არ არის ერთობა, მაგრამ ან როგორ შეიძლება იყოს მათ შორის ერთობა, როდესაც ბზობის ყვავილებივით არიან აქა-იქ დაფანტული. მასწავლებლების ურთიერთ თანხმობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ექნებათ საშუალება წერილობითი ლაპარაკისა... დღემდის სოფლის მასწავლებლებს ორი შრომა აწევს კისერზე: პირველად მან უნდა მოაჭაზადოს ყოველგვარი მასალა და მერე, მასალის შემუშავება და მეთოდიკის მოძებნა და ამორჩევა. სად გამოსძებნოს ეს მეთოდი? რასაკვირველია, უნდა გაიცნოს რუსული მეტოდიკები და იქ ბევრ მეტოდიკებს გაჩხრეკავს, მაგრამ თავის სურვილს კი ვერ დააკმაყოფილებს, რადგან რუსული მეტოდიკები რუსულ სკოლებისათვის არიან შედგარნი და არა ჩვენი სკოლებისათვის. ასე რჩება მოტყუებული მასწავლებელი და ისევ ატანს ძალას თავის მეტოდს. ასე რომ ყოველ მასწავლებელს ჩვენში თავისი საკუთარი მეტოდი აქვს. რაკი დაარსდება პედაგოგიური ჟურნალი, უეჭველია, ყოველი საგნის მეტოდიკები შემუშავდება, დაიბადება და ჩვენი სკოლები ერთ ფერს დაიდებს და ერთ გზას დაადგება.

პედაგოგიური ჟურნალის შემწეობით გავრცელდება ჩვენში პედაგოგიური ლიტერატურა, რომელზედაც ამბობს რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი უშინსკი: „ყოველი საფუძვლიანი წარმატება პედაგოგიურ საქმეში და ხალხის განათლების წინ წაწევა პედაგოგიურ ლიტერატურაზედ არის დამოკიდებულიო“[1].

ამ წერილის შემდეგ საკმაო დრომ გაიარა, „დროებაშიც“ რამდენჯერმე გამოქვეყნდა ცნობა, რომ საყმაწვილო ჟურნალი „ნობათი“ პედაგოგიური დამატებით, რომლის გამოცემასაც სახელოსნო სკოლის მასწავლებელი ანდრია ღულაძე ხელმძღვანელობს, მალე გამოვაო, მაგრამ წელიწადი იწურებოდა და ჟურნალი მაინც არ ჩანდა. „დროებაც“ მიჩუმდა და ქართველი საზოგადოებაც ხმას არ იღებდა; მხოლოდ ხანდახან თუ გაისმოდა ეჭვით აღსავსე სიტყვები: „სად გაგონილა, ვის წარმოუდგენია, რომ კაცმა, რომელსაც წარსულში არავითარი შრომით, არც პედაგოგიურით და არც საზოგადო ლიტერატურულით არ დაუმსახურებია სახელი, კაცმა, რომელსაც ისე ვერ იცნობს საზოგადოება, როგორც რომელსამე ქიზიყელ სესიას, ამისთანა კაცმა... მოჰკიდოს ხელი ისეთ ძნელ საქმეს, როგორიც არის საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა“[2].

---

[1] „დროება“, 1883 წ. № 26.

[2] „ივერია“, 1884 წ. № 4, გვ. 74.

მიუხედავად ყოველგვარი ეჭვებისა და მითქმა-მოთქმისა, რედაქტორმა მაინც დაძლია მრავალი წინააღმდეგობა და მოზარდ თაობას მიაწოდა ჟურნალ „ნობათის“ მშვენივრად გაფორმებული სანიმუშო ნომერი, რომელსაც ეპიგრაფად რუსთველის სიტყვები წარუმძღვარა: „დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დაჰსცდებიან“. „ნობათის“ სანიმუშო ნომერთან ერთად გამოვიდა მისი „პედაგოგიური დამატებაც“, რომელიც წარმოადგენდა პირველ ქართულ პედაგოგიურ ჟურნალს.

როდის გამოვიდა „ნობათის“ სანიმუშო ნომერი? დღემდე განმტკიცებული აზრის მიხედვით, იგი უნდა გამოსულიყო 1883 წლის დეკემბერში, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს აზრი საეჭვოა. როგორც ცნობილია, სანიმუშო ნომერს ცენზურის ვიზა 1883 წლის 24 დეკემბერს მიუღია, ერთი კვირის განმავლობაში კი თითქმის ხუთფორმიანი ჟურნალის დაბეჭდვა თავისი პედაგოგიური დამატებითურთ იმდროინდელ პოლიგრაფიულ პირობებში შეუძლებელი იყო. ჩვენი ვარაუდით, ჟურნალი უნდა გამოსულიყო არა უადრეს 1884 წლის იანვრისა, რასაც შემდეგი გარემოებაც უნდა ადასტურებდეს: 1884 წელს გამოსულ „ნობათის“ წლიურ სარჩევში, რომელსაც სათაურად აქვს „სარჩევი 1884 წლის „ნობათისა“, შეტანილია სანიმუშო ნომერში დაბეჭდილი ყველა მასალა. გარდა ამისა, პაგინაცია იწყება სანიმუშო ნომრიდან და მთავრდება 1884 წლის მეთორმეტე ნომრით (გვ. 496), ხოლო 1885 წლიდან პაგინაცია თავიდან იწყება.

რა უნდა ყოფილიყო „ნობათის“ დაგვიანების მიზეზი? მიზეზს თვით რედაქტორი ასე განმარტავდა: „ამ ნომერს დააგვიანდა შემდეგის მიზეზებისა გამო: ხუთი თვეა რაც პეტერბურგში შევთვალეთ საჭირო სურათების დამზადება... სამწუხაროთ დეკემბრის თხუთმეტს მივიღეთ ტელეგრამა, რომელითაც გვაცნობეს, რომ სურათები ჯერ კიდევ მზად არ არიანო. რადგან გადაწყვეტით არ ვიცოდით, როდის ვიგდებდით ხელში ამ სურათებს, ამის გამო მეტი ღონე არ გექონდა, რომ მკითხველებთან პირი არ გაგვეტეხა, ვამჯობინეთ სანიმუშო ნომრის გამოცემის დაჩქარება დროებითი სათაურითა“[1].

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ რედაქციის ამ გულუბრყვილო განცხადების უკან იმალება მთავარი მიზეზი ჟურნალის დაგვიანებისა.

როგორც ზემოთ გექონდა აღნიშნული, გაზ. „დროება“ ჯერ კიდევ 1883 წლის 29 იანვარს აცხადებდა, რომ „...ბ .ა. ს. ღულაძეს განუზრახავს გამოსცეს ქართული ყოველთვიური პედაგოგიური ჟურ-

[1] „ნობათი“, სანიმუშო ნომერი.

ნალი და ნება დართვისათვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობასთან". საფიქრებელი იყო, რომ ჟურნალი ერთ-ორ თვეში მაინც გამოვიდოდა, მაგრამ მისი დაგვიანების მთავარი მიზეზი სწორედ ნებართვის მიღებაში უნდა ვეძიოთ, რაც იმ პერიოდში საკმაოდ ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

იმისთვის, რომ რომელიმე პირს პერიოდული ორგანოს გამოცემის ნებართვა მიეღო და რედაქტორის ადგილი დაეკავებინა, საჭირო იყო დაეკმაყოფილებინა მთელი რიგი მოთხოვნილებები: უპირველეს ყოვლისა იგი უნდა ყოფილიყო პოლიტიკურად სავსებით კეთილსაიმედო, რაც უნდა დადასტურებულიყო ჟანდარმერიისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ; მომავალი რედაქტორის მიმართულება სავსებით ნათელი უნდა ყოფილიყო საცენზურო კომიტეტისათვის როგორც თავისი ნაწერებით, ისე მოღვაწეობითაც. და, თუკი რედაქტორობის მსურველი პიროვნება ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა, მხოლოდ მაშინ განიხილებოდა მის მიერ წარმოდგენილი პერიოდული გამოცემის პროგრამა, რომელსაც თავისი დასკვნითა და შუამდგომლობის დართვით კავკასიის საცენზურო კომიტეტი გზავნიდა პეტერბურგში, სადაც საბოლოოდ წყდებოდა პერიოდული გამოცემის ნებართვის მიღების საკითხი.

მთელი ეს რთული გრეხილი გაიარა ან. ღულაძის თხოვნამაც, მაგრამ უფრო მეტი სიმკაცრით, რადგან ღულაძე, როგორც ლიტერატურული მუშაკი, უცნობი იყო არათუ საცენზურო კომიტეტისათვის, არამედ თვით ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისთვისაც და. ცხადია, მისი პიროვნების გამორკვევას მნიშვნელოვანი დრო დასჭირდებოდა. არანაკლები დრო მოუნდებოდა აგრეთვე შუამდგომლობის გაგზავნას პეტერბურგში და იქიდან პასუხის მიღებას.


ეს იყო ძირითადი მიზეზი, რამაც „ნობათის" გამოსვლა თითქმის ერთი წლით შეაგვიანა.

„პედაგოგიურ დამატებაში", რომელიც „ნობათის" სანიმუშო ნომერს მოჰყვა. რედაქტორმა გააცნო საზოგადოებას ჟურნალისა და მისი დამატების გამოცემის მიზანი; იგი წერდა: „ორმა უმთავრესმა მიზეზმა გამოიწვია ამ ჟურნალის გამოცემა:

ა) ერთი, რომ ჩვენ არა გვაქვს საყმაწვილო გამოცემა და ამასთანავე დღითი-დღე მატულობს ჩვენს ცხოვრებაში მოთხოვნილება, რომ თითოეულს ოჯახს და თვით საზოგადოებასაც ჰქონდეს ისეთი საკითხავი სტატიები, რომელიც ყმაწვილს გაართობს, აღზრდის და სწავლის სურვილს მოუმატებს. ბ) მეორე, რომ საჭიროა დაარსდეს

ცოცხალი კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის ახალგაზრდობის აღსაზრდელად და იმის დასაყენებლათ საუკეთესო ცხოვრებაში"[1].

ამ ორი უმთავრესი მოთხოვნის მიხედვით რედაქციამ ჟურნალი ორ ნაწილად გაყო. პირველ ნაწილში მან მოათავსა „უმაწვილთათვის ადვილ-გასაგების, მისებრივ მარტივისა და მკვირცხლის ენით



დაწერილი სტატიები, მისის ცხოვრებითგანვე გამოკრეფილი, მისი ხასიათისა და ბუნების საწერთნელად... ყოველნაირის მეცნიერებიდან გამოკრებილი ამბები. ცნობები, სწავლანი და დაკვირვებანი ბუნებისა: მადნეულისა, მცენარისა და ცხოველთა ცხოვრებაზე; ზღაპრები, გამოცანები, ლექსები. სამღერალი ნოტები, არითმეტიკული ვარჯიშობანი და რებუსები"[2], ხოლო მეორე ნაწილი განკუთვნილი იყო წმინდა პედაგოგიური ხასიათის მასალებისათვის, რომელშიც

[1] „ნობათის" დამატება, გვ. 1.

[2] იქვე.

იბეჭდებოდა თეორიული და პრაქტიკული (მეთოდიკური) შინაარს-ს წერილები.

საზოგადოებისადმი მიმართული სარედაქციო წერილი მოწოდებით თავდებოდა, რომლიდანაც ნათლად იგრძნობა მოზარდი თაობის გულწრფელი სიყვარული. ღრმა რწმენა ახალგაზრდობისა და აგრეთვე თხოვნა დახმარებისათვის: „ყმაწვილი ჩვენი ძალაა, ღონე და დიდება. ის არის ჩვენი მომავალი, მისით დაგვრჩება სახელი და კეთილი ხსენება. დარწმუნებული ვართ, რომ მისდამი სიყვარული საზოგადოთ გამოიწვევს ჩვენს ჟურნალში ლიტერატურის ასპარეზზე ცნობილთა პირთა ყურადღებას. იმედი გვაქვს, რომ ისინი განუზიარებენ „ნობათს“ თავიანთ ნიჭის ნაყოფსა...

ეს დიდ იმედსა და ძალას გვაძლევს ჩვენ, რომ კეთილად წარმართოს „ნობათის“ საქმე, რომელსაც სულით და გულით ვუმსხვერპლებთ ჩვენს ძალ-ღონეს“[1].

მართლაც, თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში ა. ღუდაძე უჩვეულო ენერგიით ემსახურებოდა ამ წმინდა საქმეს და „ნობათის“ სამსხვერპლოზე მიიტანა ყველაფერი, რაც საზოგადო მოღვაწის პიროვნებას ჰქონდა. იგი გულმოდგინედ ცდილობდა, რომ ჟურნალი როგორც ფორმით, ასევე შინაარსითაც მაღალხარისხოვანი ყოფილიყო, რადგან ღრმად სწამდა, რომ „მარტო შინაგანსა და გარეგან თვისებებს შორის დადგენილ ჰარმონიას შეუძლიან აღზარდოს მთლიანი ადამიანი“.

დღესაც კი, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მკითხველი, რომელიც თვალს გადაავლებს „ნობათის“ ნომრებს, განცვიფრებაში მოდის იმ მაღალი გემოვნებით, რომლითაც შესრულებულია ჟურნალის თითოეული ფურცელი. ისინი საიდუმლოდ მოგვითხრობენ იმ სიყვარულისა და უანგარო შრომის შესახებ, რომელიც რედაქტორმა თითოეულ სტრიქონს ჩააქსოვა.

ა. ღუდაძე შეეცადა ჟურნალის ირგვლივ შემოეკრიბა საუკეთესო კალმოსნები: მართლაც, მასში იბეჭდებოდა აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ეკ. გაბაშვილისა და ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ არიან წამყვანნი. წლინახევრის განმავლობაში თითოეული მათგანის ორიოდე ნაწარმოები დაიბეჭდა მხოლოდ, მაგრამ თითქმის ყოველი მათგანი, როგორც ძვირფასი მარგალიტი, დღემდე შერჩა საბავშვო ლიტერატურას და არ დაუკარგავთ აღმზრდელობითი მნიშვნელობა და

[1] „ნობათის“ დამატება, გვ. 2.

მეზიდველობის ძალა (ასეთებია, მაგალითად: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ყაყიტას ქურდი“, „მიპატიჟება სასწავლებელში“ და სხვ.).

სიტყვის ამ დიდოსტატების გარდა ჟურნალში თანამშრომლობდნენ ი. ბაქრაძე, ნ. ნასარიძე, რ. ვაჩნაძიანელი, ისკანდერი და სხვანი, რომელთა ერთმა ნაწილმა „ნობათში“ აიდგა ფეხი და აქვე დაამთავრა სამწერლო მოღვაწეობა.

რედაქცია ცდილობდა, რაც შეიძლება ახლო კავშირი დაემყარებინა მშობლებსა და აღმზრდელებთან, თვალყური ედევნებინა, თუ რა გავლენას მოახდენდა ჟურნალში დაბეჭდილი მასალა მოზარდ თაობაზე, და მხედველობაში მიეღო იგი შემდეგი ნომრის გამოცემისათვის. ამ მიზნით 1884 წლის პედაგოგიური დამატების პირველ ნომერშივე რედაქცია ასეთ თხოვნას აქვეყნებდა: „რედაქცია უმორჩილესად სთხოვს მშობლებსა და საზოგადოთ აღმზრდელებს აცნობონ ხოლმე მას ყოველივე თავიანთი შენიშვნები შესახებ ამ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებისა, რომელმა სტატიამ რა შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვზე. ეს ცნობები დიდად საჭიროა ჟურნალის წარმატებისათვის“[1].

თუმცა რედაქცია ცდილობდა, რომ ყოველდღიურად გაეუმჯობესებინა მუშაობა და ჟურნალიც მკითხველისათვის დროზე მიეწოდებინა, მაგრამ ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელება მან ვერ მოახერხა. ჯერ კიდევ 1884 წლის ოქტომბრიდან გაჭრა ჟურნალის ფურცლებზე მოვლებული მშვენიერი ვარდისფერი აშია და იგი შავი, სამგლოვიარო აშიის მსგავსი ზოლებით შეიცვალა, შემცირდა სურათების რაოდენობაც, გახშირდა ორ-ორი და სამ-სამი ნომრის ერთ წიგნად გამოცემა, თითოეული ნომრის გამოსვლას, მეტი თუ ცოტა, ერთი თვე მაინც აგვიანდებოდა, იმატა კორექტურულმა შეცდომებმაც, მაგრამ იკლო ნათარგმნმა მასალამ და მეტი ადგილი ორიგინალურმა დაიჭირა, რაც უდავოდ დადებითი მოვლენა იყო[2].

თუმცა რედაქცია ბოდიშს იხდიდა მკითხველთა წინაშე ჟურნალის დაგვიანების გამო და მთელი ძალით ცდილობდა ამ ნაკლის გამოსწორებას, მაგრამ კალაპოტიდან ერთხელ ამოვარდნილი საქმის მოწესრიგება ძნელი აღმოჩნდა.

დიდი ტანჯვითა და წვალებით გაიტანა ა. ღულაძემ 1884 წელი და საზოგადოებას ასეთი შინაარსის წერილით მიმართა: „ამ წიგნით ვასრულებთ წარსული 1884 წლის „ნობათის“ გამოცემას. ბევრჯელ

---

[1] „ნობათის“ დამატება, 1884 წ. № 1, გვ. 27.

[2] 1884 წელს დაბეჭდილი 65 მასალიდან 50 ორიგინალურია, ხოლო 15—ნათარგმნი, 1885 წელს კი 29 მასალიდან 26 ორიგინალურია და 3—ნათარგმნი.

გვითქვამს, ძალიან ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები დაუხვდა წინ ამ უიღბლოდ დაბადებულ ჟურნალს. ეს მიზეზებია, რომელნიც ისე გარს შემოხვევია მას, რომ ლამის სული ამოაძრონ. საერთოდ, ყველა მკითხველს შეუძლიან ნათლად გაარკვიოს ეს მიზეზები, ამიტომ არც ვცდილობთ ახსნას. ჩვენ ერთს მოვითხოვთ: თუ ჟურნალი „ნობათი“ თავისი ერთის წლის არსებობით თავის წმინდა მიზანს არ გადასდგომია, თუ „ნობათი“ მიმდევარი იყო საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა — მოვითხოვთ დახმარებას“[1].

რა იყო „ნობათის“ დამაბრკოლებელი მიზეზები ან როდის დაიწყო ეს დაბრკოლება?

ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მკვლევრის ან. ღვინიაშვილის აზრით, „ეს დაბრკოლება და „სულის ამოხდა“ დაიწყო იმ გამოლაშქრებიდან, რომელიც გაუმართა ღულაძეს იაკ. გოგებაშვილმა[2] (როგორც ცნობილია, „ნობათის“ დამატების მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში დაიბეჭდა ა. ღულაძის რეცენზია ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ წიგნზე „კონა“. ამ რეცენზიამ გოგებაშვილსა და ღულაძეს შორის გამძაფრებული პოლემიკა გამოიწვია, რაც სამედიატორო სასამართლოთი დამთავრდა).

ან. ღვინიაშვილის მიერ განვითარებული თვალსაზრისი ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია.

ი. გოგებაშვილი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მოზარდი თაობის აღზრდისათვის იბრძოდა და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ საბავშვო ჟურნალს, განა შეეცდებოდა, რომ რედაქტორთან პირადი ურთიერთობის გამწვავების შედეგად მოესპო ერთადერთი საბავშვო პერიოდული გამოცემა? თვით ი. გოგებაშვილის წერილი, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ი. გოგებაშვილი წერდა: „თუმცა „ნობათმა“ მოყვარობა მტრობით გადაგვიხადა, მაგრამ ყოველი განწყობილება ჟურნალთან იოტისოდენადაც არ შეიცვლება, იმიტომ, რომ „ნობათს“ შეადგენს არა უვიცი ექსპედიტორი, არამედ თანამშრომელნი, რომელნიც თავიანთი კალმით ამდიდრებენ ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურას და რომელთაც ეკუთვნის მთელი ჩვენი სიმპატია“[3].

„ნობათის“ დამაბრკოლებელი მიზეზები ჩვენ სხვაგან უნდა

---

[1] „ნობათი“, 1884 წ. № 12.

[2] ან. ღვინიაშვილი, საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა, გვ. 47.

[3] „დროება“, 1884 წ. № 261 (ხაზი ჩვენია—ი. ბ.).

ვეძიოთ და არა ი. გოგებაშვილისა და ა. ღულაძის ურთიერთდამოკიდებულებაში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჟურნალის დაბრკოლება ჯერ კიდევ 1884 წლის მაისიდან დაიწყო, როდესაც მეხუთე და მეექვსე ნომრები ერთ წიგნად გამოვიდა. ასევე ერთ წიგნად გამოვიდა მეშვიდე, მერვე და მეცხრე ნომრები, რომლებშიც დაიბეჭდა ა. ღულაძის რეცენზია ი. გოგებაშვილის „კონაზე".

ამ დროს ი. გოგებაშვილს ჯერ კიდევ არ „გაელაშქრა" ღულაძის წინააღმდეგ, მაგრამ რედაქცია უკვე ვეღარ მალავდა თავის გაჭირვებულ მდგომარეობას და ჟურნალის საშუალებით აშკარად ლაპარაკობდა ამის შესახებ.

როდესაც „ნობათის" დახურვის მიზეზებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ერთ ცნობას, რომელიც ალ. ჯაბადარმა დაგვიტოვა. იგი იგონებს: ან. ღულაძემ „რაკი დაინახა, ჟურნალმა სახელი გაიკეთა და ხელისმოწერაც იმ დროისათვის კარგად წავიდაო, მეორე წელიწადს თვითნებობა დაიწყო საჟურნალო მასალის შერჩევაშიაც და რედაქციაში შემოსული ფულის ხარჯვაშიაც. საქმე აირია. რაკი თვითნებობა დაიწყო, ჩვენ ჩამოვშორდით. როდესაც გაუჭირდა, სათათბიროდ მიგვიწვია. და თავისი უკიდურესი მდგომარეობა აგვიწერა. ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, ღულაძისათვის წინადადება მიგვეცა — ჟურნალი ოფიციალურად სულ გადაეცა წრისათვის. ეს წინადადება ჯგუფის სახელით ლადო აღნიაშვილმა განუცხადა თავისებური ქათინაურებით და ბოდიშებით"[1].

ან. ღულაძეს ჯგუფის წინადადებაზე კატეგორიული უარი განუცხადებია. რასაც შედეგად მოჰყვა თანამშრომელთა ჩამოშორება და ჟურნალის თანდათანობითი დაკნინება.

„ნობათის" მძიმე მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის გაზ. „დროებაც"; „გამოვიდა ერთ წიგნად ქართული პედაგოგიური ჟურნალის „ნობათის" VII, VIII და IX ნომრები. რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველებთან ჟურნალის დაგვიანებისათვის და არწმუნებს მათ, რომ თვით რედაქციასაც სამწუხაროდ მიაჩნია „ნობათის" რომელიმე წიგნის დაგვიანება და ამისათვის ყოველივე თავის ძალ-ღონე მხოლოდ იმაზედ აქვს მიქცეული, რომ ამგვარი დაგვიანება აიცილოს, მაგრამ რასა იქმს კაცი იქ, საცა „ძალა ღმართსა ჰხნავსო". რა ძალაა ეს ძალა, რომე-

[1] „მნათობი", 1934 წ. № 1—2, გვ. 263—264. ალ. ჯაბადარი, „მოგონებანი".

ლიც რედაქციას აქვს მიზეზად ჟურნალის დაბრკოლებისათვის, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს: რედაქცია ამგვარ მიზეზად ასახელებს სხვადასხვა გარემოებას და სხვათა შორის მატერიალურ საშუალების უქონლობასაც"[1].

ის ძალა, რომელიც რედაქციას „აღმართს ახვნევინებდა", ცენზურის სიმკაცრეში მდგომარეობდა: ალბათ არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ გამზადებული ნომერი (განსაკუთრებით „პედაგოგიური დამატება") ცენზორის მიზეზით კარგა ხანს შეჩერებულა და, თუ ამას მივუმატებთ მატერიალურ საშუალებათა უქონლობასაც, მაშინ ჟურნალის დამაბრკოლებელი მიზეზები ნათელი გახდება.

„ნობათის" გამოცემა 1885 წელსაც გაგრძელდა, მაგრამ ეს დამაბრკოლებელი მიზეზები არათუ შემცირდა, არამედ უფრო გაძლიერდა, რამაც ჟურნალს საკმაოდ შესამჩნევი დაღი დაასვა.

მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, რედაქცია უძლური აღმოჩნდა ჟურნალის წესიერად წარმოების საქმეში. ხელისმომწერთა სიმცირე შემოსავალს არ იძლეოდა, თუმცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი სკოლებისათვის გამოწერილი ჰქონდა ჟურნალის რამდენიმე ეგზემპლარი, მაგრამ აქედან მიღებული შემოსავალი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ რედაქცია არ უცდიდა ფულის მიღებას და უსასყიდლოდ უგზავნიდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლების ბიბლიოთეკებს ჟურნალის ნომრებს. დრო გადიოდა, რედაქცია თანდათან ღარიბდებოდა, დახმარების იმედი კი არსაიდან იყო. ამიტომ ან. ღულაძე იძულებული გახდა, რომ „ნობათის" გამოცემა 1885 წლის მესამე ნომერზე შეეწყვიტა.

*
* *

საინტერესოა, რა საკითხებს ეხებოდა „ნობათი" და რამდენად აკმაყოფილებდა 80-იანი წლების პირველ ნახევარში წამოყენებულ პედაგოგიურ მოთხოვნებს?

ის ძირითადი პედაგოგიური მოთხოვნები, რომლებითაც 80-იანი წლების პირველი ნახევარი ხასიათდება, თითქმის სრულიად გამომეღავნდა „ნობათის" პედაგოგიურ დამატებაში გამოქვეყნებულ წერილებში.

წინააღმდეგ მეფის რუსეთის მიერ მიღებულ „განმანათლე-

[1] „დროება", 1884 წ. № 256

ბელთა“ სურვილისა, ქართული სინამდვილე მოითხოვდა ქართველ ბავშვში ქართული სულის განვითარებას. „პედაგოგიური მოსაზრებანი მოითხოვენ, — წერდა „ნობათის“ ერთ-ერთი თანამშრომელი,— არა მარტო სამშობლო ენის სწავლებას, არამედ ენის შესასწავლი და საკითხავი მასალა თვით სამშობლო ნიადაგზე შემუშავებულ სტატიებისაგან უნდა იყოს შედგენილი“[1].

მართლაც, „ნობათმა“ მუშაობა ამ მიმართულებით წარმართა. მან მიზნად დაისახა, ერთი მხრივ, გაეცნო ქართველი ბავშვისათვის საქართველო. გაეღვიძებინა და განემტკიცებინა მის გულში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, ხოლო, მეორე მხრივ, მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებებით და ჟურნალის ლამაზად გაფორმებით გაეღვიძებინა ქართული წიგნის სიყვარული, ესწავლებინა ქართული ენა და განევითარებინა პატარა მოქალაქის მეტყველების უნარი.

სამშობლოს შესწავლისა და მისი სიყვარულის გრძნობის გაღვიძებას უძღვნა „ნობათმა“ როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული წერილების მთელი სერია, ასევე წმინდა მხატვრული ნაწარმოებებიც.

გეოგრაფიული ხასიათის წერილებიდან აღსანიშნავია რ. ეკაჩნაძიანელის „კახეთი“ (წერილი I და II) და „იმერეთი“. პირველ წერილში არაფერია გეოგრაფიული, ხოლო მეორე წერილი მიზნად ისახავს კახეთის აღწერას. ავტორს სურს გააცნოს მკითხველს კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ აღწერა იმდენად მშრალი, სქემატური და სიცოცხლეს მოკლებულია. რომ არათუ ბავშვს, მოზრდილსაც გაუჭირდება ცოტა-ოდენი რეალური წარმოდგენა მაინც შეიმუშაოს კახეთის შესახებ.

მესამე წერილი, რომელიც იმერეთს ეხება, წინა წერილებთან შედარებით უკეთესია, თუმცა არც იგია სრულყოფილი და მასაც სქემატურობა ახასიათებს.

ისტორიული ხასიათის მოთხრობებიდან ღირსშესანიშნავია დ. ჯანაშვილის „ისტორიული კოკორი“, რომელიც შეიცავს ხუთიოდე მოთხრობას ფარნაოზ მეფის, წმ. ნინოს და მეფე მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და სხვათა შესახებ.

ავტორს სურს გააცნოს მკითხველს საქართველოს ისტორიული წარსული, აუწეროს ქართველი მეფეებისა და ქართველი ხალხის თავდადება და უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი. თუმცა დ. ჯანაშვილის წერილებში ისტორიული მასალა ხშირ შემთხვევაში ლეგენდარულ ხასიათს ატარებს. მაგრამ ისტორიული ფაქტე-

[1] „ნობათის“ დამატება, 1884 წ. № 1.

ბი შეძლებისდაგვარად მაინც გამოყენებულია და ავტორი მიზანსაც აღწევს.

თუ „ნობათში“ სამშობლოს სიყვარულის გრძნობის აღმძვრელი რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიული წერილია მოთავსებული, სამაგიეროდ უხვადაა მხატვრული ნაწარმოებნი, რომელნიც ამავე მიზანს ემსახურებიან. ასეთია, მაგალითად, ცახელის „ზაალი“. ამ ნაწარმოებით ავტორი მკითხველს აცნობს დასავლეთ საქართველოს მწარე ისტორიულ წარსულს. ეს ის დრო იყო, როდესაც ურიცხვი მტერი თავს ესხმოდა და აოხრებდა „ტურფად გამართულ სოფლებს“, მაგრამ მაინც ვერ ტეხდა გმირი ხალხის წინააღმდეგობას:

კაცი და ქალი გუნდ-გუნდად
მოჰფენდა ვაკე-გორასა,
გამხნევდებოდნენ გმირები,
მტერს დაუწყებდნენ ბრძოლასა[1].

ხალხს მეთაურობდა „გლეხი ლომ-გული“ ზაალი, რომლის გამოჩენისთანავე საომრად მოსული მტერი თავზარდაცემული გარბოდა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ზაალი ტყვედ ჩაუვარდა მტერს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულით გახელებულმა დაწყვიტა ბორკილები და მშობლიურ კუთხეს მიაშურა.

არა მარტო ვაჟკაცნი, არამედ ქალებიც გალომგულებულნი იბრძვიან მამულის დასაცავად. მათი გმირული მოქმედების შესახებ დღეს მხოლოდ ლეგენდები დარჩენილა:

ამბობენ, შორე წარსულში,
შიშიანობის დროსავო,
როს საქართველო ებრძოდა
მოსული მტრების გროსავო,
აქ, ახლო მთებში, შესულა
ერთჯერ, აღრიან დილითა,
მხნე დედაკაცი მარინე,
თავისის ერთი შვილითა.
საშეფოს ოთხივ კუთხიდან
მას შეუკრიბავს გმირები,
. . . . . .
აქ დასცემია მტერს თავზე
სამოცდაათის კაცითა[2].

მტრებმა მარინეს შვილი ბრძოლაში მოუკლეს, მწარედ გაკაწრეს

[1] „ნობათი“, 1884 წ. № 3, გვ. 83.
[2] „ნობათი“, სანიმუშო ნომერი, გვ. 45.

დედის გული, მაგრამ მან ხმალს ხელი არ უშვა და ფიცი დადო შვილის საფლავზე:

და როს მტერზედ ჯავრსა ვიყრი,
შევმუსრავ და ვუმაგივრებ!
მაშინ შვილო, შენთან ერთად
საუდამოდ დავიძინებ.

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა; ასეთი ხასიათის ნაწარმოებნი საკმაო რაოდენობით მოიპოვება „ნობათში“ („პატარა თემურიშვილი“, „მოგონება“, „გაზაფხული“ და სხვ.).

რედაქცია მკითხველისათვის ამ საკითხის გარკვევის დროს არ კმაყოფილდება მარტო ორიგინალური შემოქმედებით და თარგმანებშიც პატრიოტული გრძნობის აღმძვრელ მასალას აძლევს უპირატესობას („ფიქრი არწივისა“, „ომული“ კარმენ სილვას ზღაპრებიდან, „ტრიოლიელი ქალწული“ და სხვ.).

პატრიოტულ გრძნობათა განვითარებასთან ერთად ჟურნალი ცდილობს აგრეთვე ხელი შეუწყოს ბავშვში რელიგიურ გრძნობათა გაღრმავებასაც. „ნობათში“ ეს მოტივი იმდენად ძლიერად ვითარდება, რომ თითქმის ყველა ნაწარმოებიდან აშკარად გამოსჭვივის და ყოველი მოვლენის ძირითად დასაყრდენსა და საზომს წარმოადგენს. მაგალითად, სწავლა საჭიროა, რადგან „ზარმაცები ღმერთს არ უყვარს“. ღმერთი ყოვლის შემძლეა, საკმარისია პატარა სოსიკომ მას სთხოვოს ხილი ან კამფეტები და სურვილი უმალ აუსრულდება, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „ფუფალას წინადაც არა ერთხელ გამოუგზავნია ჩემთვის დედაჩემის ხელით მშვენიერი რბილი ჩურჩხელები და თაფლისავით ტკბილი კამფეტები“.

მაგრამ ღმერთი არა მხოლოდ პატარების სურვილს ასრულებს, არამედ მოზრდილებსაც შველის ყოველ გასაჭირში და თავის დროზე ეხმარება მათ. მაგალითად, მკათათვის გვალვამ სოფელი შეაწუხა, „მთლად გადაიტრუსა დედამიწა, გადახმა თითქმის მთელი ტყეები. გახდა და ძლივს მოძრაობს საქონელი, ხალხი დაიარება ლანდივით... თითქმის ორი თვეა ელიან ღვთის მოწყალებას, მაგრამ ნამის ნიშანი არსაიდან სჩანს...

სოფლის მოძღვარმა. რამდენჯერმე კიდევ შემოიარა ჯვრითა და ხატით ახლო ტყე-მინდორი და ღმერთს სთხოვდა, რომ მოწყალების თვალით გადმოეხედა დაჩაგრული ქვეყნისათვის“. ღმერთმა მალე შეისმინა ვედრება, გამოგზავნა პაწაწინა ღრუბლის ქულა, რომელიც უმალ ვეებერთელა ღრუბლად იქცა, „მთელ არე-მარეში განუწყვე-

ტელი ჰექა-ჭუხილის ხმა ატყდა, ერთი იელვა... და გადმოუშვა შხა-პუნა წვიმა“[1].

რელიგიური სულისკვეთებით არის გაჟღენთილი დ. ჯანაშვილის ისტორიული წერილები, განსაკუთრებით კი „წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე“, „წმინდა ნინო და მეფე მირიანი“ და სხვ.

რელიგიური მოტივის ასე ძლიერად წინა პლანზე წამოწევა სრულებითაც არ წარმოადგენს შემთხვევით მოვლენას „ნობათის“ რედაქციისათვის. მოზარდ თაობაში რელიგიურ გრძნობათა განვითარებას იგი მიზნად უსახავს არა მხოლოდ ჟურნალს, არამედ სკოლასაც და მოითხოვს, რომ „ჩვენმა სკოლამ უმთავრესად უნდა დაიდოს მიზნად შეისწავლა სამშობლო ენისა, რუსული ენისა, არითმეტიკისა და ს ა ღ ვ თ ო ი ს ტ ო რ ი ი ს ა“[2].

როგორც ვხედავთ, საღვთო ისტორია, რომელიც ზნეობრივ-სარწმუნოებრივ გრძნობათა ერთ-ერთ მთავარ გამღიზიანებელს წარმოადგენს, გათანაბრებულია რუსულ ენასთან, არითმეტიკასა და თვით მშობლიურ ენასთანაც კი.

ვინც კი „ნობათის“ პედაგოგიურ დამატებას თვალს გადაავლებს, ღრმად დარწმუნდება, რომ ჟურნალის რედაქცია მოზარდი თაობის აღზრდის საკითხს ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მტკივნეულ საკითხად მიიჩნევს. „ვინც კი ადამიანის აღზრდას კისრულობს, — ვკითხულობთ ჟურნალში, — ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის მაინც, რაც დღემდის გამოუკვლევია და რასაც მიმხვდარა კაცობრიობა ამ ძნელი საქმის, — ყმაწვილების აღზრდის, — შესახებ“[3].

ჟურნალი ავალებს აღმზრდელებს, რომ ისინი საფუძვლიანად გაეცნონ პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიას, დიდაქტიკასა და მეთოდიკას, ხოლო თვით მოზარდ თაობას დაბეჯითებით მოუწოდებს წიგნისა და სწავლისაკენ.

„სასწავლებელში მიპატიჟებით“ იხსნება „ნობათის“ სანიმუშო ნომერი და ეს მოწოდება წითელ ხოლად გასდევს ჟურნალს მთელი არსებობის მანძილზე.

„ნობათი“ ცდილობს აუხსნას ბავშვს სწავლა-განათლების უდიდესი მნიშვნელობა. ჟურნალი ცოდნას იმ ძლიერ ყავარჯენს უწოდებს, რომელზედაც დამოკიდებულია მამულის სიხარული:

თუ გსურს მამული ახარო,
სწავლას მიჰყავ ხელი მალე,

---

[1] „ნობათი“, 1884 წ., გვ. 145.

[2] „ნობათის“ დამატება, 1884 წ. № 1, გვ. 21.

[3] იქვე.

— მოუწოდებს „ნობათი“ თავის პატარა მკითხველებს, მაგრამ ამავე დროს აფრთხილებს, რომ სწავლისათვის ბეჯითობაა საჭირო, ბეჯითი და მშრომელი ბავშვი ყველას უყვარს.

თვალს მოსწონს და გულს ახარებს,
ვინც შრომაში მამაცია.
ჩვენ სოფოს კი ისევ სძინავს,
რადგანაც რომ ზარმაცია.
გაზაფხულდა, არ უნახავს
არც ენძელა და არც ია,
წიგნის კითხვაც ეზარება,—
ზარმაცია, ზარმაცია[1].

ბავშვში რომ უფრო გააძლიეროს უარყოფითი დამოკიდებულება სიზარმაცისა და ზარმაცისადმი, ჟურნალი ათავსებს ზღაპრებს მუქთახორათა და ნაცარქექიათა შესახებ, რომელთა ბოლოც სიზარმაცის გამო მარცხით მთავრდება, და დასძენს:

ჭკუანა საგარჯილოა,
ზარმაცი სათაკილოა,
მისი სიცოცხლე-სიკვდილი
სატირელ-სასაცილოა.

სწავლა, შრომა და ბეჯითობა — აი ის ძირითადი და მთავარი გზა, რომლისაკენაც მიუთითებს „ნობათი“ თავის ნორჩ მკითხველებს. ამავე საკითხს ეხება მოთხრობები: „ბუზი-ბზუილა და ფუტკარი ზუზუნა“, „ჭონის შეგირდი“ და სხვ.

„გონივრული აღზრდა მოითხოვს, რომ ყმაწვილი არ გამოვიდეს ეგოისტი, არ აკეთებდეს რასმე მარტო შესახედავად. არა, ყმაწვილი უნდა აღიზარდოს იმ აზრზედ. რომ ის რამდენად თავის თავს ეკუთვნის, იმდენად საზოგადოებასაც, რომლის წევრად დღეს თუ არა ხვალ უნდა ჩაერიცხოს“[2], — წერდა ან. ღულაძე.

რედაქცია ცდილობდა მტკიცედ გაეტარებინა ეს ხაზი. მთელი რიგი მასალები, თარგმნილი თუ ორიგინალური, იმგვარად არის შერჩეული, რომ პატარა მკითხველს გამოუმუშავდეს კაცთმოყვარეობის გრძნობა. ასეთი გრძნობით იყო გამსჭვალული პატარა თემურიშვილი, ასეთივე იყო ემანუილი, რომელსაც „თავის სამშობლო მეტის-მეტად უყვარდა, ღარიბ-ღატაკს რითაც შეეძლო ხელს უმართავდა; ვინც უნდა ყოფილიყო და რა შეძლებაც უნდა ჰქონოდა, არავის-ი.ვის თავს არ დაზოგავდა, ყველა უძლურებსა და დაჩაგრულებს

---

[1] „ნობათი“, 1885 წ. გვ. 106.

[2] „ნობათის“ დამატება, 1884 წ. № 5—6, გვ. 65.

შველოდა. მაგრამ ყველა ეს არაფრად მიაჩნდა, იმის მხურვალე და მოსიყვარულე გულს ვერაფერი ვერ აკმაყოფილებდა".

მკითხველის გონებაში ღრმად იბეჭდებოდა ტიროლიელი ქალწულის, პატარა თემურიშვილის, ემანუილის და სხვა მოქმედ პირთა გმირული, თავდადებული, კაცთმოყვარული საქმიანობა და რედაქციაც თავის მიზანს აღწევდა.

„ნობათი" ცდილობს ასაბოს სოფლის ყოფა, გლეხის ცხოვრება. მართლაც. ჟურნალში საკმაო მასალაა მოთავსებული, რომელიც სოფლისა და საერთოდ გლეხის მდგომარეობას ეხება, მაგრამ მასში არ ჩანს ის სოციალური ტკივილები, რაც ახასიათებს 80-იანი წლების ქართველ გლეხსა და ქართულ სოფელს. გლეხი ხშირად „ბედს ემდურის რად გააჩინა", მაგრამ მიზეზი ამ სამდურავისა პატარა მკითხველისათვის აუხსნელი რჩება.

საერთოდ ჟურნალი ხშირად აყენებს სოციალური უთანასწორობის არსებობის საკითხს; მაგალითად: „ძვირფასო მასწავლებელო! მითხარი, რატომ არ არის ბედნიერი ყველა კაცი? ზოგი რად იტანჯება და ზოგი კი არა?" — ეკითხება ბავშვი უფროსს, მასწავლებელს, მაგრამ ვერასოდეს ვერ იღებს გარკვეულ პასუხს. პასუხი ყოველთვის მომავლისათვის არის გადადებული და ცნობისმოყვარე მკითხველს რედაქცია მარტივად იცილებს თავიდან: „მიზეზი ბევრია, მათი ჩამოთვლა ახლა შორს წავა", ანდა „გაიზრდები და შეიტყობო".

„ნობათი" გლეხობისადმი უდავოდ სიმპათიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, მას „ჩვენი სიცოცხლის ძარღვს" უწოდებს, მაგრამ ამავე დროს ადამიანურ სურვილებს მოკლებულ არსებად მიიჩნევს, რომელსაც

.. არ უყვარს
ნაზუქი და ქადა-პური,
მის დღიურ ლუკმას შეადგენს
ცივი მჭადი ან მჭად-პური,

და იგი ვალდებულია ამას დასჯერდეს. გლეხი ვალდებულია აგრეთვე მორჩილებით შეეგუოს არსებულ მდგომარეობას. იგი არც კი ფიქრობს წინააღმდეგობის გაწევას და თავჩაქინდრული წუნარად ღიღინებს:

დღე და ღამე ოფლში ვცურავთ,
საქმეს ვჩადით ღვთის საამოს,
სჩანს ბედმა წილად გვარგუნა
ჩვენ ვიშრომოთ და სხვამ ჭამოს.

ერთი სიტყვით, „ნობათი" არ იძლევა გლეხის მდგომარეობის

რეალურ სურათს და მისი ცხოვრების ასახვაში რაიმე გარკვეულ მიმართულებას არ იცავს.

ასეთივე გაურკვეველი მიმართულება ახასიათებს ჟურნალს მუშათა ცხოვრების ასახვაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს „ნობათი“ მეტად ზერელედ და გაკვრით ეხება მხოლოდ ერთადერთ ნაწარმოებში: „მოგზაურობა ოთახში, ეზოში და ბაღში“.

ამ მოთხრობაში მასწავლებელი უამბობს ბავშვებს მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას, რომ ისინი იძულებული არიან იკისრონ ყოველგვარი შრომა, წინააღმდეგ შემთხვევაში „დღიურ ლუკმას მოკლებულნი იქნებიან და შიმშილით დაიხოცებიან. ზოგს მოხუცებული დედ-მამა ჰყავს, ზოგს წვრილი დები და ძმები, ცოლი და წვრილშვილი... ერთი მუშა ერთ ოჯახსაც ვაივაგლახით არჩენს ხოლმე“. მანქანური წარმოების განვითარებამ „ბევრ მუშას მოუკლო ლუკმა-პური,.. მაგრამ მდიდარი ამისთვის როდი სწუხს, ოღონდ კი თვითონ ჰქონდეს მეტი მოგება“[1].

მოწაფის შეკითხვაზე, თუ რატომ არ აძლევს ქარხნის მეპატრონე მუშას მეტ ხელფასს, მასწავლებელი ჟურნალისათვის დამახასიათებელი ტონით უპასუხებს: „ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთო“, მაგრამ დრო გადის, ნაწარმოები შემდეგ ნომერშიც გრძელდება და პასუხი მაინც არ ჩანს.

თუ მასწავლებლის დამოკიდებულება მუშებისადმი სიმპათიურია, სამაგიეროდ მშობლები მუშებს შეჩვენებულებსა და უმსგავსოებს უწოდებენ, პატარა ბიჭუნას გასაკიცხად მუშას ეძახიან და უჩაიოდ ტოვებენ იმის გამო, რომ მან „მუშობანა“ ითამაშა და ხელები ტალახით დაისვარა.

ბავშვი გაურკვეველ მდგომარეობაში ვარდება. მის წინაშე ისმის კითხვა: „განა მუშა არ ვარგა... კაცი არ არის?“ მან აღარ იცის. ვის დაუჯეროს — მასწავლებელს თუ მშობელს? ბავშვი აღელვებულია და მასწავლებლის დამამშვიდებელი სიტყვები: — „დედა გეხუმრებოდაო“ — მასზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს.

ამ სახით არის წამოყენებული და გადაჭრილი „ნობათის“ მიერ მუშათა და გლეხთა საკითხი, რომელიც საკმაოდ მუქი ფერებით დაგვიხატა ჟურნალმა „წყაროთ“. ამ მხრივ „ნობათმა“ უდავოდ უკან გადადგა ნაბიჯი. საერთოდ, „ნობათში“ არ იგრძნობა ეპოქის მაჯის ცემა, რაც გაცილებით მეტად იყო დამახასიათებელი „წყაროსთვის“. „ნობათი“ არ დაკმაყოფილდა მარტო ზემოაღნიშნული საკითხების განხილვით. მან მიზნად დაისახა აგრეთვე შეეიარაღებინა მო-

[1] „ნობათი“, 1884 წ. გვ. 321—323.

ზარდის გონება ცოდნით „ბუნების მეცნიერებიდან“ და ამ მიზნით მოათავსა მთელი რიგი წერილები, როგორიცაა: „პირველი ცნობები ზოოლოგიიდან“, „ჰაერი და მისი თავისებურებანი“, „მოგზაურობა ოთახში, ეზოში და ბაღში“ და სხვ.

„ნობათმა“ თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო აგრეთვე ანდაზებს, გამოცანებს, რებუსებს, გასართობებსა და სხვადასხვა საინტერესო ცნობებს, რომლებიც ეხებოდა მავნე მწერების მოსპობას, იმას, თუ რომელი სახელმწიფო რამდენ ქაღალდს ხმარობს წლის განმავლობაში, როგორ უნდა მოვსპოთ სინესტე და სხვ. ყოველი ასეთი ხასიათის მასალით „ნობათი“ ამდიდრებდა, ავარჯიშებდა და ახალისებდა ბავშვის გონებას, რაც ჟურნალის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს.

ჟურნალი ანგარიშს უწევდა აგრეთვე ბავშვების მოთხოვნილებას, ითვალისწინებდა მათ უდიდეს სიყვარულს ზღაპრებისადმი, რედაქციას კარგად ესმოდა, რომ ბავშვები დიდი ხალისით კითხულობდნენ ნაწარმოებებს ბავშვების შესახებ და ამიტომ თითქმის ყოველ ნომერში ათავსებდა ზღაპრებსა და მოთხრობებს ბავშვების ცხოვრებიდან.

თუ როგორ ეკიდებოდა მოზარდი თაობა მისთვის განკუთვნილ „ნობათს“, ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გაზეთი „დროება“: „მოსწავლე ბავშვები დიდის სიამოვნებით კითხულობენ ამ ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობებს და აღტაცებით სწავლობენ ზეპირად მის ლექსებსო“[1].

*
* *

არც „ნობათამდე“ და არც „ნობათის“ შემდეგ არსებულ ქართულ საბავშვო ჟურნალებს არ ღირსებიათ კრიტიკის ესოდენ დიდი ყურადღება, როგორიც წილად ხვდა „ნობათს“. „დროება“, „ივერია“, „თეატრი“ ერთხმად ალაპარაკდნენ „ნობათის“ შესახებ და საინტერესო წერილები უძღვნეს მის ნომრებს.

„ნობათის“ პირველი რეცენზენტი იყო იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ჩვეული სიდინჯითა და სერიოზულობით „დროების“ ფურცლებზე გაარჩია „ნობათის“ სანიმუშო და 1884 წლის პირველი ნომრები. ამ წერილებში ნათლად გამომჟღავნდა დიდი პედაგოგის შეხედულებანი საბავშვო ჟურნალებისა და საბავშვო ლიტერატურის შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო „ნობათის“ შემდეგდროინ-

[1] „დროება“, 1884 წ. № 77.

დელ საბავშვო ჟურნალებს და საერთოდ ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებას.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილი 60-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადას ეკუთვნის. სამოციანელები ლიტერატურას უყურებდნენ როგორც ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. ეს ლოზუნგი მათ ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში წამოაყენეს. წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა“.

ასევე უყურებდა ლიტერატურასა და ხელოვნებას ი. გოგებაშვილი. რომელიც მწერლობის შემწეობით ლამობდა მოზარდი თაობის აღზრდას, მის შეიარაღებას სათანადო ცოდნით და გარემო ცხოვრების პირობებში გარკვევას.

ი. გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურას თვლიდა იმ მტკიცე და საუკეთესო საძირკვლად, რომელზედაც შენდება ხალხის მთელი ლიტერატურა და ხელოვნება. უბადრუკია ის ერი, რომელიც ღარიბია საბავშვო ლიტერატურით. საბავშვო მწერლობა „ბევრ სიკეთეს დათესავს მოზარდ თაობაში, ბევრ მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრი კეთილშობილური. ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრ მხნესა და გულწრფელს მამულიშვილსა“[1].

ი. გოგებაშვილის აზრით, წრთნსვლა და წარმატება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც „მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა“[2].

ი. გოგებაშვილს ღრმად სწამს, რომ მოზარდი თაობის სრულყოფილად აღზრდის საკითხში საბავშვო პერიოდიკას და საბავშვო ლიტერატურას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მისი აზრით, თუ ბავშვს „მარჯვედ დაწერილი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისაკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავ გონებითს მოქმედებას, რომლისთვი-

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, ტ. I, 1910, გვ. 126.
[2] იქვე.

საც ჰკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მოუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორიც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის"[1].

ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ი. გოგებაშვილი საბავშვო მწერლობას და ამავე დროს კარგად ესმოდა, რომ „საბავშვო მოთხრობების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაით შრომას"[2].

ი. გოგებაშვილის აზრით, ამ სფეროში დაშვებული ყოველი შეცდომა მეტისმეტად მავნებელია. ბავშვის აზროვნება ჯერ კიდევ არ არის იმდენად გავარჯიშებული, რომ მას ჰქონდეს კრიტიკის უნარი. გარდა ამისა, ყრმობის პერიოდში მიღებული შთაბეჭდილებანი მეტად ხანგრძლივი და ხშირად დაუვიწყარნიც არიან, ამიტომ ერთხელვე შეცდომით აღბეჭდილი მოვლენა ბავშვის ცნობიერებაში შეიძლება მას შემდეგში უადგილო ადგილას წამოეკეცოს.

ყოველად შეუძლებელია, რომ მდარე ხარისხის ნაწარმოებმა ბავშვს წიგნი შეაყვაროს, აღუძრას მისწრაფება კითხვისადმი, განუვითაროს აზროვნებისა და მსჯელობის უნარი და მოგვცეს სრულქმნილი ადამიანი მომზადებული ცხოვრებისათვის.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ქართული საბავშვო ლიტერატურა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და ამის მიზეზს ი. გოგებაშვილი იმაში ხედავდა, რომ „ბევრი ნიჭიერი მწერალნი მონაწილეობას სრულიად არ იღებენ ჩვენს საბავშვო ჟურნალებში და ვინც იღებს, ისიც თავის თავს ძალას ატანსო"[3]. ამიტომ იგი მწერლებისაგან მოითხოვს, რომ მათ უყვარდეთ ბავშვები, იცნობდნენ მათ ყოველ მხარეს, ჰქონდეთ უდიდესი დაკვირვების უნარი, წერონ მკაფიოდ და სადად, ხელი შეუწყონ ბავშვის მეცნიერულ აღზრდას, მაგრამ „ბავშვებში ჰუმანიური მხარე, კაცთმოყვარეობაც ძლიერია და ყოველმა საბავშვო მწერალმა უნდა აძლიოს შემთხვევა ბავშვებს აღმოაჩინონ ეს საუკეთესო მხარე თავიანთი ბუნებისა და დაბადონ პატარა მკითხველებში სურვილი მიბაძვისა"[4], — ასეთი იყო ჭეშმარიტი აზრი დიდი პედაგოგისა.

მოთხრობები ძალიან უყვართ პატარებს, მაგრამ როგორი მოთხრობებია საჭირო ბავშვებისათვის? აქ ი. გოგებაშვილი საკმაოდ საფუძვლიან და საინტერესო რჩევა-დარიგებას იძლევა. მისი აზრით,

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, ტ. 1, 1910, გვ. 126.

[2] იქვე, გვ. 134.

[3] „ივერია", 1897 წ. № 85.

[4] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, ტ. I, 1910, გვ. 120.

საჭიროა ბავშვს მივაწოდოთ ისეთი მოთხრობები, რომლებიც წარმოადგენს „შეკუმშულ სურათს". რომელშიც ცხადად არის დახატული ყველა უმთავრესი ნაწილები და დანარჩენი წვრილმანი ნაწილების დამატება პატარა მკითხველზედ არის მინდობილი"[1]. იგი წინააღმდეგია მოთხრობის გაგრძელება-გაჭიანურებისა, „გრძელი აღწერა დიდებისათვისაც კი ძნელია ხშირად წასაკითხველად... ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვენობს დიდ ხანს შეჩერებას გრძელის, გაჭიანურებული პლასტიკური სურათების კითხვას... საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმს და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრესს საგნის ნაწილებს"[2].

ბავშვის გონების განვითარებისა და მასში პატრიოტული გრძნობის გამომუშავებისათვის, ი. გოგებაშვილის აზრით, ისტორიული მოთხრობები ერთი პირველ საშუალებათაგანია, ამიტომ ასეთი მოთხრობების წერა დიდ წინდახედულებას მოითხოვს.

ისტორიულ მოთხრობებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს გმირების მთელი თავგადასავლის ხელოვნურ აღწერას. იგი უნდა ეხებოდეს მათი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. „ამოარჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ. საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოს"[3].

ი. გოგებაშვილი მოითხოვს, რომ უმთავრესი ყურადღება სამშობლო ქვეყნის ისტორიას მიექცეს, თუმცა არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ისეთი მსოფლიო-ისტორიული ფაქტები, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. ასეთი მასალა შეიძლება გადმოკეთებულ იქნეს ან გადმოითარგმნოს სხვადასხვა ხალხების ენიდან. მაგრამ თარგმანი უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო და დახვეწილი.

ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამშობლოს, როდესაც კარგად გაიცნობს მას. ისტორიული მოთხრობები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა სამშობლოს გასაცნობად, მაგრამ მშობლიური ქვეყნის გეოგრაფიის ცოდნასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ თავისი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია ბავშვს სამშობლოს შეაყვარებს, გაუადვილებს აგრეთვე მეზობელი ქვეყნების შესწავლა-ათვისებასაც. გეოგრაფიული ხასიათის წერილები იმ სახით, როგორადაც ისინი ჩვე-

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, ტ. I. 1910, გვ. 129.
[2] იქვე, გვ. 133.
[3] იქვე, გვ. 132.

ულებრივ სახელმძღვანელოებშია მოცემული, მშრალი და მოსაწყენია, ამიტომ საჭიროა გეოგრაფიული ცოდნა ბავშვს მხატვრულ ფორმაში ხორცშესხმული მივაწოდოთ. როგორ უნდა მოხერხდეს ეს? ამ საკითხზე ი. გოგებაშვილი საყურადღებო მეთოდურ რჩევა-დარიგებას იძლევა: „სინტეტური, დედუქტური მეთოდი, საზოგადო მიმოხილვა, საზოგადო ფრაზები ყოვლად გამოუსადეგარნი არიან; აღწერით ფორმასაც უნდა ერიდოს ყოველი დამწერი გეოგრაფიული წერილებისა, რადგან ეს ფორმა ძნელია და ნაკლებად ახალისებს ბავშვს. ანალიტური, ინდუქტიური მეთოდი, კონკრეტული კერძო მოვლინებათა დახატვა ბავშვის თვალწინა, მოთხრობითი ფორმა, აი რა არის საჭირო ამგვარი წერილებისათვის"[1]. ამგვარი ხასიათის წერილებს არ უნდა ახასიათებდეს სიყალბე, რადგან ბავშვის გონება სიყალბეს ადვილად ხვდება და შეიძლება შეეძულოთ ის, რის შეყვარებაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ლექსს საბავშვო ლიტერატურაში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს, ი. გოგებაშვილი ლექსს მხოლოდ მაშინ უწოდებს საბავშვოს, თუ იგი ადვილად შესათვისებელია როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივ. ლექსი ბავშვს ერთსა და იმავე დროს უნდა აძლევდეს გონებრივ საზრდოსაც და ბადებდეს მასში რაიმე გარკვეულ გრძნობას.

პოეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გრამატიკული ნორმების დაცვას. ხშირია შემთხვევა, როდესაც პოეტი ენის სიწმინდეს ანაცვალებს ხოლმე რითმას, რაც ი. გოგებაშვილს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია; თუმცა ნაწარმოების ფორმას იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ იმგვარ დათმობამდეც კი მიდის, რომ აცხადებს: „ურითმობა, ბევრად სჯობია ენის აშკარა უკანონობასო".

ხალხურ შემოქმედებას ი. გოგებაშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. ხალხურ საუნჯეში იგი ხედავდა უდიდეს სიბრძნეს, რომელიც საუკეთესო იარაღია ბავშვის აღსაზრდელად, მაგრამ დაკვირვებული პედაგოგი ზოგიერთი ხალხური ლექსის გადაკეთებასა და შესწორებას მოითხოვდა, რადგან „ზოგ ლექსს, ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად ხდის ბავშვისათვის".

ი. გოგებაშვილის ღრმა რწმენით, საბავშვო ლიტერატურის დამამშვენებელია ლეგენდები, გამოცანები და იგავ-არაკები. ესმოდა რა იგავ-არაკების უდიდესი მორალურ-დიდაქტიკური მნიშვნელობა,

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, ტ. I, 1910, გვ. 134.

ი. გოგებაშვილმა ამ ჟანრსაც საკმაოდ მკაცრი მოთხოვნილება წაუყენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგავ-არაკნი ეწერათ ისე, როგორც მათ სწერდა კრილოვი: „მარჯვედ გამოხატვა აზრისა, მოკლედ მოჭრა სიტყვისა და მარილიანობა გამოთქმულებისა“ — აი რა უნდა ახასიათებდეს იგავ-არაკს ი. გოგებაშვილის აზრით.

საბავშვო ჟურნალი მუდამ იდგა მხცოვანი პედაგოგის ყურადღების ცენტრში, რადგან მას სწამდა, რომ „რიგიან საბავშვო ჟურნალს იმოდენა სიკეთის დათესვა შეუძლიან, რომ ამ სიკეთის გაზვიადება შეუძლებელია... სახელმძღვანელოსა და პერიოდულ გამოცემათა შორის (გულისხმობს ჟურნალ-გაზეთებს მოზრდილთათვის — ი. ბ.) ბლომა მანძილია, მოზრდილი ხევია და ამ ხევზე გადახტომა შეუძლიან მხოლოდ უმცირესობას... საჭიროა ხიდი და ამ ხიდად და საუკეთესო ხიდათაც ყველგან ითვლებოდა და ითვლება საბავშვო ჟურნალი“[1].

გარდა ღრმა შინაარსისა, რომელიც უნდა ახასიათებდეს საბავშვო ჟურნალს, საჭიროა აგრეთვე შესაფერისი ფორმაც, კარგი ქაღალდი, გარკვეული შრიფტი, მხატვრული გაფორმება, რადგან ლამაზი სურათი ერთიორად უფრო მიმზიდველს ხდის ნაწარმოებს. „სურათის გასინჯვისას ყმაწვილი შეიძენს არა ერთ ცნობას, არა ერთი შთაბეჭდილებით გამდიდრდება მისი გონება“[2].

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ი. გოგებაშვილი მოითხოვდა აგრეთვე საბავშვო ლიტერატურისა და საბავშვო პერიოდული პრესის ობიექტურ, პრინციპულ კრიტიკას, რომ მოზარდ თაობას მისცემოდა საღი, პედაგოგიური თვალსაზრისით გამართული მხატვრული ლიტერატურა, რაც მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა, რადგან ღრმად სწამდა, რომ „ყოველი შეცდომა საბავშვო გამოცემაში ერთი ხუთად და ერთი ათად მავნებელია“.

ასეთი იყო ის ძირითადი პრინციპები და შეხედულებანი, რომელთა მომარჯვებითაც ი. გოგებაშვილი შეუდგა ჟურნალ „ნობათის“ გარჩევას.

ი. გოგებაშვილი იწონებს ჟურნალის გარეგან მხარეს, ლამაზად შემკულ გარეკანს, კარგ ქაღალდსა და მკაფიო შრიფტს, მოსწონს აგრეთვე სურათები. თითოეული ნომრის განხილვის დროს იგი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ ნაწარმოებს, არც ერთ მასალას, რომელთა შესახებ თავის გარკვეულ აზრს გამოთქვამს.

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. ნაწერები, გვ. 219—220

[2] იქვე, გვ. 140.

სანიმუშო ნომერში მას მოსწონს რაფ. ერისთავის ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში", რომელიც თუმცა რუსულიდან არის გადმოღებული. მაგრამ „ქართულად არის გაფურჩქნული, ქართულად მონათლული და ქართულს ტანისამოსში გამოწყობილი". ლექსის უდიდეს ღირსებად ი. გოგებაშვილს ის გარემოება მიაჩნია, რომ ყოველი სტრიქონი სრულ წინადადებას შეადგენს, რაც უადვილებს ბავშვს ლექსის გაგებასა და ზეპირად შესწავლას, მაგრამ ამ დადებით მხარეებთან ერთად ლექსს ნაკლიც ახასიათებს, რაც ვლინდება ორიოდე სტრიქონში სიტყვების შეუსაბამოდ ხმარებით.

ი. გოგებაშვილს მოსწონს აგრეთვე „კაკანათი", რადგან „თავიდან ბოლომდის იგი წარმოადგენს შეკუმშულ სურათს", სადაც ბავშვის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოველდღიური მოვლენები საკმაოდ მოხერხებულად არის დახატული.

მოსწონს აგრეთვე ა. მოჩხუბარიძის „მტრედი"; ხაზს უსვამს ლამაზ პოეტურ აღწერილობას და მკითხველში ფრინველებისადმი თანაგრძნობის გაღვივებას, მაგრამ იწუნებს ენას, რომელიც ალაგ-ალაგ უკანონო და არალაკონიურია.

რაც შეეხება „პატარა თემურიშვილს", იგი ი. გოგებაშვილს სანიმუშო ნომრის მახინჯ ნაწილად მიაჩნია, რომელიც, მისი აზრით, სხვა არა არის რა, თუ არ ისტორიულ ჭორების ნაფლეთები, უნიჭოდ მოგონილი და ასევე უნიჭოდ გამეორებული. სადაც ისტორიული გმირები უბრალო მოხეტიალე და გზაკვალაბნეული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ი. გოგებაშვილს მოსწონს ჟურნალში გეოგრაფიული განყოფილების შეტანა და ეს გარემოება რედაქციის მიერ გონივრულად გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია, მაგრამ ვაჩნაძიანელის წერილებს აღშფოთებაში მოჰყავს იგი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს წერილები „პატარა მკითხველის გონებას არაფერს ხელმოსაჭიდს არ ეუბნებიან, არც ერთს რეალურს წარმოდგენას არ ჰბადავს მასში და მხოლოდ ცარიელი და ამაო სიტყვების ბრახი-ბრუხია მისთვისო". ი. გოგებაშვილს განსაკუთრებით დაუშვებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ ავტორს „ჯერ მეათედი თავისი საზოგადო ფრაზებისა არ დაეხარჯნა კახეთის შესახებ და უცებ, მოულოდნელად ისკუპა აღმოსავლეთიდან დასავლეთში, იმერეთში ამოჰყო თავი, სადაც თავის უწინდელ ხელობას შეუდგა. ე. ი. საზღვრების ზომვასა და მიჯნას".

იხილავს რა ცახელის „მარინეს", ი. გოგებაშვილი იწონებს ნაწარმოების ფორმასაც და შინაარსსაც, მაგრამ მას საბავშვო პოემად არ თვლის და ამდენად „ნობათში" მისი დაბეჭდვა უადგილოდ მიაჩნია.

ი. გოგებაშვილი იწონებს აგრეთვე მაღაროელის მიერ პოლბერის ზოოლოგიიდან ნათარგმნ გაკვეთილებს, აღნიშნავს თარგმანის ადვილ და მსუბუქ ენას და მიუთითებს რედაქციას, რომ თარგმანი შეავსოს და გაამშვენიეროს სურათებით, რაც მეტ სარგებლობას მოუტანს პატარა მკითხველებს.

ამასთან ი. გოგებაშვილი მოითხოვს, რომ გამოცანებისა და რებუსების გარდა ჟურნალში იბეჭდებოდეს ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

საკმაოდ ვრცელი წერილი უძღვნა ი. გოგებაშვილმა 1884 წლის იანვრის პირველ ნომერსაც. ამ შემთხვევაშიც მან პირველ რიგში განიხილა რაფ. ერისთავის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ლექსი „ჯერ შრომა, მერე ხტომა“. ი. გოგებაშვილს ახლა უკვე აღარ მოსწონს ეს ნაწარმოები, რადგან „კილო ლექსისა არის მეტად დაბალი, სტრიქონები მეტად მოკალოვებულია, ძლიერ აკლია სიცოცხლე. ღარიბია მეტად რითმითა და სურათების ნაწილიც მოკლედ არის შეკვეცილი“. ორიგინალსა და თარგმანს შორის ერთგვარი შეუსაბამობაა.

სამაგიეროდ კრიტიკოსს სამაგალითოდ მიაჩნია აკაკის „ყმაწვილი და პეპელა“. რადგან იგი ერთსა და იმავე დროს ბავშვს გონებრივ საზრდოსაც აძლევს და მის გულშიც აღვიძებს გარკვეულ გრძნობას. ი. გოგებაშვილს მოსწონს აგრეთვე აკაკის მიერ შედგენილი და გალექსილი გამოცანები. ხოლო რაც შეეხება ცაბელის მეორე პოემას — „ზაალი“, იგი მასში ვერ ხედავს ვერავითარ სიახლეს, რადგან „მარინე“ და „ზაალი“ უმთავრესი ნაწილებით ერთმანეთს ემსგავსებიან.

რევიშვილის მოთხრობებიც — „შობა“ და „ახალი წელიწადი“ ამავე ავტორის წინა ნაწარმოებებთან შედარებით მდარედ გამოიყურებიან, ამ მოთხრობების უმთავრეს ნაკლად ი. გოგებაშვილი მოქმედ პირ ბავშვთა ეგოისტური ბუნების გამოვლინებას თვლის.

ეკ. გაბაშვილის „საახალწლო ფეშქაში“ მაღალმხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებია, სადაც ქართული ენა ჯეროვან სიმაღლეზე დგას, მაგრამ ი. გოგებაშვილის განსაკუთრებულ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ მწერლის მიერ აღებულია არა ტიპური, არამედ შემთხვევითი, იშვიათი მოვლენა და მოქმედებაც საკმაოდ დამაჯერებლად არის გაშლილი.

ი. გოგებაშვილმა გაარჩია აგრეთვე სანიმუშო ნომრისა და 1884 წლის პირველი ნომრის პედაგოგიური დამატება. მათში დაბეჭდილი როგორც თეორიული, ასევე მეთოდური ხასიათის წერილები ძირითადად მოსაწონია და უდავოდ უწყობენ ხელს პედაგოგიური აზროვნების განვითარებას.

ი. გოგებაშვილის გარდა „ნობათს“ შეეხო მიხ. ნასიძეც, რომელმაც „ივერიის“ ფურცლებზე საკმაოდ ვრცელი წერილი უძღვნა „ნობათის“ 1884 წლის მეორე და მესამე ნომრებს.

მიხ. ნასიძე, ვიდრე უშუალოდ „ნობათის“ განხილვას შეუდგებოდა. შეეცადა გაერკვია საბავშვო ჟურნალის მნიშვნელობა და მისი შედგენის თავისებურება.

საბავშვო ჟურნალს მიხ. ნასიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიგიანი საბავშვო ჟურნალი „აღვიძებს ბავშვის ნორჩ ტვინს, ააზროვნებს მას, აძლევს ერთგვარად ერთ მიმართულებაზედ შერჩეულ მასალას და მით აქვს მასზე უტყუარი ზედგავლენა“[1].

მიხ. ნასიძეს საბავშვო ჟურნალის წარმოება წმინდა პედაგოგიურ საქმედ მიაჩნია, რომელიც დიდად ეხმარება მშობლებსა და აღმზრდელებს მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. ამიტომ იგი ჟურნალის წინაშე ორ უმთავრეს ამოცანას აყენებს: „ა) აღზარდოს ბავშვი ზნეობრივად და ბ) შეჰმატოს ცოდნა და სწავლა“.

მაგრამ რა გზით უნდა ახორციელებდეს ჟურნალი ამ მიზანს? აქ ავტორს მოაქვს მთელი რიგი შეხედულებები და აღნიშნავს, რომ „ჟურნალის მოვალეობაა უხატავდეს ბავშვს ნაცნობ სურათს, ნაცნობ გარემოებას, ეხებოდეს ცხოვრებას, რომელშიაც ტრიალებს ბავშვი... უხსნიდეს ნაცნობ შთაბეჭდილებათა, აძაგებდეს ერთს და აყვარებდეს მეორეს“[2].

მაგრამ მიხ. ნასიძე მარტო ამით არ კმაყოფილდება და ჟურნალს სხვა მოთხოვნილებასაც უყენებს, რაც, მისი აზრით, ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი პირობაა საბავშვო პერიოდული გამოცემისათვის. ეს პირობა ჟურნალის მიერ ნაციონალური ელფერის დაცვაში მდგომარეობს. იგი წერს: „ბავშვს არა აქვს ჯერ იმდენად გახსნილი ანალოგიური მსჯელობა, რომ შეეძლოს უცხოური ერის ცხოვრებიდან აღებული ფაქტების წარმოდგენა და შედარება მის ნანახთან და გაგონილთან. ეს ხშირად დიდებისათვისაც ძნელ საქმეს შეადგენს. მაშასადამე, საყმაწვილო ჟურნალმა თავის კატეხიზმის პირველ მუხლშივე უნდა ჩაიწეროს: სამშობლო ნიადაგი, ეროვნული ხასიათი. უნდა ეცადოს ბეჭდოს უმეტეს ნაწილად ორიგინალური მოთხრობანი, ამბები, მხოლოდ იშვიათად შეიძლება მიეცეს ადგილი ნათარგმნს, ისიც უსათუოდ რომელიმე უცხო ერის გამოჩენილი მწერლის ქმნილებას. ეს კიდევ ცოტაა; თარგმნის დროს უნდა ამო-

---

[1] „ივერია“, 1884 წ. № 4, გვ. 69.

[2] იქვე, გვ. 70.

ირჩიოს ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც უფრო მეტს საზოგადო, საბალხო ელემენტს შეიცავენ“[1].

მასალის შერჩევასა და განლაგებას ჟურნალში სერიოზული სიფრთხილე ესაჭიროება. არ შეიძლება მივაწოდოთ ბავშვს ყველაფერი, რაც ხელში მოგვეხვდება. „უნდა იქნეს მოფიქრებული და განსაზღვრული, რა გვარი ცოდნა უფრო საჭიროა ბავშვისათვის, რას უფრო შეითვისებს და რა უფრო არგებს და ასიამოვნებს ყრმას. შემდეგ ამისა ეს ცოდნა უნდა დალაგდეს წესისამებრ სისტემაზედ... არ უნდა იქნეს დავიწყებული ამ დროის პედაგოგიური პრინციპები: ჯერ ადვილი. მერე ძნელი, შემდეგ უძნელესი“.

ჟურნალმა უნდა ასწავლოს ბავშვს ცხოვრება, დაანახვოს და განუმარტოს ის, რაც მის გარშემო ხდება, „ამგვარი ცოდნა ბავშვს მალე გამოადგება, იგი მალე მოახერხებს მის ხმარებას და მით გაეღვიძება გულში ღრმა სიყვარული და პატივისცემა სწავლისა და მეცნიერებისადმი“[2].

გარდა ამისა, რედაქცია მოვალეა ანგარიში გაუწიოს იმ მითითებებსა და მოთხოვნებს, რომლებსაც აძლევს მას პირუთვნელი კრიტიკა და უყენებს ცხოვრება.

აკმაყოფილებს თუ არა, მიხ. ნასიძის აზრით, „ნობათი“ ზემოწამოყენებულ მოთხოვნებს?

„ნობათმა“ ანგარიში არ გაუწია ი. გოგებაშვილის საფუძვლიან მითითებებს და ძველი გზით განაგრძო სვლა. მიხ. ნასიძეს უდიდეს ხარვეზად მიაჩნია ის გარემოება, რომ ჟურნალს არა აქვს გამოყოფილი „განყოფილება სულ პატარა ყრმათათვის, განყოფილება ბავშვთათვის და ბოლოს მოზრდილ ყრმათათვის“, ამიტომ კრიტიკოსი მოითხოვს, რომ რედაქციამ დაუყოვნებლივ შემოიღოს ეს განყოფილებანი, მაგრამ გარდა ამ ნაკლისა ჟურნალს სხვა უარყოფითი მხარეც ახასიათებს, რაც რედაქტორის მიზეზით აიხსნება. რედაქტორს არა აქვს ჟურნალის წარმოების გარკვეული გეგმა, არა აქვს შეგნებული ელემენტარული პედაგოგიური პრინციპები და არ ესმის. თუ რა არის პერიოდული გამოცემა და რით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი წიგნისაგან. ამის გამო „ნობათი“ დაობლებულია, „თუმცა არ აკლია თანამშრომლები, ნიჭიერებიც-კი“. მაგრამ „მას არა ჰყავს ისეთი პირი, რომელიც აძლევს დროგამოშვებითს გამოცემას განსაზღვრულ ხასიათს, მიმართულებას, სისტემას“[3]. მიხ. ნასიძის

---

[1] „იველია“, 1884 წ. № 4, გვ. 70—71.

[2] იქვე, გვ. 73.

[3] იქვე, გვ. 75.

აზრით, რედაქტორს არ შესწევს უნარი მასალის შერჩევისა და განლაგებისა, არ ძალუძს დაამყაროს მჭიდრო კავშირი ჟურნალის თანამშრომლებთან, გაარკვიოს ისინი საჭირო თემების ხასიათში და ანგარიში გაუწიოს ძირითად პედაგოგიურ მოთხოვნებს.

ზემოთქმულის დასამტკიცებლად მიხ. ნასიძე არჩევს რამდენიმე მასალას და დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნობათი“ ა) გამოიცემის რიგიანად, ეგრეთ წოდებულს გამომცემლობითს მხარეს ჟურნალისას, თვით ჯიუტი და ჰირვეული კრიტიკოსიც ვერას წააყვედრებს.

ბ) რედაქციული მხარე ძალიან და ძალიან ხუსტია. ჟურნალს არა აქვს განსაზღვრული არც გზა, არც მიზანი, არც სისტემა და უფრო წააგავს უთავბოლო კრებულს, ვიდრე სერიოზულ დროგამოშვებით გამოცემას.

გ) რომ „ნობათის“ საქმე სანატრელ გზაზე დადგეს ეხლანდელმა რედაქციამ უთუოდ უნდა აღვიაროს, თავისი აშკარა უძლურობა და თავის სანუკვარ ჟურნალს, რომლისთვისაც დაგვპირდა არას დავზოგავო, მიუყენოს ან ერთი რომელიმე მომზადებული პირი, ან მთელი წრე შედგენილი თუნდა იმავე თანამშრომელთაგან, რომელნიც ახლა მუშაობენ.

დ) თუ ეს პირობანი არ შესრულდნენ „ნობათის“ საქმე ისე ვერ იწარმოებს, როგორც სასურველი და სანატრელია ჩვენთვის კერძოთ და ყველასათვის საერთოდ“[1].

ასე ამთავრებს წერილს მიხ. ნასიძე. „ნობათის“ ერთ-ერთი უახლესი თანამშრომელი.

მიხ. ნასიძის კრიტიკა ობიექტურია და საკმაოდ საფუძვლიან ფაქტებზეა აგებული. დასკვნაც, რომელიც ჩვენ მთლიანად მოვიტანეთ, სავსებით მართებულია. შეიძლება ვერ დავეთანხმოთ მხოლოდ ერთ საკითხში, თითქოს ჟურნალს არ ჰქონდა გარკვეული მიზანი. მიზანი ჟურნალს, რა თქმა უნდა, ჰქონდა, რის შესახებაც ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ.

„ნობათის“ რედაქციამ ვერ შეასრულა ვერც ერთი მოთხოვნილება, რომელიც მას პრინციპულმა კრიტიკამ წამოუყენა. პირიქით, გაუმჯობესების მაგიერ ჟურნალი დღითიდღე უკან მიდიოდა; ამას ემატებოდა ცენზურის სიმკაცრე და მატერიალური ხელმოკლეობა, რაც სულს უხუთავდა „ნობათის“ რედაქციის მუშაობას და მართლაც, მიხ. ნასიძის თქმისა არ იყოს, საქმე ისე ვერ წარიმართა. რო-

[1] „ივერია“, 1884 წ. № 4, გვ. 89—90.

გორც სასურველი იყო და ჟურნალმაც 1885 წლის მეხუთე ნომერზე არსებობა შეწყვიტა[1].

„ნობათიდან“ „ჯეჯილამდე“

„ნობათის“ დახურვის შემდეგ თითქმის მთელი ექვსი წლით მიიძინა ქართულმა საბავშვო ჟურნალმა.

80-იანი წლების მეორე ნახევრისათვის რეაქციამ მთელი სიძლიერით გაშალა ფრთები, ხოლო ცენზორის წითელმა მელანმა შეუბრალებლად გადახაზა ყოველივე ქართული, თვით სიტყვა „საქართველოსაც“ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა და შეძლებისდაგვარად ყოველ სახელმძღვანელოში ცხელი შანთით ამოწვა იგი.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის საცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცულია ცენზორის მიერ ნაჯიჯგნი წიგნი — „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“, რომელიც ზემოთქმულის სამაგალითო ილუსტრაციას წარმოადგენს.

მოვიყვანთ რამდენიმე ადგილს:

ავტორის რედაქციით იკითხება:	ცენზორს შეუსწორებია:
მოკლე გეოგრაფია საქართველოსი.	მოკლე გეოგრაფია ქუთაისის და თბილისის გუბერნიებისა
საქართველოს შეადგენს შემდეგი ნაწილები:	თბილისის და ქუთაისის გუბერნიას შეადგენს შემდეგი ნაწილები.
დასავლეთ საქართველო	იმერეთი
აღმოსავლეთ საქართველო	ქართლ-კახეთი
თავისუფლება და დამოუკიდებლობა	სიტყვა „დამოუკიდებლობა“ მთლიანად ამოშლილია.

აი რა ბარბაროსულად მახინჯდებოდა ყოველივე ეროვნული გრძნობის აღმძვრელი მასალა. განათლების მესვეურთაგან აღებული

---

[1] ი. გოგებაშვილისა და მიხ. ნასიძის წერილების გარდა „ნობათის“ ირგვლივ დაიბეჭდა სტ. ვრცელაშვილის „ბიბლიოგრაფია“, რომელიც ეხება ჟურნალის სანიმუშო და პირველ ნომერს (იხ. „ივერია“, 1884 წ. № 1—2), ი. კავთელის რეცენზია (იხ. „თეატრი“, 1886 წ. № 2 და 4) და ი. მანსვეტაშვილის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ („ივერია“, 1886 წ. № 28—29), მაგრამ ვინაიდან არც ერთი მათგანი ი. გოგებაშვილისა და მიხ. ნასიძის წერილებთან შედარებით რაიმე არსებითი ხასიათის განსხვავებულ აზრს არ შეიცავენ, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

გეზი მოზარდი თაობის გადაგვარებისა ბიუროკრატიული ხელისუფლების მიერ განხორციელებას თხოულობდა, მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გადაერჩინა ქართველი ბავშვი დასახიჩრებისაგან.

1886 წელს საშუალო სკოლის მასწავლებლებმა მიხეილ ქართველიშვილმა და ვასილ რცხილაძემ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს სთხოვეს, რათა ნება მიეცა მათთვის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალ „ნ ე რ გ ი ს“ გამოცემისა. ჟურნალი ორ განყოფილებად გამოვიდოდა; პირველ განყოფილებაში დაიბეჭდებოდა მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები — ლექსები, მოთხრობები, პოპულარული სამეცნიერო წერილები და ფოლკლორული მასალა, მეორე განყოფილებაში კი მოთავსდებოდა პედაგოგიურ-დიდაქტიკური ხასიათის სტატიები, რომელნიც უშუალოდ მასწავლებელთა და მშობელთათვის იყო ნავარაუდევი.

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს არაფრად ეჭაშნიკა მ. ქართველიშვილისა და ვ. რცხილაძის თხოვნა, მაგრამ საქმეს მსვლელობა მაინც მისცა. მათი თხოვნა დასკვნისათვის გადაეგზავნა კავკასიის მთავარმართებელს სამოქალაქო ნაწილში და აგრეთვე საცენზურო კომიტეტს.

თუმცა საცენზურო კომიტეტმა ჟურნალის გამოცემაზე უარის სათქმელად რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე არგუმენტი ვერ წამოაყენა, მაგრამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ კეთილშობილური საქმისადმი შემდეგი გარემოებით დაასაბუთა: — ადრე არსებულმა ქართულმა საბავშვო ჟურნალმა „ნობათმა“ მეტად მცირე ხანს იარსება, რადგან ხელისმომწერლები ვერ შეაგროვა, ხელისმოწერთა სიმცირე კი იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში რუსულ საბავშვო ჟურნალებს უფრო ეტანებიან, ვიდრე ქართულსო. გარდა ამისა, მ. ქართველიშვილი და ვ. რცხილაძე ამ პასუხსაგები საქმისათვის მოუმზადებელი არიან და საეჭვოა, რომ მათ შეძლონ რიგიანი ჟურნალის გამოცემაო.

თავის მხრივ, კავკასიის მთავარმართებლის დავალებით ჟანდარმერიამ შეამოწმა მ. ქართველიშვილისა და ვ. რცხილაძის პოლიტიკური კეთილსაიმედოობა, რის შედეგადაც ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს ეცნობა, რომ ვ. რცხილაძე პოლიტიკურად საშიში პიროვნებააო.

მოწოდებული ცნობები სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მ. ქართველიშვილისა და ვ. რცხილაძისათვის ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს „ნერგის“ გამოცემაზე უარი ეთქვა.

ამ დამარცხებამ არ შეაკრთო ქართველი ინტელიგენცია და ახლა

ეკატერინე გაბაშვილი შეეცადა საბავშვო ჟურნალის დაარსებას, რომელიც „ხ ო მ ლ ი ს“ სახელწოდებით უნდა გამოსულიყო.

თხოვნა ჟურნალის გამოცემაზე ეკ. გაბაშვილს პეტერბურგში უნდა გაეგზავნა არა უადრეს 1887 წლისა. 1888 წლის 23 თებერვალს გაზეთი „ივერია“ (№ 41) იუწყებოდა: „ამბობენ, რომ ქ-ნს ეკატ. გაბაშვილისას გაუგზავნია ქაღალდი პეტერბურგში — ბეჭდვითი საქმის მთავარ-სამმართველოში და უთხოვია მისგან ნება-რთვა, რომ ჰბეჭდოს ქართულად ყოველ თთვიური საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი, სახელად „ხომლი“. ქაღალდი კარგა ხანია გაგზავნილია და დღე-დღეზედ მოელოდებიან პეტერბურლიდამ პასუხს. ნებართვის მიღების უმალვე ქ-ნი ეკ. გაბაშვილი დაიწყებს თავის ჟურნალის ბეჭდვასო. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ამბავს დიდის სიხარულით მიეგებებიან ჩვენი მოზარდი ყმაწვილები და ნორჩი მოსწავლენი, რომელნიც დღეს სრულიად მოკლებულნი არიან შესაფერ საკითხავს წიგნებს. არა ნაკლები სიხარულით მიეგებებიან ქართველნი მშობელნიცა, რომლითაც კარგი საყმაწვილო ჟურნალი დიდს დახმარებასა და შემწეობას აღმოუჩენს თავიანთ შვილების აღზრდასა და გაწვრთნაში“.

„ხომლი“ ყოველთვიური ილუსტრირებული ჟურნალი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ექნებოდა შვიდი განყოფილება: 1) ბელეტრისტიკა, 2) მეცნიერება, 3) ისტორია, 4) გასართობი, 5) შეკითხვები და პასუხები, 6) სხვადასხვა რჩევა და დარიგება და 7) პედაგოგიური ნაწილი.

როგორც დოც. ნ. ტაბიძის გამოკვლევიდან ჩანს, „შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი უთხრა ე. გაბაშვილს. იგი ეყრდნობოდა კავკასიის მთავარმართებლის დასკვნას: 1) გაბაშვილი, როგორც მწერალი და გამომცემელი უცნობია; 2) თბილისში ქართულ პრესაზე განსაკუთრებული მოთხოვნა არ იგრძნობაო. ხსენებული არგუმენტები ყურით არის მოთრეული. ისტორიიდან არა ერთი მაგალითის გახსენება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ სრულიად შემთხვევითი პიროვნებისათვის მიუნდვიათ გაზეთის და ჟურნალის გამოცემა. ე. გაბაშვილი კი 1888 წლისათვის საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო“[1].

ამრიგად, ვერც ეკ. გაბაშვილმა მოახერხა ჟურნალის დაარსება, მაგრამ ქართველი მოწინავე საზოგადოება ფარ-ხმალს არ ყრიდა.

1889 წელს სახალხო სკოლის მასწავლებელმა ვლადიმერ აღნიაშვილმა აღძრა თხოვნა ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს წი-

---

[1] ნ. ტაბიძე, ქართული და საბავშვო პედაგოგიური პრესის ისტორიისათვის, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966 წ. № 5, გვ. 73.

ნაშე. რათა ნება დაერთოთ მისთვის გამოეცა ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „ცისიერი“, რომელსაც დაერთვოდა პედაგოგიური დამატება.

ჟურნალის ლიტერატურულ ნაწილში უნდა დაბეჭდილიყო მოწაფეთათვის მკვირცხლი და გასაგები ენით დაწერილი სტატიები, ბიოგრაფიები. ნარკვევები, მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, გეოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები (განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებიდან), ლექსები, გამოცანები, რებუსები, ზღაპრები. ანდაზები და სხვ.

პედაგოგიურ ნაწილში კი მოთავსდებოდა თეორიული და მეთოდური ხასიათის წერილები, რომლებიც გააშუქებდნენ სახალხო განათლების საკითხებს.

ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ განიხილა ვლ. აღნიაშვილის თხოვნა და დასკვნისათვის კონფიდენციალური წერილი გამოუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს კირილე პეტრეს ძე იანოვსკის.

კ. იანოვსკიმ პასუხი არ დააგვიანა და საიდუმლო პაკეტით ბეჭდვითი საქმის სამმართველოს უფროსს ასეთი შინაარსის დასკვნა წარუდგინა: „მე არ შემიძლია არ გამოვთქვა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ კავკასიის მკვიდრ ენებზე გამოცემულ ჟურნალებში ისეთი განყოფილებებიც კი არ იქნება ნებადართული, როგორც ბიოგრაფიები, ნარკვევები და მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. რადგან ასეთი განყოფილებანი სულ ადვილად, სხვადასხვა სახით. შეიძლება ნაციონალურ იარაღად გადაიქცეს. ბიოგრაფიებში ქართველი ხალხიდან პირები წარმოდგენილ იქნებიან გმირებად. ნაციონალური თვითარსებობისათვის მეზრძოლებად და სხვა პიროვნებანი .რუსი ხალხიდან კი მკრთალებად. სულით ღატაკებად. შემავიწროებლებად და სხვა. იგივე ადვილად გაკეთდება მოთხრობებში საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. ამიტომ, თუ თქვენი აღმატებულება ნებას დართავს ბ. აღნიევს გამოსცეს ქართულ ენაზე ჟურნალი „ცისიერი“, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნებოდა გამორიცხვა ჟურნალის პროგრამიდან განყოფილებებისა: ბიოგრაფიები, ნარკვევები და მოთხრობები საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან“[1].

მოტანილი ამონაწერიდან იმდენად ნათელია იანოვსკის პოზიცია, რომ იგი კომენტარს არ საჭიროებს, ამით მან ერთხელ კიდევ

---

[1] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 107, სერია 3, საქმე № 5135.

გამოაელინა ის შავრაზმული და რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელსაც ერთგულად ატარებდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

საყურადღებოა აგრეთვე ის აზრიც, რომელიც იანოვსკიმ გამოთქვა „ცისიერის" პედაგოგიური დამატების შესახებ. იმავე წერილში იანოვსკი წერდა: „გარდა ამისა, მე სავსებით აუცილებლად მიმაჩნია ამოირიცხოს პროგრამიდან პედაგოგიური დამატების უდიდესი ნაწილი სახალხო განათლების შესახებ, მხოლოდ მთავრობის განკარგულებათა დატოვებით.

სკოლის საქმე კავკასიის მხარეში, შეიძლება ითქვას, ეს ეს არის მყარდება, რუსული ენის სწავლება ადგილობრივ დაწყებით სკოლებში ჯერ კიდევ მრავალ მოწინააღმდეგეს ხვდება, ამიტომ მეტად საზიანო იქნებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი წყობილება გაგვეხადა ნაციონალური თვალსაზრისით პირდაპირი თუ არა პირდაპირი განხილვის საგნად, რაც აუცილებლად დაიწყება ჟურნალში ამა თუ იმ საბაბით, ამა თუ იმ ფორმით, რა რომ ნებადართული იქნება წერილების მოთავსება სწავლისა და აღზრდის შესახებ, მეთოდიკის შესახებ, საბავშვო წიგნებისა და პედაგოგიურ გამოცემათა კრიტიკა.

ამჟამად, სანამ რუსული სკოლა ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა ტუზემურ მოსახლეობაში, აუცილებელია მთლიანობა სწავლა-აღზრდის მიმართულებით".

იანოვსკის მოსაზრებანი საკმაოდ საფუძვლიანი აღმოჩნდა ბეჭდვითი საქმის სამმართველოს უფროსისათვის. მან გაითვალისწინა მოსალოდნელი საშიშროება, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჟურნალ „ცისიერის" დაარსებას თავისი პედაგოგიური დამატებით, და ამიტომ ვლადიმერ აღნიაშვილს წარდგენილ თხოვნაზე სასტიკი უარით უპასუხა.

„ჯეჯილი"

თუმცა „ცისიერის" დაარსების ცდა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ქართველი ინტელიგენცია იარაღს მაინც არ ყრიდა და ახლა სხვა ხერხით ცდილობდა საცენზურო კომიტეტისათვის გამოეგლიჯა ნებართვა საბავშვო ჟურნალის დაარსებისა.

ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმე იკისრა ანასტასია მიხეილის ასულმა თუმანიშვილმა (გიორგი წერეთლის მეუღლემ).

90-იანი წლებისათვის ანასტასია თუმანიშვილი უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული მოღვაწე იყო; მას ჰქონდა ათი წლის სალიტერა-

ტურო მოღვაწეობის სტაჟი და საცენზურო კომიტეტი იანოვსკის რეკომენდაციით ანასტასიას იცნობდა, როგორც პოლიტიკურად კეთილსაიმედო პიროვნებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ იანოვსკის მიხეილ თუმანიშვილის ოჯახთან ახლო ნაცნობობა ჰქონდა, ხოლო ანასტასიას ძმა— გიორგი მთავარმართებლის კანცელარიაში მსახურობდა, ადმინისტრაციულ წრეებში საკმაო ნაცნობობა ჰყავდა და შესაძლებლობა ჰქონდა ყოველმხრივ დახმარებოდა ანასტასიას პერიოდული გამოცემის ნებართვის მიღებაში.

მიუხედავად დიდი ნაცნობობისა, ანასტასიას მაინც შესაძლებლად მიაჩნდა, რომ საფუძვლიან მოთხოვნას შეიძლებოდა უსაფუძვლო უარი მოჰყოლოდა, და ამიტომ საქმის გასაადვილებლად და საცენზურო კომიტეტის თვალის ასახვევად მიმართვას ისეთი შინაარსი მისცა, თითქოს სურვილი ჰქონდა, რომ თავის უკვე დაბეჭდილი ნაწარმოებებისა და წიგნებისათვის პერიოდული გამოცემის ხასიათი მიეცა.

თითქოს აქ სადავო და სადავიდარაბო არა იყო რა, მაგრამ საქმე მაინც გაჭიანურდა და ნებართვის მიღება მხოლოდ 1889 წლის მიწურულს მოხერხდა.

1889 წლის 3 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბოლოდ დაამტკიცა ჟურნალის პროგრამა და ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ ან. თუმანიშვილს ასეთი შინაარსის მიწერილობა გაუგზავნა: „ქ. თბილისში ბარიათინსკის ქუჩაზე, საკუთარ სახლში № 8 მცხოვრებმა კნიაჟნა ანასტასია მიხეილის ასულმა თუმანოვმა მიმართა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს შუამდგომლობით, ნება დაერთოს მას გამოსცეს ამ ქალაქში. წინასწარი ცენზურის ნებართვით, მისი ხელმძღვანელობით წელიწადში ექვსჯერ, ილუსტრირებული საბავშვო ჟურნალი ქართულ ენაზე, სახელწოდებით „ჯეჯილი“.

ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს კანცელარია, ამ სამართველოს ბ-ნ უფროსის ბრძანებით, ამით უცხადებს კნიაჟნა ანასტასია მიხეილის ასულ თუმანოვას, რომ მას ნება დაერთო გამოსცეს აღნიშნული ჟურნალი, რის გამოც ამასთანავე ერთად იგზავნება ჟურნალის დამტკიცებული პროგრამის ასლი და დაწესებული მოწმობა მისი ბეჭდვის უფლებაზე ორ ცალად“.

საინტერესოა, რას წარმოადგენდა „ჯეჯილის“ პროგრამა, რომელიც დამტკიცებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

ამ პროგრამის მიხედვით „ჯეჯილში“ უნდა შესულიყო შემდეგი განყოფილებები:

I— მოთხრობები, ამბები, ზღაპრები, ბიოგრაფიები, პოემები, ეტიუდები;

II — ლექსები;

III — მეცნიერება და ხელოვნება;

IV — ნარევი;

V — წვრილმანი;

VI — საბავშვო პედაგოგიური, საჭადრაკო და სხვა თამაშობანი, რებუსები, მათემატიკური ამოცანები, ანეკდოტები. გამოცანები. იგავები, ანდაზები;

VII — ილუსტრაციები;

VIII — სიმღერები ნოტებით, პასუხები. განცხადებები.

ჟურნალ „ჯეჯილს“ არ ჰქონდა პედაგოგიური დამატება და ანასტასიას არც აღუძრავს თხოვნა მისი გამოცემის შესახებ, ვინაიდან იცოდა, რომ იგი აუცილებლად ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი გახდებოდა ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიღების დროს და შეიძლებოდა მას თვით ჟურნალის ყოფნა-არყოფნის ბედი გადაეწყვიტა.

ნებართვის მიღების შემდეგ ანასტასია თუმანიშვილმა თათბირი მოიწვია, რომელსაც დაესწრნენ ვახტანგ ორბელიანი. ეკატერინე გაბაშვილი, სოფიო ციციშვილი, ეკატერინე მესხი. იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვ.

თათბირზე ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებული მრავალი საჭირბოროტო საკითხი იქნა განხილული. კამათმა მეტად ცოცხალი ხასიათი მიიღო, აქვე შეირჩა ჟურნალის სახელწოდება — „ჯეჯილი“: ეს სახელი ი. გოგებაშვილმა შეარქვა. შემუშავდა „ჯეჯილის“ პირველი ნომრის საორიენტაციო გეგმა. გაიმართა ხელისმოწერა.

ანასტასია თუმანიშვილი გასაოცარი ენერგიით შეუდგა მუშაობას და ამასობაში დადგა 1890 წელი, დაუვიწყარი და წარუშლელი ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში, — ამ წლის პირველ იანვარს ხელისმომწერთ დაურიგდათ „ჯეჯილის“ პირველი ნომერი.

ქართველი საზოგადოება გულწრფელად უღოცავდა ანასტასიას ამ დიდ გამარჯვებას. მრავალი გულთბილი წერილი მიიღო რედაქტორმა, რომელთა შორის საყურადღებოა „ჯეჯილის“ პირველი ხელისმომწერის ოლღა ჭავჭავაძის წერილი: „...როდესაც „ივერიის“ სვეტებზე წავიკითხე თქვენი განცხადება, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გამოცდილებით ვიცი, რა საქმესაც თქვენ გულით ხელს მოჰკიდებთ, ის საქმე უეჭველად კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ეს საქმე დიდია და დიდი ტვირთიც გიკისრიათ. იმედია, ახალი თაობა

დააფასებს და რომ ეგ საქმე თქვენ ხელში აყვავდება. მაგაზედ ექვი არა მაქვს"[1].

განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა ანასტასიას სარედაქციო მუშაობაში მისი მეგობარი სოფიო (სონა) ციციშვილი. „სონა,—



წერს ეკ. გაბაშვილი. — ჟურნალ „ჯეჯილის" დიდი მოამაგე და სულის ჩამდგმელი იყო. რამოდენიმე წლის განმავლობაში ის აწარმოებდა რედაქციაში მუშაობას. ის არჩევდა საოცარი სიადვილით ხელნაწერებს. გამჭრიახი თვალით პოულობდა საჭირო მასალას და უკითხავდა კომისიის წევრებს. რომელნიც თვეში ერთხელ რამდენიმე საათით იკრიბებოდნენ „ჯეჯილის" რედაქციაში რედაქტორთან ერთად ნომრის შესადგენად. ს. ციციშვილი კითხულობდა მრავალ რუ-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ან. თუმანიშვილის არქივი, № 135.

სულ საყმაწვილო ჟურნალ'ა და წიგნს. თუ იპოვნიდა რასმე ქართველი მკითხველის გამოსადეგს, მაშინვე სთარგმნიდა ან გადმოაკეთებდა. სონა ნამდვილი დედაკაცი იყო სულით, გულით, სათნოებით და გატაცებული სიყვარულით ბავშვებისადმი"[1].

ჟურნალის მშვენიერმა გარეგნობამ — ლამაზმა ყდამ, კარგმა ქაღალდმა. მკაფიო შრიფტმა და მოხდენილმა სურათებმა მოხიბლა მკითხველი საზოგადოება. ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს „ჯეჯილის" პირველი ნომრის გამოცემაში: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, რაფ. ერისთავი, ეკ. გაბაშვილი, შიო მღვიმელი—აი ის ბრწყინვალე ძოღვაწენი, რომელთა შემოქმედების ნიმუშებიც ამშვენებდა ჟურნალის ნომერს.

მისი შინაარსი ასეთი იყო:

1. ჯეჯილი — ლექსი შ. მღვიმელისა.
2. ჯეჯილი — ლექსი ვაჟა-ფშაველასი.
3. გიგლას სიზმარი შობა ღამეს — საყმაწვილო ამბავი ბარელისა.
4. მერცხლისა და ჭივჭავის ომი — პოემა ლექსად აკაკისა.
5. ჩვენი მამალი — საყმაწვილო ამბავი ვაჟა-ფშაველასი.
6. ციცუნიას სიზმარი — ხალხური ლექსი.
7. ბაპილო და ჭიანჭველები — საყმაწვილო ამბავი ი. გოგებაშვილისა.
8. ბაზალეთის ტბა — ლეგენდა ლექსად ი. ჭავჭავაძისა.
9. შობა ღამეს — საყმაწვილო ამბავი ფრანგულიდამ.
10. შვიდნი ვართ — ლექსი რაფ. ერისთავისა.
11. სამი გლეხი და ქრისტე ღმერთი — ზღაპარი.
12. ღვთის შვილი — მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა.
13. თეზეოს. ბერძნების მითოლოგიიდან — ალ. ჭიჭინაძისა.
14. ჭინჭველა. სამეცნიერო წერილი — ეფ. ჭ-ძისა.
15. სამაგიეროს გადახდა — ფრანგულიდამ.
16. მეღორეობა — (თამაშობა) — ან-ბანისა.
17. მეფე და მეთევზე. ზღაპარი გამოცანა.
18. სამი მგზავრი (იგავი) — ან-მანისა.
19. ლოკოკინა და ხვლიკი.
20. მელა და ერკემალი.

---

[1] „ჯეჯილი", 1906 წ. №6, გვ. 30: ეკ. გაბაშვილი, „ს. ციციშვილი".

21. ანდაზები. გამოცანები, ხალხური ლექსები, შარადა, რებუსი.

ამ პირველმა ნომერმა, რომელიც მდიდარი იყო ფორმითა და შინაარსით. ანასტასიას უდიდესი გამარჯვება არგუნა წილად.

არა მარტო ქართული, არამედ რუსული პერიოდული გამოცემებიც კი ახმაურდნენ და თანაგრძნობით შეეგებნენ „დიდი ნაკლის შევსებას". „ივერიამ", „ნოვოე ობოზრენიემ" და „ტიფლისსკი ლისტოკმა" საკმაოდ მოზრდილი წერილები უძღვნეს „ჯეჯილს", აღნიშნეს მისი უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და უსურვეს შემდგომი განვითარება.

ის ორი სტრიქონი იოსებ დავითაშვილის ლექსიდან:

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,

რომლებიც რედაქციამ ჟურნალს ეპიგრაფად წარუმძღვარა და რომლებიც თითქმის მთელი 30 წლის განმავლობაში არ მოშორებია მის ლამაზ ყდას, ორმაგი მნიშვნელობის იყო. ამ ეპიგრაფში რედაქცია, ერთი მხრივ, გულისხმობდა თვით ნორჩი ჟურნალის აყვავებასა და „დაპურებას", რაც მეტად კეთილი, მაგრამ განუხორციელებელი სურვილი იყო იმ პერიოდში, რადგან „ჯეჯილამდე" არსებულმა საბავშვო ჟურნალებმა არათუ „დაპურება", აყვავებაც კი ვერ მოასწრეს, ხოლო, მეორე მხრივ, რაც მთავარია, „ჯეჯილში" რედაქცია მოზარდ თაობას გულისხმობდა, რომლის აღზრდისა და განვითარებისათვისაც იყო განკუთვნილი თვით ჟურნალი.

დაარსების დღიდან „ჯეჯილი" ორ განყოფილებას შეიცავდა: პირველი განყოფილება განკუთვნილი იყო მცირეწლოვანთათვის, რომელშიც მსხვილი შრიფტით იბეჭდებოდა ამ ასაკის შესაფერისი ნაწარმოებნი, მეორე განყოფილებაში კი იბეჭდებოდა მასალა მოზრდილი ასაკის ბავშვებისათვის.

1890 წლიდან 1896 წლამდე „ჯეჯილი" გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ, 400 ცალად. ხოლო 1896 წლიდან ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა და ტირაჟიც 200 ეგზემპლარით გაიზარდა.

თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში მრავალი დაბრკოლება გადაეღობა როგორც ჟურნალს, ისე მის რედაქტორს. ამ დაბრკოლებათა შორის ყველაზე საგრძნობი იყო ანასტასია თუმანიშვილისათვის, ერთი მხრივ, ბრძოლა საცენზურო კომიტეტთან, ხოლო, მეორე მხრივ, მატერიალური სახსრების სისტემატური ძიება ჟურნალის საწარმოებლად.

ქართველი ინტელიგენცია, რომელიც გრძნობდა ჟურნალის უდიდეს მნიშვნელობას, მუდამ მხარში ედგა ამ მოწინავე ქალს და წე-

რილებითა თუ პრაქტიკული საქმიანობით ამხნევებდა რედაქტორს. რითაც ხელს უწყობდა „ჯეჯილის“ გამოცემას.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა თედო რაზიკაშვილის ერთ-ერთი ბარათი ანასტასიასადმი: „გიგზავნით მოთხრობას, ერთი მოთხრობაც სხვა მაქვს გადასაწერი და ამასაც მოგართმევთ, ოღონდ თქვენ მაგ წმინდა საქმეს ნუ უღალატებთ და ჩვენც, ვინც კი სწერავს რამეს, ისე როგორ შევირცხვენთ თავს, ხელი არ მოგცეთ, შემწეობა არ აღმოგიჩინოთ. დიახ, გამოცემის შეჩერება კი არ გააგონოთ ჩემს ყურებს, ნუ უღალატებთ მაგ წმინდა საქმეს, თქვენი საზრუნავი ობოლი „ჯეჯილია“, გაუწიეთ დედობა, გამოზარდეთ ჩვენი თაობისათვის“[1].

„ჯეჯილის“ შენარჩუნებისათვის ზრუნავდა აგრეთვე მოსკოვის ქართველი სტუდენტობა, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა მისთვის დახმარება გაეწია. მაგალითად. 1895 წელს მათ ანასტასიას გამოუგზავნეს სურათები და კლიშეები 1896 წლის „ჯეჯილის“ თორმეტივე ნომრისათვის და თან ასეთი წერილიც მოსწერეს:

„ამ განზრახვაზე შეუდრეკელად იმიტომ დავემყარეთ, რომ სასარგებლო საბავშვო ჟურნალის მოსპობა ძალიან სანანებლად მიგვაჩნია. ყოველი ქართველისათვის სამწუხარო უნდა იყოს, რომ ცარიელზე დარჩეს ის ცქრიალა, ცნობისმოყვარე ბავშვების გუნდი. რომელიც გაფაციცებით ელის ხოლმე ყოველ ნომერს „ჯეჯილისას“[2].

90-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრებს ვამჩნევთ: კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოში საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მთელი სიმძაფრით იჩენს თავს არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური, არამედ თეორიულ-იდეოლოგიური ხასიათის ბრძოლა. ჩნდება და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის „მესამე დასი“, რომელმაც 1893 წლიდან ჟურნალ „კვალში“ გამოამჟღავნა თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, რამაც აღაშფოთა ადგილობრივი ხელისუფლება. გაიცა ფიცხელი განკარგულება, რათა საცენზურო კომიტეტს განსაკუთრებით გაემახვილებინა ყურადღება პერიოდულ და საერთოდ ქართულ ნაბეჭდ გამოცემათა მიმართ.

ჟურნალი „კვალი“ „ჯეჯილის“ დამატებად ითვლებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებდა თვალს „კვალის“ მუშაობას. ხელისუფალთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1898 წლიდან „კვალი“

---

[1] საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, გ. წერეთლის არქივი. № 16134, 220.

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ა. თუმანიშვილის არქივი, № 15.

მთლიანად „მესამე დასის“ ხელში გადავიდა, ამიტომ მთავრობა გაფაციცებით ეძებდა სულ მცირეოდენ მიზეზსაც კი, რომ ჟურნალის არსებობა შეეწყვიტა.

ხელისუფალთა სურვილი მალე საქმედ იქცა და 1904 წლის 16 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საცენზურო წესდების 148-ე მუხლის ძალით „კვალის“ გამოცემა სამუდამოდ შეწყვიტა.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. იერიში „ჯეჯილზედაც“ მიიტანეს და სრული სიმშვიდის უზრუნველსაყოფად „ჯეჯილიც“ მოსპეს.

თავზარი დასცა ანასტასია თუმანიშვილს ამ უღმობელმა გახარჭებამ. უეცრნალოდ სიცოცხლე მისთვის წარმოუდგენელი იყო, იგი გრძნობდა „ჯეჯილის“ აუცილებელ საჭიროებას და ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რომ როგორმე მოეპოვებინა მისი განახლების უფლება, მაგრამ 1904 წელმა თითქმის მოლოდინში გაიარა და მხოლოდ 6 ოქტომბერს მიიღო ჟურნალის აღდგენის ნებართვა.

ნებართვის მიღებისთანავე ანასტასია თუმანიშვილი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას და 1905 წლიდან განაახლა „ჯეჯილის“ გამოცემა[1].

ცენზურა, რომელმაც ერთხელვე „კბილი დაადგა“ „ჯეჯილს“, მოსვენებას აღარ აძლევდა მას და რედაქციაც იძულებული იყო განსაკუთრებული სიფრთხილით მოქცეულიყო, რომ კვლავ რაიმე უსიამოვნება არ შეხვედროდა.

გარდა მძიმე საცენზურო პირობებისა, რომლებიც გასაქანს არ აძლევდა „ჯეჯილს“, მის გამოცემაზე საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენდა მატერიალური სახსრების სიმცირე და ხშირად უქონლობაც.

ჯერ კიდევ 1895 წლის 31 იანვარს ანასტასია სწერდა „ჯეჯილის“ თანამშრომელს თედო რაზიკაშვილს: „თუ იკითხავ „კვალის“ ამბავს, წრეულს, ამ 1895 წელს ასი ხელისმოწერით მეტი გვყავს. მაგრამ „ჯეჯილი“ კი სანუგეშო მდგომარეობაში არ არის. თანდათან აკლდება ხელისმომწერი და, რასაკვირველია, თანამგრძნობლებიც. ვერა მიღონია რა და არ ვიცი რა ვქნა“.

რაც დრო გადიოდა, ხელისმომწერთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა. მაგალითად, 1897 წლის ოქტომბრისათვის „ჯეჯილს“ მხოლოდ 200 ხელისმომწერი ჰყავდა, რაც ჟურნალის არსებობას საკ-

---

[1] მართალია, 1904 წელს „ჯეჯილი“ არ გამოსულა, მაგრამ ანასტასიამ მოახერხა ცალკე კრებულების გამოცემის ნებართვის მიღება და „ჯეჯილის“ თანამშრომლების დახმარებით და ალექსანდრე მიქაბერიძის რედაქტორობით გამოსცა ოთხი კრებული: „მერცხალი“ — ორი წიგნი და „მოლაღური“ — ორი წიგნი.

მაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ „ჯეჯილს" თითქოს ბედმა გაუღიმა და ამავე წლის 17 ოქტომბერს თბილისის საეპარქიო რჩევის მიერ „ჯეჯილი" მიღებულ იქნა სახმარებლად საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში. ხოლო ცოტა მოგვიანებით კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევამ ჟურნალი მიიღო სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავად.

ამის შემდეგ მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, ხელისმომწერთა რიცხვმა იმატა და საქმეც ნორმალურად წარიმართა, მაგრამ ასეთი ბედნიერი დღეები დიდხანს არ გაგრძელებულა. — 1901 წელს ჟურნალს ისევ არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნა.

ამ გარემოებას კარგად ხედავდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, განსაკუთრებული გულისტკივილით გრძნობდა ამას „ჯეჯილის" წარმატების მოსურნე ასაკი წერეთელი. რომელიც ვეღარ მალავდა გულისწყრომას და „ჯეჯილის" ფურცლებზე თხოვნით, რომ მისი წერილი ყველა რედაქციას გადაებეჭდა. წერდა: „ერთმა ევროპიელმა ბრძენმა თქვა: „ბავშვებს ის არგებს, რაც დიდებსაც არ აწყენსო" და ეს ჰეშმარიტება სწორედ ზედგამოჭრილია თქვენს „ჯეჯილზედ". მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თურმე მაგ ჩინებულ საყმაწვილო ჟურნალს გამომწერლები ბევრი არა ჰყავს. ეს ან ქართველური დაუდევრობის ბრალი უნდა იყოს, ან გულგრილობის და ორივე შემთხვევაში კარგი ნიშანი ვერ არის დღევანდელი ჩვენი მდგომარეობისა! ის ოჯახი, რომელსაც სიღარიბე ხელს არ უშლის და სადაც ამგვარი ჟურნალ-წიგნაკები არ მოიპოვება, ქართულ ოჯახად სახსენებელი არ არის!.. გამოცდილებით ვიცი, რომ საზოგადოთ ქართულ წიგნებს მკითხველები უფრო დაბალი წრიდან მეტი ჰყავს და რომ სიღარიბე ხელს არ უშლიდეს მათ, მსურველები ერთი ასად მეტი გამოჩნდებოდნენ. შეძლებულ ქართველების მოვალეობაა, რომ თვითონ თუ არ კითხულობენ, იმათ მაინც მიაწოდონ ხოლმე ეს სულიერი საზრდო და მათი მადლი მოისხან. მეც ჩემის მხრით, რადგანაც იმ ღარიბების დახმარება მატერიალურად არ შემიძლიან, გადავწყვიტე, რომ ყოველი ნომრისათვის მოგაწოდოთ ხოლმე მცირე რამ ჩემი სუსტი კალმის ნაწარმოები, ხოლო იმ პირობით კი, რომ ექვსი ერთად „ჯეჯილისა" უსასყიდლოდ გაეკზავნოს ხოლმე ხელმოკლე მსურველებს"[1].

საკმაოდ ძლიერი მოწოდება იყო, რომელმაც თითქოს ცოტაოდნად გამოაფხიზლა საზოგადოება, მაგრამ „ჯეჯილის" ძატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ბევრი არაფერი ეშველა.

---

[1] „ჯეჯილი", 1901 წ. № 12, გვ. 3.

განსაკუთრებით „ძნელი გახდა „ჯეჯილის“ გამოცემა 1916 წელს, —მოგვითხრობს ან. თუმანიშვილი თავის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ წერილში. — დიდი ვაივაგლახით წელიწადი ბოლომდის გავიყვანეთ.... 1917 წელს აღარც დასაბეჭდი ქაღალდი იშოვებოდა და არც სტამბა. იმ წელიწადს ვაგზალთან მქონდა სტამბა და ქაღალდი, რაც უნდა ფული მომეცა. ისიც ცვალებით ვიშოვე. ასე რომ გამოვეცი ორი დიდი წიგნი და ორი პატარა „კუნწულა“[1].

მართლაც. 1917 წელს გამოვიდა „ჯეჯილის“ იანვრისა და თებერვლის ნომრები, ხოლო „კუნწულას“ პირველი და მეორე წიგნი მხოლოდ ამ წლის დეკემბერში ეღირსა მკითხველს. რედაქცია ხელისმომწერთა წინაშე ბოდიშს იხდიდა და აცხადებდა, რომ „აუტანელი სიძვირისა და ასოთამწყობების უშოვნელობის გამო რედაქცია პირნათლად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და გარდა ორი წიგნისა, იანვრის და თებერვლის ნომრებისა ხელისმომწერლებს აწვდის მხოლოდ ამ ორ წიგნს „კუნწულას“. დასასრულს რედაქცია დასძენს, რომ „როგორც კი დრო ხელს შეგვიწყობს, „ჯეჯილი“ გამოვაო“[2].

არც 1918 წელმა შეუწყო ხელი ჟურნალის წესიერად გამოცემას. თუმცა ამ წელს რედაქციის შემადგენლობაში ერთგვარი რეორგანიზაცია მოხდა და შედგა ხელმძღვანელთა ახალი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ქრ. შარაშიძე, ალ. ფაღავა, ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი) და ნ. ჩაგუნავა-გელაშვილი, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს და 1918 წელს მხოლოდ ექვსი ნომერი გამოვიდა. ამდენივე ნომერი გამოიცა 1919 წელს, 1920 წელს კი გამოვიდა შვიდი ნომერი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921 წელს. გამოვიდა „ჯეჯილის“ მხოლოდ ერთი ნომერი.

ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, ბოლო წლებში „ჯეჯილის“ ნორმალურ მსვლელობას აფერხებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართველ მწერალთა ყურადღება ჟურნალისადმი შესუსტდა. ანასტასია თუმანიშვილს საკმაოდ დიდი დრო ეხარჯებოდა, რომ დაეგზავნა წერილები მწერლებისათვის და ეთხოვა მასალა „ჯეჯილისათვის“, მაგრამ მეტწილად მისი თხოვნა უყურადღებოდ რჩებოდა. მასალის მოლოდინში ნომერი იგვიანებდა და რედაქტორი იძულებული იყო თვით შეევსო ჟურნალი ორიგინალური თუ ნათარგმნი მასალით. მართლაც, ხშირად გვხვდება ისეთი ნომრები, რომლებშიც ოთხი-ხუთი მასალა ანასტასიას კალამს ეკუთვნის. ერთი კი უნდა

---

[1] საქ. სახ. მუზეუმი, Q, ფონდი 452.

[2] „კუნწულა“, 1917 წ., წიგნი 1.

აღინიშნოს: ამ გაშირვების დროს მოამაგე რედაქტორს ყოველთვის მხარში უდგნენ მისი საიმედო მეგობრები: ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მესხი და სოფიო ციციშვილი, რომლებიც ასევე თავდადებით მუშაობდნენ ჟურნალში.

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე „ჯეჯილმა" თუმცა მრავალი უსიამოვნება განიცადა, მაგრამ მას ჰქონდა ბრწყინვალე დღეებიც, როდესაც გადახდილ იქნა ჟურნალის არსებობის ათი, ოცი და ოცდაათი წლის იუბილე. ამ დღეებში გამომზეურდა ის მარგალიტი, რომლის მატარებელიც იყო ეს პატარა ჟურნალი. ამ დღეებში უფრო მჭიდროდ შემოიკრიბა „ჯეჯილის" ირგვლივ მოზარდი თაობა, რომელმაც გულწრფელი მადლობა გამოუცხადა ამაგდარ რედაქტორსა და ჟურნალის თანამშრომლებს დაუღალავი და მძიმე შრომისათვის.

ჰქონდა თუ არა ჟურნალს გარკვეული მიმართულება და რა მიზანს ისახავდა იგი თავისი არსებობის მანძილზე?

მიზანი, რომელსაც ჟურნალი ისახავდა, არც გამოსვლამდე და არც გამოსვლის შემდეგ მთელი ათი წლის განმავლობაში არ ეუწყა საზოგადოებას, თუმცა მესამე-მეოთხე ნომრიდან იგი უკვე აშკარა გახდა.

მხოლოდ 1899 წელს „ჯეჯილის" მეთორმეტე ნომერში ანასტასია თუმანიშვილმა „პაწია მკითხველებისადმი" მიმართულ წერილში ცხადყო ჟურნალის ძირითადი მიზანდასახულობა. „ჩემო პაწია მკითხველებო, — წერდა იგი, — ათი წელიწადი შესრულდა, რაც მე ჟურნალ „ჯეჯილს" გაწოდებთ საკითხად. მე და ჩემი თანამშრომლები ვცდილობდით, რათა თქვენ დედა-ენაზე წერა-კითხვა გესწავლათ და დედ-მამის, და-ძმის და სამშობლოს სიყვარული ჩაგნერგებოდათ გულში. ჩვენ გვსურდა. კითხვა შეგყვარებოდათ, შეჩვეოდითმას დაუსაქციელო დროს გატარების მაგივრად „ჯეჯილიდან" კარგი ამბების ამოკითხვით სიამოვნებით გაგეტარებინათ დრო და ჰკუა გესწავლათ".

ეს იყო ძირითადი მიზანი, რომლისთვისაც არ უღალატია ჟურნალს მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა ჟურნალის რედაქტორმა „ჯეჯილის" ოცი წლის იუბილეზე, ხოლო ჟურნალის არსებობის ოცდამეათე წელს ან. თუმანიშვილი წერდა: „ხომ გენახვებათ მოსიყვარულე დედა, როგორ დასტრიალებს თავის შვილებს, შიშობს სისუსტე არ მოერიოთ, ჯანსაღი იყვნენ, გაიზარდნენ მხნეთ და სასარ-

გებლო ადამიანებათ, ისე მეც თქვენი დედა და ბებია სულ იმის ფიქრსა და ცდაში ვარ, თუ როგორ აღვზარდო თქვენში ძმობა, ერთობა, კაცთმოყვარეობა და შეგაყვაროთ თქვენი ძვირფასი და ტურფა სამშობლო".

მართლაც, სამშობლოს სიყვარულის გრძნობის აღმძვრელ მასალას „ჯეჯილმა" საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი დაუთმო. მოზარდ თაობაში პატრიოტული გრძნობის აღზრდას, რასაც ჟურნალი მთელი ოცდაათი წლის მანძილზე განუხრელად აწარმოებდა, გარკვეული მიზანი ჰქონდა.

ეროვნული საკითხი ჯერ კიდევ „ჯეჯილამდე" მკვეთრად იყო დაყენებული ქართველი სამოციანელების მიერ. სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან მათ მიზნად დაისახეს ჩაენერგათ ქართველ საზოგადოებაში სამშობლოს ღრმა და უანგარო სიყვარული.

ზრუნვა საქართველოს ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად, ხალხის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება სამოციანელებმა შესაძლებლად მიიჩნიეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ქართველის გულის ფიცარზე ღრმად აღიბეჭდებოდა სამშობლოს სიყვარული. ჯერ კიდევ 1863 წელს „საქართველოს მოამბე" აცხადებდა: „შეიძლება გძულდეს ღვიძლი ძმა, თუ ცუდი კაცია, მაგრამ არ შეიძლება არ გიყვარდეს სამშობლო ქვეყანა, როგორიც არ უნდა იყოს. მხოლოდ ის სიყვარული არ უნდა იყოს მკვდარი დაკმაყოფილება. ცოცხალი სურვილი უნდა იყოს, რომ ყოველისფერი მოვიდეს სისრულეში. ერთი სიტყვით სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს კაცობრიობის სიყვარულისაგან"[1].

ამ მიზნით სამოციანელებმა ჩვენს ლიტერატურაში მძლავრად შემოიტანეს და გააღვივეს ეროვნული გრძნობა და სამშობლოს სიყვარული ლიტერატურის საშუალებით გაიტანეს ფართო საზოგადოებაში.

დამახასიათებელია, რომ XIX საუკუნის კლასიკური ქართული ლიტერატურა საქართველოს ისტორიას მეტად აქტუალურ და თანადროულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოქმედ პირებს თავისი შემოქმედებისათვის ქართველი კლასიკოსები საქართველოს მდიდარი წარსულიდან იღებდნენ. მათ მიერ აღწერილი და დახასიათებული ისტორიული გმირები ან მოვლენები ზოგჯერ არ ეთანხმებოდნენ ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ ცნობებს. წარსული მათ მიერ ხშირად

[1] „საქართველოს მოამბე", 1863 წ. № 7.

მეტად გაიდეალებულია. მაგრამ ყოველივე ამას ისინი სრულიად შეგნებულად აკეთებდნენ. თერგდალეულებს სურდათ ეროვნული ნიშნის წინა ხაზზე წამოწევის საშუალებით დაენახვებინათ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის, თუ „რანი ვიყავით გუშინ“, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“, და რანი ვართ დღეს, როდესაც ცარიზმის უხეში ბატონობის შედეგად საქართველომ დაკარგა ეროვნული დამოუკიდებლობა.

ისეთი ძვირფასი ნაწარმოებნი, როგორიცაა „მგზავრის წერილები“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ქართლის დედა“. „პატარა კახი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“ და მრავალი სხვა, ზემოთქმულის ნათელი ილუსტრაციაა.

„ჯეჯილმა“ მძლავრად განიცადა ქართული კლასიკური ლიტერატურის გავლენა. ჟურნალი ნათელ ფერებში ხლიდა მკითხველთა წინაშე „ცა-ფირუზ. ხმელეთ-ზურმუხტი“ საქართველოს იდეალურ წარსულს, უპირისპირებდა მას თავისი პერიოდის დაძაბუნებულ აწმყოს და ცხოველი კონტრასტის შექმნით ამხელდრებდა მოზარდ თაობას ცარიზმის წინააღმდეგ. რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობდა დაემცირებინა და ფეხქვეშ გაეთელა ქართველი ერის ღირსება და თავმოყვარეობა.

ჟურნალი სისტემატურად არიგებდა პატარა მოქალაქეებს, რომ ადამიანისათვის უყველაზე საჭირო და ცხოველმყოფელი გრძნობა სამშობლოს სიყვარულია, მამულიშვილური გრძნობაა და ქვეყნისადმი თავდადებული სამსახური ადამიანმა თავის პირად ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს. პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი ს ა მ შ ო ბ ლ ო, მ ი ს ი კ ე თ ი ლ დ ღ ე ო ბ ა და შ ე მ დ ე გ პირადი ბედნიერება, — ასეთია მოწოდება, რომლითაც გაჟღენთილია „ჯეჯილის“ თითქმის ყოველი ნომერი.

ბევრი თავდადებული გმირი გამოუჩნდა მრავალტანჯულ პატარა ქვეყანას, რომელთა თავდადებამ მრავალჯერ იხსნა სამშობლო დაღუპვისაგან.

საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ გიორგი მეფეს შესწირა თავი იოთამ ზედგენიძემ[1]. საქართველოს კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ღვწა მახვილი პატარა კახმა მრავალი წლის განმავლობაში[2].

სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ერთნაირად მონაწილეობს საქართველოს ყველა სოციალური

---

[1] „ჯეჯილი“, 1893 წ. № 6, „თავდადებული აზნაური“.

[2] „ჯეჯილი“, 1919 წ. № 10—11, „დატანჯული მნათობი“.

ფენა; მეფე, თავადი, აზნაური, გლეხი და თვით სამღვდელოებაც კი არაფერს ზოგავენ, ოღონდ სამშობლოს საფრთხე და განსაცდელი ააცდინონ. საკუთარი სიცოცხლის გაწირვით გადაარჩინა დაღუპვას მღვდელმა თევდორემ მეფეც და ქვეყანაც. მან კარგად იცოდა, რომ თუკი თათრის ჯარს გზას აუბნევდა, ამისათვის მას მოელოდა „გამოუთქმელი ტანჯვა-წამებით სიკვდილი, ცოლ-შვილის დაობლება“, რაც ასეც მოხდა, მაგრამ „მღვდელი ამ საშინელ ტანჯვას ადვილად იტანდა, რადგანაც მას ამხნევებდა ის აზრი, რომ თავისი წვალებით დაიხსნიდა ქვეყანას უბედურებისაგან“[1].

იმისათვის, რომ ჟურნალმა მკითხველის თვალში რაც შეიძლება მეტად აამაღლოს სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნებანი, იგი მაღალ შეფასებას აძლევს მათ მოქმედებას და გარკვეული დასკვნაც გამოაქვს: „ამ სახელოვან მამულიშვილს (თევდორეს — ი. ბ.) რომ თავი არ გამოემეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქნებოდა, ქვეყანაც აოხრებული. თვითონ ეს მღვდელი თავისი ცოლ-შვილით საუკუნოდ წყეული და შეჩვენებული შეიქნებოდა ყველასაგან და ისეთ სირცხვილში ჩავარდებოდა, რომ სიკვდილი ბევრად სჯობია ამისთანა სიცოცხლესა. ეხლა? ეხლა კი... მთელ საქართველოში სიხარული დატრიალდა... და ბოლოს ცოლ-შვილს თავდადებულისას ქვეყანა პატრონად და მფარველად აღმოუჩნდა და თვითონ თევდორემ მოიპოვა იმისთანა სახელი, რომელიც ქებით, დიდებით და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იცხოვრებს“[2].

დიახ, ტკბილია სამშობლოსათვის სიკვდილი. ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დიდებისა და სიყვარულის შარავანდედით იმოსება თანამედროვეთა თვალში და იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, ხოლო მხდალისა და მოღალატის ცხოვრება სიკვდილზე უარესია და მისი სახელი წყევლა-კრულვით იხსენიება. აი რწმენა, რომელსაც ნერგავს და ამტკიცებს ნორჩ მკითხველებში ჟურნალი „ჯეჯილი“.

სამშობლოს სამსახურისათვის ზრდის შვილს ქართველი დედა, რომელსაც მშვენივრად ესმის თავისი მოვალეობა:

რისი დედა ვარ, თუ მამულს
შვილს არ გავუზრდი მეცაო?
უმჯობესია რომ მაშინ
რისხვით დამეცეს ზეცაო[3].

---

[1] „ჯეჯილი“, 1893 წ. № 5, „თავდადებული მღვდელი“.

[2] იქვე.

[3] „ჯეჯილი“, 1900 წ. № 9, „ძველი დედა“.

მართალია, შვილის სიყვარული უფაქიზესი და უძლიერესი გრძნობაა, მაგრამ სამშობლო უფრო ძვირად ღირს; იმ დროს, როდესაც

..ყოველის მხრითა
ჩვენ გვასევია მტერიო
და თავგანწირვით მას ებრძვის
ეს ერთი მუჯა ერიო, —

განა ქართველ დედას შეუძლია გულხელდაკრეფილი იჯდეს? რა თქმა უნდა, არა. იგი ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით ზრდის შვილს, რომლის აკვანსაც ცრემლში ნალესი ბოლმით დაჰღიღინებს:

იზარდე, ჩემო პატარავ,
მალე აიდგი ფეხიო,
ისწავლე ბრძოლა და მტერსა
თავში დაჰკარი მეხიო.

იზარდე, ჩემო პაწიავ,
ისწავლე ხმალი, ფარიო
და გაჭირვებულს, პირში მყოფს
სამშობლოს მოეხმარეო.

ან კიდევ:

გახსოვდეს, რომა ჯერ ხარ პატარა
და დიდი არის სამშობლოს ვალი,
შენგან მოელის იგი დახსნასა,
შენკენ უპირავს ვედრების თვალი.

დიდია იმედი, რომელსაც ჟურნალი მოზარდ თაობაზე ამყარებს. „ამ... განწირულ, მდიდარი ბუნებით შემკულ პატარა ქვეყანას ვიხ აღადგენს, თუ არა მისი ახალი თაობა“[1], — წერდა ან. თუმანიშვილი. მაგრამ რა გზით შეუძლია გაუწიოს სამსახური ნორჩმა თაობამ თავის ქვეყანას? როგორ და რა საშუალებით უნდა აღადგინოს მახ დაცემული სამშობლო? ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა „ჯეჯილის“ ყურადღება.

ერთადერთი გამოსავალი ამ დუხჭირი და მძიმე პირობებიდან, ჟურნალის აზრით, მხოლოდ სწავლა-განათლებაში მდგომარეობს. მხოლოდ სწავლითა და გონების გამდიდრებით შეიძლება სამშობლოს ხსნა. ამიტომ „ჯეჯილი“ სისტემატურად მოუწოდებს ახალგაზრდობას:

---

[1] „ჯეჯილი“, 1918 წ. № 2, „ახალი თაობა“.

ისწავლე, მტკიცედ ქართველის შვილო
და აღუდგინე დაცემულს ძალა,
რომელსაც კიდევ ცოტა-ღა ღვიძავს
და ჯერ სრულებით კი არ მოკვდარა[1].

მაგრამ სწავლაში ბეჯითობაა საჭირო. სიზარმაცე და ცუღლუტობა დასაგმობია და ჟურნალიც არიგებს პატარებს:

სიზარმაცე არ დაიწყო
და სირცხვილი არ მაკამო.
ხომ იცი, რომ გულის წყლული
შენით უნდა დაიამო[2].

მოზარდი თაობის გონების განვითარების მიზნით „ჯეჯილი" ათავსებს ისტორიული ხასიათის მოთხრობებს. „განა სირცხვილი არ არის, — მიმართავს ბავშვებს ჟურნალი, — რომ არ ვიცოდეთ ვინ იყო ჩვენი მამა-პაპა, როგორ ცხოვრობდნენ, რას აკეთებდნენ? ვინ იცის რამდენი ტანჯვა, ვაება და მწუხარება გამოიარეს"[3].

მართლაც, „ჯეჯილმა" ჩვენი მამა-პაპების ცხოვრების აღწერას საკმაოდ მოზრდილი მასალა უძღვნა. მათ შორის საყურადღებოა „საქართველოს ისტორია", შედგენილი ს. გორგაძის მიერ, „ისტორიული ამბები", ი. გოგებაშვილისა, „თამარ მეფე" დ. კარიჭაშვილისა, „პოეტი ვახტანგ ორბელიანი" ეკ. გაბაშვილისა და მრავალი სხვა. ჟურნალმა თავის მკითხველებს გააცნო აგრეთვე თანამედროვე სახელოვან ადამიანთა ცხოვრება, როგორიც იყვნენ ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნიკ. ბარათაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნიკ. ღოღობერიძე, ი. გოგებაშვილი და სხვ.

მაგრამ რედაქცია მარტო ამით არ დაკმაყოფილდა. მან შეძლებისდაგვარად გააშუქა და გააცნო მკითხველებს მსოფლიოს სხვა ხალხთა ისტორია და ამ ხალხთა გამოჩენილი შვილები. წერილების ამ სერიას განეკუთვნება: „საბერძნეთი", „გამოჩენილი ქვეყანა", „ჩინეთი", „კოპერნიკის ცხოვრება", „პასკალის ოჯახი", „მარკ ტვენი", „პესტალოცის ცხოვრება", „ა. ს. პუშკინი", „ლ. ნ. ტოლსტოი" და სხვ.

რედაქციას არ გამოჰპარვია არც სამეცნიერო ხასიათის წერილები, რომელთა მნიშვნელობასაც მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ 80-იან წლებში გაუსვა ხაზი ი. გოგებაშვილმა. „ჯეჯილის" რედაქციამ უდიდესი ყურადღება მიაქცია მის საფუძვლიან მითითებებს და მიზნად დაისახა „მთელი ბუნება გავაცნოთ ახალგაზრდობას და თანაც მკვიდრი საძირკველი ჩავუყაროთ ქართული

[1] „ჯეჯილი", 1893 წ. № 5, გვ. 45.
[2] „ჯეჯილი", 1896 წ. № 2, გვ. 24.
[3] „ჯეჯილი", 1890 წ. № 3, გვ. 39—40.

ტერმინოლოგიისა მომავალი თაობის შრომისათვის". რედაქციას კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხის სიღარიბისა და დაბეჩავების ერთ-ერთი მიზეზი ბუნების უცოდინარობაში, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოუყენებლობაში მდგომარეობდა. რათა გაემდიდრებინა ბავშვის გონება საბუნებისმეტყველო მეცნიერების ცოდნით, ჟურნალმა სპეციალური განყოფილებაც კი შემოიღო, რომელშიც მოათავსა მოგზაურობის ჟანრის ნაწარმოებები და სამეცნიერო სტატიები ბუნებისმეტყველებიდან; ასეთი ხასიათის მასალას განეკუთვნება: „საკვირველებანი ბუნებისა", „დედამიწა", „მზე და მთვარე", „ტყე ცხელ ქვეყნებში", „საუბარი მეცნიერებიდან", „მოგზაურობა ჩრდილო ამერიკაში", „ცხოველები ცხელი ქვეყნისა", „მოგზაურობა ახალ აფონში", „მოკლე ცნობები თვალით უჩინარ მცენარეთა და ცხოველთა ცხოვრებიდან" და სხვა მრავალი.

მკვლევარი, რომელიც ამ განყოფილებას თვალს გადაავლებს, აუცილებლად შეამჩნევს შემდეგ გარემოებას: „ჯეჯილის" რედაქციას კარგად ესმის, რომ ბავშვის აზროვნების განვითარება კონკრეტული შემეცნებით იწყება, ამიტომ იგი ცდილობს, რომ ბავშვის ცხოვრება ადრეულ ასაკში კონკრეტული ცოდნით გაამდიდროს, და საბუნებისმეტყველო საკითხებს კონკრეტული მასალისა და საგნობრივი ურთიერთობის ფონზე შლის, რითაც, ერთი მხრივ, ამდიდრებს ბავშვის კონკრეტულ აზროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამზადებს მტკიცე ნიადაგს აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასასვლელად.

პატარა მკითხველები დიდი ინტერესით კითხულობდნენ სამშობლოსა და მეზობელი ქვეყნის ისტორიას, ეცნობოდნენ გამოჩენილ მოღვაწეთა ყოფა-ცხოვრებას, იმდიდრებდნენ გონებას მეცნიერების უკანასკნელი მონაპოვრებით, ერკვეოდნენ ბუნების რთულ მოვლენებში და მათ არსებაში ყალიბდებოდა უდიდესი გრძნობა—გრძნობა დაჩაგრული სამშობლოს უანგარო სიყვარულისა.

„...და თქვენც პატარებო, უნდა დაიწეროთ თქვენს პატარა წმინდა გულის ფიცარზედ უანგარო სიყვარული სამშობლო ქვეყნისა. გიყვარდეთ თქვენი პატარა სამშობლო, რომელმაც წარმოშვა ბუმბერაზი, ერის სასიქადულო შვილები: შოთა, ილია, აკაკი"[1].

ახალგაზრდობაც მისდევდა „ჯეჯილის" მოძღვრებას და უანგარო ფიცს დებდა სამშობლოს წინაშე:

ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
უმანკო, ტურფა იაო,
მარგალიტისა ცრემლები
რა უხვად დაგიღვრიაო?

[1] „ჯეჯილი", 1915 წ. № 1.

ნუ სტირი, შენი ჭენესამე,
ჩემო სამშობლო მხარეო,
გულს ნუ გაიტეხ, იყმარე
რაზომც ცრემლები ღვარეო.
საცაა წამოვიზრდები,
არ გავახარებ მტერსაო,
ნაზად თავს შემოგეველები
ვით სიო მწვანე მთებსაო.
საფუძვლიანად ვისწავლი
შენს მონარნარე ენასა,

. . . .

შენს გულის დარდებს ეუამბობ
გამოვაღვიძებ ყველასა.

. . . . .

ზვარაკად შეგეწირები
შენი პატარა ქართველი[1].

სამშობლოს სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულმა ახალგაზრდობამ თავის წიაღში გაიტაცა მრავალი პატრიოტული ხასიათის ლექსი. კარგა ხანს მღეროდა ქართველი ახალგაზრდობა „ჯეჯილში“ დაბეჭდილ ბრწყინვალე ლექსს:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხროშით სხვაგან ყოფნას
მირჩევნიან აქ სიკვდილი.
მე პატარა ქართველი ვარ
სახელოვან ერის შვილი
და მსურს მერგოს სასახელო
მე სიცოცხლე სიამ-ტკბილი[2].

მოზარდ თაობაში პატრიოტული გრძნობის განვითარებით „ჯეჯილმა“ დიდი საქმე გააკეთა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიაში... 90—900-იანი წლების „ჯეჯილის“ მრავალმა ნორჩმა მკითხველმა, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში უკვე დავაჟკაცებულ თაობას წარმოადგენდა, უდიდესი როლი შეასრულა სამშობლოს გასათავისუფლებლად ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

თუ „ჯეჯილი“, ერთი მხრივ, აღვიძებს და აძლიერებს ბავშვებში

---

[1] „ჯეჯილი“, 1915 წ. № 1.

[2] „ჯეჯილი“, 1901 წ. № 10, გვ. 3.

პატრიოტულ გრძნობას, მეორე მხრივ, არ ივიწყებს ზნეობრივი აღზრდის სხვა მხარეებსაც და ცდილობს გამოიმუშაოს მკითხველში სიმართლის, პირდაპირობის, გულწრფელობის, დახმარების, ადამიანის ღირსების დაფასების, ფრინველებისა და ცხოველების სიყვარულის, გამბედაობისა და შრომისმოყვარეობის გრძნობები.

შრომა ყოველი ადამიანის საპატიო და კეთილშობილური მოვალეობაა. ვინც არ შრომობს, ჯან-ღონით აღსავსეა, მაგრამ გულხელდაკრეფილი ზის და სხვისი ნაოფლარით სარგებლობს, არ არის პატიოსანი. პატიოსანი მხოლოდ ის ადამიანია, რომელსაც ესმის შრომის მნიშვნელობა და ერთგულად და დაუღალავად შრომობს ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. მხოლოდ შრომაშია ბედნიერება, რადგან იგი აკეთილშობილებს ადამიანს.

„ჯეჯილიც" შრომისაკენ მოუწოდებს ახალგაზრდობას და არიგებს მას, რომ:

კაცის ღირსება შრომაა,
შრომა საკუთარ ოფლითა,
ყოველმა უნდა არგოს რამ
ქვეყანას თავის ყოფნითა.

ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „შრომაშია ბედნიერება", „მისაბაძავი საქციელი", „პატარა მკითხველს" და სხვ., ბავშვს ნათლად უჩვენებს, თუ რა სასიამოვნო და ტკბილია საკუთარი შრომის შედეგი.

მშრომელი ადამიანი ყველას უყვარს, მას ყველა პატივს სცემს და ეხმარება, ზარმაცი და მუქთახორა კი საზოგადოების მიერ ათვალისწუნებულია. ზარმაცი ღარიბ-ღატაკია და მისი ცხოვრება ფუჭი და უნაყოფოა („ზარმაცი ანდრია", „ზარმაცი", „მცონარა". „მდიდარი ღატაკი"). ამიტომ „ჯეჯილი" აფრთხილებს თავის მკითხველებს:

არ მიჰყვეთ ზარმაცობასა,
იგი არს ღეთისგან წყეული,
შრომის მოყვარემ შეჰკრიბა
სიმდიდრე ქვეყნად რჩეული.

ახალგაზრდობა შეუნელებელი ინტერესით კითხულობდა ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს, უკვირდებოდა მათ ღრმა შინაარსს, ადარებდა ერთმანეთს მშრომელისა და ზარმაცის მდგომარეობას, გრძნობდა საკუთარი შრომით გამოწვეულ სიამოვნებას და მასში თანდათანობით ყალიბდებოდა შრომის კეთილშობილური ჩვევები.

შრომის აუცილებელი საჭიროებისა გარდა, „ჯეჯილი" ცდილობს აღძრას პატარა მკითხველებში მამაცობისა და მეგობრობის გრძნობა. ამ მიზანს ჟურნალი მეტად ოსტატურად აღწევს. რედაქციამ იცის, რომ ბავშვებს უყვართ მოთხრობები პატარების შესახებ და დიდი ინტერესითაც კითხულობენ მათ, ამიტომ ამ ფაქიზ გრძნობათა განვითარებას „ჯეჯილი" ისეთი ხასიათის ნაწარმოებებით აწარმოებს, რომლებშიც მთავარ მოქმედ პირებად ბავშვები გამოდიან („ორი მეგობარი". „განუყრელი მეგობარი". „თავის გაწირვა მტრისათვის", „მეგობარზე ზრუნვა", „პატარა გმირი". „სიკეთე ბოროტისათვის", „მამაცი ბავშვი". „სამი მეგობარი" და სხვ.).

სიმართლე და გულწრფელობა ადამიანის დამამშვენებელია, იგი უძვირფასესი თვისებაა, რაც ამაღლებს პიროვნებას; ამიტომ „ჯეჯილი" ცდილობს. რომ ეს გრძნობაც ძლიერად ჩანერგოს მოზარდ თაობაში. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებით („სიმართლე, სიმდიდრეზე უძვირფასესია", „კეთილი განზრახვით ტყუილი", „ტყუილია მოტრფიალე", „ვასო შესცდა", „მსუნაგი იონა" და სხვ.) მკითხველი გრძნობს სიმართლისა და გულწრფელობის უდიდეს მნიშვნელობას. ხედავს ცრუპენტელა და მკვეხარა ადამიანის სასაცილო მდგომარეობას; ასეთ ადამიანს ხალხი აბუჩად იგდებს, დასცინის და ახლოს არ იკარებს.

მართალია, მოთხრობების ზოგიერთი მოქმედი პირი არ არის დაზღვეული უნებლიე სიცრუისა და უზნეო საქციელისაგან, მაგრამ მათ შესწევთ უნარი — გულწრფელად აღიარონ დანაშაული, შეიგნონ შეცდომა და თვითონვე გამოასწორონ იგი.

ფრინველები და ცხოველები ადრეული ასაკიდანვე იზიდავენ ბავშვის ყურადღებას. მათდამი ინტერესი იმდენად ძლიერია, რომ ბავშვი თავს ვერ იკავებს და ხშირად მისდა უნებურად, მხოლოდ იმისთვის, რომ კნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს. აწვალებს მათ. ეს გარემოება საკმაო სიზუსტითაა გათვალისწინებული „ჯეჯილის" რედაქციის მიერ. რომელიც. ერთი მხრივ, ცდილობს გააცნოს ბავშვებს ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ხოლო, მეორე მხრივ — ჩაუნერგოს მათდამი სიყვარულის გრძნობა. ასეთი ხასიათის მასალას უფრო მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებაში ვხვდებით. რაც პედაგოგიური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია.

ისეთი ნაწარმოებები. როგორიცაა „ბეღურა", „ყვინჩილას თავგადასავალი". „როგორ მრავლდებიან ფრინველები", „ცხოველთა ცხოვრებიდან", „ფრინველები და თევზები". „გუგული", „ჩვენი ცაცა" და სხვ., ბავშვს ნათლად უხატავენ მისთვის უცხო სულ-

დგმულთა საინტერესო სამყაროს, აცნობენ მათ განვითარების კანონზომიერებას, ხასიათების თავისებურებას და აღვიძებენ მათდამი მეგობრული დამოკიდებულების გრძნობას.

მაგრამ „ჯეჯილი" ადამიანისათვის სასარგებლო ცხოველებისა და ფრინველების გარდა აცნობს ბავშვს მავნე ცხოველებსა და ფრინველებსაც და სავსებით გასაგებად უმარტავს მათი მოქმედების უარყოფით შედეგებს.

„ჯეჯილში" დაბეჭდილი ასეთი ხასიათის მასალების დიდი ნაწილი მორალურ-დიდაქტიკური ხასიათისაა, მაგრამ ესთეტიკური ღირსებითა და ემოციურობის თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და ღრმად სწვდება მკითხველის გონებას, რითაც ჟურნალი თავის მიზანს სამაგალითოდ აღწევს.

ზემოხსენებული მასალების პარალელურად „ჯეჯილი" საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ისეთ მასალასაც, რომელიც მოზარდ თაობაში მტკიცედ ნერგავს რელიგიურ გრძნობას, სიყვარულსა და პატივისცემას იესო ქრისტესა და სხვა წმინდანებისადმი („უძლიერესი სიყვარული მოყვასისა", „აღდგომა ქრისტესი". „განთიადი ახალი ცხოვრებისა". „მესამე". „ხარაზი". „საშობაო საჩუქარი", „აღდგომა სოფელში". „შობის წინა ღამეს", „გლეხი და ანგელოზი", „ქრისტე ღმერთი და ყმაწვილი". „წერილი ღვთისმშობლისადმი". „ლოცვა", „ალილო", „წითელი კვერცხი", „ღმერთი ხედავს", „წმინდა ნინო", „პატარა მოწამენი" და სხვ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყოველი საკითხი, იქნება ეს სოციალური, ეკონომიური თუ სხვა, რომლებიც წამოყენებულია ჟურნალის მიერ, რელიგიურ-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით არის გადაჭრილი.

„ჯეჯილის" აზრით, მართლმორწმუნე ქრისტიანს მოთმინება შეშვენის. ადამიანი მოთმინებით უნდა შეეგუოს ყოველგვარ უსამართლობას, რადგან „ყოველთვის ჩვენს სურვილზედ, ჩვენს ნებაზედ ხომ არ მიდის ცხოვრება! ყველაფერი ეს ხდება, როგორც განგებას სურს... უფლის ნებაა... დიდება მის სამართალს"[1].

ქრისტიანული თვალსაზრისით „ჯეჯილში" გამართლებულია საზოგადოებრივი წყობილების ისეთი მახინჯი ფორმა, როგორიც არის მონათმფლობელობა. მაგალითად, მოთხრობაში — „პატარა ხლოია" — მონათა ორი კატეგორიაა გამოყვანილი. ერთია წარმართი მონები, რომელნიც შეთქმულებას აწყობენ და მოითხოვენ მონათმფლობელთა სიკვდილით დასჯას. ხოლო ქრისტიანი მონები ამის წინა-

---

[1] „ჯეჯილი", 1894 წ. № 4. გვ. 25.

აღმდეგნი არიან და მოთმინებას ქადაგებენ, რადგან „უფალმაც ჩვენმა ბევრი მოითმინა და ბოლოს ჯვარზე განუტევა სული თვისი!.. ქრისტემ გვასწავლა და გვიანდერძა ჩვენ ჩვენთა მტერთა მიტევება"[1]. ქრისტიანი მონების მიერ წამოყენებული არგუმენტების მიუხედავად, მონათა აჯანყება მაინც მოხდა. მაგრამ ამ აჯანყებაში ქრისტიანმა მონებმა მონაწილეობა არ მიიღეს. პირიქით, ისინი იცავდნენ მონათმფლობელთა ოჯახებსა და ქონებას.

აჯანყება ჩაქრობილ იქნა, წარმართი მონები სასტიკად დასაჯეს, ხოლო ქრისტიანი მონები გაათავისუფლეს და რომის თავისუფალი მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

მუდმივი დარდი და მწუხარება. გამოწვეული პირადული ცხოვრებით. ღვთისმორწმუნე ადამიანისათვის დაუშვებელია. მან პირველ რიგში ღვთისათვის უნდა იზრუნოს, რადგან „მას მოუცია ჩვენთვის სიცოცხლე და მასვე უნდა შევწიროთ", ღვთისთვის ცხოვრებას სახარება გვასწავლის „იმაში წერია ყველაფერი"[2].

სწორედ ასე მოიქცა ცოლშვილამოწყვეტილი, ცხოვრებაში ხელმოცარული და იმედგაცრუებული ხარაზი პაპუნა. მან „იშოვა სახარება და დაიწყო კითხვა. ჯერ მარტო კვირა-უქმობით, მაგრამ წიგნმა ისე გაიტაცა, რომ ყოველ დღე ცდილობდა ცოტა მაინც ჩაეთვალიერებინა. ხანდისხან ისე გაერთობოდა, რომ ჭრაქი მთლად ამოიწვებოდა, ის კი ჯერ ისევ კითხულობდა. რაც უფრო მეტს კითხულობდა, იმდენად დარდი თანდათან უქარწყლდებოდა: „წინად, ლოგინში რომ ჩაწვებოდა, სულ თავის დაღუპულ ოჯახს იგონებდა, სულ გმინავდა, ახლა კი აღარ შფოთავდა; იტყოდა ხოლმე: — დიდება შენ და უფალო, ასრულდეს შენი ნება: — ხარაზის ცხოვრება შეიცვალა"[3].

ადამიანი კეთილი და მოყვასის მოყვარული უნდა იყოს, რადგან ღმერთს მხოლოდ ასეთი ადამიანები უყვარს და კაცთმოყვარეობისა და სიკეთისათვის აჯილდოებს კიდეც.

პატარა ელიზამ მოხუც მჭედელ ბაბუას უკანასკნელი ნაბშირი დაუწვა მისთვის უცნობი მარიამისა და იესოს გასათბობად, რომელნიც გზააბნეული მგზავრების სახით გამოეცხადნენ გოგონას. ამ სიკეთისათვის მარიამმა და იესომ ჯეროვნად დააჯილდოეს მოხუცი და მისი შვილიშვილი. როდესაც მჭედელი ქურასთან მივიდა, „აიღო მაშა და აურია, ნაკვერცხლები წკრიალით აქეთ-იქით გადაცვივდნენ. მაშინ მან აიღო მუჭით, მიიტანა კარებთან, რომ სინათლეზე უკეთესად დაენახა.

---

[1] „ჯეჯილი", 1912 წ. № 7—8, გვ. 440.

[2] „ჯეჯილი", 1894 წ. № 4, გვ. 25.

[3] იქვე.

— ელიზა, — დაიძახა ანდრიამ, — მოდი მალე, შეხედე, ეს ხომ ოქროებია! ჩვენ ეხლა მდიდრები ვართ... ოქროები ისევ თავის ადგილას ჩაჰყარეს და სასოებით დაიჩოქეს იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტე და ღვთის მშობელი იდგნენ და მხურვალე ლოცვას მოჰყვნენ“[1].

თუმცა შეიძლება ისეთი შემთხვევაც მოხდეს, რომ ქრისტე-ღმერთმა ადამიანს სააქაოში კეთილი ცხოვრება არ მისცეს, მაგრამ ეს ადამიანების ბრალია, რადგან მათ დაივიწყეს ქრისტე.

ასე დაემართა მოხუც მართას, რომელსაც ეგონა, რომ იგი ქრისტეს დაავიწყდა. სინამდვილეში კი მას დავიწყებია ქრისტე და მისდამი სამსახურიც, მაგრამ მართა მაინც დარწმუნებულია, რომ, „თუ იესომ მას არ მისცა ქვეყნიური სიმდიდრე, მაგიერათ ის იტანჯა და მოკვდა ამ საბრალო მოხუცისათვის, ისე როგორც მთელი კაცობრიობისათვის“[2]. და თუ მართა მოინანიებს ცოდვებს, მას ელირსება სამოთხის უზრუნველი ცხოვრება. მართლაც, მართამ შეიგნო „შეცდომა“, შეეევდრა მაცხოვარს, რომ არ დაესაჯა იგი და, როდესაც ლოცვაში სული ამოძვრა, ყრმა იოსემ სამოთხეში წაიყვანა.

„ჯეჯილი“ უყურადღებოდ არ ტოვებს და დიდი ზეიმით ეგებება ყველა რელიგიურ დღესასწაულს, საკმაოდ ვრცელ მასალას ათავსებს მათ აღსანიშნავად.

„ჯეჯილის“ მოთხრობის გმირი ბავშვები დინჯი, დამჯერე და ღვთის მოყვარენი არიან. ღვთისმოყვარეობა მათში იმდენად ძლიერია, რომ მზად არიან სიცოცხლეც კი შესწირონ ქრისტეს მცნების აღსრულებას. მათი სიზმრებიც მუდამ ტკბილია და რელიგიური ექსტაზით არის გაჟღენთილი.

ასეთ ტკბილ სიზმრებშია, მაგალითად, პატარა შაქრო (მოთხრობა „შაქროს სიზმარი“). იგი „პალესტინაში არის, იმ კურთხეულ მხარეში, სადაც დაიბადა, აღიზარდა, ჰქადაგებდა. ჯვარს ეცვა, მოკვდა, აღსდგა და ცაში ამაღლდა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ბედნიერია შაქრო, ბედნიერია, რომ ელირსა მაცხოვრის ნახვა; გული სიამოვნებით უძგერს და გამოუთქმელ სიტკბოებას გრძნობს. მას სურს დიდ ხანს უცქიროს იესოს, მის ლმობიერ ღვთიურ სახეს, ისმინოს მისი პირწყლიანი მოძღვრება, მის გვერდით იყოს, მისი მოწაფე გახდეს, მისი მცნების აღსრულებას თავისი სიცოცხლე შესწიროს“[3].

ასეთი სურათები ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა „ჯეჯილში“.

---

[1] „ჯეჯილი“, 1914 წ. № 1, გვ. 23—24.

[2] იქვე, 1903 წ. № 12, გვ. 3.

[3] „ჯეჯილი“, 1898 წ. № 12, გვ. 13—15.

მასში გვხვდება აგრეთვე, მთელი რიგი მოთხრობები, რომლებშიც სიტყვასიტყვით არის ციტირებული ნაწყვეტები სახარებიდან.

ჟურნალი იმდენად იყო გატაცებული რელიგიური ხასიათის მასალის ბეჭდვით, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდშიც კი სისოევის ნაწარმოებს — „ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა“ დაუთმო ოთხი ნომერი. როდესაც თვით რევოლუციის ფაქტი ორიოდე მოთხრობით აღნიშნა (მაგრამ ამაზე — ქვემოთ).

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა. მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ „ჯეჯილი“ საკმაო სიძლიერით ნერგავს მოზარდ თაობაში რელიგიურ გრძნობას და მოუწოდებს მათ:

— ყმაწვილებო! ჩვენც ვეუბდროთ
ახლად შობილ იესო ყრმასა,
რომ ქვეყანა დაამშვიდოს
ხმა ჩაუწყდეს ზარბაზანსა.
და იესოს სწავლით ტკბილით
განიმსჭვალოს ხალხის გული
და განმტკიცდეს ქვეყანაზედ
ერთობა და სიყვარული.

ეს სტრიქონები მსოფლიო ომის ქარცეცხლიან პერიოდში იბეჭდებოდა. და იმ დროს, როდესაც ქვეყანა სისხლისაგან იცლებოდა, როდესაც მაშვრალთა კვნესა და გოდება მკვეთრად გაისმოდა, როდესაც ახლოვდებოდა დიდი სოციალისტური რევოლუცია, „ჯეჯილი“ ხალხთა შორის ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დამყარებას ხელაპყრობით ზეცას შესთხოვდა.

მაგრამ „ჯეჯილის“ რედაქცია მარტო ზემოხსენებული საკითხებით არ შემოფარგლულა და ჟურნალის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებშიც სცადა გაერკვია „უსწორმასწორო წუთისოფლის“ მტკივნეული საკითხები.

„ჯეჯილი“ პირველ რიგში შეეცადა დაენახვებინა მოზარდი თაობისათვის სოციალური უთანასწორობის სურათი, ეჩვენებინა პატარა მკითხველებისათვის, რომ, ერთი მხრივ, არსებობდნენ ღარიბ-ღატაკნი, რომელთა ცხოვრებაც საშინელ პირობებში მიმდინარეობს, ხოლო, მეორე მხრივ, არიან მდიდარნი, რომელნიც ცხოვრებაში სავსებით უზრუნველყოფილნი, უდარდელნი და მხიარულნი განცხრომითა და ფუფუნებით ატარებენ დროს.

არ შეიძლება ბაზგასმით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სოციალური საკითხი „ჯეჯილში“ მკრთალად არის წარმოდგენილი. ეს გარემოება მხოლოდ და მხოლოდ ცენზურის სიმკაცრით და ჟურნა-

ლის დახურვის შიშით აიხსნება. რედაქტორი ხშირად იმასაც კი სთხოვდა თანამშრომლებს, რომ მათ სოციალურ საკითხებზე არ გაემახვილებინათ ყურადღება. ამ მხრივ საყურადღებოა ან. თუმანიშვილის ერთ-ერთი წერილი გიორგი წერეთლისადმი. 1890 წლის 17 აპრილით დათარიღებული: „სწორედ იმ დროს, როდესაც მომივიდა „ღვთის წყალობა", იმდენი უხეირო მასალა მომიგროვდა, რომ თქვენ კონვერტსაც, სანამ გავხსნიდი, რაღაც ეჭვის თვალით გადავხედე და გავიფიქრე, ამას ვიღა გზავნის? სახეირო არ იქნება მეთქი-და მერე, როცა გავხსენი, საშინლად გამეხარდა და გავიფიქრე — სწორედ ღვთისწყალობა მომივიდა მეთქი... მოთხრობა მომეწონა. მართალია, ბევრი რამ დაწვრილებით არის აღწერილი (ამგვარ მოთხრობას რუსები ეძახიან Поучительный рассказ), მაგრამ ბავშვებისათვის სასარგებლოა. დედააზრმა კი ძალიან ჩამაფიქრა. სოციალურმა აზრებმა ძალიან შემაშინეს, არ ავნოს ჟურნალს მეთქი. მეტად ეხლა ამ ჩვენ გაჭირვებულ დროში... ძალიან გავჯავრდი თქვენზედ — გამოცდილი კაცია-მეთქი და როგორ უწერს ბავშვებს, რომ „მიწა-წყალი ყველამ სწორად გავინაწილოთო". ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ერთ ადგილას, საცა სოციალური აზრებია, ამოვშალე და ისე მივეცი დასაბეჭდად. ვაღიარებ ჩემ დანაშაულობას, თუნდა ჯვარს მაცვით — ხელიდამ კი ვერ გაუშვი ამისთანა მშვენიერი მოთხრობა... ეხლა, რასაკვირველია, ამ მოთხრობას ისე დააბოლოვებთ, როგორც ნამდვილი ცხოვრება გვიჩვენებს... კარგი იქნება ყმაწვილის ნატვრად დაოცნებად დარჩეს „ოქროს ქვეყანა", მაგრამ მე რა თქვენი მასწავლებელი ვარ. როგორც ჰკუა გაგიჭრიდეთ, ისე დაწერეთ და მალე მომაწოდეთ, ოღონდ სოციალურ აზრებს თავი დაანებეთ, თორემ უიმისოდაც დაღუპულ ანასტასია მიხაილოვნას სრულიად დაღუპავთ, რადგან შესაძლო იქნება, ეს ერთად-ერთი შვილი „ჯეჯილი" წამერთოს"[1].

ცენზურის სიმკაცრემ და ამის გამო „ჯეჯილის" დახურვის შიშმა შეზღუდა რედაქცია. მაგრამ მან მაინც შეძლო დაენახვებინა პატარა მკითხველისათვის ცხოვრების შავბნელი სურათები.

აუტანელი და უმძიმესია ღარიბთა ცხოვრების პირობები. უპურობა, უფულობა და უბინაობა საშინელ მდგომარეობაში აყენებს ამ ცხოვრების გერებს. მათ ქოხმახებში „ისეთივე სიცივე და სისველე იყო, როგორც ქუჩაში. ეტყობოდა ოთახი დიდი ხანია არ გაუთბიათ. ალაგ-ალაგ სახურავიდან წვიმა ისე ჩამოდიოდა, როგორც ცხრილიდან"[2].

[1] „მნათობი", 1933 წ. № 4: მ. დ უ დ უ ჩ ა ვ ა, მასალები გ. წერეთლის შესახებ.
[2] „ჯეჯილი", 1910 წ. № 10, გვ. 541.

ამ ჯოჯოხეთურ სადგომში სძინავთ ჩვრებსა და კონკებში გახვეულ პატარებს. ისინი „ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დარბიან, წმინდა პური არ ღირსებიათ არასოდეს. კარგია თუ ქვავი იშოვეს საკმაოთ". შიმშილი ყოველდღიური სტუმარია ამ დაბეჩავებული ხალხისა.

შიმშილს განსაკუთრებით ბავშვები განიცდიან. მათი ზუზუნ-ზლუქუნი სამგლოვიარო ჰიმნივით გაისმის გაპარტახებულ ქოხებში და სასიკვდილო ისარივით ესობა დედის მგრძნობიარე გულს:

ერთი შეჰტირის „პურიო",
მეორე მოსთქვამს „ბაბასა",
თითებით სწევენ საბრალოს
ისეც დაგლეჯილ კაბასა[1].

ბიჭობლები წელებზე ფეხს იდგამენ, არ თაკილობენ არავითარ შრომას, ოღონდ შვილები გამოკვებონ, ეძებენ გამოსავალს, მაგრამ უიალქნო გემივით დაბორიალობენ ცხოვრების აზვირთებულ ტალღებში და თავმობეზრებულნი ცდილობენ განშორდნენ მწარე სინამდვილეს. მათში ჩამკვდარა წინააღმდეგობისა და ბრძოლის უნარი და ერთადერთ გამოსავალს მხოლოდ სიკვდილში ხედავენ. „სიკვდილის არ მეშინიან, — სრული გულწრფელობით აცხადებს წუთიაოფლის ტანჯული, — უფრო მოსვენებით ვიწვები საფლავში. არც ვისმეს ჯავრი, არც რაზედმე ფიქრი, არც მუშაობა, არც სახლის პატრონის ფულის გადახდა"[2], არაფერი მას აღარ შეაწუხებს. აი სადამდე მიდის ცხოვრებისაგან მრავალგზის განაწამები ადამიანის შეგნება.

ავადმყოფობა, ეს განუშორებელი თანამგზავრი ღარიბ-ღატაკი ხალხისა, ყორანივით დაჰფარფატებს მათ გაყინულ, ფარღალალა ქოხებს. სიკვდილის ანგელოზი გალესილი ცელით ელის მარჯვე დროს. რომ აღასრულოს თავისი მოვალეობა.

„ჯეჯილის" ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ასეთ შემაძრწუნებელ სურათებს: „კედელთან, ჭუჭყიან ჩალაზე ძევს გვამი მიცვალებული ქვრივისა. თავი უკან გადაუგდია. გაციებულ და გალურჯებულ სახეზე შიში და სასოწარკვეთილება გამოხატვია, პირი ღია აქვს, გაყვითლებული მკვდარი ხელი თითქოს რაღაცისთვის გაუშვერია. იქვე. გვამთან ორ ნაბიჯზე, მჩვრებში გახვეულნი წვანან პატარა თმა ხუჭუჭა ფერმკრთალი ბიჭები. ისინი ჩაჰკვრიან ერთმანეთს და

[1] „ჯეჯილი", 1897 წ. № 3, გვ. 4.
[2] „ჯეჯილი", 1903 წ. № 4, გვ. 34.

სძინავთ უდარდელად. თუმცა მათ ირგვლივ ქარიშხალი და უბედურება ტრიალებს"[1].

მშობლების სიკვდილის შემდეგ ბოლო ეღება პატარების „უდარდელ" ცხოვრებას. უდროოდ დაობლებულნი იძულებულნი ხდებიან შეერიონ აბობოქრებული ცხოვრების მძვინვარე ტალღებს და ლუკმაპურის საშოვნელად მოედონ ქალაქებისა და დაბების ქუჩებსა და ორღობეებს.

„ჯეჯილს" შეუნიშნავი არ დარჩა ეს მტკივნეული. მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინო მოვლენა ჩვენი წარსული ცხოვრებისა. ობლები და მათი ყოფა „ჯეჯილის" ერთ-ერთი უსაყვარლეს თემათაგანია („ობოლი", „ორი ობოლი", „სამაგიერო", „თოვლის ფერია", „პატარა ქურდი", „თეთრი არწივი", „პურის ნატეხი", „ბათხოვარი" და სხვა მრავალი).

აუტანელი და შესაბრალისია პატარა ობლების მდგომარეობა. ამ უპატრონო ბავშვთა ლაშქარი, უბრალო კონკებში გამოხვეული, რომელიც ვერ ფარავს მათ გამხდარ სხეულს, დღედაღამ ქუჩებში დაძრწის და ხელგაშვერილი შველას ითხოვს.

მაშინაც კი,

როცა სხვები ქეიფობენ,
ეძლევიან შვება-ლხენას,
და გულს რაც სურს უსრულებენ,
განიცდიან ნეტარებას, —
მაშინ იგი დამშეული
ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს,
კენესით მოსთქვამს თვის ობლობას
და ცხოვრების მწარე დღეებს[2].

ობლების მეგობრები არიან ცხოველები — კატა და ძაღლი. რომელნიც „ჯეჯილის" ობლებს მუდამ თან დასდევენ.

ქუჩაში გამოყრილი უპატრონო ბავშვები ხშირად ქუჩის მსხვერპლნი ხდებიან, სიცივითა და შიმშილით გატანჯულებს ან რომელიმე დუქნის წინ ამოსდით სული, ანდა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ქურდობას იწყებენ.

ასეთია იმ ობლების ცხოვრება, რომლებიც მშობლების სიკვდილის შემდეგ სრულიად უპატრონოდ და უსახსროდ რჩებიან. მაგრამ „ჯეჯილი" გვიხატავს იმ ობლების ცხოვრებასაც, რომელთაც ან დედა უკვდებათ, ან მამა, უფრო ხშირად კი ორივე და ბებიას ანაბარად რჩებიან.

---

[1] „ჯეჯილი", 1920 წ. № 10, გვ. 541.
[2] „ჯეჯილი", 1910 წ. № 3, გვ. 150.

მათი მდგომარეობა უპატრონო ობლებთან შედარებით უკეთესია. მართალია, ისინიც საკმაო გაჭირვებასა და ჩაგვრას განიცდიან, მაგრამ ცდილობენ, რომ საკუთარი პატიოსანი შრომით მოიპოვონ ლუკმაპური.

პატარა ობლების უილაჯო მზრუნველნი გამოსავალს მხოლოდ იმაში პოულობდნენ, რომ ბავშვებს შეგირდად მიაბარებდნენ რომელიმე ოსტატს ან მეწვრილმანეს. უსუსური ბავშვებიც ადრეული ასაკიდანვე ებმოდნენ შრომის მძიმე უღელში და თითოეული გროშისათვის მთელი დღეების განმავლობაში ქუჩიდან ქუჩაში დაწანწალებდნენ.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ბევრ პატარა შეგირდს იტაცებდა პოეზია და მუსიკა. მათი ნორჩი ბუნება თავისუფალ გასაქანს თხოულობდა, მაგრამ მწვავე სინამდვილე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. გულკეთილი ოსტატი სერიოზულად „უსაბუთებდა" პატარა შეგირდს ამ სურვილის შეუფერებლობას: „ვიცი პოეზია და მუსიკა რომ გიყვარს, მაგრამ ეგ მდიდრების საქმეა, ჩემო ბიჭო. დედაშენი ღარიბი დედაკაცია და შენი თავი იმიტომ ჩამაბარა, რომ ისეთი რამ ხელობა გასწავლო, რაც შემდეგში შენც შეგინახავს და შენს ოჯახსაც"[1].

ასე ტკბილად, მამაშვილურად მიმართავდა ხოლმე ოსტატი ანსელმი თავის შეგირდ ჟაკს. ასევე ტკბილად ექცეოდა „ხაზეინი" მეწვრილმანე მიხაკას.

საერთოდ, „ჯეჯილის" მიხედვით ისე გამოდის, თითქოს ასეთი მამაშვილური, მეგობრული ურთიერთობა არსებობდა ოსტატსა და შეგირდს შორის.

ჟურნალის მიერ მოთხრობილი ამბები მეტისმეტად სენტიმენტალურია, რასაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. ეს არ არის რეალური სურათი ჩვენი წარსული ცხოვრებისა. არც ერთ ნაწარმოებში („მეწვრილმანე მიხაკა", „პატარა ვაჭარი", „ვალის გადახდა", „მეგაზეთე ვასო" და სხვ.) არ ჩანს ვაჭრის, „ხაზეინის" ექსპლოატატორული ბუნება, რაც დამახასიათებელი იყო გაიძვერა ვაჭრისა და გულქვა „ხაზეინისათვის".

საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ჯეჯილის" პატარა გმირები ძალიან მალე იწრთვნებიან ვაჭრობაში, აღარ სჯერდებიან შეგირდობას და ფულის მოგებით დაინტერესებულნი უფრო ფართო გეგმებს ისახავენ.

როდესაც მიხაკამ („მეწვრილმანე მიხაკა") ალღო აუღო ვაჭრო-

---

[1] „ჯეჯილი", 1912 წ. № 6, გვ. 333.

ბას. „მოინდომა საკუთრად ვაჭრობის დაწყება. მიხაკამ გააკეთებინა დურგალს გულზე ჩამოსაკიდი ყუთი, იყიდა საწვრიმალო: ნემსები, კოჭის ძაფები, სავარცხლები, საპნები, სხვა და სხვა საქონელი ჩაალაგა შიგ და დაიწყო ქალაქის გარე უბანში ვაჭრობა"[1]. თუმცა პირველ ხანებში მას გაუძნელდა ეს საქმიანობა, მაგრამ „მალე შეეჩვია და ისე გაიტაცა, რომ ბოლოს დაღალულობასაც ვეღარ გრძნობდა. ღამითაც კი, რომ შესაძლო ყოფილიყო საწვრილმანოს ვაჭრობა, მთელი ღამეც ივლიდა, მაგრამ შეიძლებოდა სხვა რამის გაყიდვა ღამით. იცოდა მაგალითად, რომ მეწვრილმალეები თავის შეგირდებს სანთლებს აყიდვინებდნენ მეეტლეებზე. მიხაკამაც ამას მოჰკიდა ხელი"[2]. და თუმცა მოგებით გატაცებულმა ერთ საღამოს ფეხიც კი მოიტეხა და საავადმყოფოშიც იწვა, მაგრამ ვაჭრობას მაინც თავი არ დაანება, პირიქით, ამ საქმისადმი მისი მისწრაფება უფრო გაძლიერდა და საკუთარი პატარა დუქნის გაღებაც კი გადაწყვიტა.

ვაჭრობაში ჩაებნენ არა მხოლოდ ქალაქელი ობოლი ბავშვები— სოლო („პატარა ვაჭარი"), მიხაკა („მეწვრილმალე მიხაკა"), პეტრიკა („მეცოცხე პეტრიკა"), ყაკი („ვალის გადახდა") და სხვანი, არამედ სოფლელი პატარა შიო („ყვავილების გამყიდველი") და მისი თანატოლნი.

შიომ ვაჭრობა იის კონებით დაიწყო. ყვავილებს იგი ქალაქის ქუჩაში ნაპოვნი ჟანგიანი თუნუქის ყუთით დაატარებდა. მალე იმდენად გამოიწვრთვნა, რომ თუ რაიმე მოიპოვებოდა სოფელში გასაყიდი: „მარწყვი ან სხვა ხილი რამე... ის მაშინვე ქალაქისაკენ გააქანებდა... თუნუქის ყუთის მაგიერ შიოს ეხლა პატარა კალათი დაჰქონდა და ბინათაც ერთი ადგილი ჰქონდა აჩენილი. სხვაფრივადაც ძალიან დახელოვნდა შიო: იმან კარგად იცოდა თუ სად უფრო ადვილად გაიყიდებოდა ყვავილები"[3] და სხვა საქონელი.

ასეთი იყო ის გზა, რომელსაც მოსდევდა მეორე კატეგორია „ჯეჯილის" ობლებისა.

„ჯეჯილმა" შეამჩნია, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში საკმაოდ თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა: 90-იანი წლებისათვის რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე კავშირი უფრო განმტკიცდა. „ჯეჯილმა" შეამჩნია, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი ითრევდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, აშანდაკებდა მის ადგილობრივ თავისებურებათ, — ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა

[1] „ჯეჯილი", 1899 წ. № 2, გვ. 10.

[2] იქვე.

[3] იქვე, 1900 წ. № 6, გვ. 10—11.

თავის ფაბრიკებისათვის ბაზარს"[1], გრძნობდა, რომ კაპიტალიზმმა საქართველოშიც ამოძრავა ვაჭრობა-მრეწველობა და ამ ახალი ფაქტორის განვითარების ნიადაგზე ჩვენი ცხოვრება ახალი გზით მიედინებოდა.

„ჯეჯილმა" მოინდომა მკითხველისათვის დაენახვებინა ეს ახალი მოვლენა, მაგრამ მისი სრულყოფილი ასახვა ვერ შეძლო და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ვაჭრობის განვითარების რთულ პროცესში უსუსური ბავშვები ჩააბა და მათი საქმიანობისადმი თანაგრძნობის გამოცხადებით მიესალმა კაპიტალიზაციის პროცესს საქართველოში.

„ჯეჯილის" პატარა მკითხველებს პირველ ხანებში მეტად აწუხებდა და აღელვებდა უპატრონოდ დარჩენილი უმწეო ობლების უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ ის, ვინც „ჯეჯილს" სისტემატურად კითხულობდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ის ცრემლები, რომელსაც მოთხრობის თავში ღვრიდა პატარა ობლებისა და ღარიბების საცოდაობით და სიბრალულით, მოთხრობის ბოლოში სიხარულით შეეცვლებოდა, ვინაიდან ამ ღარიბ ობოლ ბავშვს ვინმე მდიდარი მფარველი გამოუჩნდებოდა"[2].

მართლაც, მდიდრების მიერ ღარიბ-ღატაკთა და ობოლთა შეწყალება დამახასიათებელია „ჯეჯილისათვის". ყველა მდიდარი, გახსაკუთრებით კი მათი ბავშვები, რომლებიც გადამეტებულ ფუფუნებაში იზრდებიან, მეტად გულკეთილნი, მოწყალენი და შემბრალენი არიან. ობლები და ღარიბები მდიდრებს საშუალებას აძლევენ ავარჯიშონ თავისი „კარგი გრძნობები" და „საქმით გამოიჩინონ თავისი გულკეთილობა". ამ მიზნით ისინი არ ზოგავენ საშუალებას და გაჭირვების ტალკვესად ევლინებიან უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებსა და სიღატაკეში მგმინავ მოსახლეობას. „ესენი ურიცხვი სიმდიდრის პატრონები იყვნენ და დიდათ უყვარდათ მხიარულება, რომ სხვებიც მხიარულათ ყოფილიყვნენ და ამიტომ ბევრ სიკეთეს სთესავდნენ თავის გარშემო მცხოვრებთა შორის. გულით უნდოდათ, რომ ყველა ისეთი მხიარული და ბედნიერი ყოფილიყო, როგორც თვითონ იყვნენ"[3].

ეს იყო მიზეზი, რომ მოხუცებულმა, გულკეთილმა გრაფინიამ თავის სასახლეში შეიფარა უდედმამო და-ძმა და იმდენი კაცთმოყვარეობაც კი გამოიჩინა, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ბავშვებს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 575.

[2] ან. ღვინიაშვილი. საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა. გვ. 69.

[3] „ჯეჯილი", 1905 წ. № 3, გვ. 48.

დაუტოვა რამდენიმე პარკი, ძველი ოქროებით სავსე („თეთრი არწივი").

ღარიბ-ღატაკთა სიყვარულით გამსჭვალულმა ემილიამ სიამოვნებით წაიყვანა შინ ობოლი გერტი, რომელსაც სრულ ბედნიერებასა და საუკეთესო მომავალს ჰპირდებოდა („ობოლი").

პატარა ბესიკის დაჟინებული თხოვნით იშვილა ანიკომ ტყე-ღრეში მოხეტიალე მათხოვარი გიზო, რომელიც „დედობრივი მზრუნველობის შემდეგ დაბანილ-გასუფთავებული... მიმზიდველი ბიჭი მოსჩანდა. ის აღარ იყურებოდა დაღონებული, მის თვალებში კრთებოდნენ აღტაცება და ბედნიერება. მოღონიერდა, ფერი მოუვიდა და სიცოცხლით აღსავსე თამამად იყურებოდა"[1].

ალალ-მართალმა საბედას შვილმა გიგიამ ქუჩაში ნაპოვნი სამაჯური და მედალიონი პატრონს დაუბრუნა. მდიდარმა კნეინამ დიდად დააფასა პატარა ბიჭის პატიოსნება, გიგია თავის ოჯახში მსახურად გადაიყვანა, ხოლო დედამისი სხვა შვილებით დაბინავდა ამ ქალთან სარეცხის მრეცხავად და „ამ დღიდან საბედას ბედმა კარგად იმუშავა" („ღმერთი ხედავს").

მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა; მთელი რიგი ნაწარმოებები ნაცვლად შურიანი, ამპარტავანი და ეგოისტი მდიდრებისა მკითხველებს აცნობენ ჩვენი ცხოვრებისათვის მეტად უჩვეულო, გადაჭარბებული გულკეთილობითა და ჰუმანური გრძნობებით აღსავსე მდიდრებს, რომლებიც, „ჯეჯილის" აზრით, დღედაღამ მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ რით შეუმსუბუქონ გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს სულიერი ტანჯვა და მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

მაგრამ რა გზით მიაღწიეს მდიდრებმა ბედნიერ ცხოვრებას, რა საშუალებით შეიძინეს ესოდენ აურაცხელი სიმდიდრე, — ეს საკითხი „ჯეჯილს" თითქოს არ აინტერესებს და საჭიროდ არ თვლის მის გარკვევას.

თუ, ერთი მხრივ, „ჯეჯილი" ცდილობს გააცნოს მკითხველებს უმთავრესად ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე უპატრონო ბავშვები, მეორე მხრივ, სოფელსაც არ ივიწყებს და სურს ასახოს სოფლის ყოფა. განსაკუთრებით კი მკითხველის თანატოლი პატარა გლეხის ბიჭის ცხოვრება.

შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებიან გლეხის ბავშვები. შიმშილი და სიტიტვლე მათი განუყრელი თანამგზავრია:

---

[1] „ჯეჯილი", 1907 წ. № 12, გვ. 33.

ბე გლეხის ბიჭი გახლავარ,
ცივ ჰადით გამოზრდილია,
დღესა და ღამეს ვასწორებ,
არ მღირსებია ძილია.
ცხვარსა და ღორებს ვუდგივართ,
მე და ერთგული მურია,
ხან მზე გვწვამს, ხან წვიმა გვასხამს,
ხან გეშია და ხან გვწყურია.

ასე ჩივის ადრეული ასაკიდანვე მძიმე შრომაში ჩაბმული გლეხის შვილი.

საკუთარ სახლ-კარს მოშორებული, სხვის სამსახურში მყოფი, დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით და დასერილი ფეხებით, დღე-დაღამ ნადირივით ტყე-ღრეში მოხეტიალე, სასოწარკვეთილებამდე მისული ყმაწვილი, რომელმაც ადრე დაკარგა ბავშვობა, წყეველის თავის ბედისწერას.

არც პატარა მწყემსის მშობლები არიან მოსვენებული. დღესა და ღამეს აუტანელ ჯაფაში ატარებენ, მაგრამ, მიუხედავად ასეთი დაძაბული შრომისა,

მიწური ქოხი გვიდგია,
ვერ დავდგით სახლი ჰდეული,
ვერ იქნა, ვერ მოვიშორეთ
ეს სიღარიბე წყეული[1].

რა არის გლეხობის ასეთი უმწეო მდგომარეობის მიზეზი? ნუთუ დღედაღამ თავაუღებელ შრომას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მისი მცირედი მოთხოვნილება? რას თხოულობს გლეხის პატარა ბიჭი?

ნეტავი იმ დღეს ვეღირსო,
რომ მეცეას ჩოხუკელაო,
ბავშვებში გავითამაშო,
არ დამცინოდეს ყველაო.

მაგრამ მან კარგად იცის, რომ „ჩოხუკელა“ და „ბრჭყვიალა ყელიანი წაღები“ მისთვის ხელმიუწვდომელია, რადგან

რაც კი მოგვივა, სხვებს მიაქვთ,
არ შეგვარჩინეს მარცვალი...
სუყველა ჩვენზე ბატონობს:
მამასახლისი, ჩაფარი.

პატარა გლეხს სურს გაიგოს, თუ „ვინ დაგვიწერა ეს ასე. ყოველ-

---

[1] „ჯეჯილი“, 1910 წ. № 12, გვ. 626.

თვის ასე რათ არის?" იგი უკვირდება ცხოვრებას და გარკვეული დასკვნა გამოაქვს:

ეხლა კი მიეხვედი ყველაფერს,
თუ რათ სჩაგრავენ მამასა,
უსწავლელს ყველა იბრიყვებს,
ხმას ვერა სცემენ ნასწავლსა.

გლეხის ბიჭი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მათი გამოყვანა დუხჭირი მდგომარეობიდან მხოლოდ სწავლა-განათლებას შეუძლია.

მაგრამ ასე ფიქრობს არა მხოლოდ გლეხობა, არამედ თვით „ჯეჯილის" რედაქციაც. სწავლა-განათლება მას მიაჩნია იმ ძირითად საშუალებად, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ დაჩაგრულთა ხსნა, არამედ სახელმწიფოს შინაგანი წყობის გადატრიალებაც კი („ბედნიერი ქვეყანა").

„ჯეჯილში" დაბეჭდილი მასალების მიხედვით შეიძლება გამოვკვეთოთ ორი ჯგუფი გლეხობისა: ერთნი დარწმუნებულნი არიან თავის მარტოობასა და უმწეობაში, გრძნობენ, რომ მათი შემწე არავინ არის, ისინი თითქოს დიდადაც არ სწუხან ასეთი მდგომარეობით და სხვებსაც მიმართავენ:

ნუ სწუხართ, დრომდის რომ ვიყოთ
ჩვენ სხვისი მაჩანჩალაო...
გლეხნი ვართ, მარტო მუშაკნი,
სხვა შეგვეწევა განაო?[1].

გლეხობის ეს ჯგუფი თითქოს კმაყოფილიც კი რჩება თავისი ბედისა და მადლობას უთვლის უფალს, ხმელი მჭადი მაინც რომ არ გამოულია. მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ისინი გულს არ იტეხენ, მომავლის იმედი მათში მაინც ბუტაგს, თუმცა ეს მომავალი აშკარად გარკვეული და მტკიცედ გამოკვეთილი არ არის. გლეხობას თითქოს აიმედებს ის გარემოება, რომ მას ყანა კარგ მოსავალს მისცემს: „ავავსებ ბეღელს სიმინდით, ამცდება გასაჭირი მე", — ამბობს გლეხი, მაგრამ ეს სტრიქონები და ბევრი სხვა მისი მსგავსი, რომლებიც გაფანტულია „ჯეჯილის" ფურცლებზე, ერთგვარ დაბნეულობასა და გაუგებრობას იწვევს მკითხველში, რადგან იგივე გლეხი დროდადრო წამოიკვნესებს:

ბედმა აღარ გამიღიმა
ვერ მოვესწარ ნეტარ დღესა,
ვერ მოვესწარ კარგად ყოფნას,
სიხარულს და სიკეთესა.

[1] „ჯეჯილი", 1896 წ. № 5, გვ. 8.

ამ დაბნეულობასა და გაუგებრობას მკითხველში აძლიერებს არა მარტო ლექსები, არამედ „ჯეჯილის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მოთხრობებიც.

ამ ჯგუფის გლეხობის გარდა ყურადღებას იპყრობენ მეორე ჯგუფის გლეხებიც, რომელთაც იმდენად აქვთ მოწამლული გული დუხჭირი სინამდვილით, რომ თავის თავს ქვეყანაზე ყველაზე უბედურ ადამიანებად თვლიან და მომავალზე გულაცრუებულნი ვეღარ მალავენ ბოღმას, თუმცა მას მეტისმეტი სიფრთხილით და განსაკუთრებული მორიდებით ამჟღავნებენ:

ნუ გგონიათ, რომ დღეს ვინმე
იყოს ჩემებრ უბედური:
არ მაქვს სახლი, არ მაქვს ბინა,
არ მაქვს საზრდო, არ მაქვს პური
და მომავლის იმედებზე
ამიცრუედა ისევ გული[1].

ასეთია გლეხის სევდიანი ამონაკვნესი, რომელიც მის ყურთასმენასაც კი არ სცილდება. არავითარი პროტესტი, არავითარი გზის ძიება უკეთესი მერმისისაკენ არ ახასიათებს „ჯეჯილის“ გლეხს. ხარივით ქედწახრილი მუშა მწარე ბოღმას თავის გულში კლავს.

და თან მაგრად სცემს მიწას თოხს,
აღარ ისვენებს წამითა,
თითქოს სურს ჯავრი იყაროს
აღვსილმა ნაღველ-შხამითა.

„ჯეჯილმა“ მკითხველს დაანახვა, რომ გლეხის ცხოვრების გამამწარებლები არიან ხელმწიფე, მღვდელი, გზირი, მამასახლისი და ჩარჩ-ვაჭარი, მაგრამ მებატონე? ნუთუ მისი მძიმე უღელი არ აკვნესებს გლეხობას? როგორ უყურებს მათ „ჯეჯილი“?

თითქმის ყველა მებატონე-თავადიშვილი, რომლებიც „ჯეჯილში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებში გვხვდებიან, მსგავსად ქალაქში მცხოვრები მდიდრებისა, ზომაზედ მეტად გულკეთილნი, შემბრალენი და გლეხობის მფარველნი არიან. ისინი არათუ ავიწროებენ გლეხობას, არამედ ყოველგვარ დახმარებასაც კი უწევენ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

უქმე-დღესასწაულზე, როდესაც „ძველ დიდ დარბაზის ბუხარში ცეცხლს გააქვს გუზ-გუზი... დარბაზში შეკრებილია სტუმარ-მასპინძელი. დიდი მხიარულებაა. მღერიან, ცეკვავენ. ბატონებს არც მოსამსახურეები დავიწყებიათ, იმათთვისაც სადღესასწაულო წვეუ-

[1] „ჯეჯილი“, 1912 წ. № 2, გვ. 95.

ლებაა გამართული. მოწვეული არიან ახლო-მახლო ღარიბი ოჯახები, ბავშვები და მათი მშობლები... იმათი ყურადღება მიპყრობილია იმ მაგიდისაკენ, სადაც მოგროვილია სადღესასწაულო საჩუქრები: შალისა და ჩითის ნაჭრებისაგან შეკერილი ვაჟის ხალათები, შარვლები, ქალების კაბები". უხვია სუფრა, მამაპაპური ქეიფი და მოლხენა ახალისებს და აღაფრთოვანებს გლეხის გულს. „რა კეთილი ბატონები გვყავს", — აღტაცებით გაიძახის იგი, ღრმად დარწმუნებული, რომ „მოწყალების გაცემა მათთვის (ბატონებისათვის) სიამოვნებაა"[1].

მაგრამ ქეიფი და დროს ტარება ბატონების სახლში მარტო დღესასწაულების დროს კი არა, სხვა დღეებშიც იმართებოდა. მაგალითად, ერთ მდიდარ თავადიშვილს, რომელსაც „მეტად კეთილი გული ჰქონდა, ყოველი ღარიბი და საწყალი ძლიერ ებრალებოდა. მუდამ ჟამს მზად იყო ეშველა გაჭირვებულისათვის. ყოველდღე მის სასტუმრო დარბაზში გაშლილი იყო სუფრა ღარიბებისათვის. იმ სოფელში ბევრი ღარიბი გლეხი ცხოვრობდა და ამიტომ სადილობისას და ვახშმობისას ეს დარბაზი სავსე იყო ღარიბი სტუმრებით. თავადიშვილი დიდი სიამოვნებით უმასპინძლდებოდა მათ თვითონ პირადად"[2].

მდიდარი თავადიშვილების ზრუნვა გლეხობასა და გლეხის ბავშვებზე, მათი შვილად აყვანა ან მათი გაგზავნა სასწავლებელში განათლების მისაღებად ჩვეულებრივი მოვლენაა „ჯეჯილში" („კუტი", „სადღესასწაულო საჩუქარი", „პატარა მარო", „საახალწლო სურათები" და სხვ.).

„ჯეჯილის" მიმართულება და მიზანი ამ საკითხში სავსებით ნათელია. იგი ცდილობს ფარდა ჩამოაფაროს იმ მწვავე უთანხმოებას, იმ ფარულ თუ აშკარა ბრძოლას, რომელიც გადაგვარებისა და დეგრადაციის გზაზე შემდგარ ნაბატონარსა და შრომისაგან წელში გაწყვეტილ გლეხობას შორის წარმოებდა.

გარდა ზემოთქმულისა, „ჯეჯილი" შეეცადა გაერკვია პატარა მკითხველებისათვის გლეხის მდგომარეობა ბატონყმობის პერიოდში. ამ მიზნით, გარდა „სურამის ციხისა", რომელიც გ. წყალტუბელმა (იოსელიანმა) სპეციალურად გადმოაკეთა „ჯეჯილისათვის" 1900 წელს, ჟურნალმა დაბეჭდა „ოსმან აღას თავგადასავალი" (ნაწყვეტი „სურამის ციხიდან"), „ძველი მებატონეები" (ნაწყვეტი ნ. გოგოლის „ძველი მებატონეებიდან"), წერილები „ბატონყმობა რუსეთში", „ბატონყმობის გაუქმება", „დროებით ვალდებული გლეხების განთავისუფლება" და სხვ.

---

[1] „ჯეჯილი", 1905 წ. № 3, გვ. 48.

[2] „ჯეჯილი", 1893 წ. № 3, გვ. 58.

წარმოდგენილი მასალით ჟურნალი აცნობს მკითხველს ბატონყმობის მახინჯ ფორმებს რუსეთში და აღნიშნავს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც „მდიდარი მებატონე მეძებრებში სცელიდა გლეხს, მთელ მის ოჯახს", რომ „მემამულე სწოვდა მას უკანასკნელ ძალას. კერაფერი მას ვერ შეაკავებდა. ოღონდ ბატონს დაეკმაყოფილებინა თავისი ჟინი"[1].

ერთი სიტყვით, „ჯეჯილი" არ იშურებს საღებავებს, რათა რაც შეიძლება ნათლად წარმოგვიდგინოს ბატონყმობის საზარელი სურათი რუსეთში.

რაც შეეხება საქართველოს, ჟურნალის აზრით, აქ ბატონყმობა საკმაოდ რბილ ფორმებში არსებობდა და თითქმის არც იყო საგრძნობი გლეხობისათვის. აი რას ვკითხულობთ „ჯეჯილის" 1911 წლის მეორე ნომერში: „საზოგადოდ ჩვენში, სანამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის მკაცრი ხასიათისა არ იყო. იმ დროს მებატონე რომ კიდეც ცდილიყო თავისი ყმა დაეჩაგრა, ამას ვერ შესძლებდა. იმიტომ, რომ ყოველი მოთხოვნილება მებატონისა თავის ყმისადმი განსაზღვრული იყო ადათით, ანუ ჩვეულებით. ეს ჩვეულების კანონი მამიდან შვილზედ, ერთი თაობიდან მეორე თაობაზედ გადადიოდა და მისი გადალახვა არავის არ შეეძლო".

ორიოდე წლის შემდეგ „ჯეჯილს" თითქოს ავიწყდება ეს სტრიქონები და 1913 წლის მესამე ნომერში წერს: „1864 წლამდე ყველა გლეხი და მაშასადამე პაპა შენიც რომელიმე თავად-აზნაურთა კუთვნილება იყო და მას ემორჩილებოდა. რასაც ისინი მოისურვებდნენ გლეხს უნდა გაეკეთებინა, თავად-აზნაურთა ბრძანება უნაკლოდ უნდა შეესრულებინა. თუ უნდოდა თავადს გლეხს გაროზგავდა, გომურში დაამწყვდევდა და ისიც კი შეეძლო, რომ გლეხი გაეყიდნა".

ეს ორი ერთმეორის საწინააღმდეგო შეხედულება არათუ პატარა მკითხველს დააბნევდა, რომელიც ჯერ არ იცნობდა ისტორიულ ფაქტებს, არამედ მოზრდილსაც ჩააფიქრებდა და ერთგვარ უხერხულობას აგრძნობინებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ჯეჯილი" საბოლოოდ მაინც ვერ მალავს საქართველოში არსებული ბატონყმობის მახინჯ მხარეებს და ცდილობს ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობის გამწვავების ფაქტი საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებით ახსნას.

„ჯეჯილის" აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გადაიქცა ყმა ბატონის სრულ საკუთრებად. „ახალი პირობები, ფუ-

---

1 „ჯეჯილი", 1911 წ. № 2, გვ. 114—115.

ფუნება, ბალები, საღამოები, — ყველაფერი ეს ითხოვდა დიდ ხარჯებს. ეს ზედმეტი ხარჯები ბატონმა ყმისაგან მოითხოვა. ამან ბატონსა და ყმას შორის სიძულვილი ჩამოაგდო. ყმას მეტი შრომა დააწვა, წელში მოხარა"[1].

ჟურნალმა სამართლიანად შენიშნა ევროპული ცხოვრებით მადაგახსნილი თავადაზნაურობის იერიში გლეხობაზე, მაგრამ ამ იერიშმა ბატონსა და ყმას შორის სიძულვილი კი არ ჩამოაგდო, არამედ მანამდე მათ შორის არსებული ანტაგონიზმი უფრო გაამწვავა, რამაც არა ერთი და ორი აჯანყების სახით იფეთქა, მაგრამ ამაზე „ჯეჯილი" დუმს.

კიდევ ერთი საკითხი: ჟურნალმა „ჯეჯილმა" რაღაც განსაკუთრებული სათვალით შეხედა ბატონყმობის გაუქმებას და მეტად უცნაურად განუმარტა იგი მკითხველებს. აი რას წერდა ჟურნალი: „ბატონყმობის გაუქმებამ საზოგადოებას დაანახვა, რომ ყველა თანასწორნი არიან, — აღარც ყმა და აღარც ბატონი არ არის. ამას შედეგად მოჰყვა რეფორმები: უწინ სასამართლო იყო მარტო ბატონებისთვის და მდიდრებისათვის, ეხლა კი სამართალი ყველასთვის ერთია. უწინ საქმეები სასამართლოში ოცი წელიწადი ირჩერდა, მოსამართლეები მექრთამენი იყვნენ, ახალი რეფორმა კი მოითხოვდა, რომ მსჯავრი ყველასათვის „მსწრაფლი. თანასწორი და მოწყალე" ყოფილიყო... სწავლა საერთოთ ყველასათვის მისაწვდენი გახდა, საზოგადო საქმეებში გლეხი თავადთან ერთად მონაწილეობას იღებს"[2]

ვფიქრობთ, უდავოა, რომ ეს სტრიქონები იმ მანიფესტისა და რეფორმების პოპულარიზაციას წარმოადგენს ყოველგვარი შენიშვნებისა და კომენტარების გარეშე, რომლებიც რუსეთის მონარქმა 1861 წლის 19 თებერვალსა და 5 მარტს გამოსცა.

„ჯეჯილი" ხმას არ იღებს იმ მეტად მნიშვნელოვან ფაქტზე, რომ გლეხობის განთავისუფლება უმიწოდ მოხდა, რომ სასამართლოც და სამართალიც ისევ მებატონეთა და მდიდრების მხარეზე დარჩა, რომ საზოგადო საქმეებში გლეხისა და თავადის თანამშრომლობა მხოლოდ ფორმალური იყო.

ერთი სიტყვით, „ჯეჯილმა" ვერც ამ შემთხვევაში მოახერხა მოვლენის სიღრმეში შეჭრა, სინამდვილის ჭეშმარიტი ასახვა და პატარა მკითხველი მის ზედაპირზე დატოვა.

საქართველოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, მისმა სოციალურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ და ამასთან დაკავშირებით საზოგა-

---

[1] „ჯეჯილი", 1911 წ. № 2, გვ. 107.

[2] იქვე, გვ. 119.

დოებრივმა აზროვნებამაც 90-იანი წლებიდან შესამჩნევი გარდატეხა და გართულება განიცადა. დაიწყო სოფლის ჩქარი რღვევა, მისი სწრაფი პროლეტარიზაცია. გაიზარდა და მძლავრად ამოქმედდა ქალაქი, გამრავლდა და გაძლიერდა სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებები.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1887 წლისათვის საქართველოში 2159 ფაბრიკა-ქარხანა არსებობდა, რომლებშიც 12315 მუშის შრომის შედეგად 10181991 მანეთის პროდუქცია იქმნებოდა.

1893-94 წლებისათვის ეს რიცხვები თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამ დროისათვის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა 2797-ს მიაღწია, მუშათა რიცხვმა — 22828-ს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ — 32578089 მანეთს.

როგორც ამ მონაცემებიდანაც ირკვევა, 90-იანი წლებისათვის ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დონე საგრძნობლად შეიცვალა. მკვეთრად გამოჩნდა ახალი სოციალური კლასი — პროლეტარიატი, რომელიც 90-იანი წლების პირველი ნახევრიდანვე ძალუმად ჩაება კლასთა ბრძოლის ფერხულში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან „ეს იყო პერიოდი მასების მოძრაობისა. საზოგადოებრივი ცხოვრების საგრძნობლად დაყოფისა კლასებად: აქ თავადაზნაურობას დაუპირისპირდა ბურჟუაზია, ბურჟუაზიას — წვრილბურჟუაზიული ელემენტები, ხოლო განსაკუთრებული პოლიტიკით გამოვიდა პროლეტარიატი. საზოგადოებრივი ცხოვრება შეირყა, იგი გარკვეული კლასობრივი სტრუქტურის მიხედვით ჩამოყალიბდა, მის წინ ახალი საზოგადოებრივი ამოცანები წამოიჭრა“[1].

ჩვენში არსებულ პერიოდულ გამოცემათა შორის ამ ახალ მოძრაობასთან ყველაზე ახლოს „ჯეჯილი“ იდგა, რადგან მისი დამატება „კვალი“ საკმაო სიცხადითა და სერიოზულობით აშუქებდა ახალი სიტყის ქროლით წამოჭრილ მრავალ მტკივნეულ საკითხს.

მიუხედავად ამისა, „ჯეჯილმა“ ვერ შეძლო დაენახვებინა მკითხველისათვის მუშათა ცხოვრების შავი სურათები, ვერ მოახერხა გაერკვია პატარა მკითხველი კლასთა ბრძოლის ძირითად პრინციპებში და ამ საკითხს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე უმნიშვნელო ნაწარმოებს, თითქმის მთლიანად გვერდი აუარა.

1905 წლის შავბნელი დღეები სისხლიანი ასოებით ჩაიწერა როგორც რუსეთის. ასევე საქართველოს პროლეტარიატის ცხოვრების

---

[1] ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, გვ. 155.

მატიანეში, მაგრამ „ჯეჯილმა“ ეს დიდი ისტორიული მოვლენა მხოლოდ სამიოდე მოთხრობით აღნიშნა („რად მოჰკლეს დედაჩემი“, „22 ოქტომბრის მსხვერპლს, უმანკო ანდრიას“ და „უდროო კუბო“).

ეს სამი მოთხრობა, რომლებშიც გაურკვეველია რევოლუციის მიზეზები, იმდენად უმნიშვნელოა დიდი ისტორიული მოვლენის ასასახავად, რომ მათ თითქმის არავითარი ღირებულება არა აქვთ და უკვალოდ იკარგება „ჯეჯილის“ სხვა მასალათა შორის.

ასევე სუსტად აისახა „ჯეჯილში“ რევოლუციის შემდეგდროინდელი რეაქციის პერიოდი. ჟურნალმა ვერ შეძლო ეჩვენებინა მკითხველისათვის რეაქციის შედეგად გამოწვეული შემაძრწუნებელი სურათები განსაკუთრებით სოფლად.

„ჯეჯილმა“ მკითხველს ამ პერიოდის გლეხობა უმწიკვლო, მიამიტი და მორჩილი სახით წარუდგინა, რომლებიც მოკლებული არიან მებრძოლი ადამიანის სულისკვეთებას და არსებულ მდგომარეობას პროტესტისა და წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ეგუებიან.

„ჯეჯილმა“ ვერ შეძლო აგრეთვე დაენახვებინა მკითხველისათვის მსოფლიო ომი და 1917 წლის რევოლუცია, აეხსნა და განემარტა მათი გამომწვევი მიზეზები.

ნაცვლად იმისა, რომ ჟურნალს ყურადღება კლასობრივ ბრძოლაზე გაემახვილებინა, იგი კლასთა შორის შეგუება-შეთანხმების მქადაგებლად გამოდის: „მუშამ, მრეწველმა, გლეხმა და თავადმა, — წერს ჟურნალი, — ხელი ხელს უნდა მისცენ, რომ სამართალი მიენიჭოს ყველას ერთნაირად“[1].

ასეთი იყო საკითხთა ის წრე, რომლის ირგვლივაც ტრიალებდა „ჯეჯილი“ თითქმის მთელი 32 წლის განმავლობაში.

*

* *

„მე ყოველთვის მომდურავი ვიყავი ქართველი საზოგადოებისა, რომ „ჯეჯილზე“ არ სწერენ კრიტიკულ სტატიებს“[2], — წერდა ჟურნალის რედაქტორი ან. თუმანიშვილი.

მართლაც, მთელი 32 წლის განმავლობაში ჩვენს პერიოდულ პრესაში „ჯეჯილის“ ირგვლივ ძალიან ცოტა კრიტიკული წერილები დაიბეჭდა.

ყველა დაბეჭდილ წერილს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლ უ ა რ ს ა ბ ბ ო ც ვ ა ძ ი ს რეცენზიები, რომლებიც

---

[1] „ჯეჯილი“, 1917 წ. „კუნწულა“, წ. 1, გვ. 4.

[2] საქ. სახ. მუზეუმი, ფონდი 451, № 117.

„ივერიაში" იბეჭდებოდა, და ა-რ ე ს წერილი, დაბეჭდილი ჟურნალ „განათლებაში" 1908 წელს (№ 5—6).

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქართული საბავშვო ლიტერატურა მხოლოდ ფეხს იკიდებდა, როდესაც თითოეული საბავშვო წიგნი უჩვეულო, მაგრამ მეტად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენდა, ლ. ბოცვაძე გამოდიოდა თეორიული თუ კრიტიკული წერილებით და ი. გოგებაშვილთან ერთად გზას უკაფავდა ახლად ფეხადგმულ საბავშვო მწერლობას. მას ესმოდა, რომ „საბავშვო წიგნი პატარა მკითხველს უნვითარებს გონებას, გრძნობას, შეუქმნის რწმენას, ერთი სიტყვით, ყოველს მხრით ზრდის ახალ თაობას"[1].

ლ. ბოცვაძე, რომელიც მუდამ ილაშქრებდა განყენებული თეორიული სწავლების წინააღმდეგ, ახალ და საღ ამოცანას აყენებდა საბავშვო ლიტერატურის წინაშე. მისი პედაგოგიური ინტუიცია გრძნობდა, რომ ცხოვრებასთან ახლოს მისვლა, პატარა მკითხველისათვის თანადროულობის ნათელი სურათის დახატვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. „დღევანდელი ცხოვრება, — წერდა იგი, — თანდათან რეალური მხარისაკენ მიისწრაფება, თხოულობს იმეთ ცოდნას, რაც პრაქტიკულად გამოსაყენებელია... ჩვენს მანქანების, ქარხნებისა და ავტომობილების საუკუნეში, ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობის ხანაში, წიგნებმა კარგად შერჩევა სიტყვაკაზმული მწერლობიდან. ჰაბუკ მკითხველებს თვალწინ გადაუშლის ცხოვრებას და ამავე დროს შეუმჩნევლად განავითარებს მათ ესთეტიკურ გემოვნებას"[2].

ლ. ბოცვაძის აზრით, ბავშვისათვის განკუთვნილ საბავშვო წიგნში თუ ჟურნალში პირველი ადგილი უნდა დავუთმოთ ნაწარმოებს, „რომელშიაც ფორმა და შინაარსი რგოლივით გადაბმულია ერთმანეთთან, იმე რომ ვერ ხედავთ ერთის დასაწყისს და მეორის დასასრულს, სადაც ერთი მეორეს გულისხმობს"[3].

ასეთივე ორგანულ კავშირს მოითხოვს იგი იმ მასალებს შორის, რომლებიც ჟურნალში უნდა მოთავსდეს. მასალას არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი და მკითხველიც ერთი მასალიდან მეორეზე კი არ უნდა ხტებოდეს, უნდა გადადიოდეს. „სასურველია, რომ ერთი წერილი შეადგენდეს მეორის დამატებას და ჰქონდეს მასთან რაიმე კავშირი. ამ წესის დაცვით არც სამეცნიერო ცნობები წარმოად-

---

[1] „განათლება", 1910 წ. № 2, გვ. 57.

[2] იქვე.

[3] იქვე.

გენს მკითხველის გონებაში ცოდნის ნაწყვეტებს, უკავშირო ფაქტებს და სხვა და სხვა შემთხვევით ცნობებს, რომელსაც შეუძლიან მკითხველის მეხსიერების დასუსტება... უკავშირო ცნობები უფრო აჩლუნგებენ მკითხველის მეხსიერებას"[1].

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ლ. ბოცვაძე მოითხოვდა, რომ „ჯეჯილის" რედაქციას მიეწვია გამოცდილი პედაგოგები და შეემუშავებინა მთლიანი წლიური პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებდა და დაამუშავებდა საჟურნალო მასალას.

ლ. ბოცვაძე მოითხოვდა აგრეთვე, რომ მთავარი ყურადღება საჟურნალო მასალის შერჩევის დროს მიქცეოდა ორიგინალურ და არა ნათარგმნ ლიტერატურას, რადგან „ბავშვისთვის ყველაზე უფრო ადვილად გასაგებია მშობლიური ჰანგები, მშობლიური ქვეყნის აღწერილობა, ადგილობრივი ბუნების მოვლენანი... ამიტომ ყველა საბავშვო საკითხავ წიგნში ადგილობრივ ელემენტს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს"[2].

ლ. ბოცვაძე არ არის წინააღმდეგი ნათარგმნი მასალის შეტანისა საბავშვო ჟურნალში გარკვეული დოზით, მაგრამ იგი მითითებას იძლევა, თუ რა ხასიათის უნდა იყოს ეს მასალა, და წერს: „უცხო ენის მასალიდგან შეიძლება იბეჭდებოდეს ისეთი მასალა, რომელსაც აქვს საზოგადო, საკაცობრიო მნიშვნელობა"[3].

ლ. ბოცვაძეს კარგად ესმის, რა უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს იმ მასალას, რომელიც ბუნებისმეტყველების სფეროს ეხება. მას ბუნების მოვლენების შესწავლა მიაჩნია უპირველეს საშუალებად ცხოვრებაში ბუნების კანონების წესიერად გამოყენებისათვის. მაგრამ იმასაც კარგად გრძნობს, რომ წერას საბუნებისმეტყველო თემებზე დიდი სიფხიზლე და წინდახედულება ესაჭიროება. „მშრალად დაწერილი მოთხრობა ბუნებისმეტყველებიდან ადვილად უკარგავს ბავშვს კითხვის ხალისსა. ამიტომ საჭიროა, რომ წიგნი ბუნებისმეტყველებიდან, რასაც ბავშვს ვაწვდით, გარდა მეცნიერების მხრით სწორი შინაარსისა, ...წარმოადგენდეს გარეგანის მხრითაც მხატვრულ ნაწარმოებს და საინტერესო შინაარსიან დასურათებას... კარგად შედგენილი საბავშვო წიგნი ბუნებისმეტყველებიდან, მხატვრული სურათებით, ნათლად გადაუშლის თვალწინ ბავშვს ბუნებას სურათებში"[4].

---

[1] „შრომა", 1906 წ. № 51.

[2] „ივერია", 1898 წ. № 54.

[3] „ივერია", 1898 წ. № 3.

[4] „განათლება", 1910 წ. № 2, გვ. 58—59.

გაბოჩენილ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობასა და ჩვენს წარსულ ისტორიას შეუძლია დიდი აღმზრდელობითი გავლენა მოახდინოს პატარა ბავშვებზე. ამიტომ ლ. ბოცვაძე დაჟინებით მოითხოვს, რომ ბავშვებისათვის განკუთვნილ საკითხავ ჟურნალში შესამჩნევი ადგილი დაეთმოს გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებს და ჩვენს წარსულ ისტორიას. მისი ღრმა რწმენით, „კარგი საბავშვო წიგნი ან ჟურნალი. სადაც აღწერილია გმირთა ცხოვრება, ანვითარებს ბავშვში მამაცობას. ამასთან ერთად აქეზებს პროზაულ ცხოვრების წვრილმანებზე მაღლა იდგეს და ასწავლის უკეთესად დააფასოს ადამიანი... საყვარელი წიგნების გმირების იდეები, როგორც მძლე, მოძრავი ძალა. აქეზებს ბავშვებს, მათი მიბაძვის ძალით დაემსგავსონ საყვარელ გმირებს. ხშირად საბავშვო წიგნს გადაუწყვეტია მთელი მოძალი ბედი ადამიანისა“[1].

საბუნებისმეტყველო, ისტორიული და ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებნი ლ. ბოცვაძეს სამეცნიერო ხასიათის წერილებად მიაჩნია. რომელთა შედგენა-შემუშავებასაც საკმაოდ ძნელ და რთულ საქმედ თვლის და ვინც ასეთი წერილის დაწერას მოისურვებს, მას საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. „თუ ბელეტრისტული ნაწარმოებისათვის საჭიროა ნიჭი, სამეცნიერო წერილებიც არა ნაკლებ ნიჭს ითხოვს. მზამზარეული მასალების შემუშავება და ადვილად გადაცემა პატარა მკითხველებისათვის ადვილი არ არის და ყველას არ ეხერხება“. მისი სამართლიანი შენიშვნით, ასეთი მასალები „ბევრად უნდა განსხვავდებოდნენ იმ მშრალი მასალისაგან, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელო წიგნებში“, სამეცნიერო ხასიათის წერილების კითხვით „პატარა და მოზრდილი მკითხველები უნდა გრძნობდნენ მოსვენებას, უნდა იძენდნენ მეცნიერულ, ზუსტ ცოდნას მხატვრული ნაწარმოების გზით“[2].

ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ პირობებში, როდესაც ფოლკლორის შეკრება-შეგროვების საქმე მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ლ. ბოცვაძე უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად აყენებდა ხალხური საუნჯის თავმოყრა-გამოცემის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავდა მის უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას. იგი წერდა: „ფანტასტიკური შინაარსის წიგნები ბავშვებს შემოქმედებით ძალებს უნვითარებს. ამ მხრივ სასარგებლოა ზღაპრები, რაც ბავშვებს უყვართ თავისი მიმზიდველობით, სიმარტივით, გასაგები ფორმით... ზღაპრები ბავშვობიდანვე უნერგავენ ყმაწვილს დიდებულს

---

[1] „განათლება“, 1910 წ. № 2, გვ. 58—59.

[2] „შრომა“, 1906 წ. № 51.

სოლიდარულს გრძნობას ხალხთა შორის, საზოგადო ძმობას ხალხისას, ფრიად უნვითარებს კაცობრიულ გრძნობებს და უნერგავს გულში თავისი ერის სიყვარულსაც"[1].

მაგრამ ლ. ბოცვაძე სრულებითაც არ არის მომხრე, რომ საბავშვო ჟურნალსა თუ წიგნში შეტანილ იქნეს ყოველგვარი ზღაპარი. იგი ამ შემთხვევაშიც საღ კრიტიკულ და პედაგოგიურ თვალთახედვას მოითხოვს. მისი აზრით, სრულიად უნდა განიდევნოს საბავშვო ჟურნალიდან საშიში ზღაპრები, რომლებიც მძიმედ მოქმედებენ ბავშვის ფსიქიკაზე. პირიქით, მუდამ უნდა ვზრუნავდეთ, რომ აღვუძრათ ბავშვს მხიარული, გამამხნევებელი ემოციები, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი მხოლოდ ცალმხრივად ჰვრეტდეს ცხოვრებას და სასიხარულო მოვლენათა იქით აღარას ხედავდეს, — არა ბავშვებმა „უნდა იცოდნენ, რომ არსებობს მწუხარება, ტანჯვა და სიკვდილიც, ან პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იცოდნენ რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება", მაგრამ ყველა ამას ნორჩი თაობა თანდათან უნდა ეცნობოდეს"[2].

ლ. ბოცვაძე კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბავშვებისათვის განკუთვნილი მოთხრობები მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს, „ბავშვი უნდა მოარიდოთ ყველაფერს, რასაც კი შეუძლიან ზნეობრივად ცუდად იმოქმედოს"[3]. „გამბედაობა, სიმტკიცე, შეურყეველობა, სულის სიმაგრე, — აი რა უნდა შესძინოს ბავშვს აწინდელმა საბავშვო ლიტერატურამ"[4].

გარდა შინაარსისა, თვით ფორმაც ნაწარმოებისა უნდა იყოს დახვეწილი, მიმზიდველი და საინტერესო. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენის სიმარტივეს, სიწმინდესა და ლაკონიურობას. „ყველა საბავშვო საკითხავი წიგნი, სახელმძღვანელო და საკითხავი ჟურნალები უსათუოდ უნდა იწერებოდეს ბავშვისათვის შეძლებისდაგვარად ადვილად გასაგების, მაგრამ აუცილებლად საზოგადო ლიტერატურულის ენით და არა მხოლოდ ადგილობრივი კილოს მიხედვით, იმ კილოთი, რომელიც მიღებულია მხოლოდ საშობლოს მკვიდრთა რომელსამე ნაწილში... საზოგადო ლიტერატურული ენა, რომელიც წინ გაგვიშლის დიდებულს სამშობლო ქვეყანას, ეკუთვნის მთელს ეროვნებას, რომელსაც საზოგადო ლიტერა-

---

[1] „განათლება", 1910 წ. № 2, გვ. 60.

[2] იქვე.

[3] „იერია", 1898 წ. № 54.

[4] „განათლება", 1910 წ. № 2, გვ. 57.

ტურული ენა აერთებს და კერძო ადგილობრივი კილო კი აცალკევებს“[1].

ესმოდა რა საბავშვო ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობა. ლ. ბოცვაძე მოითხოვდა მის გაჯანსაღებას, საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის შექმნას, რადგან ჯანსაღ ლიტერატურაზე აღზრდილი „საღი ახალთაობა, როგორც ხე. საღის ფესვებით, გაახარებს მშობლებს და აღმზრდელებსაც“.

ამ მიზნით მოჰკიდა მან ხელი ჟურნალ „ჯეჯილის“ კრიტიკულ განხილვას და მის ირგვლივ ასეთი შენიშვნები გააკეთა:

სასურველია, რომ ჟურნალი „ჯეჯილი“ შეიცავდეს ხუთ განყოფილებას: ზნეობრივს, საბუნებისმეტყველო-საისტორიოს, ისტორიულ-ბიოგრაფიულს, გეოგრაფიულსა და ბელეტრისტულს; ჟურნალს ყველა ეს განყოფილება არ გააჩნია. ზოგი მათგანი კი სუსტობს და საერთოდ ჟურნალს არ ახასიათებს მრავალფეროვნება.

საბავშვო მწერლები საერთოდ ცოტანი გვყავს, „ჯეჯილში“ კი მათი უმცირესობა მონაწილეობს, რომელთა შორისაც ბევრმა არ იცის ბავშვის ფსიქოლოგია, არ იცნობს მათ მოთხოვნილებებს.

ჟურნალის ენა ყოველთვის არ არის გამართული. მოიპოვება კორექტურული შეცდომებიც და ყურადღება არ ექცევა სასვენი ნიშნების წესიერად ხმარებას. ხშირად არ არის ახსნილი გაუგებარი სიტყვები, რომლებიც ჩამოტანილ უნდა იქნეს სქოლიოში და განიმარტოს ბავშვისათვის სავსებით გასაგებად.

რედაქციამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მასალის განლაგებას პედაგოგიურ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

რა თქმა უნდა, ბოტანიკიდან ცნობების მიწოდება სასურველი და სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა შევისწავლოთ ადგილობრივი მცენარეები და შემდეგ „ვიმოგზაუროთ ამერიკისა და მადაგასკარის კუნძულებზე“.

„ჯეჯილში“ მოთავსებულია ზოგიერთი ისეთი მასალა, რომელიც თავისი შინაარსით საბავშვო არ არის და სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანს პატარა მკითხველს.

საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს სინამდვილის დაცვას: მოვლენა, სურათი უნდა აისახოს დაუმახინჯებლად, ყოველგვარი გაზვიადების, შეფერადებისა და გადაკეთების გარეშე. ამას კი „ჯეჯილის“ რედაქცია ყოველთვის ანგარიშს არ უწევს.

ზოგი ნაწარმოები, რომლებიც „ჯეჯილში“ იბეჭდება, აღვიძებს ბავშვში კეთილ გრძნობებს და დადებითად მოქმედებს მათი ზნეო-

[1] „ივერია“, 1899 წ. №№ 3.

ბის ჩამოყალიბებაზე. ასევე კარგია სამეცნიერო გასართობები, რომელნიც უვითარებენ ბავშვს გონებას და ამახვილებენ მის აზროვნებას.

თარგმანები, რომლებიც მრავლად მოიპოვება „ჯეჯილში“, არ წარმოადგენს არავითარ საჭიროებას და აუცილებელია მათი შემცირება ორიგინალურ ნაწარმოებთა ხარჯზე.

„ჯეჯილში“ ცოტაა სურათები, სურათს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბავშვო გამოცემაში, ამიტომ რედაქციის მოვალეობაა ჟურნალში მეტი სურათი დაბეჭდოს და ტექსტში იგი შესაბამის ადგილას მოათავსოს.

თუმცა „ჯეჯილის“ 1898 წლის ნომრები საერთოდ სუსტია, მაგრამ ჟურნალის გამოცოცხლება და გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება, თუ „რედაქცია ჟურნალში მიიწვევს არა ყველას, ვისაც მხოლოდ ანბანი უსწავლია და ორი-სამი ლექსიც გამოუცხვია, არამედ ნამდვილ ნიჭიერსა და გამოცდილ მწერლებს“[1].

საჭიროა აგრეთვე რედაქციამ მუშაობაში ჩააბას გამოცდილი პედაგოგები, რომლებიც მასალას გადასინჯავენ პედაგოგიური თვალსაზრისით და ჟურნალში თავის ადგილს მიუჩენენ.

ვინაიდან „ჯეჯილს“ სხვადასხვა წლოვანების ბავშვები კითხულობენ, ამიტომ კარგი იქნება, სათაურშივე იყოს განმარტებული, თუ რომელი მასალა რა წლოვანების მკითხველისათვის არის განკუთვნილი.

დიდ დახმარებას გაუწევს „ჯეჯილის“ რედაქცია ბავშვების აღმზრდელებს, თუ გამოსცემს ჟურნალის პედაგოგიურ დამატებას, რომელშიც უნდა დაიბეჭდოს წერილები აღზრდა-განათლების საკითხებზე.

ასეთი იყო ძირითადად ლ. ბოცვაძის შენიშვნები „ჯეჯილის“ რედაქციის მიმართ.

ილ. ჭავჭავაძემ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ლ. ბოცვაძის რეცენზიებს. 1898 წელს იგი სწერდა: „ბატონო ლუარსაბ! დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჯეჯილზედა. ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვის. უმორჩილესადა გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელს ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.

---

[1] „ივერია“, 1899 წ. № 22.

დავრჩები მარად თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე"[1].

„ჯეჯილს" კრიტიკული წერილი უძღვნა აგრეთვე ა-რემ[2], რომელმაც საკმაოდ საფუძვლიანად გაარჩია 1907 წლის ჟურნალის ყველა ნომერი და მიუთითა რედაქციას იმ ძირითად ნაკლზე, რომელიც მას ახასიათებდა მთელი 17 წლის მანძილზე.

„სრული ჩვიდმეტი წელი შესრულდა, — წერდა კრიტიკოსი, — რაც საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" ქართველ ახალთაობას შეძლებისდაგვარად ემსახურება. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ მრავლად ფერი იცვალა, ჩვენი ხალხის თვითცნობიერებამ საგრძნობლად წარსდგა ფეხი წინ, ჩვენი ერის ცხოვრება მეტად გართულდა და გამრავალფეროვანდა.

ასეთ პირობებში ჟურნალის მოვალეობა არის მიაწოდოს მოზარდ ახალ თაობას ისეთი გონებრივი საზრდო, რომელიც ამ ახალთაობათ ცხოვრებისათვის საჭიროა და შესაფერს ცოდნას მისცემს.

თუ ამ თვალსაზრისით გავსინჯავთ წარსული წლის „ჯეჯილის" ნომრებში მოთავსებულ მასალას, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ჟურნალს სავსებით ვერ აუღია თანამედროვე ცხოვრების ალღო. რომ შევადაროთ წარსული წლის ნომრები ამ ათი ან თხუთმეტი წლის წინათ შედგენილ ნომრებთან, განსხვავებას მაინცა და მაინც დიდს ვერ ვიპოვნით. ჟურნალს პროგრესიულად განვითარება დროისა და შეცვლილ პირობათა მიხედვით არ ეტყობა"[3].

ამონაწერი გაგვიგრძელდა, მაგრამ იგი საკმაოდ ნათელი დახასიათებაა „ჯეჯილის" არა მარტო 1908 წლამდე, არამედ 1908 წლის შემდეგაც გამოცემული ნომრებისა.

კრიტიკოსი უკიჟინებს აგრეთვე რედაქციას, რომ მას არა აქვს გარკვეული მიზანი, „ჯეჯილის" ნომრებს უფრო კრებულის ხასიათი აქვს, ვიდრე ჟურნალისა და მთელი წლის მასალაც შემთხვევით ხასიათს ატარებს.

არ არის დაცული არავითარი სისტემა საბუნებისმეტყველო ხასიათის წერილების ბეჭდვის დროს. არ მოსწონს არც მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებაში მოთავსებული მასალა, რადგან მასში „ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს ისეთ წერილებს. რომელიც რეალურ ცოდნას აძლევს ბავშვებს და რომელიც ამზადებს ჩვენს მოზარდ ახალთაობას იმ სერიოზული შრომისათვის, რომელიც მას შემდეგში აუცილებლად მოელის"[4].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949, გვ. 91.

[2] სამწუხაროდ, ინიციალები აუხსნელი გვრჩება.

[3] ჟურნ. „განათლება", 1908 წ. № 5—6.

[4] იქვე.

ამის შემდეგ კრიტიკოსი არჩევს „ჯეჯილის“ სხვადასხვა მასალას და მიუთითებს რედაქციას, რომ ყოველი ნაკლის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება, თუ წლის დასაწყისშივე შეადგენს გარკვეულ პროგრამას გარკვეული მიზნით და ამის მიხედვით აამუშავებს თავის თანამშრომლებს.

მიუხედავად საკმაოდ საფუძვლიანი და სამართლიანი შენიშვნებისა და მითითებებისა, „ჯეჯილის“ რედაქციამ ბევრი რამ ყურად ვერ იღო. რედაქციამ ვერ განსაზღვრა ჟურნალის მიმართულება, ვერ მოახერხა ეჩვენებინა მკითხველისათვის ცხოვრების რეალური სურათი, ვერ ჩასწვდა თანადროულობას და მრავალი საინტერესო და საგულისხმო ფაქტი და მოვლენა ყურადღების გარეშე დარჩა.

რელიგიურმა და სენტიმენტალური ხასიათის ნაწარმოებებმა, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა „ჯეჯილში, პატარა მკითხველები საკრძნობლად დააშორა რეალურ ცხოვრებას.

მიუხედავად ამისა, „ჯეჯილის“ მნიშვნელობა ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში მეტად დიდია. ჟურნალმა მოზარდ თაობას შეაყვარა სამშობლო და მშობლიური ენა, დააინტერესა პატარა მკითხველი წიგნით, გაამდიდრა მისი გონება საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ხასიათის ცნობებით და სხვადასხვა სახის სავარჯიშოებით გაამახვილა ბავშვის აზროვნება. იმ აუარებელმა ზღაპარმა, ლეგენდამ და საერთოდ ხალხური შემოქმედების ნიმუშებმა, რომლებმაც საკმაო ადგილი დაიჭირა ჟურნალის ფურცლებზე, აამოძრავა და გაამდიდრა ბავშვის ფანტაზია.

„ჯეჯილის“ უდიდესი დამსახურება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მან ფართოდ გაუღო კარი საბავშვო ლიტერატურით დაინტერესებულ მწერლებს, რომელთაგანაც ბევრი დასრულებული საბავშვო მწერალი დადგა და დიდი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში (ი. გრიშაშვილი, ი. სიხარულიძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, ცქვიტი (ან. ხახუტაშვილი) და სხვ.).

„ნაკადული“

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, 1904 წელს ცენზურის მიერ „კვალის“ დახურვასთან ერთად დაიხურა „ჯეჯილიც“ და ქართველი მოზარდი თაობა ისევ უჟურნალოდ დარჩა.

თითქმის მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში როგორც მოზარდი თაობა, ისე მისი გონიერი აღმზრდელები იმდენად მიეჩვივნენ საყმაწვილო პერიოდულ გამოცემას, რომ მათთვის მეტად ძნელი იქნებოდა უჟურნალოდ დარჩენა.

ახალი ხანა ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც სრულიად ახალ ამოცანებს აყენებდა კაცობრიობის წინაშე, მოითხოვდა არა ერთ, არამედ რამდენიმე პერიოდულ გამოცემას როგორც მოზარდთა, აგრეთვე მოზრდილთათვის.

ამ შემთხვევაშიც ნორჩ თაობას გაჭირვების ტალკვესად ისევ ქალი მოევლინა: მ ა რ ი ა მ ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ მ ა დ ე მ უ რ ი ა მ მიზნად დაისახა ქართული საბავშვო ჟურნალის დაარსება.

ჩვეული ენერგიით შეუდგა იგი მიზნის განხორციელებას. მარიამმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა თანამგრძნობთა დიდი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ იროდიონ ევდოშვილი, ნინო ბოცვაძე, ეკატერინე ბურჯანაძე, თამარ და ნინო ლომოურები, დარია ახვლედიანი, თამარ ჩიჯავაძე, ივანე მაჭავარიანი, ეკატერინე თაქთაქიშვილი და სხვები, რომელთა უშუალო დახმარებით დამუშავდა ჟურნალის პროგრამის პროექტი.

ჟურნალ „ნაკადულის“ დაარსების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის სოფრომ მგალობლიშვილი: „მარიამი თავისებურად მედგრად შეუდგა საყმაწვილო ჟურნალის დაარსებას. კარი-კარ დადიოდა ქართველ მწერლებთან, კალთებს აგლეჯდა და მოჰყავდა კრებებზე მოსალაპარაკებლად. იშოვა საშუალებაც, კნ. ნინო ელიზბარის ასულმა ქობულაშვილისამ გამომცემლობა იკისრა — დავით ერისთავის ქალიშვილმა რედაქტორობა იკისრა. კნ. ნინო ქობულაშვილის სახლში იმართებოდა კრებები, უფრო ხშირად აკაკის თავმჯდომარეობით.., მოსვენება არ გვქონდა მარიამისაგან, მინამ არ დაარსდა ჟურნალი, რომელსაც კრებამ სახელად „ნაკადული“ უწოდა“[1].

მაგრამ კრების დადგენილება საკმარისი არ იყო ჟურნალის გამოსაცემად. მთავარი იყო ნებართვის მიღება, რომელიც საცენზურო კომიტეტს უნდა გაეცა.

თხოვნა ჟურნალის გამოცემის ნებართვის შესახებ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს წინაშე აღძრა ნინო ქობულაშვილმა, რომელსაც 1904 წლის 3 აგვისტოს პასუხიც მოუვიდა: „ნება ეძლევა კნ. ნინო ელიზბარის ასულ ქობულოვას ქ. თბილისში, წინასწარი ცენ-

---

[1] ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, გვ. 162. ჟურნალის სახელწოდების შერჩევის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ნინო ნაკაშიძემ: „აკაკი ამბობდა „ნამი“ დავარქვათო, ივანე მაჭავარიანს „წყარო“ უნდოდა, სოფრომ მგალობლიშვილი და მარიამ დემურია ამტკიცებდნენ „ნაკადული“ სჯობიანო. ყველამ მხარი დაუჭირა „ნაკადულს“, მით უმეტეს, რომ შმერლინგმა თქვა „ნაკადულის“ დასურათება უფრო ეფექტიანად შეიძლებაო. აკაკიმ ამაზე იოხუნჯა: „ნაკადული“ „ჯეჯილს“ მორწყავს და საუცხოო მოსავალი იქნებაო“ (ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, მოგონებები, 1956, გვ. 15).

ზურის ნებართვით, კნ. ელისაბედ დავითის ასულ ერისთავის და ნაფიცი ვექილის მეუღლის ნინო ნიკოლოზის ასულ ზურაბოვას რედაქტორობით გამოსცეს ქართულ ენაზედ ჟურნალი „ნაკადული“.

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს კანცელარიას, ამავე სამმართველოს ბნ. უფროსის ბრძანებით, აქვს პატივი აცნობოს ამის შესახებ პასუხი კნ. ქობულოვას მიერ წარმოდგენილ თხოვნაზე. ამასთანავე გეგზავნებათ ასლი მოხსენებული ჟურნალის დამტკიცებული პროგრამისა და მოწმობა ორ ცალად ამ გამოცემის დაბეჭდვის უფლების შესახებ“[1].

სარედაქციო კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მარიამ დემურია, გიორგი გეხტმანი, ივანე მაჭავარიანი, ნინო ნაკაშიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ილია აღლაძე და სხვები, გადაწყვიტეს ჟურნალის გამოცემა შემდეგი სისტემით ეწარმოებინათ: თვეში ორჯერ გამოვიდოდა „ნაკადული“, განკუთვნილი მცირეწლოვანთათვის, ხოლო თვეში ერთხელ — მოზრდილთათვის. ჟურნალს ორ თვეში ერთხელ დაერთვოდა „პედაგოგიური ფურცელი“.

მართლაც, 1904 წლის ნოემბერში ორივე ასაკისათვის განკუთვნილი ჟურნალის ნომრები თითქმის ერთსა და იმავე დროს დაურიგდა მკითხველებს, ხოლო დეკემბერში გამოვიდა „ნაკადულის“ „პედაგოგიური ფურცელი“.

ჟურნალის ოფიციალურ რედაქტორად გამოცხადებული იყო ე. ერისთავი და ნ. ზურაბიშვილი, ხოლო გამომცემლად — ნ. ქობულაშვილი.

1906 წლიდან რედაქტორ-გამომცემელთა შემადგენლობა შეიცვალა: ოფიციალურ რედაქტორად გამოცხადდა მარიამ დემურია, ხოლო გამომცემლად — პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

განუზომელია ღვაწლი, რომელიც მარიამ დემურიას მიუძღვის „ნაკადულის“ მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეში. ჯანმრთელობის სისუსტემ ვერ შეანელა ძლიერი მისწრაფება. იგი არ ერიდებოდა შავ მუშაობასაც კი. რასაც საქმაოდ მოითხოვდა თვეში ჟურნალის სამი ნომრის გამოცემა.

მარიამ დემურიას ყველაზე მეტ დროს ართმევდა მასალის შეგროვება. მას სურდა, რომ ჟურნალში მონაწილეობა მიეღოთ საუკეთესო ძალებს და ამიტომ მიწერ-მოწერითა თუ პირადი თხოვნით მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს მწერლებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს. „რასაკვირველია, — წერს ს. მგალობლიშვილი, — როგორც მე

---

1 ორიგინალი რუსულ ენაზე დაცულია ნინო ნაკაშიძის არქივში.

მეხვეწებოდა და მაწერინებდა, ისე კიდევ სხვებს თავზე კაკალს ამტვრევდა, რომ უსათუოდ მიეწოდებინათ მასალა ჟურნალისათვის"[1].


ნაკადული

მარიამ დემურიამ შეძლო „ნაკადულის" გარშემო თავი მოეყარა სახელოვან მწერალთა, პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთათვის. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი, თედო რაზიკაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, კიტა აბაშიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვები შემოიკრიბნენ „ნაკადუ-

[1] ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 163.

ლის“ გარშემო და, სასარგებლო საქმით გატაცებულნი. საერთო ენერგიით შეუდგნენ მოქმედებას.

როგორც სარედაქციო კოლეგია, ასევე თვით ჟურნალის რედაქტორი არ იყო მთლად კმაყოფილი „ნაკადულის“ პროგრამისა, ამიტომ პირველივე წლებში მიზნად დაისახეს მისი გაფართოება. მათ ამის შესახებ ხელისმომწერთა საყურადღებოდ 1906 წელს ოფიციალური ცნობაც კი გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვამი იყო: „1907 წლიდან რედაქცია შეეცდება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ შინაარსის გაფართოვებას. წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებით, ე. ი. 39 წიგნისა, რჩება ისევ 5 მანეთი“[1].

„ნაკადულის“ რედაქცია კარგად გრძნობდა, რომ ჟურნალის პროგრამის გაფართოებას გაფართოებული ხარჯები ესაჭიროებოდა. ხელისმომწერლებზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა, რადგან მათი რიცხვი არცთუ დიდი იყო. ღარიბებს არ ჰქონდათ ჟურნალის გამოწერის შესაძლებლობა, ხოლო ზოგიერთი მდიდარი არისტოკრატი შეგნებულად ამბობდა უარს ჟურნალის გამოწერაზე. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი მოგონება, რომელიც ნინო ნაკაშიძემ დაგვიტოვა: „ერთ-ერთი უანგარო მოღვაწე, პატრიოტი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული წიგნების გავრცელების საქმით, გახლდათ „ნაკადულის“ თანამშრომელი კონსტანტინე ოდიშარია. ბაქოში სამსახურის დროს ის მისულა ერთ ქართველ ნავთის მრეწველთან, მიუტანია „ნაკადულის“ განცხადებები და ბარათები და უთხოვია გამოეწერა თავის ბავშვებისათვის ეს ჟურნალი.

— არა, — უთხრა მრეწველმა, — ჩემი ბავშვებისათვის მე სხვა საბავშვო ჟურნალებს ვიწერ.

— როგორ, თქვენ ქართველი მრეწველი, ისედაც უნდა ეხმარებოდეთ მატერიალურად ჟურნალს, რომელიც ქველმოქმედების შემწეობით არსებობს და თქვენ გამოწერაც არ გნებავთ? იცით, თუ არა, რომ დიდად შემცდარი ხართ? თქვენი მხრით დიდი დანაშაულია. ბავშვებს რომ ქართულს არ ასწავლით.

— გთხოვთ, ჰკუას ნუ მასწავლით, — უთხრა მრეწველმა.

— კი უნდა გასწავლოთ ჰკუა, თუ თქვენ თითონ არა ხართ აჰას მიხვედრილი.

— მე კიდევ გთხოვთ, დამტოვოთ.

— არა, ბატონო, ვერ დაგტოვებთ, სანამ არ გამოიწერთ...

---

[1] „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის, 1906 წ. № 24, გვ. 29.

— როგორ თუ ვერ დამტოვებთ? გთხოვთ ეხლავე მიბრძანდეთ აქედან, სხვა საქმეები მაქვს.

— არა, ჯერ მითხარით, გამოიწერთ თუ არა?

მრეწველმა უცებ წამოავლო ხელი მარმარილოს პრესპაპიეს, წამოვარდა ადგილიდან და.... გამოიქცა ჩემსკენ. მაშინ კი ვიკადრე გამოქცევა"[1]. ჟურნალის ფასიც იმდენად დაბალი იყო, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა თითოეულ ნომერზე გაწეული ხარჯების მესამედსაც კი. რაც შეეხება გამომცემელ პ. თუმანიშვილს, თუმცა იგი საკმაო სიმდიდრის პატრონი იყო, მაგრამ მთელი ხარჯების მასზე დაკისრება ერთგვარ უხერხულობას იწვევდა. ამიტომ რედაქციამ გადაწყვიტა დახმარებისათვის ისეთი პიროვნებისათვის მიემართა, რომელსაც, გარდა მატერიალური შესაძლებლობისა, ქველმოქმედი ადამიანის ბუნებაც ექნებოდა. ასეთ პირად რედაქციამ ცნო იაკობ, კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელსაც ქართველმა ინტელიგენციამ რედაქციის დავალებით საკმაოდ ვრცელი და გულწრფელი წერილი გაუგზავნა.

ეს წერილი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც მოწმობს ქართველი მოწინავე საზოგადოების ზრუნვას ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის გასავითარებლად და მკაფიოდ გამოხატავს რედაქციის აზრს ჟურნალის მნიშვნელობის შესახებ; ამიტომ მკითხველს მას მთლიანად გავაცნობთ.

„ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ! გვაპატიეთ, მაგრამ გარემოება გვაიძულებს შეგაწუხოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თხოვნით.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ თანაგრძნობას იჩენთ თქვენ ყოველი ქართული კარგი წამოწყებისადმი და ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს თხოვნასაც უყურადღებოდ არ დასტოვებთ.

თქვენ არ საჭიროებთ იმის ახსნას, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი ქართველი ხალხისათვის ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ დღეს ქართულ ოჯახს დიდი ბრძოლა უხდება მრავალ დაბრკოლებათა გადასალახავათ, რათა სწავლა-აღზრდის საქმე ეროვნულ ნიადაგზე დააყენოს. აი ეს გარემოება გვაიძულებს, რომ დავეხმაროთ ქართველ ოჯახს და მძიმე შრომა შევუმსუბუქოთ. ამ საქმეში კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან კარგ საბავშვო ჟურნალს. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს მოღვაწეებს და ამიტომ არა ერთხელ უცდიათ დაეარსებინათ ქარ-

---

[1] ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, გვ. 17—18.

თული საბავშვო ჟურნალი, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებდა ქართული ოჯახისა და სკოლის მოთხოვნილებას.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ჩვენში გამოჩნდა ასეთი ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც სავსებით დაკმაყოფილებლად ასრულებს თავის დანიშნულებას და რომელიც დღითიდღე უკეთესდება.

მხოლოდ სამი წელიწადია, რაც ჟურნალი გამოდის და რედაქციამ უკვე გაამდიდრა ქართული საბავშვო ლიტერატურა რამოდენიმე მშვენივრად ნათარგმნი და გამოცემული კლასიკური ევროპული საბავშვო ნაწარმოებებით. ვფიქრობთ, რომ მომავალში ეს ჟურნალი არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპულ საბავშვო საუკეთესო ჟურნალებს, თუ, რასაკვირველია, ჩვენ ყველანი დავეხმარებით და მხარში ამოვუდგებით მის ხელმძღვანელებს.

ქართული ჟურნალები და გაზეთები, სამწუხაროდ დიდი რაოდენობით ვერ ვრცელდება და ამიტომ ვერ ანაზღაურებს ხარჯებს. და მითუმეტეს საბავშვო ჟურნალი ვერ აინაზღაურებს ხარჯს თანამედროვე პირობებში. ამავე დროს ჟურნალი იაფი ღირს, რათა ღარიბ ოჯახებსაც საშუალება მიეცეთ ამ ჟურნალით სარგებლობისა. ჩვენ ვიცით, რომ „ნაკადულის“ ხახსრები მეტად მცირეა, რაც ხელს უშლის მის გაუმჯობესებას. ვიმეორებთ, რომ ქართველი საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებს ამ ჟურნალზე და მეტად სამწუხარო იქნება, რომ მასაც იგივე ბედი ეწვიოს, რაც წინანდელ საბავშვო ჟურნალებს.

აი ეს გარემოება გვაიძულებს, მოგმართოთ თქვენ, ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ, და გთხოვთ, რომ ამ სასარგებლო კარგ საქმეს მფარველობა გაუწიოთ...

თქვენი დახმარება... იხსნის ჟურნალს გაჭირვებიდან, რითაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევთ თქვენს საყვარელ სამშობლოს.

კნ. თამარ დავითის ას. გრუზინსკაია, კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, კნ. ელისაბედ ირაკლის ას. ჯამბაკურ-ორბელიანი, კნ. ბარბარე მიხეილის ასული ამირეჯიბი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, ილია ივანეს ძე ცინცაძე“[1].

წერილი ამდენად გულთბილი და სერიოზული ტონით არის დაწერილი, რომ მას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ზუბალაშვილზე. მან მართლაც საგრძნობი დახმარება გაუწია ახლად ფეხადგმულ ჟურნალს და მისი გამომცემლობის საქმე მატერიალური მხრივ საკმაოდ მკვიდრ ნიადაგზე დააყენა.

საუკეთესო თანამშრომლების შერჩევამ, სარედაქციო კოლეგი-

---

[1] წერილის დედანი რუსულ ენაზე დაცულია ნ. ნაკაშიძის არქივში.

ის ჩინებულმა შემადგენლობამ და ღონიერმა მატერიალურმა სახსრებმა ჟურნალის მდგომარეობა არსებითად შეცვალა. „ნაკადულის“ ნომრებს დღითიდღე გაუმჯობესება დაეტყო და თანდათანობით ნამდვილი პერიოდული გამოცემის სახე მიიღო, რაც ვერ მოახერხეს მანამდე არსებულმა საბავშვო ჟურნალებმა.

ჟურნალმა „ნაკადულმა“, — წერს ნ. ნაკაშიძე, — პირველი ნომრიდანვე მიიზიდა მწერლები. ვერ ნახავდით მწერალს, რომ საპატიო საქმედ არ მიეჩნია თანამშრომლობა და წერა ჩვენ ჟურნალში. ამის გარდა ჟურნალი ჰონორარსაც იძლეოდა, თუმცა ცოტას, მაგრამ შეიძლება ესეც იყო წერის ერთ-ერთი სტიმული. რედაქცია ცდილობდა ჟურნალი მხატვრულადაც გაეფორმებინა და თავიდანვე მოწვეულ იქნა მხატვარი ო. შმერლინგი, რომელიც აფორმებდა ყოველ ნომერს“[1]. ოტო შმერლინგმა მართლაც დიდი სამსახური გაუწია ჟურნალს. მის მიერ შესრულებული მხატვრობა დღესაც მისაბაძად უნდა ჩაითვალოს.

როგორც მცირეწლოვანთა, აგრეთვე მოზრდილთა ნომრები სხვადასხვა განყოფილებებს შეიცავდა.

მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ „ნაკადულში“ იბეჭდებოდა:

1. ლექსები;
2. მოთხრობები;
3. ზღაპრები და კომედიები;
4. გეოგრაფიული ცნობები;
5. გამოცანები, ანდაზები, გამოცანები, შარადები და რებუსები.

მოზრდილთათვის კი იბეჭდებოდა:

1. ლექსები;
2. მოთხრობები;
3. ბიოგრაფიები;
4. ისტორიული და ეთნოგრაფიული ამბები;
5. სამეცნიერო წერილები (ფიზიკა, ქიმია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ფიზიოლოგია);
6. გეოგრაფიული ცნობები;
7. ნეკროლოგები;
8. ზღაპრები;
9. ნარევი, პიესები;
10. ნარკვევი;

---

[1] ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, გვ. 31.

11. გასართობები, ამოცანები, გამოცანები, შარადები და რებუსები.

რედაქციას და ქართველ ინტელიგენციას არ აკმაყოფილებდა ის გარემოება, რომ მოზარდ თაობას „ნაკადული“ მხოლოდ სახლში საკითხავად ეძლეოდა. მათ მოინდომეს ამ ჟურნალის შეტანა სკოლებში სახმარებლადაც და ამ მიზნით „ნაკადულის“ გამომცემლის პ. თუმანიშვილის მიერ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან თხოვნა იქნა შეტანილი. პ. თუმანიშვილი მოითხოვდა, რომ გადაესინჯათ „ნაკადულის“ გასული წლის ნომრები და ნება დაერთოთ, რომ გამოეყენებინათ ისინი სკოლებში სამუშაო-საკითხავ მასალად.

სასწავლო ოლქის მზრუნველმა მასთან არსებული საბჭოს თანხლებით გადაათვალიერა „ნაკადულის“ ნომრები და მათში აღმოჩენილ „მრავალ ნაკლოვანებათა“ გამო პ. თუმანიშვილს უარით უპასუხა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი მაინც არ დაცხრა და 1908 წლის 19 აპრილს პ. თუმანიშვილის ხელმოწერით კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ახალი თხოვნა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოს ხელმეორედ საფუძვლიანად გადაესინჯა „ნაკადულის“ ნომრები და ნება დაერთოთ სკოლებში მათი გამოყენებისა.

საყურადღებოა, რომ მზრუნველმა არათუ ხელმეორედ გადასინჯა ჟურნალის ნომრები, დროულად პასუხიც კი არ აღირსა და მხოლოდ 7 თვის შემდეგ ასეთი ხასიათის ოფიციალური მიწერილობა გაუგზავნა რედაქციას:

„თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, თავად პაველ იოსების ძე თუმანოვს!

თქვენს თხოვნაზე ამა წლის 19 აპრილის თარიღით, მაქვს პატივი გაუწყოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ „ნაკადულის“ ხელმეორედ გადასინჯვა შესაძლებელია ჩემთან მყოფი საბჭოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდეგ ნომერში 1909 წლისა აცილებული იქნება საბჭოს მიერ მითითებული ნაკლოვანებები“[1].

საინტერესოა, რა ხასიათისა იყო ის „ნაკლოვანებანი“, რომელთა თავიდან აცილებასაც მოითხოვდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი?

მზრუნველს უპირველეს ყოვლისა არ მოსწონდა ის გარემოება, რომ „ნაკადული“ მოზარდ თაობაში საკმაო სიძლიერით აღვიძებდა

[1] დედანი რუსულ ენაზე ინახება ნ. ნაკაშიძის არქივში.

და ავითარებდა პატრიოტულ გრძნობას, არ მოსწონდა აგრეთვე თანამედროვე ცხოვრების სურათების ნათელი და რეალური ასახვა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევდა კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა არსებული წყობა და მისდამი ზიზღით განწყობილიყო.

ვინაიდან რედაქციამ თავიდან კი არ აიცილა ეს „ნაკლოვანებანი", არამედ შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა ისინი, სასწავლო ოლქის მზრუნველმა, მიუხედავად მრავალგზისი თხოვნისა, სკოლებში ჟურნალის სახმარად შეტანაზე ყოველთვის ცივი უარით უპასუხა.

1910 წელს გარდაიცვალა „ნაკადულის" სულისჩამდგმელი და საბავშვო ლიტერატურის დიდი მოამაგე მარიამ დემურია. მისმა უდროო და მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დასცა ქართველ საზოგადოებას. ან კი შეიძლებოდა გულგრილად შეხვედროდნენ იმ ადამიანის დაკარგვას, რომელიც კარზე მომდგარ სიკვდილის აჩრდილს თვალებში უმზერდა და ნაცვლად თავის თავზე ზრუნვისა მთელი არსებით ისევ სახალხო საქმეს დასტრიალებდა?!

„ვხედავ ვკვდები, — ამბობდა იგი, — მაგრამ სიკვდილს არ დავეძებ, ოღონდ „ნაკადულის" და სახალხო თეატრის[1] საქმე მოვაწყო კარგად, ჩემი შვილების სწავლა უზრუნველვჰყო"[2].

მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ „ნაკადულის" რედაქტორობა ნინო ნაკაშიძემ იკისრა, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ჟურნალს და, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, იგი ოქტომბრის რევოლუციამდე მოიტანა.

ნინო ნაკაშიძის რედაქტორობის პერიოდში სარედაქციო კოლეგიის სხდომებმა უფრო ხშირი ხასიათი მიიღო. კოლეგია, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბებოდა, იხილავდა რედაქციაში შემოსულ ყველა მასალას და აგრეთვე იმ საკითხებს, რომლებიც ჟურნალის გამოცემასთან იყო დაკავშირებული.

მატერიალური სახსრების მხრივ „ნაკადული" „ჯეჯილთან" შედარებით იმდენად უკეთ იყო უზრუნველყოფილი, რომ ამ თვალსაზრისით მათი დაპირისპირება ზედმეტად მიგვაჩნია. მაგრამ „ნაკადულმა" მაინც იგემა მენშევიკური მთავრობის ბატონობის სუსხი. განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა რედაქციას მუშაობა 1919 წელს. ამ წელს მცირეწლოვანთათვის ოცდაოთხი ნომრის მაგიერ გა-

---

[1] მ. დემურიას დიდი წვლილი მიუძღვის ავჭალის სახლის აუდიტორიისა და ავჭალის სახალხო თეატრის მოწყობის საქმეში.

[2] „ნაკადული" მოზრდილთათვის, 1910 წ. № 2, გვ. 12.

მოვიდა თორმეტი ნომერი, ხოლო მოზრდილთა თორმეტი ნომრის ნაცვლად — ექვსი.

ამ კატასტროფულ მდგომარეობას „ნაკადულის“ რედაქცია შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: „საშინელი სიძვირე, ქაღალდის შოვნის შეუძლებლობა, მოუწყობლობა სტამბების საქმისა... და კიდევ ბევრი სხვა, რედაქციაზე სრულიად დამოუკიდებელი გარემოება ხელს უშლიდა ჟურნალის წესიერ გამოსვლას და, რასაკვირველია, რედაქციას ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ გაეფართოვებინა და გაეუმჯობესებინა ჟურნალი, რაც ასე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბავშვო გამოცემისათვის“.

მართალია, რედაქცია ჰპირდებოდა მკითხველს, რომ მომავალი წლიდან ჟურნალის პროგრამას შესამჩნევად გააფართოებდა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მან ეს ვერ მოახერხა.

ჟურნალმა „ნაკადულმა“, რომელიც განკუთვნილი იყო მოზრდილთათვის, იარსება 1904 წლის ნოემბრიდან 1920 წლის მაისამდე, ხოლო მცირეწლოვანთათვის — 1904 წლის ნოემბრიდან 1927 წლის დეკემბრის ჩათვლით. 1928 წლიდან „ნაკადული“ „ოქტომბრელად“ გადაკეთდა. რაც შეეხება მის დამატებას — „პედაგოგიურ ფურცელს“, იგი გამოდიოდა 1904—1906 წლებში; 1904 წელს გამოვიდა პირველი ნომერი, 1905 წელს II, III, IV, V და VI ნომრები, ხოლო 1906 წელს — მხოლოდ ერთი ნომერი.

„ნაკადულის პედაგოგიური ფურცელი“ არსებითად მეორე ქართულ პედაგოგიურ ჟურნალს წარმოადგენდა, რომელმაც, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებისა და ქართველი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

ასეთი იყო ზოგად ხაზებში „ნაკადულის“ მიერ განვლილი გზა.

რა მიზანს ისახავდა ჟურნალი „ნაკადული“ და რამდენად შეძლო ამ მიზნის განხორციელება?

უნდა აღინიშნოს, რომ რედაქციამ თავისი მიზანი ოფიციალურად არ აუწყა საზოგადოებას, მაგრამ იგი საკმაო სიცხადით გამოიკვეთა „პედაგოგიურ ფურცელში“ დაბეჭდილ შ. ჩიტაძის, გ. ნათაძის, პ. სურგულაძისა და სხვათა წერილებში.

მეტად საინტერესო, მღელვარე და თავისებური იყო ის პერიოდი, როდესაც „ნაკადულმა“ დაიწყო გამოსვლა. ეს ის დრო იყო, როდესაც თავი იჩინა გამძაფრებულმა წინააღმდეგობამ კლასთა შორის. რევოლუციური მოძრაობა მთელ ამიერკავკასიას მოედო, ძახ აამოძრავა საზოგადოების ფართო მასები და მძლავრად შეარყია უკვე

დრომოჭმული, დახავსებული ბურჯები რუსეთის თვითმპყრობელობისა. მოახლოვდა ხანა ახალი ცხოვრების დასაწყისისა, ამოქმედებულმა პროლეტარიატმა და საზოგადოების ფართო მასებმა მთელი არსებით შეიგრძნეს, რომ

უკვე ადგა ქარიშხალი
და გრიალებს კიდით-კიდე,
რომ ცას პირზე შეახიოს
სუდარა და შავი რიდე.
უკვე ადგა ბრაზით სავსე,
მამაცი და ფრთა მედგარი,
რომ განთიადს გადაუხსნას
მიჯაჭვული კლიტით კარი.

ამ პერიოდიდან ლიტერატურული ცხოვრების მთავარი გზა მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის გამახვილების ნიშნით წარიმართა და რევოლუციურ-დემოკრატიულმა მწერლობამ საკმაოდ მკაფიოდ ასახა კლასთა შორის გამძაფრებული ბრძოლის სურათები.

„ნაკადულის“ რედაქციამ იგრძნო ახალი სიოს ქროლა და მძლავრად შეისუნთქა ტყვია-წამლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი. „მძლავრმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ, — აცხადებდა „ნაკადულის პედაგოგიური ფურცელი“, — ჩვენში გაიტაცა სახალხო განათლების საქმეც. ახალთაობის აღზრდამ ჯეროვანი ყურადღება მიიპყრო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ხალხისა.

შემოქმედებით მუშაობას ხალხმა წინ გაუძღვარა ძველი წყობილების უღმობელი კრიტიკა. მას არ დარჩენია საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი მხარე, რომელიც არ აეწონ-დაეწონა, არ გაერჩია და თავის ინტერესებისათვის საუკეთესო მომავლის მიხედვით არ დაეფასებინა“[1].

ამ საუკეთესო მომავლის შექმნისათვის „ნაკადულმა“ მიზნად დაისახა მოზარდი თაობის ჩაბმა აბობოქრებული ცხოვრების ფერხულში. მისი „პოლიტიკურად გათვითცნობიერება ბუნებრივი და უადვილესი გზით“. „პედაგოგიური ფურცლის“ ერთ-ერთი თანამშრომელი, გ. ნათაძე, პირდაპირ აცხადებდა: „... არ გავურბოდეთ პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და არ ვიცავდეთ ამ ვითომდა „გახრწნილებისაგან“ არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს. საჭიროა ისეთი სწავლება, რომელიც ყოველ კითხვაზე, როგორც პოლიტიკურზე, ისე სხვაზე იძლეოდეს პასუხს და ამით აკმაყოფილებდეს მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობისმოყვარე გონებას“[2]. ეს იყო ერთ-

[1] „ნაკადულის პედ. ფურცელი“, 1905 წ. № 5, გვ. 12.
[2] „ნაკადულის პედ. ფურცელი“, 1906 წ. № 6, გვ. 11.

ერთი ძირითადი მიზანი, რომელიც დაისახეს „ნაკადულის“ ირგვლივ შემოკრებილმა ძალებმა.

თანადროული ცხოვრების ასახვა და მისი ნათელი სურათების გადაშლა მკითხველთა წინაშე ჟურნალის მეორე ძირითად მიზნად გადაიქცა. „ადამიანი ცხოვრებისათვის არის გაჩენილი, — წერდა შიო ჩიტაძე. — „სული ტკბილიაო“, ამბობს სიბრძნე და მართალსაც ამბობს. ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ცხოვრება ინსტიქტურად არ უყვარდეს. მარტო იმ მოძღვრებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ჰქადაგებს და ასწავლის ცხოვრებისადმი სიყვარულს; ნათელი, მხიარული მოძღვრება უნდა იყოს აღიარებული ერთად-ერთ სასურველ მოძღვრებად. წიგნმა უნდა შეიყვაროს ცხოვრება, მისი ცუდი მხარეებიც კი, მაგრამ იმოდენა ძალა უნდა ჰქონდეს, რომ მშვენიერით დაჰფაროს ბნელი მხარეები. წიგნმა უნდა შესძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე სამყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობებისა და მისწრაფებებისათვის. ცხოვრების ბნელი მხარეები ვერ შეაშინებენ მოზარდს მომავალში, არ დაუშვებენ ხელებს, არ შეაკვეცენ ფრთებს, რომ ცხოვრება შეჰქმნან უფრო მშვენიერი არა მარტო თავისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის“[1].

მაგრამ „ნაკადულის“ რედაქცია მარტო ამით არ დაკმაყოფილდა. მან მიზნად დაისახა აგრეთვე თავის მკითხველებში აღეძრა და განემტკიცებინა პატრიოტული გრძნობა, გაემდიდრებინა მათი გონება მეცნიერული ცოდნით, ეწარმოებინა მოზარდი თაობის მეცნიერული აღზრდა, გამოემუშავებინა მათში ესთეტიკური გრძნობები, გაეძდიდრებინა ბავშვის მეტყველება ჩვენი კლასიკოსების შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით, ერთი სიტყვით, აღეზარდა ადამიანი, რომელსაც ეჭნებოდა „უნარი ცხოვრებაში მრავლად მოსალოდნელ დაბრკოლებასთან წარმატებით შებრძოლებისა და გამკლავებისა“[2].

„ნაკადულის რედაქციას კარგად ესმოდა, რომ „ძველი წესრიგი აღზრდისა, ჩვენთა „გამდელ-ბებიათა პედაგოგიური ხერხი“ თანამედროვე ეპოქაში გამოუსადეგარი იყო და რომ მოზარდი თაობის წესიერად აღზრდისათვის საჭირო იყო „ცოდნა, მარტო ცოდნა“ ბავშვის ბუნებისა, მისი სულისა, მის განკერძოვებული თვისება ხასიათისა“[3].

ამ მიზნით და ამ თვალსაზრისით შეუდგა „ნაკადული“ მოღვაწეობას.

---

[1] „ნაკადულის პედ. ფურცელი“, 1904 წ. № 1, გვ. 10—11.

[2] იქვე, გვ. 5.

[3] იქვე, გვ. 4.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, „ნაკადულის“ დაბადების თარიღი მუშათა კლასის აბობოქრებულ მოძრაობას დაემთხვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მუშათა ყოფა-ცხოვრების შავბნელი სურათები მკაფიოდ უნდა გამოკვეთილიყო ჟურნალში, რომელმაც მიზნად დაისახა ცხოვრებასთან ახლოს მისვლა და მისი ფსკერიდან მარგალიტთან ერთად ლაფის ამოკრეფა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასის ცხოვრების სურათები გლეხობის ცხოვრების სურათებთან შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. მაგრამ ის, რაც „ნაკადულმა“ მოგვცა, ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან „ნაკადულამდე“ არსებული ქართული საბავშვო ჟურნალები „წყაროს“ გარდა თითქმის სრულებით არ შეხებია ჩვენი ცხოვრების ამ საინტერესო მოვლენას.

აუტანელია მუშათა ცხოვრება. „შავი, ნოტიო და ბინძური ბინა... შავი სამუშაო... შავი პური... შავი შიმშილი... შავი ადამიანები... ცაც კი ხშირად შავად მოჩანს იქიდან, მუდმივი კვამლისა და კოპტისაგან“[1].

და აი ამ ჯოჯოხეთურ პირობებში ათიათასობით მუშა ყოველდღიურად, გათენებიდან თითქმის დაღამებამდე ლუკმაპურისთვის წელში ოთხად მოხრილი, თავაუღებელი პირუტყვული შრომით ჭედს ერთი მუჭა კაპიტალისტების უზრუნველ ცხოვრებას. მუშა ადამიანად არ ითვლება, ქარხნის მეპატრონე მასში კაცურს არაფერს ხედავს. მუშას არა აქვს გრძნობა, არა აქვს გული, არა აქვს ადამიანური მოთხოვნილება. „მუშას ღმერთი არა ჰყავს, მუშის ღმერთი ჯოხია, რანი არიან მუშები? — ძაღლები არიან ისინი“, — ასეთია ქარხნის მეპატრონის ურყევი რწმენა.

მძიმე შრომითა და უმწეო ეკონომიური მდგომარეობით გაძვალტყავებულ პროლეტარიატს ავადმყოფობის უფლებაც კი წართმეული აქვს. ავადმყოფობას სამუშაოს გაცდენა მოსდევს, გაცდენას — შექარხნის ზარალი, ამიტომ ქარხნის ექიმს ნაბრძანები აქვს, არ მისცეს მოწმობა ავადმყოფ მუშას. დავრდომილი მუშის სამუშაოდან დათხოვნა, მისი ულუკმაპუროდ დატოვება, ჯოჯოხეთური შრომის შემდეგ შიმშილით სიკვდილი, რაც არცთუ იშვიათი შემთხვევა იყო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში, მკვეთრად არის ასახული „ნაკადულის“ მიერ.

როგორ უცქერიან ნებიერი ფაბრიკანტის აზიზი ოჯახის წევრები ამ შავბნელ სინამდვილეს? იგი მათში მხოლოდ ზიზღს იწვევს:

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1907 წ. № 10, გვ. 27.

„ფუი. ფუი, აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია, ეს მყრალი მდინარე, რკინის ჩხარაჩხური, ჰვარტლი, ეს შავი, დაღვრემილი, ჰუჰყიანი ხალხი... საშინელებაა... მე აქ ერთი საათიც ვერ გავძლებდი, ყურთა სმენა წაიღო ამ ქვაბების ქშენამ“[1].

აუტანელმა სიღატაკემ და შიმშილით სიკვდილის მოლოდინმა წარმოების პროცესში ჩაითრია ჯერ ისევე ორგანიზმმოუმაგრებელი, სუსტი და ზრდადაუმთავრებელი პროლეტარიატის ბავშვობა. ქარხნის გულშემზარავმა ცხოვრებამ ადრეულად დააკნო ჯერ ისევ კვირტში მყოფი ყვავილი. წარმოების რთული პროცესი დაუსრულებელ სატანჯველად გადაიქცა პატარა მუშისათვის და მისი გონება განუწყვეტელ მძიმე ფიქრებს შეაჩვია. „ეხლა, ამ სიცივეში იქ თუთუნის ბუნი... მყრალი, დაბზული ჰაერი... და ჩემი გამსჭვალული მტკივანი გული... გრძნობდა გულში ტკივილს, მჭვალი ადგა, სული ეხუთებოდა და მზად იყო დაეყვირნა... არა, არ შემიძლიან, არ შემიძლიან იქ წასვლა; მტკივა თავი, მტკივა გული, ვკვდები... მაგრამ ესმოდა მამის ძლიერი სუნთქვა. ხედავდა საცოდავად დაშიშვლებულ და-ძმას და ავიწყდებოდა თავისი საკუთარი ტანჯვა-ტკივილი“[2].

პატარა ბავშვები, დასნეულებულნი მძიმე სამუშაო პირობებით და ცუდი კვებით, უანგარიშოდ იხოცებოდნენ, უდროოდ ეცლებოდნენ წუთისოფელს. ეს შემაძრწუნებელი გარემოება მკაფიოდ შენიშნა „ნაკადულმა“ და მკითხველის თვალწინ გადაიშალა როგორც ცხოვრების ერთ-ერთი შავბნელი სურათი.

მუშათა კლასი დრტვინავდა, ღელავდა, ბობოქრობდა, ეძებდა გამოსავალს ამ არაადამიანური მდგომარეობიდან და შვებას იმაში პოვებდა, რომ ამტვრევდა, ცეცხლს უჩენდა, სპობდა და ანადგურებდა კაპიტალისტის ქონებას და სიამოვნებით შესცქეროდა ალმოდებულ ქარხნის შენობას. რომლის კედლებიც გულშემზარავი გრიალით წვებოდნენ. „შავი ქალაქის მცხოვრებნი წრესავით შემორტყმოდნენ ცეცხლს გარშემო და გულზედ ხელებ დაკრებილნი შესცქეროდნენ გავარვარებულ ქარხანას. აქეთ იქიდან ხალხი კიდევ მორბოდა, მუშებს შემურულ სახეს არავითარი მღელვარება არ ეტყობოდა“[3].

მუშათა შეგნებული ნაწილი, რომელიც დანარჩენ ამხანაგებს მეთაურობდა და მოუწოდებდა მათ ადამიანური ცხოვრების შესაქმნელად ბრძოლისაკენ, ქარხნის მეპატრონეებისა და ხელისუფლებისაგან ყველაზედ მეტ დევნას განიცდიდა. საკმარისი იყო მცირეოდენი მი-

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1906 წ. № 7, გვ. 21.
[2] იქვე, 1907 წ. № 11, გვ. 19.
[3] იქვე, 1911 წ. № 5, გვ. 38.

ზეზი, რომ მათთვის ქარხნის კარები სამუდამოდ დაეკეტათ. კაპიტალისტი მათში ხედავდა იმ მესაფლავეს, რომელსაც, ძიუხედავად დაძაბული შრომისა და მუდმივი შიმშილისა, იმდენი ენერგია კიდევ შერჩენოდა, რომ დაკორძებული ხელებით ნიშანდობლივ მოეხაზა ბურჟუაზიის სამარე.

ამას მშვენივრად გრძნობდა ახალი სიოს ქროლით დამფრთხალი ბურჟუაზია და ყოველ ღონეს ხმარობდა მათ გასანადგურებლად: „მე იმათ (მუშებს — ი. ბ.) ისე მოვექცევი, როგორც ისინი მექცევიან, ვიმოქმედებ მათ წინააღმდეგ ყოველივე იარაღით, რაც კი მომხვდება ხელში“[1], — აცხადებდა იგი და ასრულებდა კიდეც დანაპირებს: დაჯარიმება, დათხოვნა, ცემა და დაპატიმრება წარმოადგენდა იმ მეთოდებს, რომლებიც ფართოდ იყო გამოყენებული „ურჩი“ მუშების მოსათვინიერებლად.

მაგრამ ამაო გამოდგა ყოველგვარი ღონისძიება, პროლეტარიატის შეგნებაში მძლავრად გაიდგა ფესვი ადამიანური ცხოვრების მოთხოვნილებამ. მშრომელი კლასის კანონიერმა მოთხოვნილებამ და ბურჟუაზიის უკანონო მოქმედებამ გაამწვავა დამოკიდებულება მწარმოებელ და მრეწველ კლასებს შორის, გაძლიერდა პროტესტის გრძნობა ქარხნების შავი კვამლითა და უნუგეშო ცხოვრებით დანისლულ მუშების მღელვარე გულში.

იფეთქა გულში ცხოვრების ძალამ,
სახეს მოშორდა დარდის ღრუბელი,
იხარეთ მთანო, მოგიძღვნით სალამს
თავისუფლების მახარობელი.

და თავისუფლების მახარობლებმა ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად გაფიცვა და დემონსტრაცია გამოაცხადეს.

ქუჩებს მოედო მღელვარე ტალღა მუშათა ლეგიონებისა, დადუმდა ქარხნის დაუდგრომელი საყვირი, მაგრამ სამაგიეროდ აკაკანდა ტყვიამფრქვევი, იელვა კაზაკის ხმალმა, სისხლით მოირწყო ქვაფენილები, გაიჭედა საპატიმროები გაფიცული მუშებით, საფრთხობელებივით აღიმართა სახრჩობელები, დაიწყო ხვრეტა უდანაშაულო ადამიანებისა, რომელთაც დანაშაულად ჩაეთვალათ ადამიანის უფლებებში აღდგენის სურვილი.

ასეთი იყო „ნაკადულის“ მიერ მკითხველის თვალწინ გადაშლილი სურათი, რომელიც მოზარდ თაობაში იწვევდა ზიზღსა და სიძულვილს ბურჟუაზიისა და მეფის ხელისუფლების მიმართ, ხოლო სიბ-

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1907 წ. № 5, გვ. 38.

რალულსა და თანაგრძნობას მშრომელი კლასისადმი. ეს სურათები მკითხველის გულში ბრძოლის ნაპერწკალს აღვივებდა.

ამ გრძნობის გაძლიერების მიზნით „ნაკადული“ ბეჭდავს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია მკითხველთა თანატოლი გიმნაზიელი მოსწავლეების სერიოზული გაფიცვა არსებული ხელისუფლების უმსგავსო მოქმედების დასათრგუნავად.

მოძრაობის ძლიერმა ტალღამ მოწაფეებიც გაიტაცა, მათშიც იჩინა თავი ახალი ცხოვრების ძიების სურვილმა და აი „მესამე გაკვეთილის შემდეგ მოწაფეებმა თავი მოიყარეს დიდ სააქტო დარბაზში....

— ამხანაგებო, — დაიწყო სანდრომ, — ხომ ჰხედავთ ჩვენს გარშემო რა ამბავია. გუშინ წინ ბევრი ჩვენთაგანი თვით იყო მოწმე მთავრობის ველურ მოქმედებისა; ნახეთ როგორ სთელეს და ქლიტეს ჩვენი ამხანაგი მუშები, რამდენიმე მათრახი ზოგ ჩვენთაგანსაც უთავაზეს. ამჟამად ყველა, ცოტაოდნად შეგნებული ადამიანიც კი, თავის მდგომარეობის გაუმჯობესებასა ჰფიქრობს, მაშ საშუალო სკოლის მოწაფეები რაღად უნდა შევეგებოთ ასე გულგრილად მოძრაობას. ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა მთავრობას ზიზღი გამოვუცხადოთ, სწავლა შევწყვიტოთ და ამით სრული თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ამხანაგ მუშებს.

— გავიფიცოთ, გავიფიცოთ, ახლავე სწავლას თავი დავანებოთ“[1], — ერთხმად აცხადებენ მოსწავლენი და ისინიც იფიცებიან, სკოლებს ტოვებენ, აწყობენ ფარულ კრებებს და დღის წესრიგში აყენებენ იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებითაც დამძიმებული იყო ცხრაასხუთიანი წლების საზოგადოებრივი აზროვნება.

ბურჟუაზია გრძნობდა, რომ ახლოვდებოდა ჟამი, როდესაც პროლეტარიატს საბოლოოდ უნდა გადმოეყირავებინა იგი ოქროს ტახტიდან. უკანასკნელი დღეების მოახლოება მით უფრო ნათელი შეიქნა ბურჟუაზიისათვის, როდესაც მის საკუთარ ოჯახში იჩინა თავი გახეთქილებამ. მამები ძველ, ექსპლოატატორულ პოზიციებზე დარჩნენ, ხოლო შვილებმა, შეიგნეს რა მომავალი ცხოვრების ბრწყინვალე იდეალები, ბრძოლა გამოუცხადეს მათ. ეს გარემოება ნათლად აუხსნა ერთ-ერთმა ვექილმა ქარხნის მეპატრონეს: „თვალსაჩინო სოციალური ბრძოლა იწყება, ჩემო კარგო... ოჯახი პირველი ბუდეა ახალი აზრისა. შენ ფიქრობ, რომ შენი ქალი შენზე გულკეთილია? ადვილი შესაძლებელია, რომ ის შენზე შორსმჭვრეტელი და შენზე სამართლიანიც იყვეს. შენ მეცხრამეტე საუკუნის შვილი ხარ და მეცხრამეტე საუკუნეს ანხორციელებ შენში, ის კი მეოცე საუკუნეს —

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1906 წ. № 8, გვ. 6.

ერთი მეორის წინააღმდეგ შეიარაღებულს. ამასთანავე შენი ქალის სახელი ხომ „ალბაა“ (განთიადი), შენ მაგას წინასწარმეტყველური სახელი უწოდე, ჩემო ძვირფასო. მაშ მოემზადე საბრძოლველად და ინუგეშე თავი იმ აზრით, რომ ათას სხვა ოჯახებშიაც იგივე მოხდება, რაც შენსაში; ამასთანავე შეურიგდი ამ აზრს, რომ გამარჯვება ჩვენ შვილებს დარჩება, ლელოს ისინი გაიტანენ“[1].

როგორც ცნობილია, მუშათა და მოსწავლეთა გაფიცვები მარცხით დამთავრდა; რეაქციის ურჩხულმა კლანჭი გამოშალა და ნესტიან ჯურღმულებში გამოამწყვდია ახალი ცხოვრების წინამორბედი ახალი აზრი.

ჟურნალმა „ნაკადულმა“ ეს შავბნელი დღეებიც აღნიშნა და დაანახვა მკითხველს, რომ

ერთობა და თანასწორობა,
გულით ძმობა, სიყვარული,
ყველა ერთად ჯერჯერობით
ციხეშია დამწყვდეული.
მშიერ-მწყურვალს, შიშველ-ტიტველს,
ინახავენ, როგორც მხეცსა,
განსაცდელსა და სატანჯველს
უმზადებენ მრავალ კეცსა[2].

მიუხედავად ამისა, ჟურნალმა მკითხველს იმედი არ დაუკარგა. მან ნათლად დაგვანახვა, რომ პროლეტარიატი მაინც არ შედრკა და სატუსაღოს ბნელ ჯურღმულებში განაწამები ღრმად იყო დარწმუნებული უკეთეს მერმისში. იგი მოელოდა წამს,

როდესაც მონა გასწყვეტავს ჯაჭვებს
და ბედნიერი, თავისუფალი,
ღაუბრუნდება სამშობლოს და ძმებს[3].

ეს წამიც დღითიდღე ახლოვდებოდა, შეუპოვარ ბრძოლებში იწრთობოდა ფოლადი“ და სისხლიანი სტრიქონებით იწერებოდა მუშათა კლასის განთავისუფლების დიდი ქარტია.

მთელი რიგი ნაწარმოებებიდან („ნავთის სამეფოში“, „ცეცხლი ნავთის ქარხანაში“, „სამუშაოზე“, „ფიქრობდა მომავალზე“, „წითელი მიხაკი“, „პირველი გაფიცვა“, „კმარა მოთმენა“, „პატიმარი“, „სიმღერა“, „აღდგომის განთიადი“ და სხვ.), რომლებიც „ნაკადულში“ დაიბეჭდა, მკითხველს ერთი გარკვეული დასკვნა გამოჰქონდა:

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1908 წ. № 8, გვ. 28.
[2] იქვე, 1907 წ. № 4, გვ. 3.
[3] იქვე, 1908 წ. № 3, გვ. 4.

კაპიტალიზმი სოციალური წყობის ის მახინჯი ფორმაა, რომელსაც ჰხარს უჭერს და ამაგრებს თვითმპყრობელობა, ორივე ერთად კი წურბელასავით მოჰკიდებია მშრომელ მასებს და სისხლის უკანასკნელ წვეთს სწოვენ, ამიტომ კაცობრიობის საბედნიეროდ მათი სრული მოსპობა გადაუდებელი ამოცანაა.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ცარიზმის და მწვავე რეაქციის პერიოდში მოზარდ თაობაში ამგვარი პროგრესული აზრების ქადაგება ჟურნალ „ნაკადულს" და მის სარედაქციო კოლეგიას გმირულ თავდადებად უნდა ჩაეთვალოს.

მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლების პარალელურად „ნაკადულმა" განსაკუთრებული ყურადღება სოფელს და მის დაბეჩავებულ გლეხობასაც მიაქცია და მკითხველის თვალწინ საკმაოდ ნათლად დახატა ფარაჯაშემოხეული გლეხის ტანჯული სახე, მისი წარსული, აწმყო და მომავლის იმედით აჩქროლებული გული.

„ნაკადულის" რედაქცია ხედავდა, რომ „ქალაქელი ბავშვისათვის და მეტადრე მაღალი წოდების ბავშვისთვის, რომელიც იშვიათად ჩამოდის მაღალი სართულებიანი სახლიდან და როდესაც ჩამოდის მაშინაც მხოლოდ გატკეცილ ქვაფენილებზე დაბრძანდება და მხოლოდ უპირველეს ქუჩებს, მდიდრულ სახლებს ხედავს. სოფლის ქოხ-მახი, უსწორმასწორო ტალახიანი გზები, მცხოვრებნი დაფხრეწილი ტანსაცმელით, ფეხშიშველი, ნახევრად ტიტველი ბავშვები, რაღაც საზღაპრო გაოცებას იწვევდა" ამ წრის ბავშვებში. რათა დაერწმუნებინა მოზარდი თაობა, რომ ეს ზღაპრული საოცრება კი არ არის, არამედ მწარე სინამდვილეა, ყოველდღიური და ჩვეულებრივი მოვლენაა, ჟურნალმა ამიტომ გადაშალა მკითხველთა წინაშე მრავალი სურათი სოფლის ცხოვრებიდან.

„ბნელი მიწური, დაბალი ჭერი. პატარა ფანჯრები, შეხუთული ჰაერი.

აქ დავიბადე.

ხის აკვანი, გასართობი ღვინჭილა, დედის ნანა.

ასე აღვიზარდე.

ოთხზე ჩოჩვა. გულ-ამოსკვნილი ტირილი. დედის კალთა. მაყვალზე სირბილი.

ასე ყრმად ვიქეც.

ღამის მეხრეობა. ოროველა გუთანზე. ურმულის ღიღინი, ნაძგლის ტრიალი, ყურძნის წურვა.

ასე დავვაჟკაცდი.

ჯვრის წერა. ოჯახის გამრავლება. მიწის სიმცირე. აუტანელი სიღარიბე.

ასე ვცან ცხოვრება“[1].

აი ქართველი გლეხის ცხოვრების დახვეწილი სურათი და კაეშნიანი კვნესა, რაც წითელ ზოლად გასდევს „ნაკადულის“ ნომრებში დაბეჭდილ გლეხობის ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებს.

დაღონებული და ილაჯგაწყვეტილი გლეხი ოთხფეხივით ჩაჰბღუის შავ მიწას.

მუშაობს, ოფლი ჩამოსდის,
ცისთვის ვერ შეუხედნია.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დაძაბული შრომისა, მის ქონებას შეადგენს „ერთი საცოდავი ქოხი, ერთი ტახტი, სამფეხა, სკამი, ცხვირმოტეხილი სურა, რამოდენიმე ჯამი და ბზის კოვზი... ერთი დაგლეჯილი საბანი და ლეიბი“. ეს არის გლეხის ოჯახის მთელი ავლადიდება, მას არა აქვს ადამიანური ცხოვრების ელემენტარული პირობები. გლეხი ის მეწველი ფურია, რომელსაც შეგიძლია გამოსწოვო არსებობის უკანასკნელი სახსარიც კი, მაგრამ არ მოკვდება, რადგან „ამტანია და გაჭირვებას შეჩვეულია“.

ამ მუდმივმა გაჭირვებამ დაასევდიანა გლეხი, უდროოდ გააჭაღარავა მისი წვერ-ულვაში. „თუ კარგად ჩაუკვირდებით მის სახის ყოველ ძარღვს, მის ჩაცივნულს ჯერ კიდევ წყლიან თვალებს, ადვილად შეამჩნევდით, რომ მას თვალწინ ეხატებოდა მრავალი სხვა და სხვა ზომის მწარე და უსიამოვნო სურათი წარსულ ცხოვრებისა“[2].

დარდმა და მწუხარებამ მოიცვა პატარა გლეხის ბავშვიც, რომელიც მკაცრი ცხოვრების მოთხოვნით უდროოდ ჩაება მძიმე შრომის ფერხულში. მის „პატარა სახეზე იგივე გამომეტყველება, იგივე ხაღველი, იგივე დაკვირვება და ზრუნვა ეწერა... მის არსებაში ცხოვრებას უდროოდ ჩაეკლა ბავშვური გრძნობანი, ბავშვური სიცელქე, ბავშვური ინსტიქტები, ის გაზრდილიყო, უდროოდ დავაჟკაცებულიყო“[3].

რა არის გლეხის ასეთი სიდუხჭირის მიზეზი? ნუთუ მას არ შეუძლიან თავისი შრომით დაიკმაყოფილოს ელემენტარული მოთხოვნილება, ნუთუ მას არ ძალუძს გაიძროს დაგლეჯილი ფარაჯა, ეს მუდმივი თანამგზავრი ქართველი გლეხისა, და მოიშოროს ოფლის და ჭუჭყისაგან ტანზე შემომპალი პერანგის ნაფლეთები? მაგრამ ეს მისთვის მიუწვდომელი ოცნებაა, რადგან მინდორი, ტყე, მდინარე, წყა-

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1914 წ. № 2, გვ. 11—12.

[2] იქვე, 1907 წ. № 6, გვ. 8.

[3] იქვე.

რო — „ყველა ეს... უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც ჰხნავს და სთესავს, ვინც მუშაობს და თავისთვის საზრდო მოჰყავს. ეს მიწა კი, ეს წყალი, ეს რასაც ჰხედავთ, არ ეკუთვნის მიწის მუშას. ის მუშაობს, ოფლსა ჰღვრის, მოჰყავს საზრდო, მაგრამ მუშაობს სხვისთვის, საზრდოს სხვა ართმევს“[1].

ვინ არის ეს სხვა, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთსაც კი ასე უმოწყალოდ სწოვს გაძვალტყავებულ გლეხს შრომის უღლისაგან დაკოჭრებული კისრიდან? ეს მთელი გროვაა გაუმაძღარი, დაბერილი შავი წურბლებისა: ხელმწიფე, მებატონე, მღვდელი, მოურავი, ჩარჩი-ვაჭარი, გზირი და მამასახლისი. რომელ ერთს გასცეს პასუხი უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულმა გლეხმა? ყველა თავისას თხოულობს, ამიტომ გლეხის მოელი ოჯახი მძიმე შრომაში ებმება:

ეხლა ლეწავს სამი ერთად,
ცოლი, შვილი, თვითონ ისა,
მუშაობენ, ანგარიშობს...
და გამოდის პური სხვისა.

და აი ამ თავაუღებელი შრომის შემდეგ მას რჩება „ისევ კალო, გახროკილი, ცარიელი, მიწოლილი გვერძე ქოხი და ეს ჩოხა ძველის-ძველი“.

მიილია შემოდგომა, თითქოს უნდა ახმაურდეს წისქვილი, დახვავდეს დოვლათი, გამხიარულდეს სოფელი, მაგრამ მწარე სინამდვილე სულ სხვა სურათს შლის:

არა ხმაურობს წისქვილი,
და ბეროც დაობლებულა,
სოფელი დამშეულია,
ტირის და დაღონებულა.

და იმ დროს, როდესაც სოფელს შიმშილით სული სძვრებოდა, „ბოქაულს სასტიკი ბრძანება გაეცა სოფლის მამასახლისისათვის, რომ არ შეენარჩუნებინათ და საღამომდე მთლად მოეკრიფათ ფოსტის ფული. ჩაფრები ხმლითა და ხანჯლებით შეიარაღებულნი და ცხენებზედ მსხდომნი, ჰაერში მათრახს ატკაცუნებდნენ. მამასახლისს მედალი უშველებელი ჯაჭვით ყელზე ჩამოეკიდებინა და ვეებერთელა კეტით ხელში კარ და კარ დადიოდა ჩაფრებით“[2].

ეს შავი ბრბო არბევდა, მათრახით უმასპინძლდებოდა და სტა-

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1907 წ. № 6, გვ. 17.
[2] „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის, 1907 წ. № 9, გვ. 7.

ცებდა უმწეო გლეხობას ყველაფერს, რაც ხელში ჩაუვარდებოდა. მაგრამ ამით არ მთავრდებოდა გლეხის გაჩანაგება. გარდა სავალდებულო გადასახადისა, მადაგახსნილი მებატონე მოვალეობად აკისრებდა გლეხს ყოველ აღდგომას და შობას ძღვენი მიერთმია მისთვის და გლეხობაც ძალით თუ ნებით უკანასკნელ ლუკმას პირიდან იღებდა. „ხონჩა-ხონჩაზედ მოჰქონდათ და ნელ-ნელა ეზო ივსებოდა გლეხების მოყვანილი საქონლით... გლეხკაცობა ქუდამოგლეჯილი ბატონის სალამს შესცქეროდა“[1].

გლეხობა გრძნობდა, რომ ასეთ პირობებში დარჩენა შეუძლებელი იყო, გრძნობდა, რომ მოთმინებით, ხვეწნით, თხოვნით და მუდარით მისი მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდებოდა, ამიტომ გადაწყვიტა ძალისათვის ძალა დაეპირისპირებინა. „თუ ჩვენ ბრძოლა და წიხლი არ ვისწავლეთ, მუდამ ამ დღეში ვიქნებით“, ამოიგმინა განაწამებმა გლეხმა და მოქმედებას შეუდგა.

გლეხობის მღელვარებამ, რომელმაც თავი იჩინა ცხრაასხუთიან წლებში, მცირე ხნით სული მოუთქვა სოფელს, „არც ბატონების მოურავს, არც მღვდელს, არც პრისტავს და არც „აკციზს“ სოფელში ფეხი არ დაუდგამს“, მაგრამ ძვირად დაუჯდა გლეხობას დროებითი გამარჯვება. ხელისუფლებამ ძალები მოიკრიბა და გაალმასებული ეკვეთა სოფლებს. „ბევრი გადასწვეს, ბევრი ოჯახი დაღუპეს, ბევრი სიცოცხლეს გამოასალმეს, ბევრი ციმბირში გადაკარგეს, ბევრი ულუკმაპუროდ დასტოვეს... მერე რადაო? თავისუფლება რად მოითხოვეთო“[2].

მუშათა მოძრაობასთან ერთად დამარცხდა გლეხთა მოძრაობაც. სოფლის წურბლებს შესაძლებლობა მიეცათ მეტი რაოდენობით გამოეწოვათ სისხლი გლეხობისაგან და ჯავრი ეყარათ „თავხედური“ საქციელისათვის. ისევ მონობის მძიმე უღელი. ისევ უმადური შრომა, შიმშილი, სიტიტვლე და

სოფელი კი ბედით მწირი,
მწუხარე და განაწირი,
შრომის ოფლში ილეოდა,
კისრად აწვა ტანჯვა-ჭირი.

ცხოვრების არაადამიანურმა პირობებმა გლეხი თვით ღმერთის წინააღმდეგაც კი აამხედრა. მან პროტესტი გამოუცხადა რელიგიას, რომლის სამსახურსაც შეალია თავისი სარჩო-საბადებლის თითქმის ნახევარი. გლეხი დარწმუნდა, რომ ყოველგვარი ლოცვა-ვედრება

---

[1] „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის, 1905 წ. № 11, გვ. 33.

[2] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1906 წ. № 7, გვ. 12.

ამაო გამოდგა. „თუ ჩამოვილოცე, ძალიან შემისრულდება, — აცხადებს იმედებგაცრუებული გლეხი, — აკი ამიტომ წრეულს ჩემი საკლდაობით გამოკვებილი ქათმები და საქონელი ჭირმა ვერ გაჰიჟუჭა. აი ეს არის თქვენი ნატვრის ასრულება? მე მაგ სისულელეებისა აღარა მჯერა რა. ეს არის დაჩვეულები ვართ, თორემ სულ ტყუილი ყოფილა. მე მომწყინდა ორმოცი წლის განმავლობაში ამდენი ტყუილ-უბრალო ლოცვა და ნატვრა"[1].

გლეხმა ზურგი შეაქცია ეკლესიასაც. მასში მხოლოდ ის გულცივი შენობა დაინახა, რომელშიც თავს იყრიდა მისი ნაოფლარი და აქედან მღვდელ-დიაკვნების ჯიბე-ხურჯინებში პოულობდა ბინას. ამიტომ „უკვე ჩამობნელებულ ეკლესიაში აქა-იქ აბეჟუტებული ყვითელი სანთლები მკრთალ სინათლეს ჰფენდნენ იქაურობას, მაგრამ შიგ არავინ იყო გარდა ერთი მოხუცებული დედაკაცისა, რომელიც უკან კუთხეში დასასვენებლად ჩაცუცქულიყო და იმ ბინდ-ბუნდში დიაკვნის უშნო ბზუილზე ისე სთვლემდა, ლოცვა ხუთჯერ რომ გამოსულიყო ის ვერაფერს ვერ გაიგებდა"[2].

„ნაკადულმა" ღვთის მსახურთა სახეც საკმაოდ კომიკური ფერებით წარმოუდგინა მკითხველს: ხრინწიანი ხმა, უშნოდ აწოწილი ტანი. გაბურძგნული თმა-წვერი, უცნაური ჩაცმულობა. ჟურნალმა ამავე დროს ხაზი გაუსვა მათ გაუმაძღარ, ექსპლოატატორულ ბუნებას და დაანახვა მკითხველს, რომ ღვთის მსახურთა ლეგიონები სავსებით ზედმეტი დანართია ცხოვრებისა.

„ნაკადულმა" ანტირელიგიური მასალების მოთავსებით პატარა მკითხველებში სავსებით გააქარწყლა ყოვლისშემძლე ღმერთის ზებუნებრივი ძალა. მართალია, მსგავსად „ჯეჯილში" მოქმედი ბავშვებისა „ნაკადულის" ზოგიერთი გმირიც მოელის საჩუქრებს „ფუფუალასაგან", მაგრამ ყოველი მოლოდინი ამაო რჩება და ბავშვები მხოლოდ იმას ხედავენ, რომ საჩუქრების მოტანის მაგიერ ვიღაც უცნობს მათი სახლიდან ძველისძველი კალოშები, ფეხსაცმელები და ქვაბები გააქვთ.

„ნაკადულის" რედაქციის გმირულ თავგანწირვად უნდა ჩაითვალოს შეუპოვარი გალაშქრება არსებული წყობილებისა და რელიგიის წინააღმდეგ. მართალია, იგონებს ნ. ნაკაშიძე, „რედაქცია იმ პირობებში, როგორშიც მაშინ უხდებოდა მუშაობა, პოლიტიკისა და რელიგიის საკითხების გაშუქებას ერიდებოდა, ამიტომ ყოველთვის ვეფარებოდით სხვადასხვა სათარიღო დღესასწაულებს. მაგალითად,

---

[1] „ნაკადული" მცირეწლოვანთათვის, 1908 წ. № 6, გვ. 17.

[2] იქვე, 1917 წ. № 21-24, გვ. 5.

„შობას“, „აღდგომას“ და სხვ., ვწერდით, რომ ხალხი უნდა აღსდგეს უკეთესი მომავლისათვის, უარჰყოს ცრუმორწმუნეობა“[1]. თუმცა ანტირელიგიური მიმართულება „ნაკადულმა“ სუსტად გამოამჟღავნა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ სამღვდელოება ჟურნალის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ეპისკოპოსმა ლეონიდმა გულისწყრომით აღსავსე წერილიც კი მისწერა ნინო ნაკაშიძეს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მას არ მოსწონს ჟურნალის მიმართულება, რადგან იგი არ აღვიძებს ბავშვებში რელიგიურ გრძნობებს და იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალი ისევ ამ გზით განაგრძობს სვლას, იგი შეჩვენებული და განდევნილი იქნება ყველა ოჯახიდანო[2].

მართლაც, სამღვდელოებას ჯერ კიდევ შესწევდა ძალა შეესრულებინა თავისი მუქარა, მას ჟურნალის დახურვაც კი შეეძლო. ეს კარგად იცოდა „ნაკადულის“ რედაქციამ და შეიძლება ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომ ვერ შეძლო ჟურნალის ფურცლებზე უფრო მკვეთრი ანტირელიგიური შინაარსის შემცველი მასალის მეტი რაოდენობით მოთავსება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ჯეჯილმა“ ღარიბებისა და ობლების შესახებ საკმაო მასალა მოათავსა. ვთქვით ისიც, რომ „ჯეჯილის“ მუდმივ მკითხველს ღარიბ-ობოლთა საცოდაობითა და მათდამი სიბრალულით გამოწვეული ცრემლები ბოლოს სიხარულად შეეცვლებოდა, რადგან ამ ღარიბ-ობოლ ბავშვებს აუცილებლად რომელიმე მდიდარი შეიწყალებდა, მფარველად მოევლინებოდა და მათი ცხოვრებაც ადამიანურ სახეს იღებდა.

ღარიბებისა და ობლების საკითხს შეეხო „ნაკადულიც“, მაგრამ „ჯეჯილისაგან“ განსხვავებით იგი სულ სხვა სახით წარმოგვიდგინა.

„ყველამ ვიცით, — წერდა ჟურნალი, — რომ ქვეყანაზედ ბევრია ღარიბ-ღატაკი, არა ერთხელ გვიფიქრია, რომ შეიძლება სწორედ ამ წუთს ბევრი კვდებოდეს შიმშილით თუ სიცივით, თუ სხვა რამ მიზეზით, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ, მხოლოდ წარმოვიდგენთ ხოლმე გონების თვალით და მალე ისევ ვივიწყებთ. სურათი ჰქრება, ჩვენ კი გვავიწყდება, რომ ეს სინამდვილე იყო და არა მარტო ფანტაზია“[3].

„ნაკადულის“ რედაქციას არ სურდა, რომ ეს მწარე სინამდვილე ბავშვის გონებაში უკვალოდ გამქრალიყო, პირიქით, მისი მიზანი იყო, რომ ღრმად აღბეჭდილიყო იგი მოზარდის მეხსიერებაში და ჩაეფიქრებინა პატარა მკითხველი.

---

[1] ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, გვ. 23.

[2] ეს ცნობა მოგვაწოდა ნ. ნაკაშიძემ.

[3] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1913 წ. № 12, გვ. 54.

ამ მიზნით „ნაკადული“ შეეცადა მოეტარებინა მკითხველი ცხოვრების შავ-ბნელ ჯურღმულებში და დაენახვებინა მისთვის მწარე სინამდვილის ნათელი სურათი. „იქნება გგონიათ, — მიმართავდა ჟურნალი თავის მკითხველებს, — რომ ყველა ბავშვი, რომელიც ასე ბევრია ქვეყანაზე, თქვენებრ ბედნიერნი და მხიარულნი არიან? ცდებით, თუ მაგას ფიქრობთ. ბედნიერება ბევრისათვის ამქვეყნად სრულიად უცნობი ხილია.

თქვენ რომ მხიარულობთ, ბაღში დარბიხართ, იმ დროს ათასი და ათი ათასი თქვენი ხნის ბავშვი გაბმულია მძიმე საქმეში, სხედან სახელოსნოებში, დუქნების და ქარხნების აყროლებულ ჰაერში, ვერ ბედავენ ფანჯარასთან მისვლას და ნათელი ცის შეხედვას... ბევრ მათგანს არც დედა ჰყავს, არც მამა; ცხოვრობენ უცხოთა შორის, საცა უჯავრდებიან, აშინებენ, სცემენ, ლანძღავენ“[1] ანდა უპატრონოდ ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან და მათხოვრობენ.

საშინელი და შემაძრწუნებელია უპატრონო მათხოვარი ბავშვების ცხოვრება. ფეხშიშველი, უქუდო, დაძონძილი ახალუხი და კაბის ნაფრეწები, ტალახში მოსვრილი წვივები, გამხდარი და ჭუჭყიანი გულმკერდი, წაწვრილებული კისერი დაჭიმული ძარღვებით — აი სახე „ნაკადულის“ მათხოვრებისა.

ძია, მომხედე ობოლსა,
არავინა მყავს მომველელი,
შიმშილ-სიცივე გულს მიკლავს,
შემდეგ უარესს მოველი.

ასე მოთქვამს ტანჯვის შვილი, მაგრამ არავინ არის მისი შემწე. თვით მისი თანატოლი მდიდრის ბავშვებიც კი საშინელ გულქვაობას იჩენენ და დახმარების ნაცვლად თოვლით უსვებენ უბეს, გუნდებს უთავაზებენ.

ქუჩაში გამოგდებული, გალახული და მშიერ-ტიტველი

გამელელ-გამოელელს მოწყალებასა
თხოვდა საბრალო, უწვდიდა ხელსა,
მაგრამ მდიდრები თითქოს ვერ ჰხედვენ,
სიცილ-ხარხარით უქცევდნენ გვერდსა.

მთელ რიგ ნაწარმოებებში, როგორიცაა „პატარა მაწანწალა“, „პატარა მედაირე“, „პატარა მათხოვარი“, „ობლები“, „უბინაო“, „მათხოვარი“, „ობლების გაზაფხული“ და სხვ., მკითხველის თვალწინ

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1905 წ. № 12, გვ. 645—646.

იშლება საშინელი სურათი ჩვენი სინამდვილისა. იგი ხედავს, რომ ამ უპატრონო ბავშვთა მთელი ლაშქარი, რომელთაც

დედა არა ჰყავთ ან მამა,
შიმშილმა დააბეჩავა,
სხვის ხელქვეითა შრომობენ
დილიდან, ვიდრე მზე ჩავა.

„ნაკადულის“ მკითხველებმა მშვენივრად იციან, რომ ამ საცოდავებს მდიდართა წრიდან მფარველი არ გამოუჩნდება, რომ მათზე გული არავის შესტკივა, და მათ ნორჩ გონებაში იბადება კითხვა:

ნეტავი როდის დადგება
იმათთვის გაზაფხულია?

სხვის ხელქვეით მუშაობა ჯოჯოხეთურ სატანჯველში აგდებს პატარა უსუსურ არსებას. გულქვა „ხაზეინების“ შეუბრალებელი მოპყრობა ტანჯვის ბეჭედს ასვამს მათ სახეს: „იმათ მკრთალ, გამხდარ სახეს რომ შეხედავდი, გეგონებოდა ეს-ეს არის ახლა გამოსულა საავადმყოფოდანო. „ხაზეინი“ მათ დილიდან საღამომდე ამუშავებდა. საწყალმა ბავშვებმა სრულიადაც არ იცოდნენ, მოსვენება რა იყო. უქმეების წინათ, როცა სახელოსნოში ბევრი დანაკეთი მოიყრიდა თავს, ბავშვები მთელი ღამეები გაბმით მუშაობდნენ... „ხაზეინი“ პატარა მუშებს შიწშილით ჰკლავდა, აშმევდა პურს და წყალ-წყალა შეჰამადს. ზამთარშიაც და ზაფხულშიაც სხვა სამოსელი არა ჰქონდათ, გარდა ტილოს ხალათებისა“[1].

ასეთია ცხოვრებისაგან განაწამები და უდროოდ მობერებული ბავშვების უფერული სიცოცხლე.

იგი ბედს სტირის, ბედს იწვევს თვისკენ,
მაგრამ რად მოვა? მასთან ჰქრის ქარი.

მაგრამ ჟურნალი მარტო ამ სურათების ჩვენებით არ კმაყოფილდება. მას სურს ჩააფიქროს მკითხველი, რომ პატარა მოქალაქეს „თავში დაიბადოს კითხვა; რატომ არიან ამოდენა ბავშვები ასე უბედურები და გამწარებულები ამ ქვეყნად? რატომ ისინიც არ მხიარულობენ? კითხვას პასუხიც უნდა. ეძიეთ და იპოვით“[2], — ეუბნება ჟურნალი თავის მკითხველებს. ბავშვიც გაფაციცებით ეძებს პასუხს და „ნაკადულის“ ფურცლებზე მოთავსებული მასალების გულმოდგინედ გადაკითხვის შედეგად ერთ გარკვეულ დასკვნამდე მი-

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1905 წ. № 12, გვ. 647.
[2] „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის, 1905 წ. № 5, გვ. 109.

დის: — არაადამიანური ცხოვრებისა და უბედურების მიზეზი არსებული წყობილებიდან გამომდინარეობს. საჭიროა დაემხოს, განადგურდეს ოქროს სასახლე, მოისპოს გამეფებული უსამართლობა. შავბნელ უფსკრულში გადაყირავდეს მჩაგვრელთა უმცირესობა და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი

ბუნებაში მუსიკობდეს
სიცოცხლე და სიყვარული.

მაგრამ ამ ბედნიერების მოპოვება მხოლოდ ბრძოლით არის შესაძლებელი, „საჭიროა მშრომელი კლასი დაუპირისპირდეს გაბატონებულ კლასებს, უჩვენოს თავის ძალა, რადგან ვისაც ძალის გაჩოჩენა არ შეუძლიან, მას, როგორც დაბალ ღობეს სტკეპნიან და ფეხქვეშ სთელავენ“[1].

ამგვარი და მთელი რიგი ამის მსგავსი სტრიქონებით „ნაკადული“ მკითხველს რეალური ცხოვრების პირისპირ აყენებდა და მასში აღვიძებდა არსებული წყობილების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის სურვილს.

„ნაკადულის“ რედაქციას უყურადღებოდ არ დაუტოვებია აგრეთვე ის უხეში კოლონიალური პოლიტიკა, რომელსაც მეფის რუსეთი საქართველოში აწარმოებდა. იგი ნათლად ხედავდა რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის გარკვეულ გზას, რომელიც ქართველი ბავშვის გადაგვარებისაკენ იყო მიმართული, და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაემახვილებინა და განევითარებინა მოზარდ თაობაში პატრიოტული გრძნობა, გრძნობა სამშობლოს ღრმა სიყვარულისა, და მისთვის დაენახვებინა ცარიზმის ვერაგული ბუნება.

მრავალი ნაწარმოებიდან, როგორიცაა, მაგ., „ბაბა წაიყვანეს“, „მიჯაჭვული ამირანი“, „სალი კლდე“. „დედის იმედი“, „ლოდიხი“ და სხვ., მკითხველისათვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

ეს ყვავ-ყორანი მეფის მთავრობის მოხელენი იყვნენ, რომელნიც სპეციალური დავალებით მოდიოდნენ საქართველოში, რათა გადაეგვარებინათ ქართველი მოსახლეობა, გაეთიშათ საქართველოს ცალკე-

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1905 წ. № 12, გვ. 659.

ულ კუთხეთა მცხოვრებნი და ქართველ და მის მეზობელ ხალხებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შუღლი ჩამოეგდოთ.

„ნაკადულისათვის“ ნათელი გახდა ცარიზმის ეს ვერაგული პოლიტიკა და მკითხველთა წინაშე ფარდა ახადა მის ბნელ ზრახვებს:

ვიცით და გვესმის კარგადა
ჩვენ შენი გულის ნადები,
გრგვინვის და გლოვის საზარ ხმით,
მრავალჯერ განაცხადები.

ჩაგვიხშო აზრი ცხოველი,
გავხდეთ ყურ-მოჭრილ ყმებადა,
გაგვთიშო, გაგვაცალკეო,
ძმებს ვეღარ ვცნობდეთ ძმებადა!..
ენა წაგვართვა მშობლისა,
მონური სული ჩაგვბერო,
თვით არსებობა მოგვისპო,
შენ პიანურზე გვამღერო!

. . . . . .

ვეცდებით მოვსპოთ ეგ შენი
ვერაგი მისწრაფებანი,
ფართო გზა მივცეთ ფხიზელ ნიჭს
და მასვე გამარჯვებანი[1].

მართლაც, „ნაკადულის“ რედაქცია მთელი ენერგიით შეეცადა ძირშივე აღმოეფხვრა ცარიზმის „ვერაგი მისწრაფებანი“ და დაეცვა მოზარდი თაობა გადაგვარებისაგან. ამისთვის მან მიზნად დაისახა გაეცნო მკითხველებისათვის სამშობლო, მისი წარსული და დაეპირისპირებინა იგი აწმყოსათვის. „ყველას უყვარს თავისი სამშობლო, — გვეუბნება „ნაკადული“, — უყვარს ის ადგილი, სადაც დაიბადა და აღიზარდა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, საქართველო, მაგრამ განა ყოველმა ქართველმა იცის თავისი ქვეყნის ავ-კარგი?“.

აი ამ „ავ-კარგის“ გაცნობას, ბავშვებში სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაფურჩქვნას უძღვნა „ნაკადულმა“ მთელი სერია ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის წერილებისა („ერეკლე მეფე“, „საქართველო“, „რწმენა და ჩვეულებანი“, „სამშობლო ქვეყანა“, „საქართველო მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს“ და სხვა მრავალი).

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის. 1915 წ. № 11, გვ. 590.

საქართველოს ისტორიული წარსული „ნაკადულის“ მიერ მოხერხებულად არის გამოყენებული თანადროულობის მტკივნეული საკითხების გადასაწყვეტად. გარდასული საუკუნეების გამოჩენილ მოღვაწეთა ან სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ცხოვრება ჟურნალში მეტად მიმზიდველი ფერებით არის წარმოდგენილი. მართალია, ეს დახასიათება ხშირად გადაჭარბებულია და ზოგჯერ არ ეთანხმება მათ შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ზუსტ ისტორიულ ცნობებს, მაგრამ ეს აიხსნება არა ისტორიული მასალის უცოდინარობით, არამედ მტკიცე წინასწარი განზრახვით: „ნაკადულის“ რედაქციას სურდა ეჩვენებინა მკითხველისათვის, თუ რა ძვირფასი იყო ეროვნული დამოუკიდებლობა, რა ძალა ჰქონდა თავისუფლებას და როგორ იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები მისი შენარჩუნებისათვის. სამშობლოს კეთილდღეობისათვის წარსულ გმირთა თავდადება ბრწყინვალე მაგალითი იყო ახალგაზრდობისათვის, რომელიც მოწმე შეიქნა ერთ დროს თავისუფალი ქვეყნის დამონებისა.

თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძის, თორნიკე ერისთავის, ერეკლე მეორისა და აგრეთვე მშრომელი ხალხის წრიდან გამოსული თავდადებული გმირების ცხოვრებისა და მოქმედების მაგალითზე „ნაკადული“ ახალგაზრდობაში ზრდიდა მებრძოლ სულს და შეგნებულად ამზადებდა მათ დიადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის.

„ნაკადულის“ როგორც საბავშვო ჟურნალის უდიდესი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მან მიზნად დაისახა მოზარდი თაობის შეიარაღება მეცნიერების მონაპოვრებით, მისი საფუძვლიანი მომზადება ცხოვრების მღელვარე ტალღებთან საბრძოლველად.

მრავალი წერილი: „ზოოლოგია“ პოლბერისა, „საუბარი მცენარეთა ყოფა-ცხოვრებაზე“, „წერილები ფიზიოლოგიიდან“, „ფიზიკა და ქიმია“ და სხვა მისთანანი, რომლებიც დაწერილი იყო ბავშვებისათვის გასაგები, პოპულარული ფორმით, აცნობდა მკითხველს მისთვის უცნობ გარემოს და ბავშვიც უკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, ინტერესით სინჯავდა ყოველივეს და იმდიდრებდა გონებას შესაფერისი ცოდნით.

პატარა მოქალაქენი გატაცებით კითხულობდნენ „ნაკადულის“ ნომრებს, ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა მის ფურცლებზე, ამდიდრებდა ბავშვის მეტყველებას, საფუძველს უყრიდა და ავითარებდა მის ესთეტიკურ გემოვნებას, ნერგავდა მასში ღრმა რწმენას, რომ თუმც მისი ტურფა სამშობლო დევ-გმირ ამირანივით კლდეზედ იყო მიჯაჭვული, მაგრამ

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივი და გასაგებია ის აღფრთოვანება, რომელიც ჟურნალში 1917 წლის ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია:

„ვეღარ გაუძლო ქვეყანამ ძველმა განახლებისა გრიგალის ქროლას!“ ვეღარ გაუძლო და უწმინდური ტახტი გაიძვერა ძველი მთავრობისა დაემხო უწყალოდ. მოხდა რევოლუცია და დღეს ჩვენ ცბიერების ნანგრევებზე ვდგევართ ამაყად... დიდი ხნის განმავლობაში ვუფრთხილდებოდით ამ დიდ აზრს ცხოვრების გარდაქმნისას, დიდი ხანია ვზრდიდით ჩვენში უკმაყოფილების ნერგს... ჩვენ ტანჯულ სახეს მუდამ იმედიანი ღიმილი დასთამაშებდა და სახრჩობელის საშიშროება უფრო გვაქეზებდა წარსულთა ასალაგმავად. და აი შედეგი: პეტერბურგში მეფის სასახლეს, სამფეროვანი დროშის მაგიერ რევოლუციის წითელი დროშა თავს დაჰფრიალებს...

განთავისუფლებული რუსეთი ყოველგვარ ბატონობაზე უარს აცხადებს... “[1].

„ნაკადული“ მოუთმენლად მოელოდა ამ დიად დღეს საქართველოშიც. მაგრამ მან, სამწუხაროდ, რამდენიმე წლით დაიგვიანა.

ასეთი იყო ის ძირითადი საკითხები, რომელთაც ეხებოდა „ნაკადული“ 1904 წლიდან 1921 წლამდე.

ჟურნალ „ნაკადულს“, „სამწუხაროდ, კრიტიკული წერილების ძალიან მცირე რიცხვი მიეძღვნა. ეს წერილებია ლ. ბოცვაძის — „ნაკადული“ და ჩვენი საბავშვო მწერლობა“ (გაზ. „შრომა“, 1906 წ.) და ვ. ჯაფარიძის — „ნაკადული“ 1908 წლის № 1 (ჟურნ. „განათლება“, 1908 წ. № 2).

გარდა ამ წერილებისა, რომლებიც სპეციალურად „ნაკადულს“ ეხებოდა, დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც საერთოდ შეფასებულია საბავშვო წიგნი და გარკვეული ამოცანებია დასახული საბავშვო ლიტერატურის წინაშე.

„ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგია ყველა ამ წერილს სათანადო ანგარიშს უწევდა, რათა ჯანსაღ ნიადაგზე დაეყენებინა ჟურნალი.

მართალია, „ნაკადულის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ისეთი მასალაც, რომელსაც სენტიმენტალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მათი რიცხვი

---

[1] „ნაკადული“ მოზრდილთათვის, 1917 წ. № 5, გვ. 55—56.

იმდენად მცირეა, რომ ანგარიშგასაწევი არ არის, მით უფრო, რომ სხვა ნაწარმოებებით ეს მასალა სრულიად დაჩრდილულია.

ეს გარემოება შენიშნეს „ნაკადულის“ კრიტიკოსებმაც, რომელთაც გარკვეული ამოცანა დაუსახეს ჟურნალს და ამავე დროს მოგვცეს მისი ობიექტური შეფასება.

1908 წ. ვ. ჯაფარიძე წერდა: „საყმაწვილო ჟურნალი ჩვენს ბავშვს სკოლის მაგივრობას უნდა უწევდეს. მან უნდა გააცნოს ღირსშესანიშნავი მოვლენანი ჩვენი ცხოვრებიდან, შეიყვაროს სამშობლო ერი, ჩაახედოს მის ბევრნაირად დატანჯულ გულში და დაუყენოს თვალწინ ხალხის ჭირ-ვარამი და მით აღუძრას, გაუღვიძოს და განუვითაროს ბავშვს საუკეთესო გრძნობანი და მიმართულებანი... „ნაკადულის“ ლექსები, მოთხრობები, სამეცნიერო საუბრები და სხვა ყველანი ასეთ წინდაწინვე დაყენებულ მიზანს ემსახურებიან.

საჭიროა ბავშვმა სინამდვილე იცოდეს იმის შესახებ, ვისაც თავის შრომის ნაოფლიდან მხოლოდ იმდენს უტოვებენ, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს. სხვა აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე კი მხოლოდ ოცნებისა და ნატვრის ნება დარჩენია... აი სწორედ ამ საგანს არკვევს ჟურნალი „ნაკადული“ და მისი საუკეთესო მწერლები“.

მართლაც, თავისი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით „ნაკადულმა“ დიდი ამაგი დასდო მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისა და საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების საქმეს. მან ქართული საბავშვო პერიოდული პრესის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა.

*

* *

დასასრულს კიდევ ერთი საკითხი:

შეეფერება თუ არა ჩვენ მიერ განხილულ საბავშვო ჟურნალებში დაბეჭდილი მასალა მკითხველთა ასაკობრივი და გონებრივი განვითარების დონეს?

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არც „წყაროს“, არც „საყმაწვილო ბაღს“ და არც „ნობათს“ არ ჰქონია მკვეთრად გამოყოფილი განყოფილებანი მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი „ჯეჯილმა“ გადადგა, რომელმაც ჟურნალი ორ განყოფილებად გაყო და მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის განკუთვნილი განყოფილებანი ერთმანეთისაგან განასხვავა როგორც შრიფტით, ასევე შინაარსის მიხედვითაც.

ამ მხრივ ჟურნალი „ნაკადული“ გაცილებით უფრო შორს წავი-

და: იგი მცირეწლოვანთათვის ყოველ ორ კვირაში ერთხელ იცემოდა, ხოლო მოზრდილთათვის თვეში ერთხელ გამოდიოდა ცალკე ნომრად.

თუმცა ჟურნალის რედაქციებს არც სარედაქციო წერილებში, არც პედაგოგიურ დამატებებში და არც საერთოდ ჩვენს პრესაში არ მოუციათ თავისი შეხედულებები ბავშვებისათვის განკუთვნილ ჟურნალებში მასალის განლაგებისა და ამ მასალების თავისებურების შესახებ, მაგრამ ჩვენ წინ მდებარე ნომრების გადათვალიერება საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ჟურნალების წარმოების საქმეში რედაქტორები თუ სარედაქციო კოლეგიები მტკიცე პედაგოგიურ პრინციპს ემყარებოდნენ.

ჟურნალის რედაქციები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებას, მხედველობაში იღებდნენ მკითხველთა გონებრივი განვითარების დონეს და ცდილობდნენ საკითხავი მასალა ამის მიხედვით შეერჩიათ.

ქართული საბავშვო ჟურნალების გულდასმით გადათვალიერება ნათლად გვიჩვენებს, რომ რედაქციებისათვის აშკარაა ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს აზროვნების ონტოგენეზური და ფილოგენეზური განვითარების პირობებს შორის. ისინი კარგად გრძნობენ, რომ ძირითადად ბავშვის აზროვნება თამაშისა და სწავლების ნიადაგზე იშლება და ყალიბდება.

როგორც ბავშვთა ფსიქოლოგია ადასტურებს, სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარება მეტად თავისებური გზით მიემართება. ამ პერიოდში ბავშვის ყურადღება უმთავრესად გარემო ქვეყნისაკენაა მიპყრობილი.

გარემო, რომელშიც ბავშვი ტრიალებს, მას ეჩვენება ცალკე საგანთა, სხეულთა და მოვლენათა ერთობლივ კრებულად, სადაც ეს მოვლენები და საგნებია თავმოყრილი.

ამ პერიოდში ბავშვი ბევრ რამეს ვერ ამჩნევს, ბევრ რამესაც ზერელედ და შეცდომით აღიქვამს. იგი ცალკეული ობიექტების ჩამოთვლით კმაყოფილდება, რადგან ცალკეულ მოვლენათა ობიექტივაციითაა დაინტერესებული. მას ჯერ არ შესწევს უნარი, რომ მთელი ნაწილებთან დააკავშიროს. მას არ აინტერესებს ურთიერთკავშირი, რომელიც საგანთა თუ მოვლენათა შორის არსებობს.

8—10 წლის ბავშვის ცნებითი აზროვნება თვალსაჩინო ნაბიჯს დგამს წინ, თუმცა ამ ასაკშიც ბავშვი სავსებით თვალსაჩინოების ნიადაგზე დგას.

ამ პერიოდში მისი აზროვნება იმდენად ვითარდება, რომ შეს-

წევს უპირველეს ყოვლისა სპეციფიკური ნიშნის გამოყოფის უნარი. ხშირ შემთხვევაში ყურადღების გარეშე არ რჩება არც არსებითი ნიშანი, მაგრამ უპირატესობა მაინც სპეციფიკურ ნიშანს ეძლევა.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ ასაკში ბავშვის აზროვნებას შესწევს უნარი ცნების განზოგადებისა, თუმცა ეს განზოგადება მხოლოდ მოცულობის თვალსაზრისით წარმოებს; ბავშვი ცნების შეჯამებას მხოლოდ არითმეტიკული შეკრების გზით ახერხებს და არა ამ ცნებათა სინთეზის საშუალებით.

11—13 წლის ბავშვის აზროვნება იმდენად ვითარდება, რომ არსებითი ნიშნის უპირატესობა კონკრეტული მასალის საფუძველზე, თუმცა პრაქტიკულად, მაგრამ მაინც, სავსებით ნათელი ხდება. ბავშვს შესწევს უნარი მიგვითითოს არსებით ნიშანზე, მაგრამ არ შეუძლია განმარტოს, თუ რატომ არის ეს ნიშანი არსებითი, ხოლო თუ საქმე განყენებულ მასალასთან ექნება, მაშინ იგი არსებითი ნიშნის გამონახვას სრულებით ვერ ახერხებს.

შეიმჩნევა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდში მოზარდის აზროვნებაში ცნება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ნიშანთა ნაძდვილ სინთეზს, თუმცა კონკრეტული, თვალსაჩინო მასალის საფუძველზე, ცოტაოდენი ბიძგის შემდეგ (საგანგებოდ შერჩეული დამხმარე კითხვების საშუალებით) იგი ახერხებს არსებითი ნიშნები სინთეზური გზით ერთ ცნებად გააერთიანოს.

ეს პერიოდი საყურადღებოა აგრეთვე იმ მხრივ, რომ ამ ასაკში იწყება და ვითარდება ბავშვის ვერბალური აზროვნება და აქვე იჩენს თავს ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების უნარიც.

14—17 წლის მოზარდი უკვე თავისუფლად და სრული შეგნებით აღნიშნავს არსებითი ნიშნის მაღალ შემეცნებით ღირებულებას როგორც თვალსაჩინო, ასევე გამოყენებული მასალის მიმართ. ვერბალური აზროვნება იმდენად ვითარდება, რომ მისთვის სულ ერთია, რა ხასიათის მასალასთან ექნება საქმე — ვერბალურთან თუ თვალსაჩინოსთან. ვითარდება აგრეთვე ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების უნარი. მოზარდს უკვე ყოველგვარი ბიძგის გარეშე შეუძლია მოახდინოს კონკრეტულ ცნებათა სინთეზი და მოგვცეს სრულიად ახალი ცნება, თუმცა განყენებულ ცნებათა გაერთიანებას უფრო მაღალ ცნებად და უფრო ზოგადი ცნების შექმნას ამ პერიოდშიც ვერ ახერხებს. ასეთია ფსიქოლოგთა დასკვნები.

მთელი ის მასალა, რომელიც ქართულ საბავშვო ჟურნალებშია მოთავსებული, მეტწილად ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შეეფარდება. აქ შეხვდებით მასალას, რომელიც შეეფერება სკოლამდელი ბავშვის გონებრივი განვითარების დონეს,

მასალას, რომელიც შესაფერისია ბავშვისათვის 8-დან 10 წლამდე, 11-დან 13 წლამდე და 14-დან 17 წლამდე. თითოეულ ამ საფეხურზე ბავშვის აზროვნების განვითარების გარკვეული თავისებურებანი რედაქციების მიერ მხედველობაში მიღებული და ანგარიშგაწეულია.

იღებენ რა მხედველობაში ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, ჟურნალის რედაქციებს კარგად ესმით, რომ ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებანი მეტად მტკიცეა, ამიტომ ცდილობენ, რომ სათანადო მასალების მიწოდებით ეს შთაბეჭდილებანი გააღრმაონ, განამტკიცონ და, რაც მთავარია, მტკიცე სინამდვილის საფუძველზე აგებულნი, ღრმად ჩაბეჭდონ პატარა მკითხველის მეხსიერებაში.

მთელი რიგი მასალები, როგორიცაა „ჭინჭველები“ (ჟურ. „წყარო“), „ღრუბელი“, პური და მისი თვისებანი“, „საინტერესო ცნობები“, („ნობათი“), „როგორ მრავლდებიან ფრინველები“, „საკვირველებანი ბუნებისა“, „დედამიწა“, „მზე და მთვარე“ („ჯეჯილი“), „მაიმუნის დღიურიდან“, „ულვაშა სკვეთია“ („ნაკადული“) და სხვ., რომლებიც მოთავსებულია ჩვენი საბავშვო ჟურნალების მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებაში, სწორედ იმ საკითხების ირგვლივ ტრიალებენ, რომლებიც აწუხებენ პატარა მოქალაქეებს: რა? რატომ? რისთვის? საიდან? — აი კითხვები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ მათ.

საერთოდ, გაკეთებისა და გაჩენის პრობლემა ყურადღების ცენტრში დგას და ჩვენი ჟურნალებიც ცდილობდნენ გონივრული პასუხი გაეცათ ზემოხსენებულ კითხვებზე და დაეკმაყოფილებინათ ბავშვების არსებაში გაღვიძებული ძლიერი ცნობისმოყვარეობა.

როგორც ცნობილია, მცირეწლოვანი ბავშვის ყურადღება ზერელეა, ამიტომ ბევრ რამეს, რაც მის ირგვლივ მყარ მდგომარეობაში არსებობს, იგი ვერ ამჩნევს და ყურადღების გარეშე ტოვებს. სამაგიეროდ ადვილად ამჩნევს ისეთ საგნებს, რომლებიც მოძრაობაშია. საერთოდ დინამიკა მეტად იტაცებს ბავშვს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მოძრაობა ძლიერ ემოციებთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება უდავოდ გათვალისწინებულია ჟურნალების რედაქციების მიერ და მასალა სწორედ იმგვარად არის აგებული, რომ საგნები მეტწილად დინამიკურობაშია მოცემული, რაც ხელს უწყობს პატარა მკითხველის მიერ ამა თუ იმ საგნის მიმართ ყურადღების გამახვილებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებებში განსაკუთრებით ლექსიკური მასალა სჭარბობს. როგორც ჩანს, რედაქციები ერთ-ერთ ძირითად მიზნად ისახა-

ეძღვნენ ბავშვის ლარიბი მეტყველების განვითარებას, რომელიც ჯერ ისევ დიფუზიურია.

საერთოდ, ბავშვის მეტყველების განვითარების საკითხით დაინტერესებული იყვნენ მთელი რიგი მეცნიერები. ამ საკითხს არკვევდნენ პიაჟე, მუხოვა, ვიგოტსკი, ლურუ და სხვ. მათი აზრით, ბავშვს ორი მეტყველება აქვს — ეგოცენტრული და სოციალური.

ბავშვის მეტყველების განვითარების საკითხი საქართველოში შესწავლილ იქნა აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით. გამოირკვა, რომ ბავშვს მხოლოდ ერთი მეტყველება — ხმამაღალი მეტყველება აქვს, რის გამოც იგი მარტო ყოფნის დროსაც კი ხმამაღლა მეტყველებს, ხმამაღლა ესაუბრება უსულო საგნებს, ცხოველებს, თავის თავს და ვიდრე მოქმედებას დაიწყებდეს, წინასწარ, ხმამაღლა წარმოთქვამს იმას, რის გაკეთებაც სურს.

თვალი რომ გადავავლოთ ქართულ საბავშვო ჟურნალებში მცირეწლოვანთათვის მოთავსებულ მოთხრობებსა და ლექსებს, მათ შორის ხშირად შევხვდებით ისეთებს, რომლებშიც პატარა მოქმედი პირები, თანატოლი მკითხველის მსგავსად სრულიად მარტო მყოფნი, ხმამაღლა მეტყველებენ. პატარა გმირების ასეთი მეტყველება სავსებით მახლობელი, ბუნებრივი და ნაცნობია ბავშვისათვის და იგი მეტად უწყობს ხელს ხმამაღალი მეტყველების განვითარებას, რომლისგანაც შემდეგ ბუნებრივად ვითარდება შინა და გარე მეტყველება. მარტივი გამოთქმები, წინადადებათა მარტივი კონსტრუქცია, ნაწარმოებთა დახვეწილი ფორმა და მოცულობა, „ენის გასატეხი“ ჩქარი გამოსათქმელები სავსებით შეფარდებულია ბავშვის მეტყველების დონესთან და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას.

მოზრდილთათვის განკუთვნილ განყოფილებაში უფრო მაღალმხატვრული ნაწარმოებები ჭარბობენ, რაც სავსებით მიზანშეწონილია, რადგან ამ პერიოდში (განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების ხანაში) ბავშვის მეტყველება უფრო მხატვრული და ემოციური ხდება და ასეთი ნაწარმოების გაგება-ათვისება მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩვენ მიერ მიმოხილული ჟურნალები არ არია დაზღვეული გრამატიკული შეცდომებისაგან, გვხვდება პროვინციალიზმები და ბარბარიზმებიც. ხანდახან ვხვდებით ისეთ მასალებსაც, რომლებიც შეუფერებელია საბავშვო ჟურნალებისათვის, მაგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელოა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მასალა ერთი და იმავე საკითხის შესახებ ერთსა და იმავე ან მომდევნო ნომერში რამდენჯერმე მეორდება. მაგალითად, „ნობათის“ მეორე და მესამე ნო-

მერში ზედიზედ გვხვდება ერთი და იმავე საკითხებისადმი მიძღვნილი მასალა: „ჩიტი და თოხიტარა“ — აკაკისა, „ჩიტი“ — რაფ. ერისთავისა, „საბრალო ჩიტი“ — ლილიპუტისა, „ჩიტი და ყმაწვილი“ — ცახელისა. ამ გარემოებამ თანამედროვე კრიტიკის ირონიული შენიშვნაც კი გამოიწვია: „ნობათი“ ყოველ თავის ფურცელზე სულ ჩიტებზე ლაპარაკობს, თითქოს იყოს სპეციალური ორგანო „პირუტყვთა დამცველ საზოგადოებისაო“[1].

ჩვენი ჟურნალების ისტორიაში ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც ჟურნალში მოთავსებული მასალა არ შეესაბამება მკითხველთა განვითარების დონეს. მაგალითად, მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ ნომრებში „ნაკადულის“ რედაქცია ათავსებს ისტორიული ხასიათის წერილებს, როგორიცაა „არგონავტების ამბავი“, „ამირანიდან ვახტანგამდე“, „ვახტანგ გორგასალიდან ბაგრატ მესამემდე“ და სხვ., რაც სრულიად შეუფერებელია 7-8-9 წლის ბავშვისათვის, მაგრამ ასეთი მასალა, საბედნიეროდ, მხოლოდ 1905 წლის ნომრებში გვხვდება.

არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც პედაგოგიური თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელია, მაგალითად „მგელიკალია სალანჭი“ („ჯეჯილი“, 1898 წ. № 2), „წყარო“ („ჯეჯილი“ 1898 წ. № 12) და სხვ. ამ ნაწარმოებებში ჭარბობს ეროტიული ელემენტი, რაც მათ მოზრდილთათვის საკითხავი რომანის ხასიათს აძლევს და არა მცირეწლოვანთათვის საკითხავი მასალისას.

ცხოველები და ფრინველები ადრეული ასაკიდანვე იზიდავენ ბავშვის ყურადღებას. მათდამი ინტერესი იმდენად ძლიერია, რომ ბავშვი თავს ვერ იკავებს და ხშირად მისდაუნებურად, სრულიად შეუგნებლად, მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი გაღვიძებული ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილოს, აწვალებს მათ.

ეს მდგომარეობა საკმაო სიზუსტით არის გათვალისწინებული ქართული საბავშვო ჟურნალების რედაქციების მიერ. ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ გააცნონ ბავშვებს ფრინველთა და ცხოველთა სამყარო, ხოლო, მეორე მხრივ, ჩაუნერგონ მათი სიყვარულის გრძნობა.

ასეთი ხასიათის მასალას უფრო მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებაში ვხვდებით, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

ეს ნაწარმოებები უხატავენ ბავშვებს მისთვის უცნობ სულდგმულთა საინტერესო სამყაროს, აცნობენ მათი განვითარების კანონ-

---

[1] „ივერია“, 1884 წ. № 7, გვ. 167.

ზომიერებას, ხასიათების თავისებურებას და აღვიძებენ მათდამი მეგობრული, თბილი დამოკიდებულების გრძნობას, მაგრამ, გარდა ადამიანისათვის სასარგებლო ფრინველებისა და ცხოველებისა, აცნობენ მკითხველს მავნე ფრინველებსა და ცხოველებს და სავსებით გასაგები ფორმით უმარტავენ მათი მოქმედების უარყოფით შედეგს.

საერთოდ, საბავშვო ჟურნალის რედაქციები ცდილობენ დაიცვან მტკიცე პედაგოგიური პრინციპი. მათ სურთ ბავშვს გააცნონ ჯერ მახლობელი, ნაცნობი, კონკრეტული, ხოლო შემდეგ — უცნობი, შორეული, აბსტრაქტული.

მართალია, საბოლოოდ ჟურნალები მიზანს აღწევენ, მაგრამ ხანდახან ეს პრინციპი ირღვევა, მაგალითად, 1890 წელს „ჯეჯილის" პირველ ნომერში დაბეჭდილია ისტორიული ხასიათის წერილი, რომელიც საბერძნეთის ისტორიულ გმირებს ეხება, და ეს იმ დროს, როდესაც მშობლიური ქვეყნის ისტორიაზე ბავშვს ჯერ წარმოდგენა არა აქვს. 1898 წელს „ჯეჯილის" პირველ ნომერში ბავშვს აწვდიან ცნობებს ბუნებისმეტყველებიდან, ამოგზაურებენ მკითხველს ამერიკისა და მადაგასკარის კუნძულებზე და ამას აკეთებენ მაშინ, როდესაც ბავშვი ჯერ საქართველოს მცენარეებს არ იცნობს. „ნაკადული" აცნობს მკითხველს არგონავტებისა და ჰერკულესის ამბავს, როდესაც მას მშობლიური ქვეყნის ისტორიაზე წარმოდგენა არა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები ჟურნალებისათვის ხშირი არ არის. ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ.

იმ პერიოდში, როდესაც ქართული საბავშვო ჟურნალები მხოლოდ ფეხს იკიდებდნენ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში დიდი დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ბავშვებისათვის ზღაპარი და თუ საჭიროა, როგორი ფორმისა და შინაარსისა უნდა იყოს იგი? ზოგი პედაგოგი სავსებით უარყოფდა ზღაპრის მნიშვნელობას და იგი ბავშვებისათვის მხოლოდ მავნებელ ჟანრად მიაჩნდათ. ზოგნი ახდენდნენ ზღაპრების კლასიფიკაციას და საბავშვო ბიბლიოთეკებიდან დევნიდნენ მხოლოდ საშიშ ზღაპრებს, ზოგნი კი ყოველგვარ ზღაპარს მიზანშეწონილად თვლიდნენ ბავშვებისათვის.

ბუნებრივია, რომ ასეთი საკითხები მიიპყრობდა ქართული საბავშვო ჟურნალების ხელმძღვანელთა ყურადღებას და ეს ასეც მოხდა.

ჟურნალების რედაქტორები კარგად გრძნობდნენ, რომ ზღაპარი ბავშვის უსაყვარლესი ჟანრია. განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში (4-8 წ.) იზიდავს იგი ბავშვებს. რა თქმა უნდა, ზღაპრებისადმი ბავშვების ინტერესი შემდეგშიც გრძელდება, ასე რომ, თითქმის 10

წლამდე შეუმჩნეველია ზღაპრებისადმი ბავშვის ყურადღების განეკლება.

ზღაპარი შეიცავს უმაღლეს გრძნობებსა და ცნებებს, რომლებისკენაც ძლიერად მიისწრაფვის საღი ბავშვის ბუნება. ზღაპარი თავისი ფანტასტიკურობით მეტად მახლობელია ბავშვისათვის. ბავშვში არის ისეთი ინტელექტური ელემენტები, რომ ზღაპარი მისთვის წარმოადგენს ბუნებრივ და სასიამოვნო საზრდოს.

ადრეულ პერიოდში ბავშვის გატაცება ზღაპრებით საესებით ბუნებრივი მოვლენაა. ადრეულ პერიოდს ფსიქოლოგიაში ე. წ. „თამაშის ასაკს“ უწოდებენ, რომელიც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამ ასაკის ბავშვის თამაშის განცდაში დიფუზიური სინამდვილეა მოცემული და მისი ცხოვრების ძირითად ნიშანს ილუზიის თამაში წარმოადგენს.

ამ პერიოდში ბავშვს შესწევს უნარი ყველაფერი ყველაფრად აქციოს. სახე უცვალოს სინამდვილეს და „გარდაქმნას“ იმად, რადაც მას სურს. ეს გარდაქმნა იმდენად თავისებურია, რომ მასში ფანტაზიის უშუალო მონაწილეობა ძლიერად ჩანს. მაგრამ ბავშვის ფანტაზია მჭიდროდ არის დაკავშირებული სინამდვილის განცდასთან, როგორც წარსულთან, ისე აწმყოსთან და ჯერ კიდევ იმდენად არ არის ფეხადგმული, რომ თავისუფალი ფუნქციობის უნარი შესწევდეს. იგი უფრო რეპროდუქციის პროცესია, ვიდრე ახალი შემოქმედებისა და ამდენად ფანტაზიის განვითარების დაბალ საფეხურს წარმოადგენს.

„თამაშის ასაკი“ ბუნებრივად ემთხვევა „ზღაპრის ასაკს“. „ზღაპრის შინაარსის ანალიზი ამტკიცებს, რომ იგი ფანტაზიის იმავე თავისებურებებს შეიცავს, რომლებიც თამაშის ფანტაზიისათვისაც არის დამახასიათებელი, „აქ იგივე პასიური, იგივე უკრიტიკო, იგივე სუბიექტური და ყველაფრის განმასულიერებელი ანიმისტური ფანტაზია მოქმედობს, როგორსაც ჩვეულებრივ თამაშის შემთხვევაშიაც აქვს ადგილი“[1].

თუმცა ასეა, მაგრამ ზღაპარი უკვე მატარებელია ფანტაზიის თავისუფალი მუშაობის ელემენტისა, რომელიც (ზღაპარი) ამზადებს საფუძვლიან ნიადაგს მოზარდის დამოუკიდებელი, თავისუფალი ფანტაზიის მუშაობისათვის, რაც თვალსაჩინოდ ვითარდება განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების პერიოდში, როდესაც მოზარდს ფანტაზიის სინამდვილის განცდა უჩნდება.

გამომდინარე აქედან ქართული საბავშვო ჟურნალები, განსაკუთ-

---

[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 494.

რებით მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებებში, საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ ხალხურ ზღაპრებს.

მცირეწლოვანთათვის ხალხური ზღაპრების შერჩევა გარკვეული პედაგოგიური მოსაზრებით აიხსნება: ხალხური ზღაპრების ენის სიმარტივე და საერთოდ მისი უბრალოება ადვილი დასაძლევია პატარა ბავშვისათვის.

ჩვენს საბავშვო ჟურნალებში დაბეჭდილი ხალხური ზღაპრები ეხება ცხოველთა სამყაროს. ეს ზღაპრები აღსავსეა დიდაქტიზმით, რომელიც მშრალად კი არ არის მიკერებული, არამედ ორგანულად გამომდინარეობს ნაწარმოებიდან. ხალხურ ზღაპრებში ჩაქსოვილი დიდაქტიზმი ბუნებრივად არის დაკავშირებული ხალხურ პედაგოგიკასთან.

ხალხური ზღაპრებიდან საბავშვო ჟურნალებს მკითხველი თანდათანობით გადაჰყავს მხატვრულ ზღაპრებზე, რომლებსაც ბავშვები დიდი ინტერესით ეწაფებიან და უფრო ადვილადაც ითვისებენ.

ქართულ საბავშვო ჟურნალებში გაბნეული ზღაპრების მიმზიდველობა მკითხველში დიდ სიამოვნებას იწვევს. უბრალო და დამთავრებული კომპოზიცია, მუსიკალური რიტმი, დინამიკა, ენის უბრალოება. ზღაპრის მხატვრულობის სრული შეფარდება მკითხველის ასაკობრივი და გონებრივი განვითარების დონესთან დამახასიათებელია საბავშვო ჟურნალებში დაბეჭდილი ზღაპრებისათვის, როგორიცაა „სესია და ივანე“, „მელიას ხრიკები“, „ლოკოკინა და ვარდის ბუჩქი“ („ნობათი“); „არწივი“, „მგელი და კაკაბი“, „თხა და ცხვარი“ („ჯეჯილი“); „მელია და კურდღელი“, „მელია“, „მგელი და წერო“ („ნაკადული“) და სხვ.

ხალხური შემოქმედებიდან ჟურნალები ადგილს უთმობენ აგრეთვე ანდაზებსა და გამოცანებს. ესენი უფრო მეტი რაოდენობით მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ განყოფილებაში გვხვდება. მოზრდილთა განყოფილებაში ანდაზებისა და გამოცანების ხარჯზე იზრდება მათემატიკურ და სხვა სავარჯიშოთა რიცხვი, რაც მცირეწლოვანთა განყოფილებაში მცირე მოცულობითაა წარმოდგენილი.

ანდაზა-გამოცანებისა და სავარჯიშოების ამგვარი განლაგება პედაგოგიური თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია. ბავშვი კონკრეტული მოაზროვნეა, რომელიც რეალურ გარემოს თავისებურად აღიქვამს. ანდაზა-გამოცანები ხელს უწყობს ბავშვის კონკრეტული აზროვნების განვითარებას, ამზადებს ნიადაგს აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასასვლელად და აჩვევს მოზარდს დახვეწილ მეტყველებას, ზოგად მოვლენათა შესახებ მოკლე დასკვნების გაკეთებას.

როგორც ცნობილია, ზღაპარი მუდამ არ იტაცებს ბავშვს. ასაკობრივ განვითარებასთან ერთად ვითარდება მისი წარმოდგენები, ბავშვის გონებაში გროვდება რეალური ცოდნის მარაგი, ფართოვდება მისი ინტერესთა სფერო, ამიტომ იგი უკვე აღარ კმაყოფილდება ზღაპრებით და ეძებს სხვა სულიერ საზრდოს, მიისწრაფვის ნამდვილისაკენ, სიმართლისაკენ.

საბავშვო ჟურნალების რედაქციებს ეს გარემოება საკმაო წიხდახედულობით აქვთ გათვალისწინებული. ამიტომაც მოზრდილთათვის განკუთვნილ განყოფილებაში ზღაპრების რაოდენობა საგრძნობლად მცირდება და მათ ადგილს იჭერს ისტორიული ხასიათის მასალები, სამეცნიერო წერილები, რომლებიც მეტწილად ბუნებისმეტყველების სფეროს ეხება. აქვე ვხვდებით მოგზაურობის ჟანრის ნაწარმოებებსაც, რადგან ასეთი ნაწარმოებები დიდი ინტერესით იკითხება 13-14-15 წლის ასაკში.

საინტერესოა, თუ რამდენად მიზანშეწონილად არის განლაგებული მასალა, რომელიც ბუნებისმეტყველების სფეროს ეხება.

რედაქციები ცდილობენ მიაწოდონ ბავშვებს ელემენტარული ცნობები ქვეყანათმცოდნეობიდან: დედამიწის ფორმა, სიდიდე და მოძრაობა; მზე და მთვარე, მათი დაბნელება, პლანეტები, ვარსკვლავები, კომეტები, ზოგადი წარმოდგენა დედამიწის წარმოშობაზე: დედამიწის ქერქის შემადგენლობა, მთების წარმოშობა, ქვანახშირი, მარილი და სხვა მინერალები, მათი წარმოშობა და მოპოვება.

ჟურნალები აცნობენ ბავშვებს აგრეთვე ხელშესახებ ფიზიკურ მოვლენებს, როგორიცაა, სითბო, სიცივე, ელვა, ქუხილი, წვიმა, ქარი, წყალდიდობა, თოვლი, მიწისძვრა, ხმა, სინათლე, ელექტრობა, მცენარეთა სამეფო, ნიადაგი, კლიმატი, მცენარეთა ბრძოლა არსებობისათვის, ცხოველთა სამეფო, მათი თვისებანი, მათი განფენილობა დედამიწაზე, ადამიანი, მისი ცხოვრება ძველად და ახლა, ზოგადი ცნობები ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან, საერთო ცნობები მიკროორგანიზმებზე და სხვა...

ასეთია ძირითადად ის პროგრამა, რომლის ირგვლივაც ტრიალებენ ქართული საბავშვო ჟურნალები, განსაკუთრებით მოზრდილთათვის განკუთვნილი განყოფილებანი.

წარმოდგენილი პროგრამა სავსებით შეფარდებულია ასაკთან. მაგრამ საინტერესოა, როგორია ამ მასალის გადაცემის ფორმები?

ჟურნალების რედაქციები კარგად გრძნობენ, რომ ასეთი შინაარსის თემებზე დაწერილი მოთხრობები თუ წერილები მხოლოდ მხატვრული ღირსებით მიაღწევენ მიზანს. ამიტომ წერილების ავტორები ერიდებიან სქემატურ თხრობას, მშრალ აღწერას, უპირვე-

ლეს ყოველისა ცდილობენ აღუძრან მკითხველს ცხოველი ინტერესი, რაისთვისაც უშუალოდ საკითხზე კი არ იწყებენ საუბარს, არამედ წერილს ერთგვარ შესავალს უკეთებენ, რითაც თითქოს ავიწყებენ მკითხველს, რომ მას სამეცნიერო ხასიათის წერილთან აქვს საქმე, ამ ხერხით მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება, რის შემდეგაც ავტორი მას მოხერხებულად და თანდათანობით აწვდის მეცნიერულ ცოდნას.

მაგალითად, ავტორს სურს მიაწოდოს მკითხველს ცნობები ასტრონომიიდან. იგი წერილს ამგვარად იწყებს: „ამბავი, რომელიც მე მინდა თქვენ მოგითხროთ, ფრიად შესანიშნავია და მთელი საუკუნეები გრძელდებოდა. მასზედ მოთხრობებს ძნელად უპოვნით ბოლოს. სათავე მისი სამყაროს სივრცეშია, იქ, სადაც დასცურავენ ყველა ვარსკვლავები, სადაც ისეთი სიცივეა, რომ არავითარი თბილი ბენკეულობა დახეულ პერანგზე მეტად არ ათბობს“.

ბუნებრივია, რომ თხრობის ასეთი კილო ძლიერ იზიდავდა მკითხველს, მისი გაღვიძებული ინტერესი და ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებას თხოულობდა და ისიც დიდი გატაცებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე კითხულობდა წერილს.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც წერილი დაწერილია საუბრის ფორმით. ცოდნის გადაცემის ეს მეთოდიც საინტერესო და მიმზიდველია.

ის ძვირფასი, მდიდარი და მაღალი გემოვნებით შესრულებული ხელოვნება, რომელიც ჩვენს საბავშვო ჟურნალებს ახასიათებს, დღესაც აღაფრთოვანებს მკითხველს.

ჩვენმა რედაქტორებმა კარგად იციან, რომ მხედველობა აღქმის ერთ-ერთი მთავარ საშუალებათაგანია და რომ იგი მნიშვნელოვნად ადიდებს დამახსოვრების ინტენსიურობას. ამიტომ ილუსტრაციებს საბავშვო ჟურნალებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

სურათების რაოდენობა მცირეწლოვანთა განყოფილებაში უფრო ჭარბობს, რაც სავსებით ბუნებრივია. ეს სურათები მეტად ცოცხალი და სინამდვილესთან შეფარდებულია, რაც პატარა მკითხველებში იწვევს ხალისსა და ინტერესს ჟურნალისა და საკითხავი მასალისადმი.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სურათი თავის ადგილზე არ არის. იგი ტექსტს ან წინ უსწრებს, ან შემდეგ არის მოთავსებული, მაგრამ ამას იშვიათად ვხვდებით.

საერთოდ, ქართული საბავშვო ჟურნალები ძირითადად აკმაყოფილებდნენ პედაგოგიურ მოთხოვნებს. მათ უდიდესი როლი შეასრუ-

ლეს მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში. რედაქტორებისა და თანამშრომლების უანგარო და თავდადებულმა მოღვაწეობამ ქართველ ბავშვს შეუნარჩუნა ქართველი კაცის ბუნება და განვლილი ეკლიანი გზიდან მიღებული მწარე გამოცდილებით საუკეთესო გაკვეთილები მისცა თანამედროვე ქართულ საბავშვო ჟურნალისტიკას.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალი ხანა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის ისტორიაში.

ამ პერიოდიდან ქართულმა საბავშვო ჟურნალებმა სრულიად ახალი გზით იწყეს სვლა. შეიცვალა მათი სახე, შეიცვალა თემატიკა. თვით ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც 1928 წლამდე შერჩა ქართულ სინამდვილეს, სრულიად ახალი ცხოვრების ამსახველ ორგანოდ იქცა.

1921 წლიდან დაიწყო ახალი პერიოდი ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში, პერიოდი მეტად საინტერესო და არსებითად განსხვავებული წინა წლებისაგან.

ასე წარმოგვიდგება ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების გზა 1881 წლიდან 1921 წლამდე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

აკაკი წერეთელი და ქართული პერიოდული პრესა 5

აკაკის თვიური კრებული 26

ჟურნალი „ხუმარა" 71

ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების გზები . 83

პირველი ქართული საბაეშვო ჟურნალები „წყარო" და საყვა-
ვილო ბაღი" 89

ჟურნალი „ნობათი" 103

„ნობათიდან" „ჯეჯილამდე" 121

„ჯეჯილი" 135

„ნაკადული" 191

Иосиф Луарсабович Боцвадзе
Грузинская журналистика
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1967.

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
ტექრედაქტორი ი. ჩაგელიშვილი
კორექტორები: ა. სტურუა, მ. ვაჩეიშვილი

გადაეცა ასაწყობად 28/II-67
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/V-67.
ქაღალდის ფორმატი 60×90/16.
ნაბეჭდი თაბახი 14.
საღრ.-საგამომც. თაბახი 11,95.
ტირაჟი 1000.
უე 06756.
შეკვეთა № 316.

ფასი 65 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И Чавчавадзе, 1.